



ევროკავშირი
საქართველოსთვის



ROSC

ანგარიში სტანდარტების და
კოდექსების შესრულების შესახებ



ბუღალტერია
და აუდიტი

საქართველო

2022

ივნისი, 2023

© 2023 The World Bank
1818 H Street NW,
Washington DC 20433
Telephone: 202-473-1000;
Internet: www.worldbank.org

Some rights reserved.

ნაშრომი მომზადდა მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ. მასში მოცემული მიგნებები, ინტერპრეტაციები და დასკვნები არ ასახავს მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორების ან იმ სახელმწიფოების პოზიციებს რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. მსოფლიო ბანკი არ იძლევა ამ ნაშრომში შეტანილი მონაცემების სიზუსტის გარანტიას. აქ წარმოდგენილ ნებისმიერ რუკაზე მითითებული საზღვრები, ფერები, დასახელებები და სხვა ინფორმაცია, არ ნიშნავს მსოფლიო ბანკის რაიმე გადაწყვეტილებას რომელიმე ტერიტორიის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით, ან ასეთი საზღვრების დამტკიცებას ან მიღებას.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მსოფლიო ბანკის ჯგუფი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

უფლებები და ნებართვები

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მასალა დაცულია საავტორო უფლებებით. რამდენადაც მსოფლიო ბანკი ხელს უწყობს თავისი ცოდნის გავრცელებას, ეს ნაშრომი სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაკომერციული მიზნით წყაროს სათანადოდ ციტირებით.

ნებისმიერი კითხვა უფლებებთან და ლიცენზიებთან დაკავშირებით, მათ შორის მეორადი საავტორო უფლებების შესახებ უნდა გაეგზავნოს მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამომცემლობას, The World Bank Group, 1818 H Street NW, Washington, DC 20433, USA; ფაქსი: 202-522-2625; ელ-ფოსტა: pubrights@worldbank.org.




სარჩევი



აბრევიატურები	2
წინასიტყვაობა	5
მადლობა	6
რეზიუმე	7
I. შესავალი	20
II. შეფასება	25
A. აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტები	25
B. კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ინსტიტუციური ჩარჩო	27
1. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი მოთხოვნები	30
2. საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიები	35
3. საბანკო სექტორი	48
4. მიკროსაფინანსო სექტორი	61
5. სადაზღვევო სექტორი	67
6. სახელმწიფო საწარმოები	78
7. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესია	83
8. პროფესიული განათლება და ტრენინგი	91
9. აუდიტის რეგულირება, ხარისხის უზრუნველყოფა, და საზოგადოებრივი ზედამხედველობა	98
10. ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტების დადგენა	107
C. ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და აღქმა	109
III. ROSC A&A წინა შეფასების შემდეგ განხორციელებული ცვლილებები	127
IV. რეკომენდაციები	129
დანართი A. 2015 წლის რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით მიღწეული პროგრესი	139



აბრევიატურები

ACCA	სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია
AGM	აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრება
AML	ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები
CGCCB	კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის
CGCI	კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის
CGCSOE	კორპორაციული მართვის კოდექსი სახელმწიფო საწარმოებისთვის
CPD	განგრძობითი პროფესიული განათლება
CPF	ქვეყანასთან პარტნიორობის ჩარჩო
CTF	ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები
EC	ევროკომისია
EFRAG	ფინანსური ანგარიშგების ევროპის საკონსულტაციო ჯგუფი
ESRS	მდგრადი განვითარების ანგარიშგების ევროპული სტანდარტები
EU	ევროკავშირი
FRMU	ფისკალური რისკის მართვის ორგანიზაცია
GAAP	ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები
GEL	ქართული ლარი (ვალუტა)
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GFAAFM	საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია
GFPAA	საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია
GSE	საქართველოს საფონდო ბირჟა
I&D	მოკვლევა და დისციპლინა
IAASB	აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების საერთაშორისო საბჭო
IAESB	საბუღალტრო განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო

IASB	ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭო
IES	განათლების საერთაშორისო სტანდარტი
IESBA	ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
IFAC	ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
IFIAR	აუდიტის დამოუკიდებელ მარეგულირებელთა საერთაშორისო ფორუმი
ფასს	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები/ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები
მსს ფასს	მცირე და საშუალო სანარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები/ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ასს	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები
ხკსს	ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი
ხმსს	ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი
ISSSG	საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
IT	საინფორმაციო ტექნოლოგიები
სს	სააქციო საზოგადოება
LIE	საკრედიტო სუბიექტი
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MD&A	მენეჯმენტის დისკუსია და ანალიზი
MFI	მიკროსაფინანსო დაწესებულება
MoE	განათლების სამინისტრო
NBFI	არასაბანკო საფინანსო დაწესებულება
NCEQE	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NISD	არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია
PAO	პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია
PIE	საზოგადოებრივი დაინტერესების პირი
QA	ხარისხის უზრუნველყოფა
REPORTAL	ფინანსური ანგარიშგებების სახელმწიფო დეპოზიტარი
ROSC A&A	ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში

SAO	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
სამსახური	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SME	მცირე ან საშუალო საწარმო
SMO	წევრობის ვალდებულების პრინციპები
SMP	მცირე ან საშუალო სიდიდის პრაქტიკა
SOE	სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმო
US\$	ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (ვალუტა)

ვალუტის კურსი

* 1 US\$ = 3.0976 ლარი (31 დეკემბერი, 2021); 1 US\$ = 2.7020 ლარი (31 დეკემბერი 2022)

* 1 ევრო = 3.5040 ლარი (31 დეკემბერი, 2021); 1 ევრო = 2.8844 ლარი (31 დეკემბერი 2022)



წინასიტყვაობა

ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში (ROSC) აფასებს მონაწილე ქვეყნების ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის სტანდარტებს, ინსტიტუტებს და პრაქტიკას. ეს ანგარიში არის ერთობლივი ინიციატივის ნაწილი, რომელიც ხორციელდება მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ საერთაშორისო სტანდარტების და პრინციპების შესრულების ხარისხის შესაფასებლად 12 ძირითადი მიმართულებით, (ROSC-ის პროგრამა) ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით.

აღნიშნული ანგარიში უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მოთხოვნების და პრაქტიკის შეფასებას საქართველოს კორპორაციულ სექტორში და განსაზღვრავს მიმართულებებს

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტისთვის ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესების განახილველად. ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში (ROSC) იყენებს ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მართვის საუკეთესო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს. ანგარიში წარმოადგენს 2015 წელს მომზადებული შეფასების განახლებას და განხორციელდა საქართველოს მთავრობის ოფიციალური თხოვნის საპასუხოდ.

ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად განხორციელებული ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში.

მადლობა

ROSC A&A შეფასება საქართველოს მთავრობის მოთხოვნით 2022 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში განხორციელდა. ანგარიშში წარმოდგენილი ყველა ფაქტობრივი მონაცემი შეფასების ამ პერიოდს მიეკუთვნება.¹ მსოფლიო ბანკის გუნდის შემადგენლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარიკ სერგეიანი (ფინანსების მართვის უფროსი სპეციალისტი), შედიოდნენ ირინა გორდელაძე (გრძელვადიანი კონსულტანტი), ნატალია კონოვალენკო (გრძელვადიანი კონსულტანტი), მაიკლ ველსი (კონსულტანტი), დარელ სკოტი (კონსულტანტი), და ჯონ ჰუპერი (კონსულტანტი). გუნდი მუშაობდა დანიელ ბოისის (მართვის პრაქტიკის მენეჯერი) ზედამხედველობით.

შეფასება განხორციელდა მონაწილეობითი პროცესის საშუალებით, რომელშიც ჩართული იყვნენ ქვეყნის დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების ზედამხედველობის სამსახური, ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციები, აუდიტორული ფირმები, აკადემიური წრეების და

ბიზნესსაზოგადოების სხვა წარმომადგენლები. ROSC A&A გუნდი განსაკუთრებულ მადლობას უხდის საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების ზედამხედველობის სამსახურის უფროსს დავით მჭედლიძეს საქართველოს მთავრობის ფარგლებში ამ ინიციატივის მტკიცე მხარდაჭერისთვის.

გუნდი დიდ მადლობას უხდის მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორს სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსს მისი ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერისთვის.

ანგარიშის მომზადებისას ასევე გათვალისწინებული იყო ექსპერტების - ანდრეი ბუსუიოკი (ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი), ჰაოცონგ რენის (ფინანსური სექტორის უფროსი ეკონომისტი) და მაი თი ფუნგ ტრანის (ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი) კომენტარები.

¹ ფინანსური ანგარიშგებების შეფასება ემყარება იმ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც შემფასებლებისთვის ხელმისაწვდომი იყო 2022 წლის სექტემბერში.

რეზიუმე

ზოგადი მიმოხილვა

1. COVID-19 პანდემიის წინა ათწლეულში საქართველოს ეკონომიკა ზრდის სისწრაფით ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მეორე ადგილზე იყო.

ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 2010-2019 წლებში ერთ სულ მოსახლეზე 5.2 პროცენტს შეადგენდა. მას შემდეგ რაც 2019 წელს საქართველომ საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის გადაინაცვლა, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 4,773 აშშ დოლარს გაუტოლდა. პანდემიის დაწყებისთანავე, საქართველომ, რომლის ეკონომიკაც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ტურიზმზე, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მშპ-ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ვარდნა განიცადა (6.8 პროცენტის კლება 2020 წელს). ქვეყნის ეკონომიკამ მტკიცედ დაძლია COVID-19-ის უარყოფითი ზემოქმედება და მედეგობა გამოიჩინა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგების მიმართ. 2021 წელს აღინიშნა ეკონომიკის 10.4 პროცენტის ზრდა, რაც განპირობებული იყო სამომხმარებლო საქმიანობის და ექსპორტის აღდგენით. აღსანიშნავია, რომ მშპ-ის მაჩვენებელმა 2019 წლის დონეს გადააჭარბა და შეფასებების მიხედვით 2022 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა ორნიშნა მაჩვენებლით გამოისახა.

2. საქართველოს სამომავლო გეგმები ამბიციურია და მიზნად ისახავს ევროკავშირთან (EU) მჭიდრო ინტეგრაციას.

საქართველო ექსპორტის გასაძლიერებლად ბაზრების შემდგომ გაფართოებას და კავშირების განვითარებაში ინვესტირებას აპირებს. ევროინტეგრაცია ამ ამბიციური პერსპექტივის ქვაკუთხედი. 2014 წლის ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველო თავის ინსტიტუტებსა და პოლიტიკას

ევროკავშირთან აახლოებს. 2022 წლის მარტში ქვეყანამ ევროკავშირში გასაწევრიანებლად ოფიციალური განაცხადი წარადგინა. 2022 წლის ივნისში ევროპის საბჭომ განიხილა განაცხადი და გამოხატა მზადყოფნა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც შესრულდება ევროკომისიის დასკვნაში ქვეყნის ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით ჩამოთვლილი პრიორიტეტები.

3. საქართველოში კაპიტალის ბაზარი ქვეყანაში ფუნქციონირების უფლების მქონე ორი საფონდო ბირჟით განვითარების ადრეულ ეტაპზეა.

საქართველოს საფონდო ბირჟა (სსე) ამჟამად ერთადერთი აქტიური ბირჟაა (დაარსდა 1999 წელს) და არის თბილისის საფონდო ბირჟის (შეფასების მომენტისთვის არააქტიური) ჰოლდინგური კომპანია. არცერთი ბირჟა არ არის დაკავშირებული რომელიმე სხვა საფონდო ბირჟის ქსელთან. ლისტინგში შემავალი რვა კომპანია ადგილობრივია და მათი ჯამური საბაზრო კაპიტალიზაცია 2021 წლის ბოლოს 2,384 მლნ ლარს შეადგენდა. ლისტინგში შემავალი 23 არასაბირჟო ინსტრუმენტი მოიცავდა 15 კორპორაციულ ობლიგაციას, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შვიდ ობლიგაციას და ერთ გლობალურ სადეპოზიტო ხელწერილს. ობლიგაციების საბაზრო კაპიტალიზაცია 2021 წლის ბოლოსთვის 1,759 მლნ. ლარი იყო. საქართველოში საფინანსო ინსტიტუტების მთლიანი აქტივების 90 პროცენტზე მეტი საბანკო სექტორზე მოდის და მზარდია როგორც მოცულობით, ისე მასშტაბით. ქვეყნის მიკროსაფინანსო სექტორი ძლიერია. მასზე მოდის არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების მთლიანი სესხების 76 პროცენტი, რაც, თავის მხრივ, 2021 წლის ბოლოს მთლიანი საფინანსო სექტორის 3.4 პროცენტს შეადგენდა. სადაზღვევო სექტორი სწრაფი ზრდით გამოირჩეოდა, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

განმავლობაში. კერძოდ, ჯამური პრემია 773 მლნ. ლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 1.3 პროცენტია. სახელმწიფო საწარმოების სექტორი კვლავ კრიტიკულ როლს თამაშობს ეკონომიკაში. აღნიშნული საწარმოების პორტფელი 1,315 სუბიექტიდან (2009 წ.) 316 -მდე (2021 წ.) შემცირდა. 196,000-ზე მეტ კომპანიაზე, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოზე მოდის დასაქმების დაახლოებით 62 პროცენტი და მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 51 პროცენტი. ეს საწარმოები 2021 წლის ბოლოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდნენ.

■ კავშირი ამ ანგარიშსა და საქართველოს რეფორმების დღის წესრიგს შორის

4. ეს ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში (ROSC A&A) მიზნად ისახავს საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ინსტიტუციური ჩარჩოს შემდგომი განვითარების ხელშეწყობას. კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის გაძლიერება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „ხედვა 2030 -საქართველოს განვითარების სტრატეგია“, რომელიც ერთ-ერთ მიზნად საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობას და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME) დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ისახავს. სტრატეგია ხაზს უსვამს ფინანსური ანგარიშგების სათანადო სისტემის მნიშვნელობას მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდისა და განვითარებისთვის. ამავდროულად, სტრატეგია ითვალისწინებს აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფას აუდიტორთა ხარისხის კონტროლის სისტემების მონიტორინგის გზით.

5. მსოფლიო ბანკის საქართველოსთან პარტნიორობის ჩარჩო (CPF) 2019 – 2023 წლებისთვის სხვა ინდიკატორებთან ერთად შეიცავს „მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის ამაღლების“ ინდიკატორს.³ ქვეყანასთან

პარტნიორობის ჩარჩო პროგრამა ასევე ხელს უწყობს სახელმწიფო საწარმოების მართვასა და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებას. სუსტი კორპორაციული მართვა მითითებულია როგორც საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი ნაკლი და ის განპირობებულია არაადეკვატური კორპორაციული გამჭვირვალობით, რაც მფლობელობის სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის არასაკმარისი გამჟღავნებით და არაეფექტიანი კორპორაციული საბჭოების არსებობით გამოიხატება.

■ საქართველოსთვის მომზადებული ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში, 2022

6. ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში (ROSC A&A) აფასებს პროგრესს რომელიც მიღწეულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესების თვალსაზრისით 2015 წელს მომზადებული წინა ანგარიშის შემდეგ. ის ანალიზებს ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩოს საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე პირების, საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიების, საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო კომპანიების, სახელმწიფო საწარმოების და მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის. მიმდინარე ანგარიში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების ინსტიტუციური ჩარჩოს მუდმივი განვითარების მხარდაჭერას „საქართველოს განვითარების სტრატეგიის (ხედვა 2030)“ შესაბამისად. კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებას შეუძლია კორპორაციული მართვის გაძლიერება, გამჭვირვალობის ამაღლება და ფინანსური ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესება. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს კერძო სექტორის, როგორც

² ინდივიდუალური მენარმეების ჩათვლით.

³ CPF ინდიკატორი (საბაზისო მაჩვენებელი: 0 [2016] და სამიზნე მაჩვენებელი: 500 [2022]) გადაჭარბებით შესრულდა 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით. 4400-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო თავის ანგარიშებს აქვეყნებდა SARAS-ის პორტალზე.

ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალის, აქტივობის და დინამიურობის ამაღლებას, რაც საქართველოს გაცილებით მიმზიდველს გახდის ინვესტორებისთვის.

7. ეს შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, ქვეყანაში აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის რეფორმების დღის წესრიგის ფარგლებში ინსტიტუციური რეკომენდაციების მიზნით. შეფასებისთვის გამოყენებული მონაცემები და ინფორმაცია შეგროვდა დაინტერესებული მხარეების მიერ შევსებული ROSC A&A 2.0 სადიაგნოსტიკო კითხვარებიდან; დაკავშირებული დოკუმენტების განხილვიდან; და მარეგულირებლების, პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციების, აუდიტორული ფირმების, ფინანსური ანალიტიკოსების, ბანკების და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად. ROSC A&A 2.0 მიდგომა იყენებს ინდიკატორების სერიას საბაზისო სიტუაციის განსაზღვრად. საქართველოსთვის მომზადებული ROSC-ის ანგარიშისთვის ეს იყო ამ მიდგომის გამოყენების პირველი შემთხვევა. ანგარიშში შეჯამებულია ძირითადი მიგნებები, იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები, და წარმოდგენილია რეკომენდაციები საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის მისაღწევად.

2015 წლის ROSC A&A ანგარიშის შემდეგ მიღწეული პროგრესი და ძირითადი რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

2015 ROSC A&A ანგარიშის შემდგომი მიღწევები

8. 2015 წლის ROSC A&A ანგარიშის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო 2016 წელს ამ სფეროში „ბუღალტრული

აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება და მისი შემდგომი ამოქმედება. ამ კანონმა საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში თითქმის შესაბამისობაში მოიყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან⁴ და უპასუხა 2015 წლის ROSC A&A ანგარიშში წარმოდგენილ თითქმის ყველა რეკომენდაციას.

9. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ განსაზღვრავს სამართლებრივ საფუძვლებს ქვეყანაში კომპანიების ანგარიშგების სანარმოებლად. ის ამას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და სახელმწიფოსთვის განხორციელებული გადახდების ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, აგრეთვე პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული კანონი ასევე განსაზღვრავს სამართლებრივ საფუძვლებს ამ სფეროებში სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებისა და შესაბამისი სანქციების დასაკისრებლად.⁵

10. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (სამსახური) ხელმძღვანელობს კანონის ეფექტურ განხორციელებას და კორპორაციული ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პროცესს საქართველოში. სამსახურის შექმნა კანონის ამოქმედების შედეგად მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. ნაყოფიერი დიალოგი შედგა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ბიზნესსაზოგადოებასთან, სხვა საზედამხედველო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აკადემიურ წრეებთან. სამსახურის როლი კორპორაციული გამჭვირვალობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დადებითად აღინიშნა საზოგადოების მიერ. ამასთან საჭიროა შემდგომი ნაბიჯები მონიტორინგის და აღსრულების ღონისძიებების ხარისხის ასამაღლებლად, ისევე როგორც დავების გადაწყვეტის მექანიზმის გასაძლიერებლად.

⁴ იხ. ტრანსპოზიციის ცხრილი შემდეგ ბმულებზე გადასვლით: <https://www.saras.gov.ge/Content/files/Transposition-table-audit-directive.pdf> და <https://www.saras.gov.ge/Content/files/Transposition-table-accounting-directive.pdf>

⁵ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 1.

11. 2015 წლის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მიღწევებს შორის აღსანიშნავია ფინანსური ანგარიშგებების საჯარო ვებსადაცავის (REPORTAL)⁶ ამოქმედება წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოსაქვეყნებლად, ისევე როგორც აუდიტორთა რეესტრის შექმნა. ანგარიშგების პორტალმა შესაძლებელი გახადა კორპორაციული გამჭვირვალობის უპრეცედენტო დონის მიღწევა, ციფრული ფინანსური ინფორმაციის 100- მდე ინსტიტუციური მომხმარებლით, მათ შორის არიან ფინანსური სერვისების განმახორციელებელი ორგანიზაციები, საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები, ფინანსური ანალიტიკოსები, მკვლევარები, მარგულირებლები და სხვა დარგების წარმომადგენლები.

12. რესურსების გარკვეული შეზღუდვის მიუხედავად, სამსახური აგრძელებს თავისი ვალდებულების წარმატებით შესრულებას, რაც გამოიხატება ახლად გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თარგმნასა და მიღებაში. სამსახური ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღების თვალსაზრისით მოწინავეთა რიგებშია მსოფლიოში. შემუშავებულია ფასს / აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) ტერმინების ონლაინ ლექსიკონი, რომლის განახლებაც რეგულარულად წარმოებს.⁷

13. 2015 წლის ROSC A&A შეფასების განხორციელების შემდეგ, პროფესიის გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად გაიზარდა აუდიტორების, აუდიტორული ფირმების და სერტიფიცირებული ბუღალტრების სათანადოდ მართული რეესტრების მეშვეობით. აუდიტის ხარისხის მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება კარგი პრაქტიკის შესაბამისად და ფარავს ბაზრის მოცულობის თითქმის 90 პროცენტს, ზრდის ნდობას აუდიტის ზედამხედველობის ფუნქციისა და აუდიტორული პროფესიის მიმართ.

14. პროფესიული სერტიფიცირებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესები სტანდარტიზებულია, გამჭვირვალე გახდა და კარგად წარმოებს მათი მონიტორინგი. სამსახური დონორების და პროფესიული ორგანიზაციების

დახმარებით კოორდინაციას უწევს ძირითადი დამატებითი მასალების ხელმისაწვდომობას, განგრძობით პროფესიულ განათლებას (CPD) და სხვა ტრენინგებს და სემინარებს აუდიტორებისა და ბუღალტრებისთვის თემების ფართო სპექტრის შესახებ.

2015 წლის ROSC-ის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომლებიც ჯერ ისევ შესასრულებელია

15. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები 2015 წლის ROSC A&A ანგარიშიდან ჯერ კიდევ საჭიროებს სრულად შესრულებას, თუმცა თითოეული მათგანი გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი დაინტერესებული მხარის მიერ და განხორციელდა ზოგიერთი ღონისძიება რეკომენდაციის შესასრულებლად, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული:

* 2015 წლის ROSC A&A ანგარიშით რეკომენდებული იყო საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (სდპ) და მსხვილი/საშუალო /მცირე /მიკრო საწარმოების განსაზღვრებების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობაში. კორპორაციული ანგარიშგების მიზნებისთვის კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ სუბიექტების განმარტებები შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. რჩება ევროკავშირის მოთხოვნებთან შემდგომი ჰარმონიზაციის აუცილებლობა და გარკვეული შეუსაბამობები საგადასახადო კოდექსში არსებულ ეკვივალენტურ განსაზღვრებებთან. თუმცა, ზოგადად ზემოქმედება კორპორაციულ ანგარიშგებაზე არ არის მნიშვნელოვანი.

* დონორთა მხარდაჭერით განხორციელდა საპასუხო ღონისძიებები ორ რეკომენდაციასთან დაკავშირებით საუნივერსიტეტო განათლების და სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით ბუღალტრული აღრიცხვის და

⁶ <https://reportal.ge>

⁷ <https://www.saras.gov.ge/translate>

აუდიტის სფეროში. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, უნივერსიტეტებისთვის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში განათლების რეკომენდებული სასწავლო პროგრამის შემუშავების და სასწავლო მასალების მიწოდების ჩათვლით. ეს ღონისძიებები გრძელდება, ამდენად 2015 წლის ანგარიშის რეკომენდაციები კვლავ რელევანტურია.

16. აღნიშნული ორი სფერო გათვალისწინებულია ამ ანგარიშის რეკომენდაციებში რომლებიც შეჯამებულია ქვემოთ.

2022 წლის ROSC A&A შეფასება – რეიტინგები და რეკომენდაციები

17. ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის ეფექტიანობის ძირითადი ინდიკატორების საერთო შეფასება წარმოდგენილია ცხრილი 1-ში, რითაც დასტურდება დარჩენილი გამოწვევები. რეკომენდაციები ცხრილი 2-ში შემუშავებულია ანგარიშის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი მიგნებების საფუძველზე.

ცხრილი 1. ROSC A&A ანგარიშის რეიტინგები

ეფექტიანობის ინდიკატორები	საქართველოს რეიტინგი ⁸	მაქსიმალური რეიტინგი
1. ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სტანდარტები⁹	4	4
A.1. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები	4	4
B.1. აუდიტის სტანდარტები	4	4
2. კომერციული სანარმოები (მცირე და საშუალო ბიზნესის ჩათვლით)	4	4
A.1. გამარტივებული ფინანსური ანგარიშგება	4	4
A.2. გათავისუფლება სავალდებულო აუდიტის ჩატარებისგან	4	4
3. ფინანსური ანგარიშგება და საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიების აუდიტი	3.1	4
A. ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის მოთხოვნები საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიებისთვის	3.3	4
B. საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების მონიტორინგი და აღსრულება	2.8	4

⁸ ROSC A&A შეფასების რეიტინგის კრიტერიუმები: 1 = მინიმალური რეიტინგი; კრიტერიუმები “2” რეიტინგის მისაღებად არ არის შესრულებული; 2 = პირველი ნაბიჯები საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობის მისაღწევად გადადგმულია; თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები; 3 = ადგილი აქვს გარკვეულ შესაბამისობას საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან; თუმცა არსებობს ნაკლოვანებები; 4 = სახეზეა არსებითი შესაბამისობა საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან.

⁹ ეფექტიანობის ეს ინდიკატორი უკავშირდება საერთაშორისო სტანდარტების მიღებას, ეფექტიანობის ინდიკატორები 2- დან 6-მდე უკავშირდება აღნიშნული სტანდარტების დანერგვას და გამოყენებას.

ეფექტიანობის ინდიკატორები	საქართველოს რეიტინგი ⁸	მაქსიმალური რეიტინგი
4. ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი ბანკებისთვის	3.1	4
A. ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის მოთხოვნები ბანკებისთვის	3	4
B. ბანკებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების მონიტორინგი და აღსრულება	3.2	4
5. ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი სადაზღვევო კომპანიებისთვის	2.9	4
A. ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისთვის	3	4
B. სადაზღვევო კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების მონიტორინგი და აღსრულება	2.8	4
6. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესია	ნაწილობრივ მიღებულია	მიღებულია
A. განათლების საერთაშორისო სტანდარტები	ნაწილობრივ მიღებულია	მიღებულია
B. ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის	მიღებულია	მიღებულია
C. მოკვლევის და დისციპლინის სისტემა	ნაწილობრივ მიღებულია	მიღებულია
7. აუდიტის საზოგადოებრივი ზედამხედველობა	3.9	4
A. აუდიტის ზედამხედველობის სისტემა	3.8	4
B. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა	4	4
C. აუდიტის ხარისხის მოკვლევა და სანქციები	4	4

ცხრილი 2. რეკომენდებული საკითხების რეზიუმე განსახილველად¹⁰

#	რეკომენდაციები	პასუხისმგებელი უწყება	შესაბამისი დოკუმენტები	ვადა
მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო				
1	<p>სამსახურის შექმნა და მის მიერ კანონის მოთხოვნების წარმატებული შესრულება ძალიან დიდი მიღწევაა, რაც ყველა მონაწილე მხარის დამსახურებას წარმოადგენს. სამსახურმა უნდა გააგრძელოს თავისი შესაძლებლობების განვითარება და დაფინანსების ზრდა, იმისათვის რომ სრულად დამოუკიდებელი გახდეს დონორების მხარდაჭერისგან და გაუმკლავდეს მის წინაშე არსებულ საოპერაციო გამოწვევებს; და შეძლოს მაღალკვალიფიციური პერსონალის და კონსულტანტების მოზიდვა და შენარჩუნება მონიტორინგისა და აღსრულების ღონისძიებების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია სამსახურის საბჭოს შემადგენლობის, შესაძლებლობებისა და კომპეტენციების გაძლიერება, მისი ეფექტურობის ასამაღლებლად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა დავების გადაწყვეტა და რეგულაციების მიღება.</p> <p>სამსახურმა ასევე უნდა განიხილოს დავების გადაწყვეტის მექანიზმის საჭიროება აუდიტის დაქირავებულ ექსპერტთა მონაწილეობით, რეგისტრაციისა და ინსპექტირების შედეგად წარმოქმნილ დავებზე რეაგირების მიზნით.</p>	საქართველოს მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო, სამსახური	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	საშუალოვადიანი პერიოდი

¹⁰ დეტალური რეკომენდაციებისთვის იხ. IV თავი ქვევით: რეკომენდაციები

#	რეკომენდაციები	პასუხისმგებელი უწყება	შესაბამისი დოკუმენტები	ვადა
2	<p>ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად საქართველოს ძალისხმევის შესაბამისად და ქვეყნის საერთო შესაძლებლობების გასაძლიერებლად წევრობის ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამსახურმა და კანონმდებლებმა უნდა გააგრძელონ თანამშრომლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი მიახლოებისთვის ბულალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სფეროებში. კერძოდ, შემდგომი შესაბამისობა საჭიროა შემდეგი მიმართულებებით:</p> <ul style="list-style-type: none"> * კანონში „აუდიტის ძირითადი პარტნიორის“ ცნების შეტანა; * აუდიტორის რეგისტრაციის მოთხოვნებისთვის აუდიტორული ფირმის ოფისის ადგილმდებარეობის და ქსელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების დამატება; * სამსახურის მიერ სხვა ორგანოებისთვის მოვალეობების შესაძლო დელეგირების მექანიზმის კანონში გათვალისწინება; * აუდიტორის “ყოველწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის” განსაზღვრების და აღწერის კანონში შეტანა; 	სამსახური	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	მოკლევადიანი პერიოდი
3	საჭიროა სდპ-ების ფინანსური ანგარიშგებების და მმართველობის ანგარიშების გამოქვეყნების მოთხოვნების შემდგომი გაძლიერება და ჰარმონიზაცია.	საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ), საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (ISSSG), ფინანსთა სამინისტრო, სამსახური	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	მოკლევადიანი პერიოდიდან საშუალოვადიანი პერიოდამდე

#	რეკომენდაციები	პასუხისმგებელი უწყება	შესაბამისი დოკუმენტები	ვადა
4	უნდა დამყარდეს ან გაძლიერდეს სისტემატური თანამშრომლობა ყველა დარგობრივ მარეგულირებელსა და რეგულირებადი სუბიექტების გარე აუდიტორებს შორის.	სებ, ISSSG	რეგულაციების ცვლილებები	მოკლევადიანი პერიოდი
5	მიკროსაფინანსო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები ხელახლა უნდა შეფასდეს პროპორციულობის თვალსაზრისით, დაფინანსების არსებული და პოტენციური წყაროების გათვალისწინებით.	სებ, სამსახური	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	საშუალოვადიანი პერიოდი
6	უნდა გამოიცეს კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული კოდექსი ყველა სდპ-ისთვის, და განახლდეს კანონები და რეგულაციები სდპ-ებისთვის კოდექსის ეფექტური აღსრულების უზრუნველსაყოფად	სებ, ISSSG, ფინანსთა სამინისტრო, სამსახური	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	საშუალოვადიანი პერიოდი
7	უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ქვეყნის სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების ანგარიშგებისთვის, ინვესტიციებისა და ინსტიტუტების მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ახალი და არსებული პროექტებისა და აქტივობების მდგრად განვითარებაზე ზემოქმედების შესწავლასთან დაკავშირებით	სამსახური, ფინანსთა სამინისტრო	კანონის და რეგულაციების შემუშავება ქვეყნის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად	მოკლევადიანი პერიოდი
8	მიღებულ უნდა იქნეს კანონი სახელმწიფო საწარმოების შესახებ და შესაბამისი მეორადი კანონმდებლობა სახელმწიფო საწარმოების ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის შესაბამისად; ასევე, უნდა დაინერგოს სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის კოდექსი (CGCSOE) და დაიწყოს აღნიშნული დოკუმენტების აღსრულება შემდგომი დაყოვნების გარეშე სამი საპილოტე სახელმწიფო საწარმოსთვის. სახელმწიფო საწარმოებისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაძლებლობების შესაბამისი განვითარება კორპორაციული მართვის კოდექსის შესასრულებლად.	საქართველოს მთავრობა	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	მოკლევადიანი პერიოდი

#	რეკომენდაციები	პასუხისმგებელი უწყება	შესაბამისი დოკუმენტები	ვადა
9	უნდა დაჩქარდეს აუდიტის კომიტეტების შექმნა სახელმწიფო სანარმოებში	ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მოკლევადიანი პერიოდი
10	<p>სახელმწიფო სანარმოების ანგარიშგების მოთხოვნები საჭიროებს გაძლიერებას. კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> * სახელმწიფო სანარმოების ერთობლივი ანგარიშგება და სახელმწიფო სანარმოების პორტფელთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება უნდა გაფართოვდეს. * სახელმწიფო სანარმოების მმართველობის ანგარიშგებები უნდა გაძლიერდეს და შეიცავდეს: კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; ინფორმაციას სახელმწიფო სანარმოების საბჭოს წევრების ანაზღაურების შესახებ; ინფორმაციას სახელმწიფოსგან მიღებული ფინანსური დახმარების შესახებ; ინფორმაციას საჯარო სამსახურის ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დაფინანსების ღონისძიებების შესახებ; და საჯარო განცხადებას სახელმწიფო სანარმოების ამოცანებისა და მათი შესრულების შესახებ. * საჭიროა სახელმწიფო სანარმოების საჯარო ვალდებულებების ან/და კვაზი-ფისკალური აქტივობებისა და ვალდებულებების მკაფიო გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებებში. 	ფინანსთა სამინისტრო, სამსახური	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	მოკლევადიანი პერიოდი

#	რეკომენდაციები	პასუხისმგებელი უწყება	შესაბამისი დოკუმენტები	ვადა
ფინანსური ანგარიშგების მონიტორინგი და აღსრულება				
11	უნდა გაძლიერდეს არსებული მარეგულირებლების მხრიდან ფინანსური ანგარიშგების მოქმედ სტანდარტებთან ზოგადი დანიშნულების წლიური ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისობის მონიტორინგი. ეს ხელს შეუწყობს რეაგირებას იმ განსხვავებაზე, რომელიც გამოვლინდა მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და რეალურ პრაქტიკას შორის, რაზეც მიუთითებს C თავში წარმოდგენილი ფასს ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვაში აღნიშნული შეუსაბამობა.	სამსახური	სამსახურის რესურსები/	მოკლევადიანი პერიოდი
12	რეგულაციები მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს ეტაპობრივ სანქციებს ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების აღსრულების ხელშესაწყობად.	სამსახური	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	საშუალოვადიანი პერიოდი
13	სისტემატური თანამშრომლობა სამსახურსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის, ფასს-თან შესაბამისობის შეფასების პასუხისმგებლობით უნდა გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს.	სამსახური, სებ, ISSSG, სხვა მარეგულირებლები	ურთიერთგაგების მემორანდუმის განვრცობა და გაუმჯობესება	მოკლევადიანი პერიოდი
14	ფასს სტანდარტების შესრულების შეფასების განმახორციელებელი მარეგულირებლების ყოველწლიურ პუბლიკაციებში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მიმოხილვის ყველა არსებითი შედეგი ერთობლივ და ანონიმურ საფუძველზე. ყველა მარეგულირებლის მიერ განხორციელებული მიმოხილვის შედეგები უნდა გაერთიანდეს და შეტანილ იქნეს სამსახურის ანგარიშში.	სამსახური, სებ, ISSSG, სხვა მარეგულირებლები	ურთიერთგაგების მემორანდუმი	მოკლევადიანი პერიოდი
15	საქართველოში ფინანსური ანგარიშგებისთვის განხილულ უნდა იქნეს ბიზნესის ანგარიშგების გაფართოებული ენის (XBRL) ¹¹ სტანდარტის დანერგვა.	სამსახური, ფინანსთა სამინისტრო	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	საშუალოვადიანი პერიოდი

11 <https://www.xbrl.org/>

#	რეკომენდაციები	პასუხისმგებელი უწყება	შესაბამისი დოკუმენტები	ვადა
აუდიტის ზედამხედველობა და ხარისხის უზრუნველყოფა				
16	სამსახურს უნდა მიეცეს ეტაპობრივი სანქციების უფრო ფართო სპექტრის გამოყენების შესაძლებლობა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიმართ გადაცდომის ან სტანდარტების და სარეგისტრაციო მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის. სხვაობა მაქსიმალურ ჯარიმას და სანქციის უკიდურეს ზომას შორის (რეგისტრაციის გაუქმება) ძალიან დიდია. აუდიტორებისთვის გადაცდომის შემთხვევაში ეტაპობრივი სანქციების უფრო ფართო სპექტრის დანერგვა ხელს შეუწყობდა ბაზრის გაცილებით ეფექტურ დარეგულირებას.	სამსახური	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	საშუალოვადიანი პერიოდი
ბუღალტრული აღრიცხვის პროფესია				
17	საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ (ბაფი) უნდა განაგრძოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ვალდებულების პრინციპების (SMO) ყველა მოთხოვნის წარმატებით შესრულება. მას შემდეგ, რაც IFAC-ის მიერ ბაფის 2022 წლის SMO სამოქმედო გეგმის შეფასება დასრულდება, ბაფმა უნდა დაიწყოს IFAC-ის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობის ან ნაწილობრივი შესაბამისობის ნებისმიერ სფეროზე რეაგირება.	ბაფი	ბაფის რეგულაციები	საშუალოვადიანი პერიოდი
18	ბაფმა უნდა იმუშაოს სამსახურის მიერ შემუშავებული ნებისმიერი რეკომენდაციის შესრულებაზე, სამსახურის მხრიდან პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობის ზედამხედველობის და ბაფის სერტიფიცირების პროცესის დადასტურების ფარგლებში.	ბაფი	ბაფის რეგულაციები	საშუალოვადიანი პერიოდი

#	რეკომენდაციები	პასუხისმგებელი უწყება	შესაბამისი დოკუმენტები	ვადა
განათლება ბულალტრული აღრიცხვის სფეროში				
19	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების სტანდარტი ბულალტრულ აღრიცხვაში უნდა შემუშავდეს ბულალტრული აღრიცხვის განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAESB) მიერ გამოცემული განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) შესაბამისად, IFAC-ის და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მხარდაჭერით, უნივერსიტეტების, სამსახურის და პროფესიული ორგანიზაციების ჩართულობით.	Ministry of Education (MoE), National Center for Educational Quality Enhancement (NCEQE), Universities	National education standard, regulations, universities' curricula	Short term
20	განხილულ უნდა იქნეს აუდიტის და ბულალტრული აღრიცხვის დამატება განათლების შესახებ კანონში წარმოდგენილ რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალში.	სამსახური, განათლების სამინისტრო, NCEQE	კანონის და რეგულაციების ცვლილებები	საშუალოვადიანი პერიოდი
21	საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს სანიმუშო კურიკულუმს და პროფესიული ორგანიზაციის სასწავლო პროგრამებს, და მიზნად ისახავდეს საუნივერსიტეტო ხარისხის აღიარების ხელშეწყობას პროფესიული ორგანიზაციების და სამსახურის მიერ.	განათლების სამინისტრო, უნივერსიტეტები	საუნივერსიტეტო პროგრამები	მოკლევადიანი პერიოდიდან საშუალოვადიან პერიოდამდე
22	შეფასების პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს განათლების საერთაშორისო სტანდარტს უნივერსიტეტების მასშტაბით პროფესიული ორგანიზაციების და სამსახურის მხრიდან აღიარების დასაჩქარებლად.	განათლების სამინისტრო, უნივერსიტეტები	რეგულაციების ცვლილებები	მოკლევადიანი პერიოდიდან საშუალოვადიან პერიოდამდე
აუდიტის სტანდარტების დადგენა				
23	სამსახური მზად უნდა იყოს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) სტანდარტის დასანერგად ნაკლებად კომპლექსური სუბიექტების აუდიტის შესახებ მისი ამოქმედების შემდეგ, და დაეხმაროს აუდიტორებს სტანდარტის დანერგვაში.	სამსახური	რეგულაციების ცვლილებები	საშუალოვადიანი პერიოდი



I. შესავალი

■ ძირითადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

18. საქართველომ რეფორმების მთელი რიგი განახორციელა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ წარმატებას. 2010-2019 წლებში ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის 5.2 პროცენტითანი საშუალო მაჩვენებლით საქართველო ზრდის სისწრაფით ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მეორე ადგილზე იყო და ერთ-ერთი მონიშნავი გლობალური მასშტაბით. შედეგად, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (2015 წელს აშშ დოლარით გამოსახული მუდმივი ფასების პირობებში) 3,100 აშშ დოლარიდან (2010 წ.) 4,773 აშშ დოლარამდე გაიზარდა (2019 წ.), როდესაც საქართველომ საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის გადაინაცვლა. სიღარიბის მაჩვენებელი (რომელიც სიღარიბის ეროვნული ზღვარის გამოყენებით იზომება) წინა ათწლეულის

დასაწყისში არსებული 37.3 პროცენტიდან 2021 წელს 17.5 პროცენტამდე შემცირდა. ეს მიღწევები გამყარებულია ჯანსაღი მაკროეკონომიკური ჩარჩოთი, ფისკალური წესით, ინფლაციის ტარგეტირების ფულად-საკრედიტო პოლიტიკით და ფინანსური სექტორის მტკიცე რეგულირებით. ჩამოყალიბდა მიმზიდველი ბიზნესგარემო, საინვესტიციო კლიმატის თითქმის ყველა საერთაშორისო საბომის მიხედვით და გაუმჯობესდა მმართველობა, რაც ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში კორუფციის აღქმის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონით გამოიხატება.

19. ქვეყნის ეკონომიკამ მტკიცედ დაძლია COVID-19-ის უარყოფითი გავლენა და მედეგობა გამოიჩინა უკრაინაში რუსეთის შეჭრის ზემოქმედების მიმართ. პანდემიის დაწყებისთანავე, საქართველომ, რომლის ეკონომიკაც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ტურიზმზე, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მშპ-ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ვარდნა განიცადა (6.8 პროცენტითანი კლება 2020

წელს). ხელისუფლებამ ისარგებლა კრიზისის მიმართ გონივრული ეკონომიკური პოლიტიკით შექმნილი სივრცით და დროული საპასუხო ღონისძიებები განახორციელა, რითაც შეარბილა მისი გავლენა ადამიანების სიცოცხლესა და საარსებო საშუალებებზე. შედეგად, სიღარიბე გაიზარდა მხოლოდ 1.8 პროცენტული ერთეულით, 21.3 პროცენტამდე (2020 წ.). 2021 წელს აღინიშნა ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა (10.4 პროცენტით), რაც განპირობებული იყო სამომხმარებლო საქმიანობის და ექსპორტის აღდგენით. აღსანიშნავია, რომ მშპ-ის მაჩვენებელმა 2019 წლის დონეს გადააჭარბა. იმის მიუხედავად, რომ რუსეთსა და უკრაინაზე ერთად მოდის საქართველოს ექსპორტის, მიღებული ფულადი გზავნილების და ტურისტების დაახლოებით მეოთხედი, საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად დივერსიფიცირებულია, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებთან შედარებით და მნიშვნელოვანი მდგრადობა აჩვენა რუსეთის უკრაინაში შეჭრის და რუსეთისთვის დანესებული სანქციების მიმართ. შეფასებების მიხედვით, 2022 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა ორნიშნა მაჩვენებლით გამოისახა.

20. საქართველოს სამომავლო გეგმები ამბიციურია და მიზნად ისახავს ევროკავშირთან (EU) მჭიდრო ინტეგრაციას. საქართველო ექსპორტის გასაძლიერებლად ბაზრების შემდგომ გაფართოებას და კავშირების განვითარებაში ინვესტირებას აპირებს. ევროინტეგრაცია ამ ამბიციური პერსპექტივის ქვაკუთხედაა. 2014 წლის ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველო თავის ინსტიტუტებსა და პოლიტიკას ევროკავშირთან აახლოებს და 2022 წლის მარტში ქვეყანამ ევროკავშირში გასაწევრიანებლად ოფიციალური განაცხადი წარადგინა. 2022 წლის ივნისში ევროპის საბჭომ განიხილა განაცხადი და გამოხატა მზადყოფნა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, ევროკომისიის დასკვნაში ქვეყნის წევრობის განაცხადთან მიმართებით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების შემდეგ.

21. საქართველოს საფინანსო სექტორი მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა. საქართველოში საფინანსო ინსტიტუტების მთლიანი აქტივების 90 პროცენტზე მეტი საბანკო სექტორზე მოდის.

საფინანსო სექტორი წარმოდგენილია 14 კომერციული ბანკით, 36 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით, 18 სადაზღვევო კომპანიით და 5 საპენსიო ფონდით.¹² საპენსიო ფონდები, მცირე ბანკები და არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები საფინანსო სექტორის შედარებით მცირე მონაწილეები არიან. საერთო სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო ადეკვატურია. საბანკო სექტორი სიჯანსაღეს ინარჩუნებს.

22. კაპიტალის ბაზრის განვითარებას საქართველოში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა.

საქართველოს საფონდო ბირჟა, რომელიც 1999 წელს დაარსდა, იყენებს ერთადერთ აქტიურ რეგულირებად გაცვლის პლატფორმას საქართველოში, ასევე საკუთარ საკლირინგო და ანგარიშსწორების საშუალებებს. საბირჟო ლისტინგში წარმოდგენილი ფასიანი ქაღალდები, საუკეთესო შეთავაზებები, გარიგების ფასები და ვაჭრობის მოცულობა ყოველდღიურად ქვეყნდება საქართველოს საფონდო ბირჟის ვებგვერდზე. ობლიგაციების ადგილობრივი ბაზრის პოპულარობა გაიზარდა და ახლა ლისტინგში წარმოდგენილია ადგილობრივი კომპანიებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდები ადგილობრივი და უცხოური ვალუტით. ბოლო წლებში ემიტენტების რაოდენობა გაიზარდა, ძირითადად ობლიგაციების ემიტენტების ხარჯზე, ხოლო საბაზრო კაპიტალიზაცია კი შემცირდა. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში წარმოებულებთან დაკავშირებული კონტრაქტები არ შედის. კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით აღსანიშნავია ისეთი ბოლოდროინდელი ღონისძიებები, როგორებიცაა საკანონმდებლო ინიციატივები ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად, საქართველოს ეროვნულ ბანკში კაპიტალის ბაზრის ზედამხედველობის შესაძლებლობების გაძლიერება და პირველადი დილერების სისტემის ამოქმედება, ფინანსურ ინსტრუმენტებთან და გარიგებებთან დაკავშირებული საგადასახადო რეფორმა, დაფინანსებული საპენსიო სქემის დანერგვა და კაპიტალის ბაზრის განვითარების გეგმის მომზადება ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. მიუხედავად ამისა, კაპიტალის ბაზრის ლისტინგები სტატიკურობას ინარჩუნებს და ვაჭრობა შენელებულია (მაგალითად საფონდო ბირჟაზე 2022 კალენდარული წლის განმავლობაში

¹² საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2022.

მხოლოდ 19 ვაჭრობა განხორციელდა).¹³ კაპიტალის კარგად განვითარებულმა შიდა ბაზარმა შეიძლება ხელი შეუწყოს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

23. სახელმწიფო საწარმოების სექტორი კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკაში.

აღნიშნული საწარმოების პორტფელი 1,315 სუბიექტიდან (2009 წ.) 316 -მდე (2021 წ.) შემცირდა. აღნიშნულიდან 154 საწარმო ცენტრალური ხოლო 162 ადგილობრივი მთავრობის საკუთრებაშია.¹⁴ ამასთან ერთად, ეს სახელმწიფო საწარმოები აკონტროლებენ დამატებით 96 შვილობილ კომპანიას. სახელმწიფო საწარმოები რჩება არა მხოლოდ სტრატეგიულ დარგებში, როგორცაა კომუნალური მომსახურება, არამედ კომერციულ სექტორებში, როგორცაა ტრანსპორტი, მრეწველობა და მშენებლობა. 2020 წელს სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული იყო დაახლოებით 60,000 პირი, რაც ოფიციალური სამუშაო ადგილების დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენს.¹⁵ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა სახელმწიფო საწარმოების გამწვანების გადასაჭრელად, მათი ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით. ამ ნაბიჯების მიუხედავად მიღწეული პროგრესი შეზღუდულია.

■ კავშირი ამ ანგარიშსა და საქართველოს რეფორმების დღის წესრიგს შორის

24. ეს ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში (ROSC A&A) მიზნად ისახავს საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ინსტიტუციური ჩარჩოს შემდგომი განვითარების ხელშეწყობას. მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგება ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას, ინვესტორებისთვის კორპორაციული პერსპექტივების და დასაბუთებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების საშუალების მიცემით,

და აქედან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

25. კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის გაძლიერება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“, რომელიც ერთ-ერთ მიზნად საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობას და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME) დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ისახავს. სტრატეგია ხაზს უსვამს ფინანსური ანგარიშგების სათანადო სისტემის მნიშვნელობას მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდისა და განვითარებისთვის. ამავდროულად, სტრატეგია ითვალისწინებს აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფას აუდიტორთა ხარისხის კონტროლის სისტემების მონიტორინგის გზით.

26. მსოფლიო ბანკის საქართველოსთან პარტნიორობის ჩარჩო (CPF) 2019 – 2023 წლებისთვის სხვა ინდიკატორებთან ერთად შეიცავს „მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის ამაღლების“ ინდიკატორს.

ქვეყანასთან პარტნიორობის ჩარჩო პროგრამა (CPF) ასევე ხელს უწყობს სახელმწიფო საწარმოების მმართველობისა და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებას. სუსტი კორპორაციული მართვა მითითებულია როგორც საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი ნაკლი და ის განპირობებულია არაადეკვატური კორპორაციული გამჭვირვალობით, რაც მფლობელობის სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის არასაკმარისი გამჟღავნებით და არაეფექტიანი კორპორაციული საბჭოების არსებობით გამოიხატება. ქვეყანასთან პარტნიორობის ჩარჩოს თანახმად, არსებობს კორპორაციული საბჭოების დამოუკიდებლობის ამაღლების და მცირე აქციონერების დაცვის გაძლიერების მიმართულებით წინსვლის მოლოდინი.

27. მაღალი ხარისხის აღრიცხვა, აუდიტი და ინფორმაციის გამჟღავნება საჯარო ფინანსურ ანგარიშგებებში ხელს უწყობს გამჭვირვალობის და ანგარიშგაღებულების ამაღლებას. ეს ფინანსური ანგარიშგებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად და აუცილებელი გარემოს

¹³ საქართველოს საფონდო ბირჟის ვებგვერდი

¹⁴ სახელმწიფო საწარმოების რეფორმის ყოვლისმომცველი სტრატეგია 2023-2026 წლებისთვის.

¹⁵ აღნიშნულ რაოდენობაში შედის ცენტრალური დონის ყველა სახელმწიფო საწარმო, მათ შორის, ის კომპანიები სადაც სახელმწიფოს მინორიტარული წილი ეკუთვნის, და მუნიციპალური საწარმოები სახელმწიფოს 25 პროცენტიანი ან მეტი მფლობელობით და 200,000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვით ან 15,000 ლარზე მეტი წლიური სახელფასო ფონდით.


ხელშესაწყობად როგორც ფინანსური სექტორის, ასევე კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის ინსტიტუციური ინვესტორების მოზიდვის გზით. ისინი ასევე ხელს უწყობენ საწარმოების ფორმალური ეკონომიკის ფარგლებში საქმიანობას, რაც განაპირობებს კომპანიების სათანადო დაბეგვრას და აუმჯობესებს ფისკალურ მდგრადობას. საჯაროდ ხელმისაწვდომი, მაღალი ხარისხის კორპორაციული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც სანდო, ზუსტი და შესადარისია, ამალღებს ინვესტორების, სესხის გამცემი სუბიექტების და კრედიტორების ნდობას.

28. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა მოითხოვს კარგ კორპორაციულ ფინანსურ ანგარიშგებას. ამ მიზნების მიღწევა ეყრდნობა მკვეთრად გაზრდილ სახელმწიფო ხარჯებს, რაც თავის მხრივ უნდა დაფინანსდეს გაუმჯობესებული საგადასახადო ადმინისტრირებით და უფრო ფართო და ღრმა საგადასახადო ბაზით. კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ხარისხი და გამჭვირვალობა ხელს უწყობს კორპორაციების წვდომას კაპიტალზე და ამცირებს კაპიტალის ღირებულებას, რაც განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, რომელიც აფართოებს და

აღრმავებს საგადასახადო ბაზას, და ზრდის ქვეყნის საგადასახადო შემოსავლებს. გაზრდილმა გამჭვირვალობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის გაძლიერებას, რაც პოტენციურად შეამცირებს საგადასახადებისგან თავის არიდებას.

29. ეს შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე და ემყარება 2015 წელს მომზადებულ წინა ROSC A&A ანგარიშს. 2015 წლის ანგარიშის რეკომენდაციების შესაბამისად 2016 წლის შემდეგ საქართველომ გაატარა კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის ჩარჩოს და პროცესების ყოვლისმომცველი რეფორმები. მომდევნო ეტაპი უნდა დაეყრდნოს ამ ადრეულ მიღწევებს, დანარჩენი ღონისძიებების განსახორციელებლად და ახალი რეკომენდაციების შესასრულებლად. იხილეთ **A დანართი ROSC A&A 2015 ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების შემაჯამებელი მიმოხილვისთვის**. შეფასებისთვის გამოყენებული მონაცემები და სხვა ინფორმაცია შეგროვებულ იქნა განახლებული ROSC A&A 2.0 დიაგნოსტიკის გამოყენებით (იხ. **დიაგრამა 1**). შემდეგ განხორციელდა პრაქტიკის შედარება

დიაგრამა 1. ROSC A&A 2.0 შეფასების მეთოდოლოგია



საერთაშორისო სტანდარტებთან და კარგ პრაქტიკასთან, დარგობრივი რეკომენდაციების შესამუშავებლად საფუძვლის მომზადების მიზნით, რომლებიც წარმოდგენილია **IV თავში: ძირითადი მიგნებები და გასათვალისწინებელი სფეროები**. რეკომენდაციები მიზნად ისახავს:

- i. კერძო სექტორის ლიდერობით ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას მარეგულირებელი და გაზრდილი საბაზრო ეფექტურობის მეშვეობით;
- ii. ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარებას; და
- iii. ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ამაღლებას (მდგრადი განვითარების შესახებ ანგარიშგების ჩათვლით). კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან და კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობის ხარისხის ზრდა არის კორპორაციული მართვის საერთო დონის გაუმჯობესების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი.



II. შეფასება

A. აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტები

30. ეს თავი აფასებს თუ რამდენად შეესაბამება აღრიცხვის და აუდიტის ეროვნული სტანდარტები საერთაშორისო სტანდარტებს – ფასს-ს ან მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ს და ასს-ს და აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (სკსს).¹⁶ ეროვნული სტანდარტების ხარისხი და მათი პრაქტიკაში გამოყენება გავლენას ახდენს ფინანსური ინფორმაციის სანდოობაზე და შესაძარისობაზე მომხმარებლებისთვის, განსაკუთრებით ამჟამინდელი ან პოტენციური ინვესტორებისთვის, სესხის გამცემი სუბიექტებისთვის და კრედიტორებისთვის.

ეროვნული სტანდარტების დადგენის პროცესი განხილულია II.B.10 თავში *აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტების დადგენა*. ეროვნული სტანდარტების გამოყენება განხილულია II.C თავში *ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და აღქმა*.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები

31. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები უზრუნველყოფს საფუძველს, რომლის მიხედვითაც სუბიექტები ამზადებენ ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებს.

¹⁶ ჩანაცვლდა ხარისხის მართვის საერთაშორისო 1-ლი და მე-2 სტანდარტით (ხმსს/ ISQM) 2020 წლის დეკემბერში და ამოქმედდა 2022 წლის 15 დეკემბრიდან.

ისინი მოიცავს როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა შესრულდეს ფინანსური ანგარიშგებების შემუშავებლების მიერ: (i) ფინანსური ანგარიშგებების ფარგლების და ფორმატის განსაზღვრისას; (ii) მათი სუბიექტისთვის სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკის დადგენისა და გამოყენებისას სხვადასხვა ტიპის გარიგებების გაფორმების შემთხვევაში და იმ გარემოებებისა და მოვლენების შემთხვევაში, რომელშიც აღმოჩნდება ანგარიშვალდებული სუბიექტი; და (iii) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი ინფორმაციის მოცულობის განსაზღვრისას.

32. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ”¹⁷ განსაზღვრავს სდპ-ების და მსხვილი კომპანიების მიერ ფასს-ის სრულ მიღებას, და მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის მიღებას საშუალო და მცირე საწარმოების მიერ ქვეყანაში. დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ II.B.1. თავში *ფინანსური ანგარიშგების ზოგადი მოთხოვნები*.

აუდიტის სტანდარტები

33. აუდიტის სტანდარტები ქმნის საფუძველს აუდიტორებისთვის, თუ როგორ აწარმოონ საკუთარი აუდიტორული საქმიანობა და მოამზადონ აუდიტორული დასკვნა. აუდიტორი ადგენს დასკვნას თუ რამდენად სამართლიანად ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და ფინანსურ მაჩვენებლებს ფინანსური ანგარიშგების მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

34. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” განსაზღვრავს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) სრულ მიღებას. კანონის თანახმად საქართველოში აუდიტი ტარდება ასს-ის შესაბამისად (კანონი აკონკრეტებს რომ ასს მიღებულია აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) ან მისი უფლებამონაცვლის მიერ). IAASB-ის მიერ ნაკლებად კომპლექსური სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის შემუშავებული ახალი ცალკე სტანდარტის გათვალისწინებით (რომლის დამტკიცებაც მოსალოდნელია 2023 წლის დეკემბრისთვის), სამსახური უნდა მოემზადოს მის მისაღებად საქართველოში და შეტანილ იქნეს აუცილებელი ცვლილებები შესაბამის კანონებსა და რეგულაციებში.

35. კანონში ცვლილებები შეტანილ იქნა 2022 წლის დეკემბერში ხარისხის მართვის 1-ლი და მე-2 საერთაშორისო სტანდარტის (ხმსს) მისაღებად. კანონის თანახმად აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა ვალდებულია ჰქონდეს სათანადო პოლიტიკა და პროცედურები თავისი ხარისხის მართვის სისტემისთვის ხმსს 1 და ხმსს 2-ის შესაბამისად.¹⁸

ეფექტიანობის ინდიკატორები – ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სტანდარტები

36. საქართველოსთვის მინიჭებული საერთო შეფასება ინდიკატორისთვის - “ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სტანდარტები” არის 4, რამდენადაც ორივე ქვეინდიკატორი შეფასდა უმაღლესი შესაძლო ქულით.

¹⁷ საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ”, 8 ივნისი, 2016.

¹⁸ ხმსს/ ISQM 1 და 2 მიღებულ იქნა IAASB-ის მიერ და ჩანაცვლა ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს 1 / ISQC1) 2022 წლის 15 დეკემბერს.

ქვეინდიკატორი A. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები

A.1. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები	
საქართველოს რეიტინგი	4 ფასს-ის და მცირე და საშუალო სანარმოების ფასს-ის მიღება ცვლილებების გარეშე სრულადაა განსაზღვრული კანონით, მიკროსანარმოების გარდა, რაც შეესაბამება ფასს-ის ფონდის რეკომენდაციებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღებასთან დაკავშირებით
რეიტინგის კრიტერიუმები	1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
	2 მიღებული სტანდარტების უმრავლესობა შესაბამისობაშია ან დაახლოებულია ფასს-თან.
	3 მიღებული სტანდარტების უმეტესობა შესაბამისობაშია ან დაახლოებულია ფასს-თან.
	4 ყველა მიღებული სტანდარტი შესაბამისობაშია ფასს-თან

ქვეინდიკატორი B. აუდიტის სტანდარტები

B.1. აუდიტის სტანდარტები	
საქართველოს რეიტინგი	4 ასს-ის და ხკსს-ის მიღება (რომელიც ახლა ჩანაცვლებულია ხმსს 1-ით და ხმსს 2-ით) ცვლილებების გარეშე სრულადაა განსაზღვრული კანონით.

B.1. აუდიტის სტანდარტები	
რეიტინგის კრიტერიუმები	1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
	2 მიღებული სტანდარტების უმრავლესობა შესაბამისობაშია ან დაახლოებულია ასს-თან და ხკსს-თან
	3 მიღებული სტანდარტების უმეტესობა შესაბამისობაშია ან დაახლოებულია ასს-თან და ხკსს-თან.
	4 ყველა მიღებული სტანდარტი შესაბამისობაშია ასს-თან და ხკსს-თან.

B. კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ინსტიტუციური ჩარჩო

37. კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ინსტიტუციური ჩარჩოს ძირითადი მარეგულირებელი საქართველოში არის სამსახური. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ განსაზღვრავს, რომ სამსახური პასუხისმგებელია ფასს-ის დანერგვასა და სტანდარტების გამოყენების კონტროლის ერთიან პოლიტიკაზე. სამსახური არის ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება, რომელიც უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის სახელმწიფო ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სამსახურის ფუნქციები, სტრუქტურა და მართვა განსაზღვრულია ბრძანებით.¹⁹ სამსახური თავისი ფუნქციების შესრულებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 223 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, 14 სექტემბერი, 2016.

38. სამსახური უზრუნველყოფს სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტების აღსრულებას, რომლებიც მნიშვნელოვანია კორპორაციული ანგარიშგებისთვის, ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, განსაზღვრავს წესებს და აწარმოებს აუდიტორთა ხარისხის კონტროლის სისტემის და აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს. სამსახური ასევე პასუხისმგებელია: (i) კანონით გათვალისწინებული სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ნორმების ამოქმედებაზე; (ii) სტანდარტების თარგმნასა და გამოქვეყნებაზე; (iii) ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და გამოქვეყნების სისტემის შექმნასა და მართვაზე (REPORTAL); (iv) მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის (მიკროსაწარმოებისთვის) და არაკომერციული სუბიექტებისთვის ანგარიშგების სტანდარტების განსაზღვრაზე; (v) დახმარებაზე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროში ფასს/მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად; (vi) აუდიტორთა ხარისხის მონიტორინგის განხორციელებაზე; და (vii) ბუღალტრთა პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და რეგულარული კონსულტაციების ჩატარებაზე ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

39. სამსახურთან შექმნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საბჭო. ის უფლებამოსილია: ა) განიხილოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების პროექტები; ბ) სამსახურის უფროსს წარუდგინოს წინადადებები ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე; გ) კონსულტაცია გაუწიოს ფინანსთა მინისტრს სამსახურის უფროსის კანდიდატურასთან დაკავშირებით და წარუდგინოს საბჭოს პოზიცია რეკომენდაციის სახით; დ) განიხილოს საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან; და ე) განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

40. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

საბჭო შედგება შვიდი წევრისაგან. საბჭოს ყველა წევრი უნდა იყოს არაპრაქტიკოსი, კვალიფიციური პროფესიონალი, გამოცდილი და კომპეტენტური პირი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, აუდიტის, ეკონომიკის, ფინანსების, ბიზნესის ადმინისტრირების ან სამართლის სფეროში, სულ მცირე, შვიდი წლის გამოცდილებით ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მიმართულებით. კანონის მიხედვით, არაპრაქტიკოსი არის ნებისმიერი პირი, რომელსაც საბჭოს წევრად დანიშვნამდე სულ მცირე სამი თანმიმდევრული წლის განმავლობაში არ ჩაუტარებია აუდიტი (მომსახურება) და არ ჰქონია ხმის უფლება აუდიტორულ ფირმაში, ასევე, არ ყოფილა დასაქმებული აუდიტორულ ფირმაში და არ ყოფილა აუდიტორული ფირმის ხელმძღვანელობის ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრი, ან მასთან სხვაგვარად დაკავშირებული.

41. საბჭოს შემადგენლობაში შედის თითო წევრი ფინანსთა სამინისტროდან, ეროვნული ბანკის საბჭოდან, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურიდან; და პროფესიული ორგანიზაციიდან, ბიზნესასოციაციიდან და აკადემიური დაწესებულებიდან ნომინირებული თითო წევრი. კანონის თანახმად საბჭოს წევრის შერჩევის პროცესი უნდა იყოს დამოუკიდებელი და გამჭვირვალე.

42. საბჭოს დისკრეციით სამსახურის პერსონალი და სხვა მონვეული წევრები შეიძლება დაესწრონ საბჭოს სხდომას. ასეთი პირები არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

43. კანონის თანახმად საბჭოს წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა სადავო საკითხის განხილვაში ან გადაწყვეტაში, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ასეთ სადავო საკითხთან დაკავშირებით. პირს, რომლის საქმეც განიხილება, უფლება აქვს მოითხოვოს საბჭოს შესაბამისი წევრის აცილება, თუ ამ უკანასკნელს აქვს პირადი ინტერესი განსახილველ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრს, ისევე როგორც მისი ოჯახის წევრს, არ აქვს უფლება ჰქონდეს აქცია ან წილი, ან ხმის მიცემის უფლება იმ აუდიტორულ ფირმაში, რომელიც ექვემდებარება სამსახურის ზედამხედველობას.

44. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა მოითხოვს მნიშვნელოვან დროს და პიროვნულ რესურსებს, მაგრამ საბჭოს წევრები და თავმჯდომარე არ იღებენ ანაზღაურებას.

ამან შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები საბჭოს სხდომებზე ქვორუმის მოპოვებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრების ცვლილებამ ხშირად შეიძლება გამოიწვიოს საბჭოს საქმიანობის შეფერხება. ზოგიერთ შემთხვევაში, საბჭოს დაკომპლექტების პროცესის გამო, რამდენიმე თვე საბჭო ვერ იკრიბება. შედეგად, ხშირად შეუძლებელია სამსახურში წარდგენილი საჩივრების განხილვა წარდგენიდან ერთი წლის განმავლობაში.

45. 2021 წლის განმავლობაში საბჭოში შევიდა 33 საჩივარი, საიდანაც 2021 წლის განმავლობაში მხოლოდ 16 საჩივრის განხილვა მოხერხდა.

2022 წელს საბჭოში შევიდა 31 საჩივარი, საიდანაც მხოლოდ 24 განიხილეს 2022 წელს. საჩივრები რომელთა განხილვა ვერ მოხერხდა კალენდარული წლის განმავლობაში განხილული იქნება მომდევნო წელს.

46. საბჭოსთვის განსაკუთრებით რთულია აუდიტის ხარისხის კონტროლის შემოწმებასთან დაკავშირებული რთული ტექნიკური საკითხების განხილვა, როდესაც შეფასებას დაქვემდებარებული აუდიტორი აწარმოებს დავას სამსახურთან. საბჭოს წევრების საქმიანობა ანაზღაურების გარეშე ზღუდავს ხელმისაწვდომ დროსა და რესურსებს და ამასთან, საბჭოს ყველა წევრს არ აქვს დეტალური ტექნიკური ცოდნა აუდიტის საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრთა უმრავლესობას არ აქვს სპეციფიკური გამოცდილება აუდიტის ან ფასს ფინანსური ანგარიშების მომზადებაში, განსაკუთრებით საბჭოს იმ წევრებს, ვინც სახელმწიფო ინსტიტუტებს წარმოადგენენ. ასევე, სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენელი საბჭოს წევრები ხშირად დაკავებულნი არიან რომ მიიღონ მონაწილეობა დავის განხილვის პროცესში და ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოს მიერ საჩივრების განხილვა მნიშვნელოვნად წიანურდება. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვნად ზღუდავს სამსახურის საბჭოს ეფექტურობას მისი მანდატის

შესრულების თვალსაზრისით. სამსახურმა უნდა განიხილოს არსებობს თუ არა თავისი საბჭოს შემადგენლობის, შესაძლებლობების და კომპეტენციების გაძლიერების საჭიროება ეფექტურობის ამალღების მიზნით. ამ გამოწვევის გადასაჭრელად მან ასევე უნდა განიხილოს აუდიტის ანაზღაურებად დამოუკიდებელ ექსპერტებთან დავების გადაწყვეტის მექანიზმის შექმნა.

47. სამსახურმა ცოტა ხნის წინ თავის პასუხისმგებლობებს დაამატა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულირების (AML) ასპექტების ზედამხედველობა. ის ამზადებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტების შემოწმების პროგრამას. ის ასევე ემზადება ბუღალტერთა და საბუღალტრო ფირმების ყოვლისმომცველი რეესტრის შექმნისთვის.

48. სამსახურის გარდა, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო დაწესებულებებისა და საფონდო ბირჟის ლისტიგში შემავალი კომპანიების ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო სადაზღვევო სფეროს ზედამხედველობას აწარმოებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ძირითადი აქცენტი კეთდება ანგარიშგების პრუდენციულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ისევე როგორც პრუდენციული და წლიური ფინანსური ანგარიშების წარდგენაზე. დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ, თითოეული ჩამოთვლილი დარგის შესაბამის თავში. ეს ანგარიში აღწერს ფინანსური მარეგულირებლების ძალაუფლებას საერთო რეგულირების, ზედამხედველობის და აღსრულების მიმართულებით საქართველოს კანონის და რეგულაციების შესაბამისად. თუმცა, შეფასება არ ჩატარებულა აღნიშნული სამართლებრივი ძალაუფლების დეტალური განხორციელების და გამოყენების შესახებ, გარდა იმისა რაც დასტურდება თვითონ მარეგულირებლების გარე ანგარიშებით და წლიური ფინანსური ანგარიშგებების ხარისხით. მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული სხვა ანგარიშები იძლევა განხორციელების და გამოყენების შეფასებას.²⁰

²⁰ *Financial Sector Assessment Program: Technical Note on Capital Market Development*
<https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/099840203012223862/p175014035c7470db0908e08f6202817c09>
Georgia - Financial Sector Assessment Program: Technical Note on Selected Issues in Banking Supervision
<https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/099840003012224721/p175014039b1870910b7590127ef9a58031>

1. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი მოთხოვნები

კომერციული საწარმოები (მცირე და საშუალო საწარმოების ჩათვლით)

49. კანონი „მენარმეთა შესახებ“²¹ განსაზღვრავს, რომ სამენარმეო საქმიანობა საქართველოში შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური მენარმის (როგორც ფიზიკური პირის) ან კომპანიის (როგორც იურიდიული პირის) მიერ. კომპანია შეიძლება დაარსდეს როგორც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

50. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის მიმართულებით, თუმცა შემდგომი დაახლოება კვლავ საჭიროა. კერძოდ, დაახლოების შემდგომი სფეროები უნდა მოიცავდეს (i) კანონში „აუდიტის ძირითადი პარტნიორის“ ცნების შეტანას, (ii) აუდიტორის რეგისტრაციის მოთხოვნებისთვის აუდიტორული ფირმის ოფისის ადგილმდებარეობის და ქსელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების დამატებას, (iii) სამსახურის მიერ სხვა ორგანოებისთვის მოვალეობების შესაძლო დელეგირების მექანიზმის კანონში გათვალისწინებას, (iv) აუდიტორის “ყოველწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის” განსაზღვრების და აღწერის კანონში შეტანას;

51. სდპ-ები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის ყველა კომერციული სუბიექტი დაყოფილია ოთხ კატეგორიად მათი მთლიანი აქტივების მოცულობის, მთლიანი შემოსავლისა და

დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობის მიხედვით. კატეგორიების განსაზღვრებები ძირითადად შესაბამისობაშია ევროკავშირის ღირებულებით განსაზღვრულ მიდგომასთან და ლიმიტებთან.

52. სუბიექტი მიეკუთვნება მეოთხე კატეგორიის საწარმოს, თუ მისი მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორს: (1) აქტივების ჯამური ღირებულება არ აღემატება 1 მილიონ ლარს;²² (2) შემოსავალი არ აღემატება 2 მილიონ ლარს;²³ და (3) საანგარიშო პერიოდში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა არ აღემატება ათს.

53. სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო, მიეკუთვნება მესამე კატეგორიის საწარმოს, თუ მისი მაჩვენებლები, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორს: (1) აქტივების ჯამური ღირებულება არ აღემატება 10 მილიონ ლარს;²⁴ (2) შემოსავალი არ აღემატება 20 მილიონ ლარს; და (3) საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აღემატება 50-ს.

54. სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო, მიეკუთვნება მეორე კატეგორიის საწარმოს, თუ მისი მაჩვენებლები, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორს: (1) აქტივების ჯამური ღირებულება არ აღემატება 20 მლნ ლარს;²⁵ (2) შემოსავალი არ აღემატება 50 მილიონ ლარს; და (3) საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აღემატება 250-ს.

55. სუბიექტი მიეკუთვნება პირველი კატეგორიის საწარმოს, თუ მისი მაჩვენებლები, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორს: (1) აქტივების ჯამური ღირებულება აჭარბებს 50 მილიონ ლარს;²⁶ (2) შემოსავალი აჭარბებს 100 მილიონ ლარს;²⁷ და (3) საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა აჭარბებს 250-ს.

²¹ საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, 2 აგვისტო, 2021

²² დაახლოებით €346.7 ათასი (ვალუტის გაცვლის კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

²³ დაახლოებით €693.5 ათასი (ვალუტის გაცვლის კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

²⁴ დაახლოებით €3.5 მილიონი (ვალუტის გაცვლის კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

²⁵ დაახლოებით €6.9 მილიონი (ვალუტის გაცვლის კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

²⁶ დაახლოებით €17.3 მილიონი (ვალუტის გაცვლის კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

²⁷ დაახლოებით €34.7 მილიონი (ვალუტის გაცვლის კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

ცხრილი 3. სუბიექტების რაოდენობა ფინანსური ანგარიშგების თითოეულ კატეგორიაში

კატეგორია	აქტიური სუბიექტების რ-ბა (2022 წლის დეკემბერის მდგომარეობით)	სუბიექტების რაოდენობა რომლებიც წარადგინენ წლიურ ანგარიშებს სამსახურში	REPORTAL- ზე გამოქვეყნებული წლიური ანგარიშების რ-ბა	შესაბამისობის მაჩვენებელი
სდპ	135	126	126	93%
პირველი	135	111	108	83%
მეორე	643	545	535	85%
მესამე	4,757	4,384	4,191	92%
მეოთხე	91,753	69,901	69,817	76%
სულ	97,423	75,067	74,777	77%

წყარო: სამსახური

56. სდპ განისაზღვრება, როგორც

(1) ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის შესაბამისად,²⁸ (2) კომერციული ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის შესაბამისად,²⁹ (3) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის³⁰ შესაბამისად, (4) მზღვეველი, „დაზღვევის შესახებ“ კანონის შესაბამისად,³¹ (5) არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, „არასახელმწიფო საპენსიო და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შესახებ“ კანონის³² შესაბამისად (6) საინვესტიციო ფონდი, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის³³ შესაბამისად და (7) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე სამსახურის მიერ სდპ-ად განსაზღვრული პირი (სებ-ის გარდა), რომლებიც პირველი და მეორე კატეგორიის სახელმწიფო საწარმოებია. სდპ-ის ზევით წარმოდგენილი განმარტება ძირითადად შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივაში მოცემული სდპ-ის განსაზღვრებასთან (დირექტივა 2013/34 /EU).

აღრიცხვის და ანგარიშგების მოთხოვნები

57. ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო მოითხოვს ფასს-ის და მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის სრულ დანერგვას ცვლილებების გარეშე.³⁴ ფასს-ის სრული მიღება კანონით განისაზღვრა 2000 წელს, ხოლო ფასს-ის მიღება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის 2012 წელს. კრიტერიუმები საწარმოებისთვის ფასს-ის, მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის ან საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული წესების მისაღებად ნათლად არის განსაზღვრული მოქმედი კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“. კანონი მიუთითებს, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზემოაღნიშნული სტანდარტების მოქმედი (ინგლისური) გამოცემა. სდპ-ები და პირველი კატეგორიის საწარმოები (და ჯგუფები) ვალდებულნი არიან ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად განახორციელონ. მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოებს (და ჯგუფებს) მოეთხოვებათ ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების განხორციელება მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად,

²⁸ კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, no. 1745,1998 (უკანასკნელი განახლების თარიღი2022)

²⁹ ორგანული კანონი “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ”, no. 1676, 2009 (უკანასკნელი განახლების თარიღი 2022)

³⁰ კანონი “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ”, no 3482, 2006 (უკანასკნელი განახლების თარიღი 2022)

³¹ საქართველოს კანონი “დაზღვევის შესახებ”, no 690, 1997 (უკანასკნელი განახლების თარიღი 2022)

³² საქართველოს კანონი “არასახელმწიფო საპენსიო სქემის და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შესახებ”, no. 1679, 1998 (უკანასკნელი განახლების თარიღი 2022).

³³ საქართველოს კანონი “საინვესტიციო ფონდების შესახებ”, no. 6805, 2020 (უკანასკნელი განახლების თარიღი 2022).

³⁴ მიკროსაწარმოების გარდა.

თუმცა მათ შეუძლიათ აღნიშნულის ნაცვლად ფასის გამოყენება. მეოთხე კატეგორიის საწარმოებს მოეთხოვებათ ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების განხორციელება სამსახურის მიერ დადგენილი გამარტივებული სტანდარტების შესაბამისად (ბუღალტრული აღრიცხვის აღიარებული ეროვნული პრინციპების თანახმად), თუმცა აღნიშნულის ნაცვლად მათ შეუძლიათ სრული ფასის-ის ან მცირე და საშუალო საწარმოების ფასის-ის გამოყენება. ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია საჭიროა პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის. მეოთხე კატეგორიის სუბიექტებს/ ჯგუფებს არ მოეთხოვებათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება. თუ სუბიექტი / ჯგუფი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული სამი კრიტერიუმიდან ორ კრიტერიუმს მაინც ზედიზედ ორი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უნდა შეიცვალოს სუბიექტის/ ჯგუფის სიდიდის კატეგორია და გამოყენებულ იქნეს შესაბამისი კატეგორიისთვის დადგენილი მოთხოვნები. ადგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების გარკვეულ გამარტივებას სუბიექტის (და ჯგუფის) კატეგორიების მიხედვით, განსაკუთრებით მეორე და მესამე კატეგორიის სუბიექტებთან (და ჯგუფებთან) დაკავშირებით, რომლებიც იყენებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფასის-ს და მეოთხე კატეგორიის სუბიექტებთან დაკავშირებით, რომლებიც იყენებენ ბუღალტრული აღრიცხვის აღიარებულ ეროვნულ პრინციპებს. ფინანსური ანგარიშგების შემდგომი გამარტივებაა საჭირო ევროკავშირის ეკვივალენტური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქართველოს ვალდებულების შესაბამისად, დააახლოოს თავისი ინსტიტუტები და პოლიტიკა ევროკავშირის ინსტიტუტებთან.

58. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ“ სდპ-ების და პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის სუბიექტებისგან, სახელმწიფო საწარმოების გარდა, მოითხოვს წლიური ფინანსური ანგარიშგებების (კონსოლიდირებული ანგარიშგების ჩათვლით), მმართველობის ანგარიშგების (კონსოლიდირებული ანგარიშგების ჩათვლით),³⁵ სახელმწიფოსთვის გადახდილი თანხების ანგარიშგების (კანონის შესაბამისად)³⁶ და აუდიტის ანგარიშის წარდგენას არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 1-ლი ოქტომბრისა ან საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს ცხრა თვისა, თუ სუბიექტის საანგარიშო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს. სახელმწიფო საწარმოებს მოეთხოვებათ თავიანთი წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის ივლისამდე. საბირჟო ლისტინგში შემავალი კომპანიები, კომერციული ბანკები, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო სუბიექტები ექვემდებარებიან დამატებით მოთხოვნებს მათი მარეგულირებლების მხრიდან ფინანსური ანგარიშგების და გამჟღავნების სიხშირის თვალსაზრისით, რაც დეტალურად არის განხილული ამ ანგარიშის მომდევნო თავებში. ანგარიშები სამსახურს წარედგინება REPORTAL საჯარო ანგარიშგების ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს წარმოდგენილი ანგარიშების საჯარო ხელმისაწვდომობა მათი წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში. REPORTAL ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს სამსახური, რომელიც ამოწმებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროულობას,³⁷ კონსოლიდაციის მოთხოვნების შესრულებას, საჭიროების შემთხვევაში ანგარიშგების

³⁵ მართველობითი ანგარიშგების წარდგენა მოეთხოვებათ მხოლოდ სდპ-ებს და პირველი და მეორე კატეგორიის სუბიექტებს და უნდა მოიცავდეს: ა) საქმიანობის განხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას (მხოლოდ იმ სუბიექტებისთვის, რომელთა ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის შესაბამისად.); და გ) არაფინანსურ ანგარიშგებას სდპ-ებისთვის 500-ზე მეტი თანამშრომლით

³⁶ სახელმწიფოსთვის გადახდების წლიური ანგარიში საჭიროა მხოლოდ სდპ-ებისთვის და პირველი კატეგორიის სუბიექტებისთვის, რომელთა საქმიანობა მოიცავს წიაღის გამოყენებას (მათ შორის ნავთობისა და გაზის მოპოვებას) ან ხე-ტყის წარმოებას ბუნებრივ ტყეში. ანგარიში უნდა ასახავდეს სახელმწიფოსთვის ნაღდი ანგარიშსწორებით ან ნატურით განხორციელებულ გადახდებს, მოგების გადასახადს, ლიცენზიის და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლებს, ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირების საფასურს, როიალტს, დივიდენდებს, ნავთობისა და გაზის შესახებ კანონით განსაზღვრულ პრემიებს, ქირას და კონცესიის გადასახადებს, თუ ერთჯერადი გადახდა ან გადახდების ჯამი აღემატება 100,000 ლარს საანგარიშო პერიოდში.

³⁷ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ წარედგინების ცალკე მონიტორინგისა და აღსრულების გარდა (როგორებიცაა სები ბანკებისთვის, ლისტინგში შემავალი კომპანიებისთვის, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური სადაზღვევო კომპანიებისთვის და ა.შ.)

აუდიტის განხორციელებას და შესაბამისობას მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან და დეკლარირების პროცედურებთან. აღინიშნა, რომ ზოგიერთ სდპ-ს, რომელიც რეგულირებად სექტორში საქმიანობს, მოეთხოვება აუდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა თავისი მარეგულირებლისთვის REPORTAL-ზე წლიური ანგარიშის წარსადგენად განსაზღვრულ თარიღზე ადრე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ROSC შეფასების რეკომენდაციაა, რომ სდპ-ის წლიური ანგარიშის გამოქვეყნების თარიღი REPORTAL-ზე და სხვაგან შესაბამისობაში იყოს მარეგულირებლის მოთხოვნებთან ანგარიშების შედარებით ადრე დასრულებასთან დაკავშირებით.

59. საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ინფორმაციის გამოყენება შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს ციფრული ანგარიშგების დანერგვით, რაც ასევე გააუმჯობესებს მონაცემთა ხარისხს და შესაძლებელს გახდის ინფორმაციის შედარებას სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. ეს ასევე შეუწყობს ხელს ევროკავშირის 2022/2464 დირექტივის მოთხოვნების შესრულებას სდპ-ებისთვის ერთიანი ელექტრონული ფორმატის დანერგვის შესახებ. XBRL³⁸ სტანდარტის დანერგვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა 2022 წელს მსოფლიო ბანკის STAREP³⁹ პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა. კვლევამ დაასკვნა, რომ XBRL სტანდარტი შეიძლება განიხილებოდეს ფინანსური ანგარიშგებისთვის საქართველოში. ეს გაამდიდრებს სამსახურის REPORTAL მონაცემთა ბაზას, რაც გაზრდის მის გამოყენებას სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ და შესაძლებელს გახდის დროის და ხარჯების შემცირებას, განხილვის და შეფასების მონაცემთა უფრო საიმედოდ სწრაფ და ზუსტად დამუშავებას და ანალიზის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებას. XBRL, როგორც ციფრული ანგარიშგების სტანდარტი, შესაძლებელს ხდის ჰარმონიზებულ ანგარიშგებას, ხელს უწყობს ანგარიშების ეფექტურ გამოყენებას და მათ შესადარისობას. XBRL სტანდარტი შესაძლებელს ხდის საერთო ტექნიკური (ციფრული) ფორმატების გამოყენებას და ამით აადვილებს მონაცემთა შედარებას ინფორმაციის ჰარმონიზაციის (სტანდარტიზაციის) გზით, სუბიექტების მიერ

წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხის და სანდოობის გაუმჯობესების პარალელურად. XBRL სტანდარტის დანერგვას მოჰყვება ბევრი მოსალოდნელი სარგებელი ფინანსური/ არაფინანსური (მდგრადობის) ინფორმაციის მომხმარებელთა ფართო სპექტრისთვის, მათ შორისაა რეგულაციებთან შესაბამისობის გაუმჯობესება, თუ სხვა სახელმწიფო ორგანოებიც მონაწილეობენ XBRL სტანდარტის დანერგვაში.

აუდიტის მოთხოვნები

60. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” განსაზღვრავს სავალდებულო აუდიტის მოთხოვნას სდპ-ებისთვის და პირველი და მეორე კატეგორიის სუბიექტების/ ჯგუფების წლიური ფინანსური ანგარიშგებებისთვის, ხოლო მესამე და მეოთხე კატეგორიის სანარმოები განთავისუფლებულნი არიან თავიანთი წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისგან. კანონი მოითხოვს, რომ აუდიტი ჩატარდეს აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს ან მისი უფლებამონაცვლის მიერ გამოცემული ასს-ის შესაბამისად. კანონი განსაზღვრავს, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტანდარტების მოქმედი (ინგლისური) გამოცემა.

61. სდპ-ის გარე აუდიტორს ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება აუდიტის კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე.⁴⁰ კანონი მოითხოვს, რომ სდპ-ის აუდიტის ხელშეკრულება გაფორმდეს არანაკლებ ორი წლის და არა უმეტეს ათი წლის ვადით. სდპ-ის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ჩატარებულ საჯარო ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ათი წლით. ზემოაღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ, იმავე აუდიტორთან ხელშეკრულების გაფორმება არ შეიძლება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. აუდიტორს მოეთხოვება გარიგების პარტნიორთა შიდა როტაცია თითოეული სდპ-სთან დაკავშირებით, რომელსაც ის ემსახურება შვიდ წელიწადში ერთხელ მაინც.

38 <https://www.xbrl.org/>

39 <https://cfr.worldbank.org/programs/starep>

40 საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 57(7)

კორპორაციული მართვა

62. „მენარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად კომპანიის მმართველი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო, თუ ამ უკანასკნელის შექმნა გათვალისწინებულია კანონით ან დებულებით. კანონი მოითხოვს აქციონერთა წლიური საერთო კრების (AGM) ჩატარებას წელიწადში ერთხელ მაინც, წლიური ბალანსის მომზადებიდან არაუგვიანეს ექვს თვეში.

63. საქართველოში არსებობს კორპორაციული მართვის სამი კოდექსი: კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის (CGCCB),⁴¹ კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის (CGCI)⁴² და კორპორაციული მართვის კოდექსი სახელმწიფო საწარმოებისთვის (CGCSOE).⁴³ საბანკო კოდექსის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა კომერციული ბანკისთვის.⁴⁴ საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალმა კომპანიებმა და სახელმწიფო საწარმოებმა უნდა შეასრულონ „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“ მიდგომა.^{45,46} კანონი „კომერციული ბანკების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებს ძირითად პასუხისმგებლობას კომერციული ბანკის კორპორაციულ მართვაზე.⁴⁷ კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი (CGCCB) ასევე აკონკრეტებს, რომ სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებს ძირითად პასუხისმგებლობას კომერციული ბანკების კორპორაციულ მართვაზე.⁴⁸ კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სულ მცირე ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრი, დამოუკიდებელი უნდა იყოს. ანალოგიურად, სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის კოდექსი განსაზღვრავს, რომ სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია საწარმოს კორპორაციულ მართვაზე.⁴⁹ სახელმწიფო

საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი დამოუკიდებელი უნდა იყოს.

64. ევროკავშირის მიერ შემუშავებული აუდიტის დირექტივა განსაზღვრავს, რომ აუდიტის კომიტეტის წევრთა უმრავლესობა დამოუკიდებელი უნდა იყოს აუდიტის ობიექტისგან, ხოლო საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ მოითხოვს სდპ-ის სამეთვალყურეო საბჭოში აუდიტის კომიტეტის შექმნას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ერთი დამოუკიდებელი წევრი მაინც.⁵⁰ კანონი ასევე მიუთითებს, რომ საბოგადოებრივი დაინტერესების მქონე პირებში, სადაც სამეთვალყურეო საბჭო არ არის წარმოდგენილი უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომლის წევრებიც იქნებიან აქციონერთა საერთო კრების მიერ არჩეული დამოუკიდებელი პირები. აუდიტის კომიტეტის წევრს უნდა ჰქონდეს კომპეტენცია საწარმოს საქმიანობის სფეროში. აუდიტის კომიტეტის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს კომპეტენტური ბუღალტრული აღრიცხვისა და/ან აუდიტის სფეროში, რაც შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ განსაზღვრული აუდიტის დირექტივის შესაბამის მოთხოვნასთან. კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ფინანსური ანგარიშგების პროცესს, ამზადებს რეკომენდაციებს ფინანსური ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად. კანონი ასევე ეხება აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის დანიშვნას აქციონერთა საერთო კრების მიერ. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრებას ასევე წარუდგენს აუდიტის შედეგებს, აუდიტის გავლენას ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ კანონს არ აქვს კონკრეტული მოთხოვნა გარე აუდიტორების აქციონერთა საერთო კრებაზე დასწრებასთან დაკავშირებით, ასეთი მოთხოვნა მითითებულია ემიტენტებისთვის შემუშავებულ კორპორაციული მართვის კოდექსში.⁵¹

41 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება (No. 215/04 26 სექტემბერი, 2018).

42 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N172/04 (7 დეკემბერი, 2021) „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

43 საქართველოს მთავრობის დადგენილება #1618, 8 სექტემბერი, 2021.

44 CGCCB, მუხლი 1.2

45 CGCI, მუხლი 2.4

46 საქართველოს მთავრობის დადგენილება სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების შესახებ 3.F

47 საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მუხლი 14.1

48 CGCCB, მუხლი 3.1

49 CGCSOE, მუხლი 3.2

50 საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 57

51 CGCI, მუხლი 22.6

ეფექტიანობის მაჩვენებლები – ფინანსური ანგარიშგების ზოგადი მოთხოვნები

65. მინიჭებული რეიტინგია 4, რომელიც უდრის ქვემოთ A.1-A.2 ქვეინდიკატორების შემადგენელი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (ე.ი., $4 = (4+4)/2$).

ქვეინდიკატორი A. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი მოთხოვნები

A.1. გამარტივებული ფინანსური ანგარიშგება	
საქართველოს რეიტინგი	<p>4</p> <p>ფინანსური ანგარიშგების გამარტივებები აშკარად დიფერენცირებულია სუბიექტებისა და ჯგუფების სიდიდის მიხედვით და განსხვავება ემყარება 3 კრიტერიუმს მაინც. ბრუნვის, მთლიანი აქტივებისა და თანამშრომლების რაოდენობის განსაზღვრება და მნიშვნელობები ნათელია. კლასიფიკაცია მკაფიოა, თუ როდის უნდა გადავიდეს სუბიექტი კლასიფიკაციის ერთი კატეგორიიდან მეორეზე.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1</p> <p>კრიტერიუმები “2” რეიტინგის მისაღებად არ არის შესრულებული.</p>
	<p>2</p> <p>ფინანსური ანგარიშგების გამარტივება გათვალისწინებულია საკანონმდებლო ჩარჩოში და ეს ემყარება სუბიექტის სამართლებრივ ფორმას.</p>
	<p>3</p> <p>ფინანსური ანგარიშგების გამარტივება განსხვავდება ზოგიერთი კატეგორიის სუბიექტებისა და ჯგუფებისთვის, რომლებიც განსხვავდება სიდიდის მიხედვით და განსხვავება ემყარება 1-2 კრიტერიუმს.</p>
	<p>4</p> <p>ფინანსური ანგარიშგების გამარტივება აშკარად დიფერენცირებულია სუბიექტებისა და ჯგუფების სიდიდის მიხედვით და განსხვავება ემყარება სულ მცირე 3 კრიტერიუმს.</p>

A.2. სავალდებულო აუდიტის განხორციელებისგან გათავისუფლება	
საქართველოს რეიტინგი	<p>4</p> <p>აუდიტის მოთხოვნისგან გათავისუფლება აშკარად დიფერენცირებულია სუბიექტებისა და ჯგუფების სიდიდის მიხედვით და განსხვავება ემყარება 3 კრიტერიუმს მაინც. ბრუნვის, მთლიანი აქტივებისა და თანამშრომლების რაოდენობის განსაზღვრება და მნიშვნელობები ნათელია. კლასიფიკაცია მკაფიოა, თუ როდის უნდა გადავიდეს სუბიექტი კლასიფიკაციის ერთი კატეგორიიდან მეორეზე.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1</p> <p>კრიტერიუმები “2” რეიტინგის მისაღებად არ არის შესრულებული.</p>
	<p>2</p> <p>აუდიტისგან გათავისუფლება გათვალისწინებულია საკანონმდებლო ჩარჩოში და ის ემყარება სუბიექტის სამართლებრივ ფორმას.</p>
	<p>3</p> <p>აუდიტის მოთხოვნისგან გათავისუფლება ზოგიერთი კატეგორიის სუბიექტებისა და ჯგუფებისთვის განსხვავებულია მათი სიდიდის მიხედვით და დიფერენცირება ემყარება 1-2 კრიტერიუმს.</p>
	<p>4</p> <p>აუდიტის გამონაკლისები მკაფიოდ დიფერენცირებულია სუბიექტებისა და ჯგუფების სიდიდის მიხედვით და განსხვავება ემყარება 3 კრიტერიუმს მაინც.</p>

2. საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიები

ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბაზრის მიმოხილვა

66. ამჟამად საქართველოში ორი საფონდო ბირჟა ფუნქციონირებს. საქართველოს საფონდო ბირჟა⁵² ამჟამად ერთადერთი აქტიური ბირჟაა (დაარსდა

1999 წელს)⁵³ და წარმოადგენს თბილისის საფონდო ბირჟის (TSE)⁵⁴ ჰოლდინგურ კომპანიას. არცერთი აღნიშნული ბირჟა არ არის დაკავშირებული სხვა ბირჟების რომელიმე ქსელთან. თბილისის საფონდო ბირჟა შექმნილია როგორც სრულად ელექტრონული ბირჟა. საქართველოს საფონდო ბირჟის გეგმაა რომ დროთა განმავლობაში განხორციელდეს საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიების მიგრაცია თბილისის საფონდო ბირჟაზე.

67. საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილია ლისტინგის სამი სეგმენტი:

A, B და სავაჭროდ დაშვებული კომპანიების სეგმენტი. ორივე A და B სალისტინგო კატეგორია ემიტენტისგან საფონდო ბირჟაზე დაშვებამდე მოითხოვს აუდირებული ანგარიშგებების წარდგენას ორი წინა წლისთვის მაინც. საქართველოს საფონდო ბირჟა ასევე განიხილავს საკრედიტო რეიტინგებს და სუბიექტის გამოცდილებას მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობაში. არცერთი ეს მოთხოვნა არ გამოიყენება იმ სუბიექტის მიმართ, რომელიც განაცხადს შეიტანს ბირჟაზე არასალისტინგო კატეგორიაში სავაჭროდ დაშვების მიზნით. ცამეტი ფასიანი ქაღალდი იყო A სეგმენტის სალისტინგო კატეგორიაში (თორმეტი ობლიგაცია და ერთი აქცია), თვრამეტი B სალისტინგო კატეგორიაში (თხუთმეტი ობლიგაცია და სამი აქცია) და ოთხი არასალისტინგო კატეგორიაში (ოთხივე აქცია).⁵⁵

68. აღნიშნული რვა აქცია ადგილობრივი კომპანიებისაა და მათი მთლიანი საბაზრო კაპიტალიზაცია კვარტლის ბოლოს, 2023 წლის მარტში 2,290 მლნ ლარს შეადგენდა.⁵⁶

ბირჟაზე სალისტინგო კატეგორიაში ორი სუბიექტი ორჯერ იყო ლისტინგში შეყვანილი. სალისტინგო კატეგორიებში არ იყო წარმოდგენილი არც სახელმწიფოს საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და არც საერთაშორისო ჰოლდინგური კომპანიების საბირჟო ლისტინგში შემავალი შვილობილი კომპანიები. 2022 წლის

31 დეკემბერს 12 თვის ვაჭრობის მოცულობა შედგებოდა 19 ვაჭრობისგან მთლიანობაში 13,619 ლარის ღირებულების 1,253,978 აქციით.⁵⁷ ლისტინგში წარმოდგენილი 27 ინსტრუმენტიდან, რომლებიც არ წარმოადგენდა აქციებს, 19 იყო კორპორაციული ობლიგაცია, შვიდი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ობლიგაცია და ერთი გლობალური სადეპოზიტო ხელწერილი. 2022 წლის 31 დეკემბერს დაფიქსირდა აშშ დოლარით დენომინირებული ობლიგაციებით განხორციელებული თხუთმეტი ვაჭრობა 2,444,612 აშშ დოლარის მოცულობით.⁵⁸

69. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში რეგულირდება კანონით “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საფინანსო სექტორის მარეგულირებელი დაზღვევის სფეროს გარდა. ეროვნული ბანკის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით. კონსტიტუციის თანახმად,⁵⁹ სებ-ი პასუხისმგებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაზე, როგორც ფასების სტაბილურობის, ისე ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულაციები ასევე მოიცავს საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის წესებს⁶⁰ და კორპორაციული მართვის კოდექსს ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის.⁶¹

70. სებ-ის⁶² საზედამხედველო უფლებამოსილება კაპიტალის ბაზრის მონაწილეებთან დაკავშირებით განსაზღვრულია ორგანული კანონით საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. კანონის მოქმედების სფერო მოიცავს საბროკერო კომპანიებს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებს, საფონდო ბირჟებს, ცენტრალურ და სპეციალიზებულ დეპოზიტარებს, აქტივების მართვის კომპანიებს, საინვესტიციო ფონდებს და ანგარიშვალდებულ კომპანიებს. სებ-ი უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანებები, წესები და

⁵³ კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”

⁵⁴ შეფასების მომენტისთვის არ იყო აქტიური

⁵⁵ საქართველოს საფონდო ბირჟა, 31 დეკემბერი, 2021

⁵⁶ <https://www.gse.ge/capitalizations>

⁵⁷ <https://www.gse.ge/en/trades>

⁵⁸ <https://www.gse.ge/en/trades>

⁵⁹ საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 68.

⁶⁰ დამტკიცებულია საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2018 წლის 4 ოქტომბერს (უკანასკნელი განახლების თარიღი - 18 ნოემბერი, 2021).

⁶¹ დამტკიცებულია 2021 წლის 7 დეკემბერს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით (N172/04).

⁶² ორგანული კანონი “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ”. მუხლი 48.

მითითებები და დააკისროს სანქციები კაპიტალის ბაზრის მონაწილეებს.

71. კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“⁶³ დეტალურად აღწერს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის შემდგომ სპეციფიკურ მოთხოვნებს და შესაბამის სანქციებს. სებ-ი უფლებამოსილია გამოიყენოს სანქციები ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ან/და მათი მმართველი ორგანოს წევრის (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების) მიმართ, ასეთი დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე. ეს სანქციები მერყობს წერილობითი გაფრთხილებიდან ლიცენზიის გაუქმებამდე და მოიცავს ჯარიმებს და ტრანზაქციების შეწყვეტას ან შეჩერებას.

ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიებისთვის

72. Plდპ-ები, რომლებსაც მიეკუთვნება ბირჟის ლისტინგში შემავალი ყველა სუბიექტი, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ვალდებული არიან სამსახურს გამოსაქვეყნებლად წარუდგინონ თავიანთი წლიური ფინანსური ანგარიშგებები მმართველობის ანგარიშგებისა და აუდიტის ანგარიშის ჩათვლით, არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1-ლი ოქტომბრისა. ეს ანგარიშები უნდა მომზადდეს ფასს-ის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშების საჯაროდ გამჟღავნების მექანიზმი არის სამსახურის REPORTAL სისტემა.

73. თუმცა, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ თავიანთი წლიური ფინანსური ანგარიშგებები ზოგადი მოთხოვნებით განსაზღვრულ თარიღზე ადრე. მათ უნდა წარადგინონ თავიანთი წლიური ფინანსური

ანგარიშგებები ეროვნულ ბანკში კომპანიის საანგარიშო წლის დეკემბრის ბოლოდან მომდევნო წლის 15 მაისამდე.⁶⁴ მათ ასევე უნდა გამოაქვეყნონ ფინანსური ანგარიშგება ამ ადრეული თარიღისთვის სამსახურის REPORTAL სისტემაში.

74. ლისტინგში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები განხილული იყო ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკისა და აღქმის ფარგლებში. მიმოხილვა ასკვნის, რომ საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში წარმოდგენილი შეფასებული კომპანიები ბანკების გარდა სავარაუდოდ არ შეესაბამებოდნენ, სულ მცირე, ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს. დეტალებისთვის იხილეთ ამ ანგარიშის **თავი C: ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და აღქმა.**

75. საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ მმართველობის ანგარიშგების წარდგენა. მმართველობის წლიური ანგარიშგება უნდა მომზადდეს და განხილულ იქნეს აუდიტორის მიერ სდპ-ისთვის განსაზღვრული წესების შესაბამისად.⁶⁵ მმართველობის ანგარიშგება უნდა შეიცავდეს საქმიანობის მიმოხილვას, კორპორაციული მართვის ანგარიშგებას და არასაფინანსო ანგარიშს. ამასთან, ლისტინგში შემავალი კომპანიის მმართველობის ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კომპანიის კაპიტალში მმართველი ორგანოს წევრების მონაწილეობის შესახებ.

76. საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშების (შუალედური ანგარიშები) მომზადება ფასს-ის შესაბამისად.⁶⁶ შუალედური ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს სამსახურის REPORTAL სისტემის მეშვეობით არაუგვიანეს ყოველი წლის 15 აგვისტოსი. აუდიტორების მიერ განხილვა საჭირო არ არის. მმართველობის შუალედური ანგარიშგება უნდა ახლდეს შუალედურ ანგარიშს და მოიცავდეს ფინანსური წლის პირველ ექვს თვეს მაინც. მასში უნდა შედიოდეს

⁶³ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. მუხლი 55¹.

⁶⁴ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 11.2

⁶⁵ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება No181/04 (7 ოქტომბერი, 2020), ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 3.4.

⁶⁶ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება No181/04 (7 ოქტომბერი, 2020), ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე.

პირველი ექვსი თვის მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა და ანალიზი, შუალედურ ანგარიშზე გავლენის და ემიტენტის ძირითადი რისკებისა და გამოწვევების ყოვლისმომცველი მიმოხილვის ჩათვლით ფინანსური წლის დარჩენილი ექვსი თვის განმავლობაში.

77. საქართველოს ეროვნული ბანკი

აკონტროლებს საბირჟო ლისტინგში შემავალი კომპანიების შესაბამისობას REPORTAL სისტემის მეშვეობით წლიური და შუალედური ანგარიშების გამოქვეყნების მოთხოვნასთან (იხ. პუნქტი 58). წლიური ანგარიშების შინაარსის განხილვისთვის ეროვნული ბანკი ეყრდნობა სამსახურს. ნებისმიერი შესაბამისობის შესახებ სამსახური აცნობებს სებ-ს, შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებების განსახორციელებლად ან სანქციების განსახაზვრად (როგორც წესი, გაფრთხილებები, ინსტრუქციები ან ჯარიმები). სებ-ი რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით ამოწმებს გამოქვეყნებული შუალედური ანგარიშების შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.

78. საქართველოს ეროვნული ბანკი

ფუნქციონირებს სახელმწიფო და კომერციული სექტორისგან დამოუკიდებლად.⁶⁷

საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ მის საქმიანობაში, გარდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

79. საბირჟო ლისტინგში შემავალი კომპანიების

კორპორაციული ანგარიშგების მოთხოვნები კარგად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების ზოგად ჩარჩოს, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს სამსახური. ეს განპირობებულია უწყებათაშორისი ოფიციალური თანამშრომლობით (ერთი ფანჯრის პრინციპით), რომელიც ძირითადად აერთიანებს ანგარიშგების სისტემას საქართველოში.

სავალდებულო აუდიტი და დამოუკიდებელი რწმუნების სხვა ფორმები

80. Tსაჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი უნდა განხორციელდეს სდპ-ის აუდიტორის მიერ (იხ. პუნქტი 60).⁶⁸ საერთაშორისო სტანდარტების მიღება უზრუნველყოფილია სამსახურის მიერ მათი განახლებიდან ექვსი თვის ვადაში.⁶⁹ საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის წესები მოითხოვს, რომ ემიტენტებმა, რომელთა ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ, აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები წარუდგინონ საფონდო ბირჟას.⁷⁰

81. სამსახური ამტკიცებს აუდიტორულ ფირმებს, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ სდპ-ების (საბირჟო ლისტინგში შემავალი სუბიექტების ჩათვლით) აუდიტი როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების საფუძველზე.⁷¹

პროცესი მოიცავს აუდიტორული ფირმების პროცესების რეგულარულ სიღრმისეულ შემოწმებას. სებ-ი ეყრდნობა სამსახურის პროცესს აუდიტორების იდენტიფიკაციისა და რეგულირებისთვის, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ სდპ-ების აუდიტი და არ გააჩნიათ საკუთარი პროცესი. სდპ-ის აუდიტორს უნდა ჰქონდეს 15 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. სდპ-ების აუდიტისთვის დამტკიცებული აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ჩამონათვალი გამოქვეყნებულია სამსახურის ვებგვერდზე.⁷²

82. საქართველოში წარმოებს სდპ-ების (საბირჟო ლისტინგში შემავალი სუბიექტების ჩათვლით) აუდიტორული ფირმების როტაცია.⁷³ აუდიტის პარტნიორებს მოეთხოვებათ როტაცია ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც შეესაბამება ევროკავშირის რეგლამენტის მოთხოვნას აუდიტის შესახებ. აუდიტორულ ფირმებს მოეთხოვებათ როტაცია ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. თუ

⁶⁷ ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 4.2

⁶⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება No181/04 (7 ოქტომბერი, 2020), ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე. ", მუხლი 3.2

⁶⁹ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“: მუხლი 1, მუხლი 2.1, და მუხლი 14

⁷⁰ საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის წესები, მუხლი 7

⁷¹ https://www.saras.gov.ge/Content/files/11-09-2018/Rule_for_Performing_Quality_Control_System_Monitoring_2018.07.26_ENG.pdf

⁷² www.saras.gov.ge/en/Companies

⁷³ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 16.15

მოქმედი აუდიტორული ფირმა გაიმარჯვებს საჯარო ტენდერში, პარტნიორთა/აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, 10 წლიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 10 წლით. კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ აუდიტორულ ფირმასთან ხელახალი გარიგება შეიძლება დაიდოს არანაკლებ 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

83. არ არსებობს მკაფიო შეზღუდვები იმ არააუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც აუდიტორულ ფირმას შეუძლია გაუწიოს თავისი აუდიტორული მომსახურების კლიენტს. მოქმედებს დამოუკიდებლობის ზოგადი წესები და აუდიტორი დამოუკიდებელი უნდა იყოს იმ სუბიექტისგან, რომელსაც ის უწევს აუდიტორულ მომსახურებას.

84. არ არსებობს კონკრეტული მოთხოვნები ლისტიგში შემავალი კომპანიების მხრიდან აუდიტორების დანიშვნასთან და მათთან თანამშრომლობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. სდპ-ის აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია აუდიტის კომიტეტის⁷⁴ რეკომენდაციის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება აუდიტორის დანიშვნის ან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აუდიტორის გასვლის შესახებ. არ არსებობს სპეციალური დებულებები, რომლებიც მიუთითებს დირექტორთა საბჭოს უფლებებზე აუდიტორთა დანიშვნასთან და მათთან თანამშრომლობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.⁷⁵

85. აუდიტორის გადადგომის ან მასთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ უნდა ეცნობოს სამსახურს. გადაწყვეტილებას შესაბამისი დასაბუთება უნდა ჰქონდეს. არ არსებობს მოთხოვნა აუდიტორის გადადგომის ან მასთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ სეპ-ისთვის შეტყობინების საჭიროების თაობაზე. თუმცა,

აუდიტორის ცვლილება საჯაროდ უნდა გაამჟღავნოს ემიტენტმა თავისი ვებგვერდის, საქართველოს საფონდო ბირჟის ვებგვერდის ან სხვა შესაბამისი მექანიზმის მეშვეობით.⁷⁶

აუდიტის კომიტეტი

86. პსდპ-ებს მოეთხოვებათ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში აუდიტის კომიტეტის შექმნა.⁷⁷ კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ შეიცავს იდენტურ მოთხოვნას და დამატებით მოითხოვს, რომ აუდიტის კომიტეტს დაეკისროს ემიტენტის წლიური ფინანსური ანგარიშგებების ავთენტურობის, მისი შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და შიდა აუდიტის ფუნქციის დამოუკიდებლობის კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).⁷⁸ ის ასევე მოითხოვს, რომ აუდიტის კომიტეტმა მართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა და გარე აუდიტორის მიერ სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა.

87. სდპ-ის აუდიტის კომიტეტი უნდა შედგებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან და ერთი დამოუკიდებელი წევრისგან მაინც.⁷⁹ დამოუკიდებელი წევრი განისაზღვრება, როგორც პირი, რომელსაც არ აქვს სამართლებრივი და / ან ეკონომიკური ურთიერთობა საწარმოსთან, რომელიც არ ფლობს საწარმოს აქციებს და არ იღებს ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს საწარმოსგან, სამეთვალყურეო საბჭოს ან /და აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის განსაზღვრული ანაზღაურებისა გარდა. აუდიტის კომიტეტის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს კომპეტენტური საწარმოს საქმიანობის სფეროში. აუდიტის კომიტეტის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს კომპეტენტური ბუღალტრული აღრიცხვისა და/ან აუდიტის სფეროში.⁸⁰ აუდიტის კომიტეტის

⁷⁴ საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 57.7 და მუხლი 58.1

⁷⁵ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის (იხ. პუნქტი 100 ქვევით) მე-9 მუხლი ითვალისწინებს მოთხოვნებს აუდიტის კომიტეტისთვის რომ შეაფასოს და მოამზადოს რეკომენდაციები საბჭოსთვის ან აქციონერებისთვის გარე აუდიტორების დანიშვნასთან/ ხელახალ დანიშვნასთან დაკავშირებით. მოთხოვნით განსაზღვრული შეფასება მოიცავს გარე აუდიტორის დამოუკიდებლობის ყოველწლიურ მიმოხილვას.

⁷⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04 (7 ოქტომბერი, 2020) “ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე”, მუხლი 7.1

⁷⁷ საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 57.1

⁷⁸ კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, მუხლი 9.1

⁷⁹ საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 57.1

⁸⁰ საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 57.3

წევრებს, მათ შორის, თავმჯდომარეს, უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ფინანსური განათლება ან შესაბამისი ფინანსური გამოცდილება.⁸¹ ამასთან ერთად, კანონი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ მოითხოვს, რომ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე იყოს დამოუკიდებელი პირი განსაზღვრების შესაბამისად.⁸² საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი ამჟამინდელი აუდიტორის ყოფილ პარტნიორს ან დირექტორს უკრძალავს აუდიტის კომიტეტის წევრობას, თუ პირს კვლავ აქვს რაიმე სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორთან, ან აუდიტორის პარტნიორის ან დირექტორის თანამდებობების დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში.⁸³

88. აუდიტის კომიტეტი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესს და ყოველწლიურ აუდიტს.⁸⁴ საზედამხედველო პასუხისმგებლობა ნაწილობრივ შესრულებულია ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში მოცემული მოსაზრებების საფუძველზე. კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის მიუთითებს, რომ აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია შიდა აუდიტის პოლიტიკის და ანგარიშგების განსაზღვრაზე, ისევე როგორც ფინანსური და არასაფინანსო ანგარიშების მომზადების პროცესის მონიტორინგზე.

89. აუდიტის კომიტეტი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. აუდიტის კომიტეტმა სდპ-ის სამეთვალყურეო საბჭოს⁸⁵ უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ჩატარებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგებების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის ჩართულობის შესახებ.⁸⁶ ლისტინგში შემავალი კომპანიამ უნდა განახორციელოს აქციონერებთან და პოტენციურ აქციონერებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა. აქციონერებს უნდა

შექლოთ ინფორმაციის მიღება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსგან.⁸⁷ ეს გამოიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ აქციონერებს ჰქონდეთ წვდომა კომპანიის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე.

ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა/ გამოქვეყნება

90. საბირჟო ლისტინგში შემავალი კომპანიები ვალდებული არიან ყოველწლიურად გამოაქვეყნონ სრულად აუდიტებული და ფასს-ის შესაბამისი წლიური ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობის ანგარიშგება. წლიური ფინანსური ანგარიშგებების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს, როგორც წლიური და ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშის ნაწილი სამსახურის REPORTAL სისტემაში. როგორც წლიური, ისე ნახევარწლიური ანგარიშები უნდა შეესაბამებოდეს ფასს-ს, თუმცა მხოლოდ წლიური ანგარიშის აუდიტი უნდა განხორციელდეს. წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა გამოქვეყნდეს 15 მაისამდე, ხოლო შუალედური ანგარიში ყოველი წლის 15 აგვისტომდე.⁸⁸ მმართველობის ანგარიშგება უნდა გამოქვეყნდეს REPORTAL გვერდზე.⁸⁹ ევროკავშირის მიერ შემუშავებული დირექტივა გამჭვირვალობის შესახებ ემიტენტებისგან მოითხოვს წლიური ფინანსური ანგარიშის გასაჯაროებას (მმართველობის ანგარიშგების ჩათვლით) თითოეული ფინანსური წლის დასრულებიდან სულ მცირე ოთხი თვის ვადაში და მისი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ხუთი წლის განმავლობაში მაინც. ამასთან ერთად, აქციების ან სავალდებულო ფასიანი ქაღალდების ემიტენტმა უნდა გაასაჯაროოს ნახევარწლიური ფინანსური ანგარიში შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან მაქსიმალურად დროულად, მაგრამ არა უგვიანეს ორ თვეში. ემიტენტმა უნდა უზრუნველყოს ნახევარწლიური

⁸¹ კორპორაციული მართვის კოდექსი, მუხლი 9.4

⁸² კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 91.1

⁸³ კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის, მუხლი 9.6

⁸⁴ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 57.5(ა) და (ბ)

⁸⁵ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მოითხოვს რომ სუბიექტს ჰქონდეს სამეთვალყურეო საბჭო

⁸⁶ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 57.3

⁸⁷ კორპორაციული მართვის კოდექსი, მუხლი 22.4

⁸⁸ კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 11.3(ა)

⁸⁹ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 7

ფინანსური ანგარიშის (მმართველობის შუალედური ანგარიშების ჩათვლით) საჯარო ხელმისაწვდომობა ხუთი წლით მაინც.

91. საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ ფინანსურ ანგარიშებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნება მიმდინარე და არა შერჩევით საფუძველზე. აუდიტორის ცვლილება, ისევე როგორც მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები საჯაროდ უნდა იქნეს გამჟღავნებული ემიტენტის მიერ თავისი ვებგვერდის ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებგვერდის, ან სხვა შესაბამისი მექანიზმის მეშვეობით ზედმეტი შეფერხების გარეშე. ეს მონაცემები, როგორც ინსაიდერული ინფორმაციის ნაწილი, გამჟღავნებულ უნდა იქნეს ემიტენტის მიერ ისე, რომ საზოგადოებამ დროულად შეძლოს ამ ინფორმაციის სრულად და სწორად შეფასება.⁹⁰

92. REPORTAL სისტემაზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უფასოდ. ლისტინგში შემავალ პირებს მოეთხოვებათ თავიანთი წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება საკუთარ ვებგვერდზე ან ბეჭდვით ორგანოში, თუმცა, არ არსებობს მკაფიო მოთხოვნა ფინანსური ანგარიშგებების ფართო ხელმისაწვდომობის შესახებ.⁹¹

მონიტორინგი და აღსრულება – ფინანსური ანგარიშგება

93. Tკაპიტალის ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტი – კორპორაციული ფინანსების განყოფილება (CFD) პასუხისმგებელია ლისტინგში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების განხილვაზე. კორპორაციული ფინანსების განყოფილებას ჰყავს სრული განაკვეთით მომუშავე ორი თანამშრომელი ფინანსური ანგარიშგების გამოცდილებით. სამმართველო ამომწებს, რომ ლისტინგში შემავალ თითოეულ კომპანიას წარდგენილი ჰქონდეს საჭირო

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშები და რომ ეს ანგარიშები შეიცავდეს ინფორმაციას აუდიტორთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, ფასს-თან შესაბამისობის განაცხადს და პასუხისმგებელი პირების განცხადებებსა და ხელმოწერებს.

94. კორპორაციული ფინანსების განყოფილება ეყრდნობა სამსახურს ფასს-თან შესაბამისობის შესაფასებლად. სამსახური განიხილავს ლისტინგში შემავალი კომპანიების წლიური ფინანსური ანგარიშგებების შინაარსს და შესაბამისობის შესახებ აცნობებს კორპორაციული ფინანსების განყოფილებას შემდგომი სანქციების დაკისრების და აღსრულების მიზნებისთვის. სამსახურს აქვს ფორმალიზებული პროცესი ფინანსური ანგარიშგების ფასს-თან შესაბამისობის შესაფასებლად. ეს შედარებით ახალი პროცესია და კვლავ შემუშავების პროცესშია. სამსახური არჩევს განსახილველად ფინანსურ ანგარიშგებებს რისკზე დამყარებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. სამსახური აქვეყნებს ანგარიშს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შედეგების შესახებ.⁹² სამსახურის შესაძლებლობები და უნარი, განახორციელოს ფასს-თან შესაბამისობის შეფასება, განხილულია ამ ანგარიშის სხვა თავში, მაგრამ, არ არის საკმარისად ღრმა. სამსახური გამომწვევების წინაშე დგას ფასს-თან შესაბამისობის შეფასებისთვის პერსონალის დაქირავებისა და შენარჩუნების კუთხით, საბაზრო ანაზღაურების გადახდასთან დაკავშირებული სტრუქტურული სირთულეების გამო.

95. კორპორაციული ფინანსების განყოფილება ეყრდნობა სამსახურს, ლისტინგში შემავალი სუბიექტების აუდიტორების ზედამხედველობის განსახორციელებლად. აკრედიტებული ფირმები, რომლებიც უზრუნველყოფენ აუდიტორული მომსახურების გაწევას და აუდიტორები, ვალდებულნი არიან სამსახურთან ითანამშრომლონ ფირმების აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შესამოწმებლად. სამსახურის შესაძლებლობები და უნარი ამ შემომწების შესასრულებლად

⁹⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04 (7 ოქტომბერი, 2020) “ ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლბოიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე”, მუხლი 7.1 და 1-ლი დანართი, პუნქტი “დ”

⁹¹ საქართველოს კანონი „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 9 (5)

⁹² <https://saras.gov.ge/en/News/Detail/2614> “შესაბამისობები იდენტიფიცირებულია როგორც წლიური ანგარიშების მიმოხილვის შედეგი“

განხილულია ამ ანგარიშის სხვა თავში, მაგრამ ზოგადად კარგია. სამსახური კომუნიკაციას აწარმოებს სებ-თან გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის შედეგის შესახებ. სდპ-ების აუდიტორად აკრედიტაციისთვის განაცხადები ძირითადად მოიცავს რაოდენობრივ კრიტერიუმებს (გამოცდილების ხანგრძლივობა, პროფესიული ორგანოს წევრობა, აუდიტის ლიცენზია).

96. ფინანსური ანგარიშების მოთხოვნების აღსრულება მკაფიოდ არის გათვალისწინებული კანონში „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ და რეგულაციებში.

ფინანსური ანგარიშების მოთხოვნების დარღვევის საპასუხოდ, სებ-ს შეუძლია:⁹³ (i) მოითხოვოს, რომ დამრღვემა პირმა მიიღოს აუცილებელი ზომები, სებ-ის მიერ დადგენილ ვადებში საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; (ii) შეაჩეროს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ან გარიგებები; (iii) შეუჩეროს დამრღვევ მხარეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობა გარკვეული ვადით; და (iv) დააკისროს დამრღვევ პირს პასუხისმგებლობა სებ-ის სამართლებრივი აქტით. სებ-ისთვის ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი განიხილება მონმის მიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ჩვენების მიცემაზე უარად, ხოლო სებ-ისთვის ახსნა-განმარტების მიწოდებისას არასწორი ინფორმაციის წარდგენა ითვლება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემად, რისთვისაც პირს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.⁹⁴ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულაციების დარღვევამ დამამძიმებელ გარემოებებში ასევე შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.⁹⁵

97. კორპორაციული ფინანსების განყოფილებას შეუძლია სანქციების გამოყენება ანგარიშების მოთხოვნების დარღვევისთვის,

მისი სერიოზულობისა და პოტენციური რისკის გათვალისწინებით,⁹⁶ წერილობითი გაფრთხილების და სპეციალური ზომების ან დირექტივის შემოღების ჩათვლით, რომელიც მონაწილისგან მოითხოვს დარღვევის შეწყვეტას და/ან ზომების მიღებას დარღვევების გამოსასწორებლად განსაზღვრულ პერიოდში.

ეროვნულ ბანკს ასევე შეუძლია ფულადი ჯარიმების დაწესება ან კონკრეტული ზომების განხორციელება ფიზიკური პირების ან კომპანიების მიმართ. სამსახურს შეუძლია ფასს-თან ნებისმიერი გამოვლენილი შეუსაბამობა აცნობოს ეროვნულ ბანკს⁹⁷ შემდგომი ქმედებებისთვის. თუმცა, იმის გამო, რომ ეს შედარებით ახალი პროცესია, სანქციები ჯერ არ არის გამოყენებული.

98. რაიმე სპეციფიკური საზედამხედველო ღონისძიება არ გატარდება, თუ ლისტინგში შემავალი კომპანია მიიღებს არამოდიფიცირებული მოსაზრებისგან განსხვავებულ დასკვნას. თუმცა, სებ-მა შეიძლება განიხილოს სანქციების დაკისრება დარღვევის სერიოზულობისა და პოტენციური რისკის გათვალისწინებით.

99. კანონი და რეგულაციები კორპორაციული ფინანსების განყოფილებისგან არ მოითხოვს აუდიტორებთან რეგულარული შეხვედრების გამართვას. აუდიტორებს არ მოეთხოვებათ ანგარიშის წარდგენა იმ საკითხებზე, რომლებიც, მათი აზრით, შეიძლება იყოს არსებითი მნიშვნელობის მქონე ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის ფუნქციებისთვის (მაგ. ფასიანი ქაღალდების ან სხვა კანონების დარღვევა). კორპორაციული ფინანსების განყოფილებას არ გააჩნია საბირჟო ლისტინგში შემავალი კომპანიების აუდიტორების დამტკიცების და/ან გათავისუფლების უფლებამოსილება და არ შეუძლია აუდიტორისგან რაიმე დოკუმენტის მიწოდების მოთხოვნა.

⁹³ კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, მუხლი 55.2

⁹⁴ კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, მუხლი 55.21

⁹⁵ “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” კანონის 55- ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

⁹⁶ კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, მუხლი 551

⁹⁷ დაწესებული სანქციების მაგალითები მოიცავს ჯარიმებსა და გაფრთხილებებს ანგარიშების მოთხოვნების დარღვევისთვის (2021: 7 ჯარიმა, 2 გაფრთხილება) და გაფრთხილებები და დირექტივები შუალედურ ანგარიშებთან დაკავშირებით (2021: 20 გაფრთხილება ან დირექტივა).

კორპორაციული მართვა

100. კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის ძალაში შევიდა 2022 წლის 1-ლ იანვარს.⁹⁸ ის ემყარება მიდგომას „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“. კორპორაციული მართვის ანგარიშის ეროვნული ბანკისთვის წარდგენა სავალდებულოა.⁹⁹ კომპანიები ვალდებული არიან წარადგინონ პირველი კორპორაციული მართვის ანგარიში CGCI კოდექსის მიხედვით 2024 წელს, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნების პარალელურად. კოდექსში არ არის წარმოდგენილი მკაფიო მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკასთან დაკავშირებით. CGCI მნიშვნელოვნად ავსებს და განავრცობს კორპორაციული მართვის ანგარიშგების არსებულ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოდგენილია კანონებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მაგრამ არ ცვლის მათ.

ეფექტიანობის მაჩვენებლები – ფინანსური ანგარიშგება და საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიების აუდიტი

101. საერთო რეიტინგი, რომელიც მიენიჭა საქართველოს ინდიკატორის - “ფინანსური ანგარიშგება და საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიების აუდიტი” - მიხედვით არის 4-დან 3.1, რაც უდრის A და B ქვეინდიკატორების შემცველი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს $(3.1=(3.3+2.8)/2)$.

ქვეინდიკატორი A. ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის მოთხოვნები საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიებისთვის.

102. მინიჭებული რეიტინგია 3.3, რომელიც უდრის A და B ქვეინდიკატორების შემცველი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (ე.ი., $3.3 = (4+3+3)/3$).

A.1. ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები ლისტინგში შემავალი კომპანიებისთვის

საქართველოს რეიტინგი	4	საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა. საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ შუალედური (ნახევარწლიური) ფინანსური ანგარიშგებების მომზადება. საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ მმართველობის ანგარიშგების მომზადება.
რეიტინგის კრიტერიუმები	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
	2	საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ყოველწლიურად ფინანსური ანგარიშგების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.
	3	“2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ მმართველობის ანგარიშგების მომზადება (ან ხელმძღვანელობის დისკუსია და ანალიზი – MD&A). საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისთვის განკუთვნილი ფასს-ის გამოყენება.

⁹⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება N172/04 (7 დეკემბერი, 2021) “საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების შესახებ”

⁹⁹ საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება N172/04 (7 დეკემბერი, 2021) “საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების შესახებ”, მუხლი 2.9

A.1. ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები ლისტივში შემავალი კომპანიებისთვის

- | | |
|---|--|
| 4 | <p>“3” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: საბირჟო ლისტივში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და კორპორაციული მართვის ანგარიშგების გამოქვეყნება.</p> |
|---|--|

A.2. აუდიტის მოთხოვნები ლისტივში შემავალი კომპანიებისთვის

საქართველოს რეიტინგი

- | | |
|---|---|
| 3 | <p>წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი უნდა განხორციელდეს და აუდიტორებმა ცალკე უნდა დაადასტურონ თანმხლები მასალა მმართველობის ანგარიშგების ჩათვლით.</p> <p>ბუღალტრული აღრიცხვის კანონი სდპ-ებისგან მოითხოვს (კანონში სდპ-ის განმარტება მოიცავს ლისტივში შემავალ კომპანიებს) აუდიტის კომიტეტის შექმნას. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსთან ერთად განსაზღვრავს, რომ აუდიტის კომიტეტი უნდა შედგებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან, ხოლო აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს დამოუკიდებელი დირექტორი. კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ აუდიტის კომიტეტის წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი გამოცდილება ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში. აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებული უნდა იყოს საბჭოს წევრებისგან, რომლებიც არ არიან კომპანიის აღმასრულებელი ორგანოს ან მისი კონტროლირებადი ორგანიზაციების წევრები. აუდიტის კომიტეტის წევრების უმრავლესობა დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ.</p> <p>საბირჟო ლისტივში შემავალი კომპანიების შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორების მიერ განხილვა არ არის საჭირო.</p> |
|---|---|

რეიტინგის კრიტერიუმები

- | | |
|---|---|
| 1 | <p>“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> |
| 2 | <p>იურიდიული პირის და საბირჟო ლისტივში შემავალი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ექვემდებარება ყოველწლიურ სავალდებულო აუდიტს.</p> <p>აქციონერები (საერთო კრებაზე) ან დირექტორთა საბჭო (ანუ მენეჯმენტისგან დამოუკიდებელი მმართველი ორგანო) სამართლებრივად პასუხისმგებელნი არიან ლისტივში შემავალი კომპანიების აუდიტორების დანიშვნასა და გათავისუფლებაზე.</p> |
| 3 | <p>“2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად:</p> <p>აუდიტორის დასკვნა საჭიროა იმის დასადასტურებლად, მოხდა თუ არა მმართველობის ანგარიშგების (MD&A) და სხვა ფინანსური ინფორმაციის გაცნობა ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.</p> <p>საბირჟო ლისტივში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ აუდიტის კომიტეტის შექმნა.</p> <p>აუდიტის კომიტეტის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი დირექტორი. მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს უახლესი და შესაბამისი ფინანსური ან აუდიტორული გამოცდილება.</p> |
| 4 | <p>“3” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად:</p> <p>საბირჟო ლისტივში შემავალი კომპანიების შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები განხილულ უნდა იქნეს აუდიტორების მიერ.</p> <p>აუდიტის კომიტეტი შედგება მხოლოდ დამოუკიდებელი წევრებისგან. მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის უახლესი და შესაბამისი გამოცდილება.</p> <p>საბირჟო ლისტივში შემავალი კომპანიების აუდიტორები უნდა დაინიშნონ აქციონერების მიერ აქციონერთა საერთო კრებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აუდიტის კომიტეტის რეკომენდაციით.</p> |

A.3. ლისტინგში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშების დროულობა და გასაჯაროება

საქართველოს რეიტინგი	3	<p>დაინტერესებულ მხარეებს, მათი მიზნის მიუხედავად, წვდომა აქვთ გამოქვეყნებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე, მმართველობის ანგარიშებზე და აუდიტის ანგარიშებზე REPORTAL-ის მეშვეობით. წლიური ფინანსური ანგარიშგებები გამოქვეყნებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 მაისამდე.</p> <p>კომპანიებს მოეთხოვებათ წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება თავიანთ ვებგვერდზე ან ბეჭდვით ორგანოში. თუმცა, არ არსებობს მოთხოვნები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით რეგულირებადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის სუბიექტების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ.</p> <p>წლიური ფინანსური ანგარიშგებების და მმართველობის ანგარიშგების ერთდროულად გამოქვეყნების მოთხოვნა არ არსებობს, REPORTAL-ზე გამოქვეყნების გარდა.</p>
	რეიტინგის კრიტერიუმები	1
2		<p>საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ იურიდიული პირის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თუმცა ეს შეიძლება მოხდეს შემოკლებული ან არასრული ფორმით.</p> <p>სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე წვდომა შეზღუდულია ან ხარჯებთან დაკავშირებული.</p> <p>საბირჟო ლისტინგში შემავალი კომპანიების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უმეტეს 9 თვე.</p>
3		<p>“2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად:</p> <p>აუდიტის დასკვნა ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია.</p> <p>სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსური ანგარიშგებები ფართოდ ვრცელდება, თუმცა არსებობს შეზღუდვები ხარჯების და ძიების სიმარტივის თვალსაზრისით.</p> <p>საბირჟო ლისტინგში შემავალი კომპანიების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უგვიანეს 6 თვე.</p>
4		<p>საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოეთხოვებათ იურიდიული პირებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის გასაჯაროება. აუდიტის ანგარიში ასევე ხელმისაწვდომია საჯაროდ.</p> <p>საბირჟო ლისტინგში შემავალ კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ შუალედური ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ხელმძღვანელობის კომენტარებით და ანალიზით.</p> <p>სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსური ანგარიშგება ადვილად იძებნება და ხელმისაწვდომია, დაბალ ფასად ან ყოველგვარი ფასის გარეშე.</p> <p>საბირჟო ლისტინგში შემავალი კომპანიების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უმეტეს 4 თვე.</p>

ქვეინდიკატორი B. საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების მონიტორინგი და აღსრულება.

103. მინიჭებული რეიტინგია 2.8, რომელიც უდრის B.1-B.4 ქვეინდიკატორების შემცველი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (ე.ი., $2.8 = (3+3+2+3)/4$).

B.1. ლისტინგში შემავალი კომპანიების წლიური ფინანსური ანგარიშგებები

B.1. ლისტინგში შემავალი კომპანიების წლიური ფინანსური ანგარიშგებები		
საქართველოს რეიტინგი	<p>კორპორაციული ფინანსების განყოფილების მიერ დადგენილი მინიმალური პროცედურები მოიცავს განხილვას იყო თუ არა ყველა მოთხოვნილი წარსადაგენი კომპონენტი გამოქვეყნებული.</p> <p>კორპორაციული ფინანსების განყოფილებას ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ფუნქცია გადაცემული აქვს სამსახურისთვის.</p> <p>ფინანსური ინფორმაციის მოცულობა, რომელიც ყველა კომპანიის მიერ წარედგინება სამსახურს მნიშვნელოვანია, ხოლო მისი რესურსები კი შეზღუდული, რაც ამჟამად ზღუდავს მონიტორინგისა და აღსრულების ღონისძიებების მასშტაბებს. სამსახურის მიერ დანერგილი პროცედურების გათვალისწინებით ამ რეიტინგის მოთხოვნები ითვლება შესრულებულად მცირე შეზღუდვებით.</p>	
რეიტინგის კრიტერიუმები	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
	2	ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშგებების შეფასებას აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები
	3	ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშგებების შეფასებას აქვს მცირე შეზღუდვები .
	4	ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის მიმოხილვის თანახმად წლიური ფინანსური ანგარიშგებები არის სრულად ადეკვატური .

B.2. ლისტინგში შემავალი კომპანიების გარე აუდიტორებთან კომუნიკაცია

საქართველოს რეიტინგი	<p>კორპორაციული ფინანსების განყოფილება არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს რეგულარული შეხვედრები ლისტინგში შემავალი კომპანიების გარე აუდიტორებთან და არ აქვს ასეთი შეხვედრები. აუდიტორებს არ მოეთხოვებათ მარეგულირებლის წინასწარ ინფორმირება, თუ ისინი არ აპირებენ „სუფთა“ (ანუ არამოდიფიცირებული) მოსაზრების გაცემას. კორპორაციულ საფინანსო განყოფილებას არ აქვს უფლებამოსილება მოითხოვოს აუდიტორისგან რაიმე დოკუმენტის წარდგენა.</p> <p>თუმცა, აუდიტორები ჩართულნი არიან კომუნიკაციაში სამსახურსა და ემიტენტს შორის ფასსთან შეუსაბამობასთან დაკავშირებით.</p> <p>აუდიტორების რეგულირებას ასევე ახორციელებს სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს შემოწმების რეგულარული და მტკიცე რუტინა. აუდიტორი შეიძლება დანიშნოს მხოლოდ ლისტინგში შემავალმა კომპანიამ, თუ ის იმყოფება სამსახურის დამტკიცებულ სიაში. იმის გათვალისწინებით, რომ სამსახურს განსაზღვრული აქვს აუდიტორთან კომუნიკაციის, ზედამხედველობის და დამტკიცების პროცესები, ამ რეიტინგის მოთხოვნები შესრულებულად ითვლება მცირე შეზღუდვებით.</p>
----------------------	--

B.2. ლისტიგში შემავალი კომპანიების გარე აუდიტორებთან კომუნიკაცია

რეიტინგის კრიტერიუმები	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
	2	კომუნიკაციას ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელს და საბირჟო ლისტიგში შემავალი კომპანიების გარე აუდიტორებს შორის აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები
	3	კომუნიკაციას ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელს და საბირჟო ლისტიგში შემავალი კომპანიების გარე აუდიტორებს შორის აქვს მცირე შეზღუდვები
	4	კომუნიკაცია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელს და საბირჟო ლისტიგში შემავალი კომპანიების გარე აუდიტორებს შორის სრულად ადეკვატურია .

B.3. ანგარიშება ლისტიგში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშების მიმოხილვის შესახებ

საქართველოს რეიტინგი	2	საქართველოს ეროვნული ბანკი ამზადებს წლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც მის ვებგვერდზე ქვეყნდება. ანგარიშში წარმოდგენილია ბოლოდროინდელი საზედამხედველო საქმიანობის რეზიუმე. ლისტიგში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშების და აუდიტის ხარისხი მკაფიოდ არ არის აღნიშნული წლიურ ანგარიშში, თუმცა ფასს-თან დაკავშირებული თემები შეტანილია მასში. სამსახური ახორციელებს ლისტიგში შემავალი კომპანიების ფასს-თან შესაბამისობის მიმოხილვას (კომპლიმენტარული ფუნქცია). სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს ფასს სტანდარტების შესრულების მიმართულებით ანონიმური მიმოხილვის საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებს.
	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
რეიტინგის კრიტერიუმები	2	ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის ანგარიშებას საბირჟო ლისტიგში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშებების მიმოხილვის შესახებ აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები .
	3	ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის ანგარიშებას საბირჟო ლისტიგში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშებების მიმოხილვის შესახებ აქვს მცირე შეზღუდვები .
	4	ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის ანგარიშება საბირჟო ლისტიგში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშებების მიმოხილვის შესახებ სრულად ადეკვატურია .

B.4. საზედამხედველო ღონისძიებები და სანქციები ლისტიგში შემავალი კომპანიებისთვის

საქართველოს რეიტინგი	3	კანონმდებლობა ითვალისწინებს საკმარის და მტკიცე საზედამხედველო ღონისძიებებს და სანქციებს ლისტიგში შემავალი კომპანიების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშების და აუდიტის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის, ფასს-თან შესაბამისობის ჩათვლით. თუმცა, შესაბამისობის ზედამხედველობის მონიტორინგი და აღსრულება ჯერ სრულად არ წარმოებს სამსახურის შეზღუდული სიმძლავრის და პროცესის შედარებით სიახლის გამო.
----------------------	---	--

B.4. საზედამხედველო ღონისძიებები და სანქციები ლისტივში შემავალი კომპანიებისთვის

რეიტინგის კრიტერიუმები	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
	2	საზედამხედველო ღონისძიებებს და სანქციებს რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის მიერ აქვთ მნიშვნელოვანი შეზღუდვები .
	3	საზედამხედველო ღონისძიებებს და სანქციებს რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის მიერ აქვთ მცირე შეზღუდვები .
	4	საზედამხედველო ღონისძიებები და სანქციები რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის მიერ სრულად ადეკვატურია .

3. საბანკო სექტორი

საბანკო სექტორის მიმოხილვა¹⁰⁰

104. საქართველოს საბანკო სისტემა იზრდება

როგორც მოცულობით ისე მასშტაბით.¹⁰¹ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი აქტივების მოცულობა 70.3 მლრდ. ლარს¹⁰² (26.0 მლრდ. აშშ დოლარი)¹⁰³ შეადგენდა, 2021 წლის 31 დეკემბრის¹⁰⁴ 60.6 მლრდ. ლართან (19.6 მლრდ. აშშ დოლარი) შედარებით, რაც 16.0 პროცენტთან ზრდაზე მიუთითებს. საქართველოში მთლიანი საბანკო აქტივები უცხოური ვალუტით დენომინირებული ინსტრუმენტების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რომლის უცხოური ვალუტის კომპონენტი 2022 წელს 33.4 მლრდ. ლარი (მთლიანი აქტივების 47.5 პროცენტი) იყო (2021 წელს მთლიანი აქტივების 49.5 პროცენტი). მთლიანი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2019 წელს უშუალოდ პანდემიის დანწყებამდე არსებულ დონეს - 47.2 მლრდ. ლარს. საბანკო სექტორის მთლიანი სესხები, ბანკთაშორისი სესხების გარდა, 43.1 მლრდ. ლარიდან (2021 წ.) 4.9 პროცენტით 45.2 მლრდ. ლარამდე (2022 წ.) გაიზარდა. მთლიანი აქტივების მსგავსად, მთლიანი სესხებიც მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი უცხოური

ვალუტით. 2022 წელს ადგილობრივი ვალუტით გაცემული სესხები 24.6 მლრდ. ლარს (2021 წელს 21.2 მლრდ. ლარი) შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული 7.5 მლრდ. აშშ დოლარს (20.2 მლრდ. ლარი). 2021 წელთან შედარებით ზრდამ 7.1 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა (22.0 მლრდ. ლარი).

105. საბანკო დეპოზიტები აქტივებზე სწრაფად იზრდება.¹⁰⁵ მთლიანი დეპოზიტები საბანკო სექტორში, ბანკთაშორისი დეპოზიტების გარდა, 2021 წელს არსებული 37.2 მლრდ. ლარიდან 2022 წელს 44.3 მლრდ. ლარამდე, ანუ 19.1 პროცენტით გაიზარდა. სესხების მსგავსად, საბანკო დეპოზიტები მნიშვნელოვნად გაიზარდა პანდემიამდე 2019 წელს არსებულ დონესთან - 26.2 მლრდ. ლართან შედარებით. დეპოზიტების 50 პროცენტზე მეტი უცხოური ვალუტით იყო დენომინირებული. სექტორის ჯამური ვალდებულებები არსებული 52.8 მლრდ. ლარიდან 2022 წელს 61.1 მლრდ ლარამდე გაიზარდა. მთლიანი ვალდებულებებიდან 2022 წელს 33.3 მლრდ. ლარი უცხოური ვალუტით იყო წარმოდგენილი (2021: 31.3 მლრდ ლარი). ქართული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2021 წელს არსებული 3.10-დან 2022 წელს 2.70-მდე გამყარდა, რის გამოც ზრდის მასშტაბი ლარით გამოსახვისას არასაკმარისად წარმოჩინდა.

¹⁰⁰ ამ ანგარიშის მიზნებისთვის, საბანკო სექტორისთვის მიძღვნილი თავი ეხება მხოლოდ კომერციულ ბანკებს.

¹⁰¹ სებ-ის მიერ მომზადებული საფინანსო სექტორის მიმოხილვა, იანვარი 2023.

¹⁰² კომერციული ბანკების აქტივები და ვალდებულებები, <https://nbg.gov.ge/en/statistics/statistics-data>

¹⁰³ ვალუტის გაცვლითი კურსის საფუძველზე 2021 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის მიერ მომზადებული საფინანსო სექტორის მიმოხილვა, სექტემბერი 2022.

¹⁰⁴ ამ თავის დარჩენილი ნაწილისთვის 2022, 2021, 2020 და 2019 წლის მითითება ნიშნავს შესაბამისი წლის 31 დეკემბერს არსებულ მდგომარეობას, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

¹⁰⁵ სებ-ის მიერ მომზადებული საფინანსო სექტორის მიმოხილვა, დეკემბერი 2022.

ცხრილი 4. დეპოზიტები ტიპები დარგის მიხედვით

ვალდებულებების სტრუქტურა	დეკემბერი 2021 (% წილი)	დეკემბერი 2020 (% წილი)
დეპოზიტები ბანკებიდან	2.9	1.5
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები	45.7	41.1
ვადიანი დეპოზიტები	26.7	29.4
დარიცხული პროცენტი და დივიდენდი	0.5	0,5
ნასესხები სახსრები	19.6	20.7
სხვა ვალდებულებები	4.6	6.8
სულ	100	100

წყარო: სებ - კომერციული ბანკების აქტივები და ვალდებულებები, დეკემბერი 2022

106. საბანკო სექტორი მთლიანობაში მცირე მოცულობისაა. მთლიანი სესხები მშპ-სთან მიმართებით 73.1 პროცენტს შეადგენდა 2022 წლის დეკემბრისთვის, 2021 წელს 76.7 პროცენტს, 2020 წელს 82.6 პროცენტს, ხოლო 2019 წელს კი 69.4 პროცენტს. 2022 წელს საქართველოს საბანკო სისტემა 14 კომერციული ბანკით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან 13 უცხოური კონტროლის ქვეშაა. სამი ქართული ბანკი შედიოდა საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში, რომელთაგან ორის მშობელი კომპანია ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგშია წარმოდგენილი.

107. სექტორის ხარისხი კვლავ სტაბილურია. მარეგულირებელი სტანდარტების გამოყენებით სესხების 4.1 პროცენტი იყო კლასიფიცირებული უმოქმედოდ (არასტანდარტული, საეჭვო ან ზარალი) 2022 წელს (2021: 5.2 პროცენტი). მთლიანი უმოქმედო სესხების რეზერვმა 42 პროცენტი შეადგინა 2022 წელს (2021: 42.0 პროცენტი).

108. საბანკო სექტორის საშუალო პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2022 წლის ბოლოს 17.1 პროცენტს (2021: 15.6 პროცენტი) შეადგენდა.¹⁰⁶ ეს შესაბამისობაშია

ცხრილი 5. სესხების ზრდა სექტორების მიხედვით

სექტორი	დეკემბერი 2021		დეკემბერი 2020	
	მლრდ. ლარი	% წილი	მლრდ. ლარი	% წილი
მრეწველობა	3,964	8.8	5,034	11.7
სოფლის მეურნეობა	1,004	2.2	932	2.2
ვაჭრობა	4,383	9.7	4,004	9.3
მშენებლობა	3,648	8.1	3,049	7.1
მომსახურება	7,563	16.7	7,624	17.7

სექტორი	დეკემბერი 2021		დეკემბერი 2020	
	მლრდ. ლარი	% წილი	მლრდ. ლარი	% წილი
იპოთეკა	14,717	32.5	13,771	31.9
სამომხმარებლო	7,683	17.0	6,224	14.4
სულ		100.0		100.0

Source: NBG - Loans to the National Economy, December 2022

კაპიტალის მინიმალურ ნორმატიულ საშუალო მოთხოვნასთან 13.2 პროცენტთან (2021: 13 პროცენტი). მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის საშუალო კოეფიციენტი იყო 20.2 პროცენტი (2021: 19.6 პროცენტი), ხოლო საშუალო კოეფიციენტი 16.8 პროცენტი (2021: 17.5 პროცენტი). სებ-ის მიერ მომზადებული ფინანსური სექტორის მიმოხილვის თანახმად, კაპიტალის ასეთი დონე მისაღებია ბაზელის III კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს გათვალისწინებით.¹⁰⁷ 2023 წლის 1-ლი იანვრიდან კომერციულმა ბანკებმა უნდა დაიცვან მოთხოვნები ფასს-ზე დამყარებული რაოდენობების და მიდგომების გამოყენებით. მთლიანი კაპიტალის განახლებულმა საშუალო კოეფიციენტმა ფასს-ის გამოყენებით 2022 წლის დეკემბრისთვის შეადგინა 21.6 პროცენტი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტთან შედარებით, რომელიც 19.2 პროცენტი იყო.

საბანკო მარეგულირებელი

109. საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურა გათვალისწინებულია კანონით.¹⁰⁸ ის დაარსდა 1991 წელს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.¹⁰⁹ სებ-ის დამოუკიდებლობა გარანტირებულია კონსტიტუციით¹¹⁰ და ორგანული კანონით. მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები

ასევე კანონით არის განსაზღვრული.¹¹¹ სებ-ის უპირველესი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, სებ-მა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის მდგრად ზრდას.

110. სებ-ის მმართველობის სტრუქტურა

განსაზღვრულია კანონით.¹¹² ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომელიც შედგება ცხრა წევრისაგან. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები შესაძლებელია იყვნენ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ეკონომიკის, ფინანსების ან სხვა შესაბამისი დარგის პროფესიონალები, რომლებიც თავისი პატიოსნებით გამოირჩევიან. ამასთანავე, ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში სხვა შესაბამისი დარგის (გარდა ეკონომიკისა და ფინანსებისა) პროფესიონალთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს. ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში, საბჭოს თავმჯდომარის გარდა, შედიან ეროვნული ბანკის სამი ვიცე-პრეზიდენტი და სხვა წევრები. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი შვიდი წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს

¹⁰⁷ სებ-ის მიერ მომზადებული საფინანსო სექტორის მიმოხილვა, სექტემბერი 2022

¹⁰⁸ საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", 2009

¹⁰⁹ პუნქტი 3, მუხლი 68.

¹¹⁰ შეიქმნა საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

¹¹¹ ორგანულმა კანონმა "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" (2009) ჩაანაცვლა საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (1995).

¹¹² ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ". თავი II.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული ბანკის საბჭო.

111. სებ-ის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი¹¹³ არის საბანკო სექტორის ერთადერთი მარეგულირებელი საქართველოში.

საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს როგორც მარეგულირებელ ორგანოს, აქვს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის, ლიცენზიის ჩამორთმევის, რეგულირების და ზედამხედველობის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა რამდენიმე პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკის დოლარზე დამოკიდებულების შესამცირებლად და ლარის, როგორც ეროვნული ვალუტის, დომინანტურობის აღსადგენად, საბანკო სექტორი და ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დოლარიზებულია.

112. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი აკონტროლებს და არეგულირებს კომერციულ ბანკებს რისკზე დაფუძნებული პრინციპების შესაბამისად. რისკზე დამყარებული

საზედამხედველო მიდგომის გამოყენებით, საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი განსაზღვრავს და ამცირებს პოტენციურ რისკებს, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს ფინანსური სისტემის ფუნქციონირება. ეს მოითხოვს საბანკო სექტორის ან ცალკეული ბანკების რისკების დროულ იდენტიფიცირებას და ამ რისკების შერბილებას. ამ მიდგომის გამოყენება ნიშნავს ფოკუსირებას იმ რისკებზე, რომლებიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის ფინანსური სექტორის სტაბილურობას. საბანკო რისკების შეფასება და მათი პოტენციური ზემოქმედება განაპირობებს საზედამხედველო ქმედებების შემუშავებას რესურსების განაწილების ჩათვლით.

113. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს ფართო საზედამხედველო უფლებამოსილებები აქვს. დეპარტამენტის პასუხისმგებლობა კომერციულ ბანკებთან მიმართებით მოიცავს ლიცენზიების გაცემას და გაუქმებას, შემოწმებას და რეგულირებას, წერილობითი ინსტრუქციების გაცემას და დამატებითი მოთხოვნების, შეზღუდვების, საზედამხედველო ღონისძიებებისა და სანქციების დაწესებას. ზედამხედველები ახორციელებენ როგორც ადგილზე ისე დოკუმენტურ შემოწმებას, ატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას ბანკების რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების მიზნით და ამუშავებენ შესაბამის საზედამხედველო ქმედებებს. თუმცა, საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის პასუხისმგებლობა შეზღუდულია ბანკების ფინანსური ანგარიშგების ზედამხედველობის თვალსაზრისით (იხ. პუნქტები 135 და 136 ქვემოთ).

114. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს ასევე აქვს ფართო სააღსრულებო უფლებამოსილება. კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ განსაზღვრავს სხვადასხვა

სიმძიმის სანქციებს, რაც დამოკიდებულია დარღვევის მნიშვნელობაზე და ნებისმიერ ფაქტობრივ თუ პოტენციურ რისკზე, რომელსაც დარღვევა უქმნის ბანკის აქტივებს. კანონი ითვალისწინებს იმ ქმედებების ჩამონათვალს, რომლებიც საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს დარღვევების გამოვლენისას. სებ-ის რეგულაციები განსაზღვრავს ფულადი ჯარიმების ოდენობას, რომლებიც დარღვევისთვის შეიძლება დაეკისროს კომერციულ ბანკებს და მათ ადმინისტრატორებს.¹¹⁴

115. სებ-ი ამზადებს წლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება მის ვებგვერდზე. ანგარიში შედგენილია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.¹¹⁵ ანგარიშში განხილულია პერსპექტივები, მიზნები, მონეტარული პოლიტიკა, ბოლოდროინდელი მოვლენები და მიღწევები, ასევე ზედამხედველობის საქმიანობის უახლესი მოკლე მიმოხილვა.

¹¹³ სებ-ის საზედამხედველო უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებები წარმოდგენილია კონსტიტუციაში (მუხლი 68), ორგანული კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (თავი VIII), ასევე კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და შესაბამის სამართლებრივ აქტებში /კანონმდებლობაში (რომლებიც ასევე შეგიძლიათ იხილოთ სებ-ის ვებგვერდზე). ასევე, ორგანული კანონით საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა საბანკო ჯგუფების ზედამხედველობის განხორციელების მანდატი (ე.წ. კონსოლიდირებული ზედამხედველობა). სებ-ის უფლებამოსილება დააწესოს და განახორციელოს მინიმალური პრუდენციული სტანდარტები ბანკებისა და საბანკო ჯგუფებისთვის, მითითებულია ორგანული კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 21).

¹¹⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №242/01, 2009 „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“.

¹¹⁵ <https://nbg.gov.ge/en/publications/annual-reports>

ანგარიშში წარმოდგენილი ძირითადი ფაქტები ფოკუსირებულია კაპიტალის ადეკვატურობაზე და პრუდენციულ ანგარიშგებაზე, შიდა კონტროლზე, მართვაზე და სესხების გაცემაზე. ანგარიშში ხაზგასმულია სებ-ის და საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის როლი ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების გამოყენების ხელშეწყობაში, ანგარიშგების შაბლონების განახლებების ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში განხილულია ფასს-ის საფუძველზე ხარისხიანი ანგარიშგების შემუშავება, ანგარიში არ ეხება არსებულ ხარვეზებს ან შესაბამობას ამ მიმართულებით.

ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის

116. ბანკები ვალდებული არიან შეასრულონ ფასს-ის მოთხოვნები ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებთან¹¹⁶ დაკავშირებით.

ბანკები განსაზღვრულნი არიან სდპ-ებზე (იხ. პარაგრაფი 56 ზემოთ). მათ 2017 წლიდან მოეთხოვებათ ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად.¹¹⁷

117. კანონი მოითხოვს ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფასს-ის სრული და მიმდინარე ვერსიის გამოყენებას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა ეფუძნებოდეს ფასს-ს და თუ რომელიმე ნაწილი არ არის ფასს-ის შესაბამისი, ეს უნდა გამჟღავნდეს ფინანსურ ანგარიშგებებში. კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგება განხილული იყო ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკისა და აღქმის ფარგლებში. მიმოხილვის დასკვნა მიუთითებს, რომ ბანკების უმეტესობა სავარაუდოდ ასრულებს ფასს-ს, მაგრამ იდენტიფიცირებულ იქნა გარკვეული შეუსაბამობები. დეტალებისთვის იხილეთ **თავი C: ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და აღქმა.**

¹¹⁶ ფასს იურისდიქციის პროფილები

¹¹⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“.

¹¹⁸ სებ წლიური ანგარიში 2020.

¹¹⁹ ფინანსური ანგარიშგება/ ზოგადი ანგარიშგება.

¹²⁰ „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 1(ა).

¹²¹ „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 1(გ).

¹²² საქართველოს კანონი „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

118. პრუდენციული ანგარიშგება ამჟამად ეფუძნება ბულალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებულ წინა ეროვნულ პრინციპებს. მნიშვნელოვანი ძალისხმევა დაეთმო პრუდენციული ანგარიშგების ფასს-ზე გადასვლას. 2023 წლის იანვრიდან მოყოლებული ბანკებს მოეთხოვებათ ფასს-ის შესაბამისი მარეგულირებელი ანგარიშების წარდგენა. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის 2020-2022 წლების ზედამხედველობის სტრატეგიის შესაბამისად, საზედამხედველო ანგარიშგების ფასს-თან დაახლოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.¹¹⁸ საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი აგრძელებს მუშაობას ზედამხედველობის გადასაყვანად ბულალტრული აღრიცხვის ეროვნული პრინციპებიდან ფასს-ზე. დეპარტამენტი მუშაობდა ბანკების მარეგულირებელი ანგარიშგების ფასს ჩარჩოში გადატანაზე ევროკავშირის სტანდარტების (FINREP/COREP¹¹⁹ ფორმები) საშუალებით. ბანკებს მოეთხოვებათ მნიშვნელოვანი განსხვავებების გამჟღავნება ფასს-სა და პრუდენციულ ანგარიშგებას შორის თავიანთ წლიურ საჯარო საზედამხედველო („პილარ III“) ანგარიშგებში.

119. ბანკები ვალდებული არიან საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს წარუდგინონ ყოველწლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და ის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ. ბანკებს მოეთხოვებათ წინასწარი ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1-ლ მარტს.¹²⁰ მათ მოეთხოვებათ აუდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება საკუთარ ვებ-გვერდზე 15 მაისამდე.¹²¹ ბანკები, ისევე როგორც სხვა სუბიექტები საქართველოში, ვალდებული არიან აუდირებული ფინანსური ანგარიშგება სამსახურს წარუდგინონ არაუგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა.¹²²

120. ბანკები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ მმართველობის ანგარიშგება. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ მოითხოვს, რომ მმართველობის ანგარიშგება მომზადდეს და გამოქვეყნდეს ყოველწლიურად. ანგარიში უნდა შეიცავდეს ბიზნესის ზოგად მიმოხილვას, კორპორაციული მართვის ანგარიშგებას, რისკის მართვის პოლიტიკის მიმოხილვას, დასაქმებულთა რაოდენობას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. მმართველობის ანგარიშგების მოთხოვნა არ შედის ბანკების ფინანსური ანგარიშგების კონკრეტულ მოთხოვნებში და, შესაბამისად, ექვემდებარება მხოლოდ სამსახურის მიერ დადგენილ ვადებს (1-ლი ოქტომბერი).

121. მიუხედავად იმისა, რომ ბანკებს მოეთხოვებათ ეროვნული ბანკისთვის პრუდენციული ფინანსური ანგარიშგების რეგულარული მომზადება, იმ ბანკებს, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი ლისტინგში, ვალის ან კაპიტალის ბაზრებზე, არ მოეთხოვებათ ფასს-ის შესაბამისი შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადება და გამოქვეყნება. ყველა ბანკის მიერ შუალედური ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ფასს-ის საფუძველზე კარგი პრაქტიკის შესაბამისი იქნება.

სავალდებულო აუდიტი და დამოუკიდებელი რწმუნების სხვა ფორმები

122. მბანკები და საფინანსო ინსტიტუტები ვალდებული არიან განახორციელონ წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი. სებ-ის ბრძანება,¹²³ ისევე როგორც საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, ადგენს მოთხოვნას ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. ბანკების წლიური ფინანსური ანგარიშგებები

უნდა შემოწმდეს აუდიტორის მიერ, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სდპ-ის აუდიტი (იხ. პუნქტი 60).

123. სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის პროფესიის რეგულირებაზე. აუდიტის სტანდარტებს ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისთვის ადგენს სამსახური. საქართველოში მიღებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB-ის) მიერ გამოცემული სრული და მოქმედი ასს-ები. ასევე, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ სამსახურს აძლევს დამატებითი ანგარიშგების და სხვა მოთხოვნების დაწესების უფლებას.

124. სამსახური ამტკიცებს აუდიტორულ ფირმებს, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ სდპ-ების (მათ შორის ბანკების) აუდიტი როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი კრიტერიუმების საფუძველზე. პროცესი მოიცავს აუდიტორული ფირმების პროცესების რეგულარულ სიღრმისეულ შემოწმებას. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი ეყრდნობა სამსახურს იმ აუდიტორების იდენტიფიკაციის და რეგულირების მიზნით, რომლებსაც აქვთ ბანკების აუდიტის განხორციელების უფლება და არ გააჩნიათ საკუთარი პროცესი. ფინანსური ინსტიტუტის აუდიტორს უნდა ჰქონდეს 15 წელზე მეტი ხნის აუდიტორული და ფინანსური ინსტიტუტების აუდიტის 5 წელზე მეტი გამოცდილება.¹²⁴

125. ბანკი და მისი აუდიტორი ვალდებული არიან სამსახურს აცნობონ დანიშნული აუდიტის შეწყვეტის შემთხვევაში.¹²⁵ შეტყობინების მოთხოვნა მოიცავს მოთხოვნას შეწყვეტის დასაბუთების შესახებ.

126. საქართველოში წარმოებს ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების აუდიტორული ფირმების როტაცია.¹²⁶ აუდიტის პარტნიორებს

¹²³ „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი (ე).

¹²⁴ „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 1(ბა) და 1(ბბ).

¹²⁵ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 58.

¹²⁶ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, და „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284 /04 ბრძანება.

მოეთხოვებათ როტაცია ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ. ეს დებულება შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ შემუშავებულ აუდიტის რეგლამენტთან. აუდიტორულ ფირმებს მოეთხოვებათ როტაცია ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ აუდიტორულ ფირმასთან ხელახალი გარიგება შეიძლება დაიდოს არანაკლებ 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. ბანკებმა აუდიტის ჩასატარებლად ტენდერი უნდა გამოაცხადონ.

127. აუდიტორული ფირმებისთვის დაუშვებელია, კლიენტი ბანკისთვის აუდიტორული მომსახურების გარდა, სხვა პროფესიული მომსახურების გაწევა.¹²⁷ ბანკის აუდიტორს არ შეუძლია უზრუნველყოს საგადასახადო დეკლარაციებთან და ზოგად საგადასახადო კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება, იურიდიული მომსახურება, ბანკის წარმოდგენა მოლაპარაკებებში, შიდა აუდიტის ან კადრების მოძიების ფუნქციების შესრულება სხვა ჩამოთვლილ ფუნქციებს შორის. ეს დებულება შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ შემუშავებულ აუდიტის რეგლამენტთან. აუდიტორს არ აქვს უფლება გაუწიოს აუდიტის მომსახურება სუბიექტს, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე ან საფრთხე, რომელიც გამოწვეულია ფინანსური, პირადი, საქმიანი, შრომითი და/ან სხვა მიმდინარე ან მომავალი ურთიერთობებით.

128. კანონი ითვალისწინებს აქციონერების მიერ აუდიტორის დანიშვნას.¹²⁸ აუდიტის კომიტეტს მოეთხოვება აუდიტორის დანიშვნისთვის სატენდერო პროცესის ჩატარება. კომიტეტი აქციონერებს ან სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციას აუდიტორთან დაკავშირებით. გარე აუდიტორის დასანიშნად დასკვნითი ეტაპია აქციონერების მიერ კენჭისყრაში მონაწილეობა.

129. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს არ აქვს უპირობო უფლებამოსილება უარი

განაცხადოს აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით ან გააუქმოს აუდიტორის დანიშვნა.¹²⁹ თუ საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი დაადგენს, რომ აუდიტი არ ჩატარდა ასს-ის მიხედვით ან აქვს კითხვები აუდიტორის დამოუკიდებლობასთან და კომპეტენციასთან დაკავშირებით, საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს შეუძლია აუდიტორის დანიშვნის გაუქმების მოთხოვნა. აუდიტორის გადადგომის ან მასთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ 10 დღის ვადაში უნდა ეცნობოს საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს.

აუდიტის კომიტეტი

130. კანონი და რეგულაციები მოითხოვს ბანკებში აუდიტის კომიტეტის არსებობას.¹³⁰ ყველა ბანკი, სიდიდის, კომპლექსურობის და საქმიანობის მასშტაბის მიუხედავად, ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შექმნას აუდიტისა და რისკის მართვის კომიტეტები. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.¹³¹ კომიტეტი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისაგან, რომელთა უმრავლესობა დამოუკიდებელი უნდა იყოს.¹³² აუდიტის კომიტეტის სულ მცირე ორ წევრს, მათ შორის თავმჯდომარეს, უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი, შესაბამისი გამოცდილება, ან განათლება ფინანსებში.¹³³

ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა /გამოქვეყნება

131. სდპ-ები ვალდებული არიან ყოველწლიურად წარადგინონ ფინანსური ანგარიშგებები. ბანკებს, ისევე როგორც სხვა სდპ-ებს საქართველოში, მოეთხოვებათ

¹²⁷ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 16.

¹²⁸ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 57.7, CGCCB, ბრძანება 215/04.

¹²⁹ „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 1(ბ), 1(გ) და 1(პ).

¹³⁰ CGCCB, ბრძანება 215/04, კანონი „კომერციული ბანკების შესახებ“ (მუხლი 12 და მუხლი 16) და კანონი „მენარმეთა შესახებ“ (მუხლი 57).

¹³¹ CGCCB, ბრძანება 215/04, მუხლი 7.1 და 7.6

¹³² CGCCB, ბრძანება 215/04, მუხლი 8.2

¹³³ CGCCB, ბრძანება 215/04, მუხლი 8.3

სამსახურისთვის გასული წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ყოველი წლის 1-ლ ოქტომბრამდე. ეს მოთხოვნა გულისხმობს ქართულ ენაზე სრული ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების კომპლექტს და მმართველობის ანგარიშგებას. სამსახური ახორციელებს წარდგენილი ინფორმაციის ვალიდაციას, რის შემდეგაც ის გამოქვეყნდება REPORTAL-ზე.

132. კანონის და წესების თანახმად ბანკები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ წლიური ფინანსური ანგარიშგებები. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, ბანკის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანმხლები მმართველობის ანგარიშგების გარეშე, უნდა გამოქვეყნდეს ყოველი წლის 15 მაისამდე.¹³⁴ ეს ფინანსური ანგარიშგებები უნდა გამოქვეყნდეს ბანკის და ასევე ზედამხედველის ვებგვერდზე. ფინანსური ანგარიშგების გავრცელებისთვის სხვა მოთხოვნები არ არსებობს.

მონიტორინგი და აღსრულება – ფინანსური ანგარიშგება

133. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიშგების პოლიტიკისა და მონიტორინგის განყოფილება პასუხისმგებელია ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვაზე.

ამ სტრუქტურულ ერთეულს ეკისრება პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების განხილვაზე, კონკრეტულად კი ფასს ფინანსური ანგარიშგების და გამჟღავნების მოთხოვნების დაცვის დადასტურებაზე. განყოფილება ასევე განიხილავს აუდიტორთა ანგარიშებს. ბანკების წლის ბოლო საქართველოში ჩვეულებრივ ნიშნავს, რომ განხილვის დრო არასაკმარისია. განყოფილებას ჰყავს ოთხი თანამშრომელი და მისი საქმიანობა უმთავრესად ფოკუსირებულია ძირითად განსხვავებებზე ბუღალტრული აღრიცხვის და პრუდენციულ ღონისძიებებს შორის, და ასევე

მაღალრისკიან სფეროებზე, როგორცაა მაგალითად მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (შეფასება და გამჟღავნება). თუმცა, მიზანია გამოქვეყნებამდე ფინანსური ანგარიშგებების სრულად განხილვა.

134. სამსახურს აქვს ფინანსური ანგარიშგების ფასს-თან შესაბამისობის განხილვის საკუთარი პროცესი. ეს შედარებით ახალი პროცესია და ჯერ კიდევ დამუშავების ეტაპზეა. სამსახური ფინანსურ ანგარიშგებას განსახილველად რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით ირჩევს. სამსახური აქვეყნებს ანგარიშს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით მიღებული შედეგების შესახებ.¹³⁵ სამსახურის შესაძლებლობები და უნარი განახორციელოს ფასს-თან შესაბამისობის ეს მიმოხილვა განხილულია ამ ანგარიშის სხვა თავში. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკის ფინანსური ანგარიშგებები უკვე ექვემდებარება განხილვას საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, ისინი დაბალ რისკად მიიჩნევა და მათი შერჩევა შედარებით ნაკლებად ხდება. დისკუსიებიდან ჩანს, რომ საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი გარკვეულწილად ეყრდნობა სამსახურში არსებულ მიმოხილვის პროცესს.

135. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგულაციებში მკაფიოდ არ არის გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების აღსრულება. საბანკო ზედამხედველი არ აწესებს სანქციებს შეუსაბამო წლიური ფინანსური ანგარიშგებებისთვის, თუმცა შეუსაბამობების აღმოჩენამ შეიძლება გააჩინოს კითხვები აუდიტორის კომპეტენციასთან მიმართებით. აღნიშნულმა შეიძლება თავის მხრივ გამოიწვიოს ზედამხედველის მიერ აუდიტორის შეცვლის მოთხოვნა. აუდიტორებს არ მოეთხოვებათ საბანკო ზედამხედველის ინფორმირება, თუ ისინი აპირებენ პირობითი აუდიტორული დასკვნის გაცემას. თუმცა, მათ საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენების, მათ შორის, ისეთი რისკის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის სუბიექტის საქმიანობის გაგრძელებას. საბანკო

¹³⁴ „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 1(ე).

¹³⁵ <https://service.gov.ge/en/News/Detail/2614> “წლიური ანგარიშგების განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები”

ზედამხედველობის დეპარტამენტი არ ატარებს რაიმე საზედამხედველო ზომას, თუ ბანკი მიიღებს არამოდიფიცირებული დასკვნის გარდა სხვა მოსაზრებას. სამსახურს შეუძლია ფასს-თან შეუსაბამობის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს სებ-ს შემდგომი ქმედებებისთვის. თუმცა, იმის გამო, რომ ეს შედარებით ახალი პროცესია, სანქციები ჯერ არ არის გამოყენებული.

136. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი ეყრდნობა სამსახურს ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების აუდიტორებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად. აკრედიტებული ფირმები, რომლებიც უზრუნველყოფენ აუდიტორულ მომსახურებას, და აუდიტორები, ვალდებული არიან ითანამშრომლონ სამსახურთან ფირმის აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შესამოწმებლად. სამსახურის მიერ განხორციელებული პროცესის დეტალები მოცემულია **II.B.9 თავში: აუდიტის რეგულირება, ხარისხის უზრუნველყოფა და საჯარო ზედამხედველობა**, ხოლო ეფექტიანობის მაჩვენებლები წარმოდგენილია 314-ე პუნქტში. სამსახური აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის შედეგის შესახებ საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს აცნობებს.

137. კანონსა და რეგულაციებში წარმოდგენილია მოთხოვნები საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტსა და აუდიტორებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებით. გარე აუდიტორებს კანონით მოეთხოვებათ სებ-ის ინფორმირება ბანკის საქმიანობასთან ან რისკებთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით უარყოფითი არსებითი ცვლილებების გამოვლენიდან 5 სამუშაო დღეში. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის შიდა სახელმძღვანელო განსაზღვრავს ეფექტურ კომუნიკაციას აუდიტორებსა და საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის.¹³⁶ პრაქტიკაში, შეხვედრები ტარდება წელიწადში ორჯერ მაინც. ზედამხედველს არ აქვს უფლება განსაზღვროს გარე აუდიტის ფარგლები, მაგრამ მოითხოვს მენეჯმენტის წერილის და არსებითობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას.

კორპორაციული მართვა

138. საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი და უცხოური ბანკის ფილიალი და შვილობილი კომპანია ვალდებულია დაიცვას კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის.¹³⁷ კანონით ან სხვა რეგულაციებით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების გარდა კოდექსი არ მოითხოვს და ხელს არ უწყობს ფინანსური ანგარიშგების დამატებითი ან განსხვავებული პრაქტიკის დანერგვას. კოდექსის სრულად შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში ბანკი შეიძლება დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ და მაკორექტირებელ ზომებს. ბანკს, მის ადმინისტრატორს ან ბანკის ჰოლდინგ კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურის კორექტირება ან დაეკისროს კოდექსით დადგენილი მარეგულირებელი ზომები ან/და სანქციები (ფულადი ჯარიმა) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად.

ეფექტიანობის მაჩვენებლები – ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის მოთხოვნები ბანკებისთვის

139. საქართველოსთვის მინიჭებული საერთო რეიტინგი ინდიკატორისთვის “ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი ბანკებისთვის” არის 3.1 შესაძლო 4-დან, რომელიც უდრის ქვემოთ A და B ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (3.2 = (3+3.42)/2).

ქვეინდიკატორი A. ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის მოთხოვნები ბანკებისთვის.

140. მინიჭებული რეიტინგია 3, რომელიც უდრის ქვემოთ A.1-A.3 ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (ე.ი. 3 = (3+3+3)/3).

¹³⁶ მითითებები ეფექტური კომუნიკაციისთვის აუდიტორულ ფირმებსა და სებ-ს შორის.

¹³⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N215/04 „კომერციული ბანკებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“

A.1. ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები ბანკებისთვის

საქართველოს რეიტინგი	3	ბანკები ამზადებენ ფასს-ის შესაბამის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს როგორც იურიდიული, ასევე კონსოლიდირებული სუბიექტისთვის მმართველობის ცალკე ანგარიშგებასთან ერთად. საქართველოს ბანკებს, რომლებიც არ შედიან ვალის ან კაპიტალის ბაზრების ლისტინგში, არ მოეთხოვებათ ფასს-ის შესაბამისი შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ან გამოქვეყნება.
	რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 ბანკები ვალდებული არიან მოამზადონ იურიდიული პირის ფინანსური ანგარიშგება ყოველწლიურად, ფინანსური ანგარიშგების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.</p> <p>3 “2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: ბანკებს მოეთხოვებათ მმართველობის ანგარიშგების (ან MD&A) მომზადება. ბანკებს მოეთხოვებათ ფასს-ის გამოყენება კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიმართ.</p> <p>4 “3” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: ბანკებს მოეთხოვებათ ფასს-ის შესაბამისი შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.</p>

A.2. აუდიტის მოთხოვნები ბანკებისთვის

საქართველოს რეიტინგი	3	წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი უნდა განხორციელდეს და აუდიტორებმა ცალკე უნდა დაადასტურონ თანმხლები მასალა მმართველობის ანგარიშგების ჩათვლით. ბანკებს მოეთხოვებათ აუდიტის კომიტეტის შექმნა მინიმუმ სამი წევრისგან, რომელთაგან უმრავლესობა დამოუკიდებელი უნდა იყოს. იხილეთ A.1. ზემოთ, არ არსებობს მოთხოვნა ლისტინგის არმქონე ბანკებისთვის, წარადგინონ ფასს-ის შესაბამისი შუალედური ანგარიშგება და, შესაბამისად, არ წარმოებს მათთვის აუდიტორული მიმოხილვა.
	რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 ბანკების იურიდიული პირის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ექვემდებარება ყოველწლიურ სავალდებულო აუდიტს. აქციონერები (საერთო კრებაზე) ან დირექტორთა საბჭო (ანუ მენეჯმენტისგან დამოუკიდებელი მმართველი ორგანო) კანონის თანახმად პასუხისმგებელია ბანკების აუდიტორების დანიშვნასა და გათავისუფლებაზე.</p> <p>3 “2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: აუდიტორის დასკვნა საჭიროა იმის დასადასტურებლად, მოხდა თუ არა მმართველობის ანგარიშგების (MD&A) და სხვა ფინანსური ინფორმაციის გაცნობა ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ბანკებს მოეთხოვებათ აუდიტის კომიტეტის შექმნა. აუდიტის კომიტეტის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი. მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს უახლესი და შესაბამისი ფინანსური ან აუდიტორული გამოცდილება.</p>

A.2. აუდიტის მოთხოვნები ბანკებისთვის

- 4 “3” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: ბანკების შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები განხილულ უნდა იქნეს აუდიტორების მიერ.
- აუდიტის კომიტეტი შედგება მხოლოდ დამოუკიდებელი წევრებისგან. მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის უახლესი და შესაბამისი გამოცდილება.
- ბანკების აუდიტორები უნდა დაინიშნონ აქციონერების მიერ აქციონერთა საერთო კრებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დირექტორთა საბჭოს მიერ აუდიტის კომიტეტის რეკომენდაციით.

A.3. ბანკების ფინანსური ანგარიშების დროულობა და გასაჯაროება

საქართველოს რეიტინგი

- 3 ყველა ბანკმა უნდა გამოაქვეყნოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შემოწმებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები მომდევნო წლის 15 მაისამდე (ოთხნახევარი თვის განმავლობაში). სრული ფინანსური ანგარიშგება აუდიტის ანგარიშის ჩათვლით უნდა გამოქვეყნდეს მათ ვებგვერდზე.
- მმართველობის ანგარიშგება ცალკე აუდიტის დასკვნასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს სამსახურის ვებგვერდზე 1 -ლ ოქტომბრამდე.

რეიტინგის კრიტერიუმები

- 1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
- 2 ბანკებს მოეთხოვებათ იურიდიული პირის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თუმცა ეს შეიძლება მოხდეს შემოკლებული ან არასრული ფორმით.
- სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე წვდომა შეზღუდულია ან ხარჯებთან დაკავშირებული.
- ბანკებისთვის წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უმეტეს 9 თვე.
- 3 “2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: აუდიტის დასკვნა საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსური ანგარიშგებები ფართოდ ვრცელდება, თუმცა არსებობს შეზღუდვები ხარჯების და ძიების სიმარტივის თვალსაზრისით.
- ბანკების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უგვიანეს 6 თვე.
- 4 ბანკებს მოეთხოვებათ იურიდიული პირებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის გასაჯაროება. აუდიტის ანგარიში ასევე ხელმისაწვდომია საჯაროდ.
- ბანკებს მოეთხოვებათ შუალედური ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ხელმძღვანელობის კომენტარებით და ანალიზით.
- სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსური ანგარიშგება ადვილად იძებნება და ხელმისაწვდომია, დაბალ ფასად ან უფასოდ.
- ბანკების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უმეტეს 4 თვე.

ქვეინდიკატორი B. ბანკებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების მონიტორინგი და აღსრულება.

141. მინიჭებული რეიტინგია 3.42, რომელიც უდრის ქვემოთ B.1-B.5 ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (ე.ი. $3.42 = (3+4+4+2+3)/5$).

B.1. ბანკის წლიური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა

საქართველოს რეიტინგი	<p>3</p> <p>საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვაზე. მიმოხილვა ყურადღებას ამახვილებს ანგარიშის ადეკვატურობაზე, აუდიტის ანგარიშზე, ფინანსური ანგარიშგების შინაარსზე და ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილების ძირითად მიგნებებზე. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი ასევე ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების შეზღუდულ მიმოხილვას ბანკებისთვის სპეციფიკური ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების აღსრულება გარკვევით არ არის გათვალისწინებული რეგულაციებით.</p> <p>სამსახური ასევე განიხილავს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-თან შესაბამისობის გასარკვევად, თუმცა რისკი შემცირებულია, რადგან ანგარიშგებები უკვე განხილულია საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ. სამსახური დეპარტამენტს აწვდის შესაბამის მიგნებებს.</p> <p>ყველა კომპანიის მიერ სამსახურში წარსადგენი ფინანსური ინფორმაციის მოცულობა მნიშვნელოვანია და სამსახურს აქვს მხოლოდ შეზღუდული რესურსები მის შესასწავლად, რაც აფერხებს მონიტორინგისა და აღსრულების ღონისძიებებს.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 საბანკო ზედამხედველის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვას აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები</p> <p>3 საბანკო ზედამხედველის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვას აქვს მცირე შეზღუდვები.</p> <p>4 საბანკო ზედამხედველის მიმოხილვის თანახმად წლიური ფინანსური ანგარიშგებები არის სრულად ადეკვატური.</p>

B.2. შეჯერების მოთხოვნები ბანკების სააქციო კაპიტალსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის

საქართველოს რეიტინგი	<p>4</p> <p>შეჯერების მოთხოვნები სრულად ადეკვატურია. ბანკებს მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად. ბანკებს მოეთხოვებათ ბაზელის „პილარ III“ ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება, რომელიც მოიცავს შეჯერებას.</p> <p>წარმოებს ფასს-ის მიხედვით მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების და „პილარ III“ ანგარიშის აუდიტი, გასაჯაროება და მიმოხილვა სებ-ის მიერ.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 შეჯერების მოთხოვნებს სააქციო კაპიტალსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები.</p> <p>3 შეჯერების მოთხოვნებს სააქციო კაპიტალსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის აქვს მცირე შეზღუდვები.</p> <p>4 შეჯერების მოთხოვნები სააქციო კაპიტალსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის სრულად ადეკვატურია.</p>

B.3. ბანკების შესახებ გარე აუდიტორებთან კომუნიკაცია

საქართველოს რეიტინგი	4	კანონი და რეგულაციები არ ავალდებულებს სებ-ს აუდიტორებთან რეგულარული შეხვედრების გამართვას; თუმცა, შიდა სახელმძღვანელო ითვალისწინებს ორმხრივ შეხვედრებს სებ-სა და აუდიტორებს შორის. ამჟამად შეხვედრები ჩვეულებრივ წელიწადში ორჯერ ტარდება. აუდიტორული ფირმები ვალდებულნი არიან დაუკავშირდნენ სებ-ს, თუ ისინი აპირებენ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით კვალიფიცირებული დასკვნის გაცემას და სებ -ს აქვს წვდომა მმართველობის ანგარიშგებაზე.
	რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 კომუნიკაციას საბანკო ზედამხედველს და ბანკების გარე აუდიტორებს შორის აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები.</p> <p>3 კომუნიკაციას საბანკო ზედამხედველს და ბანკების გარე აუდიტორებს შორის აქვს მცირე შეზღუდვები.</p> <p>4 კომუნიკაცია საბანკო ზედამხედველს და ბანკების გარე აუდიტორებს შორის სრულად ადეკვატურია.</p>

B.4. ანგარიშგება ბანკების ფინანსური ანგარიშების მიმოხილვის შესახებ

საქართველოს რეიტინგი	2	სებ-ი ამზადებს წლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია მის ვებგვერდზე. ანგარიშში მოცემულია ზედამხედველობის მიმართულებით ბოლოდროინდელი საქმიანობის შეჯამება. საბანკო და ფინანსური სექტორის ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის ხარისხი მკაფიოდ არ არის წარმოდგენილი წლიურ ანგარიშში, თუმცა აღნიშნულია ფასს-თან დაკავშირებული შესაბამისი საკითხები. სამსახური ახორციელებს ბანკებში ფასს-თან შესაბამისობის შეზღუდულ მიმოხილვას (დამატებითი ფუნქცია). სამსახური ანონიმურ საფუძველზე ყოველწლიურად აქვეყნებს ხარვეზებს ფასს-თან შესაბამისობის მიმართულებით, რომლებიც მიმოხილვისას გამოვლინდა.
	რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 საბანკო ზედამხედველის ანგარიშს ბანკების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შესახებ აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები.</p> <p>3 საბანკო ზედამხედველის ანგარიშს ბანკების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შესახებ აქვს მცირე შეზღუდვები</p> <p>4 საბანკო ზედამხედველის ანგარიშში ბანკების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შესახებ სრულად ადეკვატურია.</p>

B.5. საზედამხედველო ღონისძიებები და სანქციები ბანკებისთვის

საქართველოს რეიტინგი	<p>3</p> <p>საზედამხედველო ზომები ან სანქციები შეიძლება დაწესდეს საბანკო ზედამხედველის მიერ ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ელემენტებისთვის. ზედამხედველს შეუძლია სხვადასხვა ზომების (ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სისხლის სამართლის) გამოყენება კომპანიების ან/და დირექტორების მიმართ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.</p> <p>ზომები/სანქციები ჯანსაღია და იძლევა გონივრულ გარანტიას, რომ არცერთი არსებითი რისკი არ დარჩება რეაგირების გარეშე.</p> <p>საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი სამსახურთან თანამშრომლობით ყურადღებას ამახვილებს ფასს-ის დაცვაზე, თუმცა სანქციები სრულად არ არის აღსრულებული შეზღუდული რესურსებისა და პროცესის სიახლის გამო.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 საზედამხედველო ღონისძიებებს და სანქციებს რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს საბანკო ზედამხედველის მიერ აქვთ მნიშვნელოვანი შეზღუდვები.</p> <p>3 საზედამხედველო ღონისძიებებს და სანქციებს რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს საბანკო ზედამხედველის მიერ აქვთ მცირე შეზღუდვები.</p> <p>4 საზედამხედველო ღონისძიებები და სანქციები რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს საბანკო ზედამხედველის მიერ სრულად ადეკვატურია.</p>

4. მიკროსაფინანსო სექტორი

მიკროსაფინანსო დაწესებულებების სექტორის მიმოხილვა

142. ნარასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები (NBFIs) რეგულირდება სებ-ის¹³⁸ მიერ.
 მიკროსაფინანსო ინსტიტუტების (MFIs) განსაზღვრება მოიცავს სესხის გამცემ სუბიექტებს (LIEs), ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს და საკრედიტო კავშირებს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით¹³⁹ (2021: 3.4 პროცენტი) არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციები ერთად შეადგენდნენ მთლიანი საფინანსო სექტორის 3.43 პროცენტს. მთლიანობაში, სექტორი შედგება 36 მიკროსაფინანსო დაწესებულებისგან, 176 სესხის გამცემი სუბიექტისგან, 511 ვალუტის გადამცვლელი პუნქტისგან და ერთი საკრედიტო კავშირისგან. სექტორის ფარგლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე მოდის მთლიანი სესხების 75.8 პროცენტი, ხოლო სესხის გამცემ სუბიექტებზე 24.0

პროცენტი. ერთადერთ საკრედიტო კავშირზე მოდის მთლიანი სესხების 0.1 პროცენტზე ნაკლები და შემდგომში არ იქნება გათვალისწინებული.

143. ანგარიშის ამ თავში ყურადღება გამახვილებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე. არსებობს მკაფიო განსხვავება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის (მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების ორი დომინანტური სახეობისთვის) განსაზღვრულ საკანონმდებლო მოთხოვნებს შორის. პირველი რეგულირდება კანონით 2008 წლიდან,¹⁴⁰ წესებით, რომლებიც ეხება მათ მიერ შესასრულებელ პრუდენციულ მოთხოვნებს, მათ ზედამხედველობას, აქტივების მართვას და ფინანსური ანგარიშგების რეგულირებას. მეორე მხოლოდ 2018 წლიდან ექვემდებარება რეგულირებას და სუსტად არის აღწერილი შეზღუდული ან არარსებული მარეგულირებელი ჩარჩოს გამო.¹⁴¹ ორივე ტიპის სუბიექტი გასცემს სესხებს ფართო საზოგადოებისთვის, და ორივე თავის საქმიანობას დიდწილად ამყარებს სალომბარდო სტილის სესხებზე.

¹³⁸ სებ წლიური ანგარიში 2021

¹³⁹ სებ წლიური ანგარიში 2021

¹⁴⁰ კანონი “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ”

¹⁴¹ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 217/045 სესხის გამცემი სუბიექტების შესახებ (2018)

144. განსხვავება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ სუბიექტებს შორის ძირითადად უკავშირდება მათ სამართლებრივ უფლებებს დაფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებით. ორივე უმეტესწილად ფინანსდება პროფესიონალური და დაკავშირებული მხარის წყაროებიდან. თუმცა, სამართლებრივად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ მოიზიდონ დაფინანსება სესხის სახით რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისგან.¹⁴² 2013/4 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან სესხის ან თამასუქის სახის საცალო დაფინანსებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად.¹⁴³ შედეგად, კერძო პირებისგან მოზიდული დაფინანსება შემცირდა 2014 წელს არსებული 36.5 პროცენტთან (5 447 ფიზიკური პირი) 7.2 პროცენტამდე (437 ფიზიკური პირი 2022 წელს). თუმცა, კანონმდებლობა რომელიც უშვებს სესხით დაფინანსებას არ შეცვლილა.

145. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გამოყენებული ROSC ინდიკატორები ბანკების მიმართ გამოყენებული ინდიკატორების მსგავსია. ინდიკატორები, როგორც ასეთი, დადგენილია კარგი პრაქტიკის განსასაზღვრად სდპ-ებისთვის, რომლებსაც აქვთ საჯარო ანგარიშვალდებულება ფართო საზოგადოებისგან დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობის გამო. აღნიშნული კარგი პრაქტიკის მიზანია გამოუცდელი მეანაბრების და კრედიტორების დაცვა გამჭვირვალობის და ზედამხედველობის სათანადო დონით. როგორც ზევით 144-ე პუნქტში აღინიშნა, მიუხედავად იმისა რომ კანონმდებლობით კვლავ დაშვებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ასეთი დაფინანსების მოზიდვა, საზედამხედველო ორგანოს ჩარევით ეს პრაქტიკა თითქმის აღმოიფხვრა. შესაბამისად, ROSC ინდიკატორები

არ იქნა მიჩნეული ადეკვატურად საქართველოში დარგის ამჟამინდელი ფუნქციონირებიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები მიკროსაფინანსო სანარმოებისთვის უნდა გადაფასდეს დაფინანსების არსებული და პოტენციური წყაროების პროპორციულობის გათვალისწინებით.

146. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა გაფართოვდა პანდემიის პერიოდში.¹⁴⁴ მთლიანმა სესხებმა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის¹⁴⁵ 1.62 მლრდ. ლარი (599.6 მლნ. აშშ დოლარი)¹⁴⁶ შეადგინა, 2021 წლის 1.36 მილიარდ ლართან (439.0 მილიონი აშშ დოლარი)¹⁴⁷ შედარებით, რაც 19.1 პროცენტთან ზრდაზე მიუთითებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სესხები მოიცავს უცხოური ვალუტით დენომინირებული ინსტრუმენტების უფრო მცირე ელემენტს ვიდრე საბანკო სექტორი. უცხოური ვალუტის კომპონენტი 2022 წელს 2 პროცენტის ტოლი იყო (2021: 4 პროცენტი).

147. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ძირითადად ფინანსდება ნასესხები სახსრებით და გაუნაწილებელი მოგებით.¹⁴⁸ 2018 წელს მოთხოვნების ცვლილების შედეგად, ამ სექტორში მეანაბრები არ არიან წარმოდგენილნი.¹⁴⁹ სულ ნასესხები სახსრების მოცულობა, სუბორდინირებული სესხების გარეშე, 2022 წელს 1,011 მლნ ლარს შეადგენდა (2021: 901 მლნ ლარი), რაც მიუთითებს 12.2 პროცენტთან ზრდაზე. ნასესხები სახსრების 369 მლნ. ლარი მიღებული იყო არარეზიდენტი ინვესტორებისგან (2021: 393 მლნ. ლარი). კლება ნაწილობრივ განპირობებული იყო უკრაინაში რუსეთის შეჭრით. ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები მთლიანი სახსრები 2022 წელს 817 მლნ. ლარს შეადგენდა (2021: 685 მლნ. ლარი), ანუ ადგილი ჰქონდა ზრდას 19.3 პროცენტით. ფიზიკური პირებისგან ნასესხებმა

¹⁴² საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, მუხლი 4.1 (ვ)

¹⁴³ სებ-ის წლიური ანგარიში 2013, გვ. 93

¹⁴⁴ სებ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები, დეკემბერი 2021, 2020 და 2019.

¹⁴⁵ ამ თავის დარჩენილი ნაწილისთვის 2021, 2020 და 2019 წლის მითითება ნიშნავს შესაბამისი წლის 31 დეკემბერს არსებულ მდგომარეობას, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

¹⁴⁶ ვალუტის გაცვლითი კურსის საფუძველზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის მიერ მომზადებული საფინანსო სექტორის მიმოხილვა, სექტემბერი 2022

¹⁴⁷ ვალუტის გაცვლითი კურსის საფუძველზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის მიერ მომზადებული საფინანსო სექტორის მიმოხილვა, სექტემბერი 2022

¹⁴⁸ სებ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები, დეკემბერი 2021, 2020 და 2019

¹⁴⁹ სებ წლიური ანგარიში 2020 და 2021

სახსრებმა 2022 წელს 173 მლნ. ლარი შეადგინა (2021: 190 მლნ. ლარი). მთლიანი კაპიტალი, სუბორდინირებული ვალის ჩათვლით, 2021 წელს არსებული 607 მლნ. ლარიდან 2022 წელს 707 მილიონ ლარამდე გაიზარდა (ზრდა 16.5 პროცენტით).

148. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელში დომინირებს საცალო სესხები, კერძოდ სალომბარდო სესხები.¹⁵⁰ 2022 წელს სესხების 80 პროცენტი იყო საცალო (2021: 78 პროცენტი). დარჩენილი 20 პროცენტი გაცემული იყო იურიდიულ პირებზე ან უკავშირდებოდა ვაჭრობასა და ფიზიკურ პირთა მომსახურებას ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. 2022 წელს მთლიანი სესხების 48.46 პროცენტი წარმოდგენილი იყო სალომბარდო სესხებით (2021: 48.4 პროცენტი).

149. საკრედიტო პორტფელის ხარისხი გაუმჯობესდა. ვადაგადაცილებული სესხების წილი 2021 წელს არსებული 8.0 პროცენტიდან 2022 წელს 7.4 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო უმოქმედო სესხები 5.9 პროცენტიდან 5.5 პროცენტამდე. მთლიანი პორტფელის მიმართ შექმნილი რეზერვი წინა წელთან შედარებით ასევე შემცირდა 6 პროცენტიდან 5 პროცენტამდე.

150. სექტორის ხარისხი სტაბილურ დონეზე შენარჩუნებული.¹⁵¹ სექტორმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო სებ-ისგან 200 მლნ. აშშ დოლარის ლიკვიდურობის „სვოპის“ სახით. ეს მხარდაჭერა გაძლიერდა 2020 წელს, გაგრძელდა 2021 წლამდე და ითვლება, რომ მან დადებითი გავლენა იქონია სექტორის სტაბილურობაზე.

მარეგულირებელი

151. ტსექტორის რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. სებ-ის სტრუქტურა და მისი მმართველობა განხილულია 109-110 პუნქტებში ზემოთ, თავში II.B.3. საბანკო სექტორი.

152. მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ინსტიტუტები და სესხის გამცემი სუბიექტები ორგანიზაციულად ჰვანან ერთმანეთს, მათი ანგარიშგების და მარეგულირებელი მოთხოვნები ძალიან განსხვავებულია. ამ თავის დარჩენილი ნაწილის მიზნებისთვის ყურადღება გამახვილებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, რომლებიც რეგულირდება სებ-ის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ. თუმცა, მიიჩნევა, რომ თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გააგრძელებენ პრაქტიკას რომ არ მოიზიდონ დაფინანსება ფართო საზოგადოებისგან, მაშინ მათ მიმართ დაწესებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები შეიძლება არაპროპორციული აღმოჩნდეს მათი საჯარო ინტერესის დონესთან.

153. სებ-ის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ერთადერთი მარეგულირებელია საქართველოში. არასაბანკო ინსტიტუტების ზედამხედველობის დეპარტამენტს, როგორც მარეგულირებელ ორგანოს, უფლება აქვს განახორციელოს მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ლიცენზირება, ლიცენზიის გაუქმება, რეგულირება და ზედამხედველობა.

154. არასაბანკო ინსტიტუტების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი წესით.¹⁵² არასაბანკო ინსტიტუტების ზედამხედველობის დეპარტამენტის პასუხისმგებლობა მიკროსაფინანსო ინსტიტუტებთან დაკავშირებით მოიცავს ლიცენზიის გაცემას და გაუქმებას, შემოწმებას და რეგულირებას, წერილობითი ინსტრუქციების გაცემას და დამატებითი მოთხოვნების, შებლუდვების, საზედამხედველო ღონისძიებებისა და სანქციების დაწესებას. კანონმდებლობისა და რეგულაციების ყველა მოთხოვნასთან, მათ შორის პრუდენციულ, საზედამხედველო ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაძლებელია

¹⁵⁰ სებ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები, დეკემბერი 2021, 2020 და 2019

¹⁵¹ სებ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები, დეკემბერი 2021, 2020 და 2019

¹⁵² საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 143/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 19/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე.

სანქციის დაწესება. ზედამხედველები ასრულებენ დოკუმენტურ შეფასებას და ასრულებენ ყველა სათანადო ღონისძიებას ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტების რისკების და შესაბამისი საზედამხედველო ქმედებების იდენტიფიცირების და შეფასების მიზნით.

155. არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს ასევე აქვს გარკვეული უფლებამოსილება აღსრულების მიმართულებით.¹⁵³ კანონმდებლობის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულაციების თანახმად დეპარტამენტის უფლებამოსილება აღსრულების თვალსაზრისით არასპეციფიკურია, უბრალოდ აღნიშნავს, რომ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს უფლება აქვს გამოიყენოს ზომები და სანქციები სამართალდამრღვევის მიმართ, მათ შორის სანქციები ფინანსური ანგარიშგების სამსახურში წარუდგენლობისთვის (სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით).

156. სებ-ი ამზადებს წლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება მის ვებგვერდზე. ანგარიში შედგენილია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.¹⁵⁴ ანგარიშში წარმოდგენილია პერსპექტივები, მიზნები, მონეტარული პოლიტიკა, ბოლოდროინდელი მოვლენები და მიღწევები, ისევე როგორც ზედამხედველობის უახლესი ღონისძიებების რეზიუმე, მათ შორის, არასაბანკო საფინანსო დაწესებულებებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში განხილულია ფასს ანგარიშგების ხარისხის განვითარება, მასში არ არის აღნიშნული ნაკლოვანებები ან შეუსაბამობის არსებობა ამ მიმართულებით.

ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის

157. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები 2017 წლიდან ვალდებული არიან შეასრულონ ფასს სტანდარტები ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.¹⁵⁵ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები განსაზღვრულნი არიან როგორც სდპ-ები (იხ. 56-ე პუნქტი ზემოთ). სებ-ის ბრძანება ამ მოთხოვნას კიდევ ერთხელ ადასტურებს.¹⁵⁶ შერჩეული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებები განხილულ იქნა ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკის და აღქმის ფარგლებში, იხ. **თავი C: ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და აღქმა.** ამ თავში აღნიშნულია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმეტესობა, სავარაუდოდ, არ შეესაბამებოდა ფასს-ს.

158. საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს ბასს¹⁵⁷-ის მიერ გამოცემული ფასს-ის სრული და მიმდინარე ვერსიის გამოყენებას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა ეფუძნებოდეს ფასს სტანდარტებს და თუ რომელიმე ნაწილი არ შეესაბამება ფასს-ს, ის გამჟღავნებულ უნდა იქნეს.

159. პრუდენციული ანგარიშგება ამჟამად ემყარება ბუღალტრული აღრიცხვის აღიარებულ წინა ეროვნულ პრინციპებს.

160. მიკროსაფინანსო ინსტიტუტები ვალდებული არიან 15 ივნისამდე საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნონ წლიური ფინანსური ანგარიშგებები.¹⁵⁸ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ისევე როგორც სხვა სუბიექტები საქართველოში, ვალდებული არიან, სამსახურს წარუდგინონ იურიდიული პირის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება არაუგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა.¹⁵⁹

¹⁵³ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 143/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 7.

¹⁵⁴ <https://nbg.gov.ge/en/publications/annual-reports> 2020 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე. 12/10/22 თარიღისთვის, 2021 წლის ანგარიში მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი.

¹⁵⁵ ფასს იურისდიქციის პროფილები.

¹⁵⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 19/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 3.

¹⁵⁷ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

¹⁵⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 19/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 3(დ).

¹⁵⁹ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

161. მიკროსაფინანსო ინსტიტუტები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ მმართველობის ანგარიშგებები. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ მოითხოვს, რომ მმართველობის ანგარიშგება ყოველწლიურად მომზადდეს და გამოქვეყნდეს. ანგარიში უნდა შეიცავდეს ბიზნესის ზოგად მიმოხილვას, კორპორაციული მართვის ანგარიშგებას, რისკის მართვის პოლიტიკის მიმოხილვას, დასაქმებულთა რაოდენობას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. მმართველობის ანგარიშგების მოთხოვნა არ შედის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების სპეციფიკურ მოთხოვნებში და, შესაბამისად, ექვემდებარება მხოლოდ სამსახურის მიერ დადგენილ ვადებს (1-ლი ოქტომბერი).

162. მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან მოამზადონ პრუდენციული ფინანსური ანგარიშგება არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი ვალის ან კაპიტალის ბაზრების ლისტინგში, არ მოეთხოვებათ ფასის შესაბამისი საჯარო შუალედური ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და გამოქვეყნება.

სავალდებულო აუდიტი და დამოუკიდებელი რწმუნების სხვა ფორმები

163. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მოეთხოვებათ თავიანთი წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის განხორციელება. სებ-ის ბრძანება,¹⁶⁰ ისევე როგორც საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, ადგენს მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოთხოვნას. მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი უნდა ჩაატაროს აუდიტორმა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სდპ-ის აუდიტი. (იხ. პუნქტი 60)

164. სამსახური პასუხისმგებელია აუდიტორული პროფესიის რეგულირებაზე. ის ამტკიცებს აუდიტორულ ფირმებს, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ სდპ-ების (მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების) აუდიტი როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმებით.

165. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მისი აუდიტორი ვალდებული არიან აცნობონ სამსახურს აუდიტის დანიშნის გაუქმების შემთხვევაში.¹⁶¹ შეტყობინების მოთხოვნა უნდა მოიცავდეს ასეთი გადაწყვეტილების დასაბუთებას.

166. საქართველოში წარმოებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აუდიტორული ფირმების როტაცია.¹⁶² აუდიტის პარტნიორებს მოეთხოვებათ როტაცია ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ. აუდიტორულ ფირმებს მოეთხოვებათ როტაცია ყოველ ათ წელიწადში ერთხელ. კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ აუდიტორულ ფირმასთან ხელახალი გარიგება შეიძლება გაფორმდეს არანაკლებ 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

167. აუდიტორული ფირმებისთვის დაუშვებელია, კლიენტი მიკროსაფინანსო ინსტიტუტისთვის აუდიტორული მომსახურების გარდა, სხვა პროფესიული მომსახურების განწვა.¹⁶³ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აუდიტორს არ შეუძლია უზრუნველყოს საგადასახადო დეკლარაციებთან და ზოგად საგადასახადო კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება, იურიდიული მომსახურება, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმოდგენა მოლაპარაკებებში, შიდა აუდიტის ან კადრების მოძიების ფუნქციების შესრულება სხვა ჩამოთვლილ ფუნქციებს შორის. აუდიტორს არ აქვს უფლება გაუწიოს აუდიტის მომსახურება სუბიექტს, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე ან საფრთხე, რომელიც გამოწვეულია ფინანსური, პირადი, საქმიანი, შრომითი და/ან სხვა მიმდინარე ან მომავალი ურთიერთობებით.

¹⁶⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 19/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 3.

¹⁶¹ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“. მუხლი 58.

¹⁶² საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

¹⁶³ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“. მუხლი 16.

168. კანონი ითვალისწინებს აქციონერების მიერ აუდიტორის დანიშვნას.¹⁶⁴ აღმასრულებელი პირი აქციონერებს ან სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციას აუდიტორთან დაკავშირებით. გარე აუდიტორის დასანიშნად დასკვნითი ეტაპია აქციონერების მიერ კენჭისყრაში მონაწილეობა.

აუდიტის კომიტეტი

169. კანონი „მენარმეთა შესახებ“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან მოითხოვს აუდიტის კომიტეტის არსებობას.¹⁶⁵ სდპ-ის (რომელიც მოიცავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც) აუდიტის კომიტეტი უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. კომიტეტი უნდა შედგებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან და მასში შედიოდეს მინიმუმ ერთი დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტს ევალება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების ზედამხედველობა. კომიტეტის წევრები კომპეტენტური უნდა იყვნენ სუბიექტის საქმიანობაში და ერთ-ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს კომპეტენცია ბუღალტრულ აღრიცხვაში ან აუდიტში. კომიტეტმა რეგულარულად უნდა წარუდგინოს ანგარიშგება სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერებს. პრაქტიკაში, ყველა მიკროსაფინანსო ინსტიტუტს არ აქვს აუდიტის კომიტეტი.

ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა/ გამოქვეყნება

170. სდპ-ები ვალდებული არიან ყოველწლიურად წარადგინონ ფინანსური ანგარიშგებები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ისევე როგორც სხვა სდპ-ებს საქართველოში, მოეთხოვებათ სამსახურისთვის გასული წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ყოველი წლის 1-ლ ოქტომბრამდე. ეს მოთხოვნა გულისხმობს ქართულ ენაზე სრული ფასს-ის

შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების კომპლექტს და მმართველობის ანგარიშგებას. სამსახური ახორციელებს წარდგენილი ინფორმაციის ვალიდაციას, რის შემდეგაც ის გამოქვეყნდება მის ვებგვერდზე.

მონიტორინგი და აღსრულება - ფინანსური ანგარიშგება

171. არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს არ ჰყავს ფინანსური ანგარიშგების განხილვაზე პასუხისმგებელი ცალკე გუნდი. არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი განიხილავს წლიური მარეგულირებელი ანგარიშგების შეჯერებას ფასს ფინანსურ ანგარიშგებებთან ამ უკანასკნელთა გამოქვეყნების შემდეგ (15 ივნისი). არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი აუდიტორებისგან ითხოვს მენეჯმენტის წერილს და განიხილავს მას. სხვა შემთხვევებში, არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი ეყრდნობა სამსახურის მიერ განხორციელებულ პროცესს.

172. სამსახურს აქვს ფინანსური ანგარიშგების ფასს-თან შესაბამისობის განხილვის პროცესი. სამსახური ირჩევს ფინანსურ ანგარიშგებას განსახილველად რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით.¹⁶⁶ სამსახური აქვეყნებს ანგარიშს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით მიღებული შედეგების შესახებ. სამსახურის შესაძლებლობები და უნარი, შეასრულოს ფასს-თან შესაბამისობის ეს შეფასება, განხილულია ამ ანგარიშის სხვა თავში.

173. ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების აღსრულება არ არის გათვალისწინებული რეგულაციებით. არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი არ აწესებს სანქციებს შეუსაბამო წლიური ფინანსური ანგარიშგებებისთვის. აუდიტორებს არ მოეთხოვებათ არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმირება, თუ ისინი აპირებენ პირობითი დასკვნის გაცემას.

¹⁶⁴ საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 57.7, კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, ბრძანება 215/04

¹⁶⁵ საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 57

¹⁶⁶ <https://saras.gov.ge/en/News/Detail/2614> “წლიური ანგარიშგების განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები”

არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი არ იღებს საზედამხედველო ზომებს, თუ ლისტიგში შემავალი კომპანია მიიღებს არამოდიფიცირებული მოსაზრებისგან განსხვავებულ დასკვნას. სამსახურს შეუძლია ფასს-თან ნებისმიერი გამოვლენილი შეუსაბამობა აცნობოს ეროვნულ ბანკს შემდგომი ქმედებებისთვის. თუმცა, იმის გამო, რომ ეს შედარებით ახალი პროცესია, სანქციები ჯერ არ არის გამოყენებული.

174. არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი ეყრდნობა სამსახურს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აუდიტორებზე დაკვირვების თვალსაზრისით.

აკრედიტებული აუდიტორული ფირმები და აუდიტორები ვალდებული არიან ითანამშრომლონ სამსახურთან ფირმის აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შესამოწმებლად. სამსახურის შესაძლებლობები და უნარი ამ შეფასებების განსახორციელებლად განხილულია ამ ანგარიშის სხვა თავში და ზოგადად კარგია. სამსახური აცნობებს არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის შედეგის შესახებ.

175. კანონი და რეგულაციები არ მოითხოვს არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის აუდიტორებთან რეგულარული შეხვედრების გამართვას; და პრაქტიკაში შეხვედრები არ ტარდება.

კორპორაციული მართვა

176. არ არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. კორპორაციული მართვის ზოგიერთი ასპექტი გათვალისწინებულია საქართველოს კანონებში „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ და „მენარმეთა შესახებ“.

5. სადაზღვევო სექტორი

სადაზღვევო სექტორის მიმოხილვა

177. სადაზღვევო სექტორში საკმაოდ სწრაფი ზრდა აღინიშნა.¹⁶⁷ მთლიანმა გამოწერილმა პრემიამ 2022 წლის 31 დეკემბერს¹⁶⁸ დასრულებული წლისთვის 909 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 1.46 პროცენტი იყო. პრემიის სახით მიღებული შემოსავალი 2021 წელს გაიზარდა 773 მილიონი ლარიდან 17.6 პროცენტით და 45.5 პროცენტით აღემატება პანდემიამდელ დონეს. 2020 წელს პრემიების ზრდაზე გავლენა იქონია COVID-19-მა, მაგრამ ამ მაჩვენებელმა მაინც 7 პროცენტი შეადგინა. პრემიიდან მიღებული შემოსავალი 2017 წლის შემდეგ ორჯერ და მეტად გაიზარდა. მთლიანი ზარალი გაიზარდა 91 პროცენტით იმავე ექვსწლიან პერიოდში და 2022 წელს 475 მილიონ ლარს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანი ზრდაა, ის შესაბამისობაშია განვითარებადი ბაზრების ზოგად საერთაშორისო ტენდენციებთან.

178. სადაზღვევო სექტორი 18 დაწესებულებით არის წარმოდგენილი. თვრამეტივე კომპოზიტური მზღვეველია, თუმცა, მიუხედავად ამისა სიცოცხლის დაზღვევის პოლისების რაოდენობა დაბალია. არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ შიდა გადაზღვევით იქნებოდა დაკავებული. ხუთი სადაზღვევო კომპანია უცხოურ მფლობელობაშია და ცამეტი კი ადგილობრივ კერძო საკუთრებაშია. სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია არ არსებობს. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტიგში ერთი ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიაა წარმოდგენილი. ასევე რეგისტრირებულია 17 სადაზღვევო ბროკერი, რაც ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

179. სადაზღვევო ინდუსტრია ვითარდება, თუმცა მასში კვლავ ჯანდაცვის პროდუქტები (პრემიების 41 პროცენტი) დომინირებს.¹⁶⁹ ჯანდაცვის პროდუქტები თანმიმდევრულად იზრდებოდა, მაგრამ კლებულობს მათი წილი მთლიან ბაზარზე (2017 წელს ბაზრის 44.7 პროცენტი). ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის

¹⁶⁷ სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკა, დეკემბერი 2022.

¹⁶⁸ ამ თავის დარჩენილი ნაწილისთვის მინიშნებები 2021, 2020 და 2019 წლებთან დაკავშირებით ნიშნავს იმავე წლის 31 დეკემბერს, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული

¹⁶⁹ დაზღვევის ზედამხედველთა წლიური ანგარიში 2018 - 2021.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ყველაზე სწრაფად მზარდი მიმართულებაა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში; თუმცა, ეს გამოწვეული იყო 2018 წელს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად.¹⁷⁰ სიცოცხლის დაზღვევა ბაზრის მხოლოდ 8 პროცენტს შეადგენს, მაგრამ ის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტია, რომელიც გაიზარდა 2017 წელს არსებული 5.6 პროცენტიანი მაჩვენებლიდან.

180. გადაზღვევის ხელმისაწვდომობა ასევე იზრდება ბოლო ექვსი წლის განმავლობაში გადაზღვევის პრემიების გაორმაგებით (97 მლნ. ლარი 2017 წელს და 237 მლნ. ლარი 2022 წელს).¹⁷¹ 2019 წელს მთლიანი გადახდილი მოთხოვნები 76 მლნ. ლარით გაიზარდა და 533 მლნ. ლარი შეადგინა, რაც გამოწვეული იყო ორი სადაზღვევო სუბიექტის პორტფელში არსებული ძირითადი მოთხოვნებით. ამ სუბიექტების გადაზღვევის ეფექტურობამ და სიმტკიცემ ორი სადაზღვევო კომპანია გაკოტრებისგან იხსნა.

181. სექტორის ხარისხი სტაბილურად შენარჩუნებულია. ხუთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია დომინირებს ბაზარზე, რომელთა გაერთიანებული წილი 67 პროცენტს შეადგენდა 2022 წელს. ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები სადაზღვევო კომპანიების ბალანსზე არსებული აქტივების ყველაზე დიდი კლასია (35.8 პროცენტი), რასაც მოჰყვება დებიტორული დავალიანება სადაზღვევო და გადაზღვევის ოპერაციების მიხედვით (31.6 პროცენტი). სადაზღვევო კომპანიები საშუალოდ 50 პროცენტით აჭარბებენ კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს.

დაზღვევის მარეგულირებელი

182. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური 2013 წელს დაარსდა მთავრობის დადგენილების საფუძველზე.¹⁷² ის არის მანამდე სებ-ში

არსებული დაზღვევის ზედამხედველის უფლებამონაცვლე. სამსახური დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია უშუალოდ საქართველოს მთავრობის წინაშე.

183. მისი პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს კანონით „დაზღვევის შესახებ“.¹⁷³ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული ფუნქციები მოიცავს სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობის ხელშეწყობას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, სადაზღვევო სუბიექტების ფინანსური გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფას და კონკურენტული გარემოს შექმნას. სამსახური ასევე პასუხისმგებელია არასახელმწიფო საპენსიო სქემების ზედამხედველობაზე.

184. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მმართველობის სტრუქტურა განსაზღვრულია კანონით.¹⁷⁴ სამსახურთან იქმნება საკონსულტაციო ფუნქციების მქონე სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 7 წევრისგან. მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი 2 ექსპერტი არასამთავრობო სექტორიდან. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც 5 წლის ვადით, სამსახურთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს მთავრობა.

¹⁷⁰ საქართველოს კანონი „ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“

¹⁷¹ დაზღვევის ზედამხედველი -სადაზღვევო ბაზრის ფინანსური ინდიკატორები, დეკემბერი 2022

¹⁷² მთავრობის დადგენილება # 102 (2013) სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ

¹⁷³ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“.

¹⁷⁴ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 19

185. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური არის სადაზღვევო სექტორის ერთადერთი ზედამხედველი საქართველოში.¹⁷⁵ როგორც საზედამხედველო ორგანო, სამსახური უფლებამოსილია გასცეს და გააუქმოს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია, განახორციელოს სადაზღვევო კომპანიების და სადაზღვევო ბროკერების რეგულირება და ზედამხედველობა. მისი უფლებამოსილება ასევე მოიცავს რეზერვების განსაზღვრისა და შექმნის პროცედურების დადგენას, ნებადართული აქტივების და ასევე, აქტივების ვალდებულებებთან ფარდობის, ვალდებულებების კაპიტალთან ფარდობის და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების განსაზღვრას. სამსახური განსაზღვრავს შიდა აღრიცხვის მოთხოვნებს და ამზადებს მეთოდოლოგიურ და საკონსულტაციო დოკუმენტებს დაზღვევის საკითხებზე.

186. ISSSG -ს ფართო საზედამხედველო უფლებამოსილებები აქვს.¹⁷⁶ ISSSG -ს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ვალდებულებების შესასრულებლად. ISSSG შეიმუშავებს და ახორციელებს საზედამხედველო ანგარიშების პროცესს, როგორც რეგულარული, ისე სპეციფიკური ანგარიშების მოთხოვნების ჩათვლით. ეს ანგარიშები მოიცავს ფინანსურ ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს. ფინანსური ანგარიშები დაფუძნებულია ფასს-ის და სპეციფიკური მარეგულირებელი მოთხოვნების ერთობლიობაზე, რომელიც ეფუძნება წინდახედულ და გარკვეულ კონსერვატულ მიდგომებს.

187. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს ასევე აქვს ფართო სააღსრულებო უფლებამოსილება. მას შეუძლია კონკრეტული სანქციების გამოყენება, თუ სადაზღვევო კომპანიამ დაარღვია დაზღვევის შესახებ კანონის დებულებები, მათ შორის, არ შეასრულა ზედამხედველის რომელიმე ინსტრუქცია ან პროცედურა. ეს დარღვევები მოიცავს ანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევას ან არასწორი ანგარიშების წარდგენას. ზედამხედველობის სამსახურს შეუძლია დამრღვევს გაუგზავნოს

წერილობითი გაფრთხილება ან მიიღოს სპეციალური ზომები მის მიმართ, დაუნესოს ფულადი ჯარიმები, შეუჩეროს მოგების განაწილების უფლება ან სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლება, მათ შორის გაუუქმოს ლიცენზია.

188. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური ამზადებს წლიურ ანგარიშს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია. ანგარიში გამოქვეყნებულია ISSSG -ს¹⁷⁷ ოფიციალურ ვებგვერდზე და ეგზავნება გარკვეულ დაინტერესებულ მხარეებს. ანგარიში აანალიზებს დარგის მდგომარეობას და განიხილავს განხორციელებულ და მოსალოდნელ ცვლილებებს მარეგულირებელ, სამართლებრივ და კონკურენტულ გარემოში. ის არ განიხილავს ფინანსური ანგარიშების საკითხებს.

189. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური დამოუკიდებლად ფინანსდება.¹⁷⁸ დაფინანსების ძირითადი წყაროა საზედამხედველო მოსაკრებელი, რომელიც გამოითვლება როგორც წლიური მიღებული პრემიის 1 პროცენტი და გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევით მიღებული მზღვეველის წლიური მოგების 1 პროცენტი.

ფინანსური ანგარიშების მოთხოვნები სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის

190. სადაზღვევო კომპანიებს 2017 წლიდან მოეთხოვებათ ფასს-ის შესრულება ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშების მიზნებისთვის. მსხვილ სდპ-ებს დანერგული უნდა ჰქონოდათ ფასს-ი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. სადაზღვევო კომპანია განისაზღვრება საზოგადოებრივი დაინტერესების პირად „დაზღვევის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

191. კანონი მოითხოვს ფასს-ის სრული და მოქმედი ვერსიის გამოყენებას, რომელიც გამოქვეყნებულია ბასსს-ის მიერ.¹⁷⁹ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები

¹⁷⁵ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილება რეგულირებასთან დაკავშირებით შემოიფარგლება მისი როგორც საზედამხედველო ორგანოს სამართლებრივი სტატუსით. თუმცა, ეს არ ახდენს გავლენას მის უნარზე განახორციელოს ფინანსური ანგარიშების მოთხოვნების ეფექტური ზედამხედველობა.

¹⁷⁶ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 21.

¹⁷⁷ www.insurance.gov.ge

¹⁷⁸ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 19.

¹⁷⁹ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ“.

მომზადებული უნდა იყოს ფასს სტანდარტების საფუძველზე და თუ რომელიმე ნაწილი არ შეესაბამება ფასს-ს, ის გამჟღავნებულ უნდა იქნეს. ამჟამად სადაზღვევო კონტრაქტები აღრიცხულია და მათ შესახებ ანგარიშგება წარმოებს ფასს 4-ის შესაბამისად („სადაზღვევო ხელშეკრულებები“). მაგრამ „ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები“ იქნება გამოყენებული 2023 წლიდან. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური აწარმოებს დარგის მონიტორინგს და დახმარებას უწევს კომპანიებს ახალი სტანდარტის დანერგვაში. შერჩეული სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგება განიხილებოდა ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკისა და აღქმის ფარგლებში. მიმოხილვამ დაასკვნა, რომ სადაზღვევო კომპანიების უმეტესობა სავარაუდოდ შესაბამისობაში იყო ფასს-ის მოთხოვნებთან, მაგრამ გამოვლინდა შეუსაბამობის შემთხვევები. დეტალებისთვის იხ. **თავი C: ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და აღქმა.**

192. პრუდენციული ანგარიშგება ამჟამად ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების წარვეს. ფინანსური ანგარიშგების კონკრეტული მოთხოვნები რეგულირების მიზნებისთვის იყენებს გაცილებით უფრო კონსერვატულ მიდგომას გარკვეული მუხლების მიმართ როგორებიცაა უიმედო ვალის რეზერვები, შემოსავალი სუბროგაციიდან, განუული, მაგრამ აღურიცხავი რეზერვი და შესყიდვის გადავადებული ხარჯები. სხვა კომპონენტების აღრიცხვა და ანგარიშგება საჭიროა ფასს-ის შესაბამისად. სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ ცალკე შედარებითი ცხრილის წარდგენა, რომელშიც მითითებულია განსხვავებები მარეგულირებელ ანგარიშგებასა და ფასს-ს შორის, და ასევე შესაბამისი განმარტებების მიწოდება. ასევე არსებობს კონკრეტული განსხვავებები შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებაში საგადასახადო მიზნებისთვის.

193. სადაზღვევო კომპანიები ვალდებულნი არიან სამსახურს წარუდგინონ აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები და ისინი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ. კანონი „დაზღვევის შესახებ“

სადაზღვევო კომპანიებს ავალდებულებს, რომ აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები სამსახურს წარუდგინონ არაუგვიანეს ყოველი წლის 15 აპრილისა.¹⁸⁰ სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ საკუთარ ვებ-გვერდზე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება იმავე დღეს. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური ასევე აქვეყნებს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს თავის ვებგვერდზე. სადაზღვევო კომპანიები, ისევე როგორც სხვა სუბიექტები საქართველოში, ვალდებულნი არიან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარუდგინონ იურიდიული პირის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება არაუგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა.¹⁸¹

194. სადაზღვევო კომპანიები ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ მმართველობის ანგარიშგება.

საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ მოითხოვს მმართველობის ანგარიშგების ყოველწლიურ მომზადებას და გამოქვეყნებას. ანგარიში უნდა შეიცავდეს ბიზნესის ზოგად მიმოხილვას, კორპორაციული მართვის ანგარიშგებას, რისკის მართვის პოლიტიკის მიმოხილვას, დასაქმებულთა რაოდენობას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. მმართველობის ანგარიშგებების მოთხოვნა არ შედის მზღვეველებისთვის განკუთვნილ კონკრეტულ ანგარიშგების მოთხოვნებში და, შესაბამისად, ექვემდებარება მხოლოდ სამსახურის მიერ დადგენილ ვადას (1-ლი ოქტომბერი). ანგარიშები ასევე ხელმისაწვდომია დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურისთვის მოთხოვნის შემთხვევაში.

195. მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ რეგულარული პრუდენციული ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურისთვის, იმ კომპანიებს, რომლებიც არ არიან წარმოდგენილნი ვალის ან კაპიტალის ბაზრების ლისტინგში, არ მოეთხოვებათ ფასს-ის შესაბამისი შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ან გამოქვეყნება.

¹⁸⁰ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 14(3).

¹⁸¹ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

სავალდებულო აუდიტი და დამოუკიდებელი რწმუნების სხვა ფორმები

196. სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ თავიანთი წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის განხორციელება. ეს მოთხოვნა განსაზღვრულია საქართველოს კანონით „დაზღვევის შესახებ“ და კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

სადაზღვევო კომპანიების წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა შემოწმდეს აუდიტორის მიერ, რომელსაც აქვს სდპ -ს აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება (იხ. პუნქტი 60).

197. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტორული პროფესიის რეგულირებაზე. ის ადგენს აუდიტის სტანდარტებს სადაზღვევო კომპანიებისთვის. საქართველოში მიღებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB-ის) მიერ გაცემული სრული და მოქმედი ასს-ები. ასევე, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ სამსახურს აძლევს დამატებითი ანგარიშგების და სხვა მოთხოვნების დაწესების უფლებას.

198. სამსახური ამტკიცებს აუდიტორულ ფირმებს, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ სდპ-ების (მათ შორის სადაზღვევო კომპანიების) აუდიტი როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი კრიტერიუმების საფუძველზე. პროცესი მოიცავს აუდიტორული ფირმების პროცესების რეგულარულ სიღრმისეულ შემოწმებას. დაზღვევის ზედამხედველი საკუთარი პროცესის არქონის გამო ეყრდნობა სამსახურს იმ აუდიტორების იდენტიფიკაციის და რეგულირების მიზნით, რომლებსაც აქვთ სადაზღვევო კომპანიების აუდიტის განხორციელების უფლება.

199. სადაზღვევო კომპანია და მისი აუდიტორი ვალდებული არიან სამსახურს აცნობონ დანიშნული აუდიტის გაუქმების შემთხვევაში.¹⁸² შეტყობინებაში დასაბუთებული უნდა იყოს გადაწყვეტილება გაუქმების შესახებ.

200. საქართველოში წარმოებს სადაზღვევო კომპანიების აუდიტორული ფირმების როტაცია.¹⁸³ აუდიტის პარტნიორებს მოეთხოვებათ როტაცია ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, ხოლო აუდიტორულ ფირმებს ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ აუდიტორულ ფირმასთან ხელახალი გარიგება შეიძლება გაფორმდეს არანაკლებ 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. სადაზღვევო კომპანიებმა აუდიტის ჩასატარებლად ტენდერი უნდა გამოაცხადონ.

201. აუდიტორული ფირმებისთვის დაუშვებელია, კლიენტი სადაზღვევო კომპანიისთვის აუდიტორული მომსახურების გარდა, სხვა პროფესიული მომსახურების განევა.¹⁸⁴ სადაზღვევო კომპანიის აუდიტორს არ შეუძლია უზრუნველყოს საგადასახადო დეკლარაციებთან და ზოგად საგადასახადო კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება, იურიდიული მომსახურება, სადაზღვევო კომპანიის წარმოდგენა მოლაპარაკებებში, შიდა აუდიტის ან კადრების მოძიების ფუნქციების შესრულება სხვა ჩამოთვლილ ფუნქციებს შორის. აუდიტორს არ აქვს უფლება გაუწიოს აუდიტის მომსახურება სუბიექტს, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე ან საფრთხე, რომელიც გამოწვეულია ფინანსური, პირადი, საქმიანი, შრომითი და/ან სხვა მიმდინარე ან მომავალი ურთიერთობებით. ეს დებულება შესაბამისობაშია ევროკავშირის რეგლამენტთან აუდიტის შესახებ.

202. კანონი ითვალისწინებს აქციონერების მიერ აუდიტორის დანიშვნას.¹⁸⁵ აღმასრულებელი პირი აქციონერებს ან სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციას აუდიტორთან დაკავშირებით. გარე აუდიტორის დასანიშნად დასკვნითი ეტაპია აქციონერების მიერ ხმის მიცემა.

¹⁸² საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, მუხლი 58.

¹⁸³ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

¹⁸⁴ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 16.

¹⁸⁵ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 57.7.

203. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს არ აქვს უპირობო უფლებამოსილება უარი განაცხადოს აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით ან გააუქმოს აუდიტორის დანიშვნა. სადაზღვევო კომპანიებმა არ უნდა აცნობონ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს აუდიტორის გადადგომის ან დანიშვნის შეწყვეტის შესახებ. თუმცა, ინფორმაცია აუდიტორის შესახებ აისახება ყოველთვიურ საზედამხედველო ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტის კომიტეტი

204. კანონი „მენარმეთა შესახებ“ მოითხოვს სადაზღვევო კომპანიებში აუდიტის კომიტეტის არსებობას.¹⁸⁶ სდპ-ის (მათ შორის სადაზღვევო კომპანიების) აუდიტის კომიტეტი უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. კომიტეტი უნდა შედგებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან და მინიმუმ ერთი დამოუკიდებელი წევრისგან. აუდიტის კომიტეტს ევალება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობა, ასევე ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ზედამხედველობა. კომიტეტის წევრები კომპეტენტური უნდა იყვნენ სუბიექტის საქმიანობაში და ერთ-ერთი წევრი მაინც უნდა იყოს კომპეტენტური ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტის სფეროში. კომიტეტი რეგულარულად უნდა აწარმოებდეს ანგარიშგებას სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა წინაშე.

205. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშავა ცვლილებები აუდიტის კომიტეტის თაობაზე „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანად. ამ ცვლილებების მიხედვით, სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ აუდიტის კომიტეტის არსებობა, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან, რომელთაგან ერთი დამოუკიდებელი წევრია. წევრებს მოეთხოვებათ შესაბამისი გამოცდილება დაზღვევასა და ფინანსებში. აუდიტის კომიტეტმა რეგულარულად უნდა წარუდგინოს ანგარიშში სადაზღვევო კომპანიის საბჭოს.

ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა/ გამოქვეყნება

206. სადაზღვევო კომპანიები ვალდებული არიან ყოველწლიურად წარადგინონ ფინანსური ანგარიშგებები დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურში და გამოაქვეყნონ თავიანთ ვებგვერდზე 15 აპრილამდე. სადაზღვევო კომპანიებს, ისევე როგორც სხვა სდპ-ებს საქართველოში, მოეთხოვებათ სამსახურისთვის გასული წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ყოველი წლის 1-ლ ოქტომბრამდე. ეს მოთხოვნა გულისხმობს ქართულ ენაზე სრული ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების კომპლექტს და მმართველობის ანგარიშგებას. სამსახური ახორციელებს წარდგენილი ინფორმაციის ვალიდაციას, რის შემდეგაც ის გამოქვეყნდება REPORTAL-ზე. ფინანსური ანგარიშგებების გავრცელების სხვა დამატებითი მოთხოვნები არ არსებობს.

მონიტორინგი და აღსრულება - ფინანსური ანგარიშგება

207. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ქვედანაყოფი - ფინანსური ანგარიშგების და ანალიზის განყოფილება პასუხისმგებელია სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვაზე. ეს სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების განხილვაზე, და კონკრეტულად კი ფასს ფინანსური ანგარიშგების და გამჟღავნების მოთხოვნების დაცვის დადასტურებაზე. განყოფილება ასევე განიხილავს აუდიტორთა ანგარიშებს. საქართველოში ჩვეულებრივ სადაზღვევო კომპანიების წლის ბოლო ნიშნავს, რომ ფინანსური ანგარიშგებების განხილვისთვის დრო არასაკმარისია. განყოფილებას ჰყავს ხუთი თანამშრომელი და მისი საქმიანობა ძირითადად ფოკუსირებულია მთავარ განსხვავებებზე ბუღალტრული აღრიცხვის და პრუდენციულ ღონისძიებებს შორის, და ასევე

¹⁸⁶ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 57.1.

მაღალრისკიან სფეროებზე, როგორცაა მაგალითად რეზერვის შექმნა. თუმცა, მთავარი მიზანია გამოქვეყნებამდე ფინანსური ანგარიშგებების სრულად განხილვა. სამსახურს აქვს ასევე დამატებითი პროცესი ფინანსური ანგარიშგებების ფასს-თან შესაბამისობის შესაფასებლად.

208. რეგულაციებში მკაფიოდ არ არის გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების აღსრულება. თუ სადაზღვევო კომპანიის უხეში დაუდევრობის ან არასწორი ქმედების შედეგად ადგილი აქვს მცდარი ინფორმაციის წარდგენას, საჭიროა შესაბამისი კორექტირების განხორციელება და სანქციების გამოყენება. სანქციები შეიძლება მოიცავდეს გაფრთხილებას, ჭარიმას, ლიცენზიის შეჩერებას ან გაუქმებას, ან მძიმე შემთხვევებში, საკითხი შეიძლება გადაეცეს სისხლის სამართლის შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს. არასაკმარისი დარეზერვების რამდენიმე ადრე გამოვლენილმა შემთხვევამ ადგილზე შემოწმება გამოიწვია. სამსახურს შეუძლია ფასს-თან გამოვლენილი შეუსაბამობა დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს აცნობოს შემდგომი ქმედებებისთვის. თუმცა, იმის გამო, რომ ეს შედარებით ახალი პროცესია, ჯერ არ ჰქონია ადგილი სანქციების დაკისრებას.

209. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის სამსახურს სადაზღვევო კომპანიების (იხ. პუნქტი 198) აუდიტორებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად. სამსახურის მიერ განხორციელებული პროცესის დეტალები მოცემულია II.B.9 თავში: აუდიტის რეგულირება, ხარისხის უზრუნველყოფა და საჯარო ზედამხედველობა, ხოლო ეფექტიანობის მაჩვენებლები წარმოდგენილია 314-ე პუნქტში.

210. კანონი და რეგულაციები არ მოითხოვს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეგულარულ შეხვედრებს აუდიტორებთან. პრაქტიკაში შეხვედრები იმართება არარეგულარულად, მხოლოდ ძალზე კონკრეტული მიზნებისთვის. ზედამხედველს არ აქვს უფლება განსაზღვროს გარე აუდიტის ფარგლები. ასევე არ არის საჭირო აუდიტორის მხრიდან წინასწარი შეტყობინება პირობითი დასკვნის გაცემის განზრახვის შესახებ. არსებითი საკითხების ან განსხვავებების შემთხვევაში,

საჭიროა საზედამხედველო ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი კორექტირება ან ადგილზე შესაბამისი შემოწმების ინიცირება.

კორპორაციული მართვა

211. არ არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი სადაზღვევო კომპანიებისთვის. კორპორაციული მართვის ზოგიერთი საკითხი გათვალისწინებულია კანონში „დაზღვევის შესახებ“ ან კანონში „მენარმეთა შესახებ“. კორპორაციული მართვის კოდექსის არარსებობის მიუხედავად, კანონი დაზღვევის შესახებ ითვალისწინებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ კონკრეტული სანქციების დაწესებას კორპორაციული მართვის წესების დარღვევისთვის. მუშავდება ახალი სადაზღვევო კანონმდებლობა, რომელიც ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად კორპორაციული მართვის საკითხებს განიხილავს. ახალი ჩარჩო მოიცავს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ზრდის ფართო პერსპექტივებს.

ეფექტიანობის მაჩვენებლები – ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სტანდარტები სადაზღვევო კომპანიებისთვის

212. საქართველოსთვის მინიჭებული საერთო რეიტინგი ინდიკატორისთვის “ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი სადაზღვევო კომპანიებისთვის” არის 2.9 შესაძლო 4-დან, რომელიც უდრის ქვემოთ A და B ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს ($2.9 = (3.0 + 2.8)/2$).

ქვეინდიკატორი A. ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისთვის.

213. მინიჭებული რეიტინგია 3, რომელიც უდრის ქვემოთ A.1-A.3 ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (ე.ი. $3 = (3+3+3)/3$).

A.1. ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისთვის

საქართველოს რეიტინგი	3	სადაზღვევო კომპანიები ამზადებენ ფასს-ის შესაბამის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს როგორც იურიდიული, ასევე კონსოლიდირებული სუბიექტისთვის მმართველობის ცალკე ანგარიშგებასთან ერთად. მმართველობის ანგარიშგების გამოქვეყნება არ არის სავალდებულო იმავე დროს როცა ქვეყნდება ფინანსური ანგარიშგებები. საქართველოს სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც არ შედიან ვალის ან კაპიტალის ბაზრების ლისტინგში, არ მოეთხოვებათ ფასს-ის შესაბამისი შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ან გამოქვეყნება.
	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
რეიტინგის კრიტერიუმები	2	სადაზღვევო კომპანიები ვალდებული არიან მოამზადონ იურიდიული პირის ფინანსური ანგარიშგება ყოველწლიურად, ფინანსური ანგარიშგების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.
	3	“2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ მმართველობის ანგარიშგების (ან MD&A) მომზადება. სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ ფასს-ის გამოყენება კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიმართ.
	4	“3” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ ფასს-ის შესაბამისი შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

A.2. აუდიტის მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისთვის

საქართველოს რეიტინგი	3	წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი უნდა განხორციელდეს და აუდიტორებმა ცალკე უნდა დაადასტურონ თანმხლები მასალა მმართველობის ანგარიშგების ჩათვლით. სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ აუდიტის კომიტეტის შექმნა მინიმუმ სამი წევრისგან, რომელთაგან ერთი დამოუკიდებელი უნდა იყოს. არ არსებობს რეგულაციები წევრის ბოლოდროინდელი ფინანსური ან აუდიტის გამოცდილების უზრუნველსაყოფად. იხილეთ A.1. ზემოთ, არ არსებობს მოთხოვნა ლისტინგის არმქონე სადაზღვევო კომპანიებისთვის წარადგინონ ფასს-ის შესაბამისი შუალედური ანგარიშგება და, შესაბამისად, არ არსებობს მათთვის აუდიტორული მიმოხილვა.
	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
რეიტინგის კრიტერიუმები	2	იურიდიული პირის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სადაზღვევო კომპანიებისთვის ექვემდებარება ყოველწლიურ სავალდებულო აუდიტს. აქციონერები (საერთო კრებაზე) ან დირექტორთა საბჭო (ანუ მენეჯმენტისგან დამოუკიდებელი მმართველი ორგანო) კანონის თანახმად პასუხისმგებელია სადაზღვევო კომპანიების აუდიტორების დანიშვნასა და გათავისუფლებაზე.
	3	“2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: აუდიტორის დასკვნა საჭიროა იმის დასადასტურებლად, მოხდა თუ არა მმართველობის ანგარიშგების (MD&A) და სხვა ფინანსური ინფორმაციის გაცნობა ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ აუდიტის კომიტეტის შექმნა. აუდიტის კომიტეტის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი დირექტორი. მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს უახლესი და შესაბამისი ფინანსური ან აუდიტორული გამოცდილება.

A.2. აუდიტის მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისთვის

- | | |
|---|---|
| 4 | <p>“3” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად:
სადაზღვევო კომპანიების შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები განხილულ უნდა იქნეს აუდიტორების მიერ.</p> <p>აუდიტის კომიტეტი შედგება მხოლოდ დამოუკიდებელი დირექტორებისგან. მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის უახლესი და შესაბამისი გამოცდილება.</p> <p>სადაზღვევო კომპანიების აუდიტორები უნდა დაინიშნონ აქციონერების მიერ აქციონერთა საერთო კრებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დირექტორთა საბჭოს მიერ აუდიტის კომიტეტის რეკომენდაციით.</p> |
|---|---|

A.3. სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშების დროულობა და გასაჯაროება

საქართველოს რეიტინგი

- | | |
|---|--|
| 3 | <p>ყველა სადაზღვევო კომპანიამ მარეგულირებელს უნდა წარუდგინოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შემოწმებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები მომდევნო წლის 15 აპრილამდე. სრული ფინანსური ანგარიშგება აუდიტის ანგარიშის ჩათვლით მაგრამ მმართველობის ანგარიშგების გარეშე უნდა გამოქვეყნდეს მათ ვებგვერდზე იმავე დღეს. არ არსებობს ფინანსური ანგარიშგებების უფრო ფართოდ გავრცელების მოთხოვნა.</p> <p>წლიური ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობის ანგარიშგება ცალკე აუდიტის დასკვნასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე 1 -ლ ოქტომბრამდე.</p> |
|---|--|

რეიტინგის კრიტერიუმები

- | | |
|---|--|
| 1 | <p>“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> |
| 2 | <p>სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ იურიდიული პირის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თუმცა ეს შეიძლება მოხდეს შემოკლებული ან არასრული ფორმით.</p> <p>სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე წვდომა შეზღუდულია ან ხარჯებთან დაკავშირებული.</p> <p>სადაზღვევო კომპანიების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უმეტეს 9 თვე.</p> |
| 3 | <p>“2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად:
აუდიტის დასკვნა საჯაროდ ხელმისაწვდომია.</p> <p>სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსური ანგარიშგებები ფართოდ ვრცელდება, თუმცა არსებობს შეზღუდვები ხარჯების და ძიების სიმარტივის თვალსაზრისით.</p> <p>სადაზღვევო კომპანიების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უგვიანეს 6 თვე.</p> |
| 4 | <p>სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ იურიდიული პირებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის გასაჯაროება. აუდიტის ანგარიში ასევე ხელმისაწვდომია საჯაროდ.</p> <p>სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ შუალედური ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ხელმძღვანელობის კომენტარებით და ანალიზით.</p> <p>სამართლებრივი მოთხოვნები ისეთია, რომ ფინანსური ანგარიშგება ადვილად იძებნება და ხელმისაწვდომია დაბალ ფასად ან ყოველგვარი ფასის გარეშე.</p> <p>სადაზღვევო კომპანიების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ბოლო ვადაა ანგარიშგების თარიღიდან არა უმეტეს 4 თვე.</p> |

ქვეინდიკატორი B. სადაზღვევო კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების მონიტორინგი და აღსრულება.

214. მინიჭებული რეიტინგია 2.8, რომელიც უდრის ქვემოთ B.1-B.4 ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (ე.ი., $2.8 = (3+3+2+3)/4$).

B.1. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა

საქართველოს რეიტინგი	3	<p>არსებობს ფინანსური ანგარიშგების (მმართველობის ანგარიშგების გარდა) განხილვის განსაზღვრული ფუნქცია. ფინანსური ანგარიშგება განხილვება ინფორმაციის შინაარსისა და ფასს შესაბამისობის თვალსაზრისით.</p> <p>მარეგულირებელს არ აქვს უფლებამოსილება მოახდინოს ფინანსური ანგარიშგების შესწორება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ასევე ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების რისკზე დამყარებულ დამატებით მიმოხილვას ფასს-თან შესაბამისობის მიზნით. ის ახდენს შესაბამისი მიგნებების კომუნიკაციას დაზღვევის ზედამხედველთან. ყველა კომპანიის მიერ სამსახურში წარსადგენი ფინანსური ინფორმაციის მოცულობა მნიშვნელოვანია და სამსახურს აქვს მხოლოდ შეზღუდული რესურსები, რაც ამჟამად აფერხებს მონიტორინგისა და აღსრულების ღონისძიებების მასშტაბებს.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
რეიტინგის კრიტერიუმები	2	წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვას დაზღვევის ზედამხედველის მიერ აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები.
რეიტინგის კრიტერიუმები	3	წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვას დაზღვევის ზედამხედველის მიერ აქვს მცირე შეზღუდვები.
რეიტინგის კრიტერიუმები	4	წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვა დაზღვევის ზედამხედველის მიერ სრულად ადეკვატურია.

B.2. კომუნიკაცია სადაზღვევო კომპანიების გარე აუდიტორებთან

საქართველოს რეიტინგი	3	<p>აუდიტორებს მოეთხოვებათ ანგარიშგება მნიშვნელოვანი რისკის და იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გამოვლენილია მათი აუდიტის ანგარიშში. აუდიტორს არ მოეთხოვება უშუალოდ მარეგულირებლის წინაშე ანგარიშგება, და მარეგულირებელს არ აქვს უფლებამოსილება აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით.</p> <p>ზედამხედველი ხვდება აუდიტორებს სპონტანურ საფუძველზე. რწმუნება იმისა, რომ არცერთი არსებითი რისკი არ დარჩება რეაგირების გარეშე მცირეა.</p> <p>თუმცა, აუდიტორები ჩართულნი არიან კომუნიკაციაში SARAS -სა მზღვეველს შორის ფასს-თან შესაბამისობასთან დაკავშირებით.</p> <p>აუდიტორების რეგულირებაც ასევე SARAS-ის მიერ წარმოებს, რომელსაც აქვს შემოწმების რეგულარული და მტკიცე რუტინა. აუდიტორები შეიძლება ასევე დაინიშნონ სდა-ის მიერ თუ ისინი წარმოდგენილნი არიან SARAS-ის მიერ დამტკიცებულ ჩამონათვალში.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
რეიტინგის კრიტერიუმები	2	კომუნიკაციას დაზღვევის ზედამხედველსა და სადაზღვევო კომპანიების გარე აუდიტორებს შორის აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვა.
რეიტინგის კრიტერიუმები	3	კომუნიკაციას დაზღვევის ზედამხედველსა და სადაზღვევო კომპანიების გარე აუდიტორებს შორის აქვს მცირე შეზღუდვა.
რეიტინგის კრიტერიუმები	4	კომუნიკაციას დაზღვევის ზედამხედველსა და სადაზღვევო კომპანიების გარე აუდიტორებს შორის სრულად ადეკვატურია.

B.3. ანგარიშგება სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშების მიმოხილვის შესახებ

საქართველოს რეიტინგი	2	<p>ზედამხედველი ამზადებს წლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება მის ვებგვერდზე, თუმცა ამასთან დაკავშირებით რაიმე თვალსაჩინო სამართლებრივი მოთხოვნა არ არსებობს.</p> <p>ანგარიში შეიცავს ინფორმაციას სადაზღვევო სექტორის ოპერაციების, ზრდის, ლიკვიდურობის, კაპიტალის ადეკვატურობის და კორპორაციული მართვის შესახებ, მაგრამ არ არის ფოკუსირებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.</p> <p>SARAS-ი ახორციელებს სადაზღვევო კომპანიების ფასს-თან შესაბამისობის დამატებით მიმოხილვას. ის აქვეყნებს ფასს სტანდარტების შესრულების მიმართულებით მიმოხილვისას გამოვლენილ ხარვეზებს ანონიმურ საფუძველზე.</p>
	რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 დაზღვევის ზედამხედველის ანგარიშს სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შესახებ აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები.</p> <p>3 დაზღვევის ზედამხედველის ანგარიშს სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შესახებ აქვს მცირე შეზღუდვები.</p> <p>4 დაზღვევის ზედამხედველის ანგარიშს სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შესახებ სრულად ადეკვატურია.</p>

B.4. საზედამხედველო ღონისძიებები და სანქციები

საქართველოს რეიტინგი	3	<p>საზედამხედველო ზომები ან სანქციები შეიძლება დანესდეს დაზღვევის ზედამხედველის მიერ ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ელემენტებისთვის. ზედამხედველს შეუძლია სხვადასხვა ზომების (ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სისხლის სამართლის) გამოყენება კომპანიების ან/და დირექტორების მიმართ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.</p> <p>ღონისძიებები /სანქციები ჯანსაღია და იძლევა გონივრულ რწმუნებას, რომ არცერთი არსებითი რისკი არ დარჩება რეაგირების გარეშე.</p> <p>დაზღვევის ზედამხედველი ყურადღებას ამახვილებს ფასს-ის დაცვაზე, თუმცა ფასს-ის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის ხელმისაწვდომი სანქციები შეზღუდულია.</p>
	რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 საზედამხედველო ღონისძიებებს და სანქციებს რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს დაზღვევის ზედამხედველის მიერ აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები.</p> <p>3 საზედამხედველო ღონისძიებებს და სანქციებს, რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს დაზღვევის ზედამხედველის მიერ აქვს მცირე შეზღუდვები.</p> <p>4 საზედამხედველო ღონისძიებები და სანქციები, რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნეს დაზღვევის ზედამხედველის მიერ სრულად ადეკვატურია.</p>

6. სახელმწიფო საწარმოები

სახელმწიფო საწარმოების მიმოხილვა

215. საქართველო ბიზნესგარემოს რეფორმების პიონერია, თუმცა სახელმწიფო საწარმოების გავლენა კვლავ მნიშვნელოვანია. სახელმწიფო საწარმოების პორტფელი 2009 წელს არსებული 1,315 სუბიექტიდან 2021 წელს 316 სუბიექტამდე შემცირდა; აქედან 154 საწარმო ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 162 ადგილობრივი ხელისუფლების მფლობელობაშია.¹⁸⁷ გარდა ამისა, ეს სახელმწიფო საწარმოები აკონტროლებენ კიდევ 96 შვილობილ კომპანიას. თუმცა, სახელმწიფო საწარმოები რჩება არა მხოლოდ სტრატეგიულ სექტორებში, მაგალითად კომუნალურ მომსახურებაში, არამედ კომერციულ სექტორებშიც, როგორებიცაა ტრანსპორტი, წარმოება და მშენებლობა. 2020 წელს სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული იყო დაახლოებით 60,000 ადამიანი, რაც ოფიციალური სამუშაო ადგილების დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა სახელმწიფო საწარმოების პრობლემის გადასაჭრელად, რომლებიც ფოკუსირებული იყო მათი ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესებაზე. ამ ნაბიჯების მიუხედავად, პროგრესი შეზღუდულია.

216. ბევრი სახელმწიფო საწარმო დაბალი ეფექტიანობით გამოირჩევა, რაც შემოფარებას იწვევს მომსახურების მიწოდების და ფისკალური რისკის თვალსაზრისით. სახელმწიფო საწარმოები ხშირად საჭიროებენ სუბსიდიებსა და სესხებს სახელმწიფო ბიუჯეტისგან, ხოლო მათ მიერ მოქალაქეებისთვის მიწოდებული მომსახურება არაოპტიმალურია. ასევე, მათი წვლილი საჯარო ფინანსებში გადასახადებისა და დივიდენდების სახით ნომინალურზე დაბალია. 2015–2021 წლებში სახელმწიფო საწარმოებმა 1,59 მლრდ. ლარის¹⁸⁸ ოდენობის კაპიტალის ინექცია მიიღეს. ეს კაპიტალი მიზნად ისახავდა ინფრასტრუქტურული პროექტების და საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას. აღნიშნული ინექციის მიუხედავად, სახელმწიფო საწარმოების კაპიტალი შემცირდა აქტივების

გაუფასურებისა და სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული ფართომასშტაბიანი ზარალის გამო (2021 წელი იყო გამონაკლისი). პანდემიის გამო სექტორმა 300 მილიონი ლარის შემოსავალი დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს, სექტორის მოგებამ პირველად მნიშვნელოვნად გადააჭარბა ზარალს, ეს ძირითადად ვალუტის გაცვლის კურსის სხვაობით იყო განპირობებული.

217. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა სახელმწიფო საწარმოების გამორევევის გადასაჭრელად, აქცენტით ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესებაზე. ბოლო წლების მთავარი მიღწევა არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გაძლიერებული ფისკალური ზედამხედველობა და 2017 წლიდან მოყოლებული ყოვლისმომცველი ყოველწლიური ფისკალური რისკის ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას და ანალიზს სახელმწიფო საწარმოების საქმიანობისა და კორპორაციული მართვის შესახებ. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს მხრიდან სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მონიტორინგის ფუნქციის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, შეიქმნა ფისკალური რისკების მართვის სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შედგენაზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე. სახელმწიფო საწარმოების რეფორმის ყოვლისმომცველი სტრატეგია მიღებულ იქნა 2022 წლის დეკემბერში.

218. 48 მსხვილი და საშუალო სახელმწიფო საწარმო კლასიფიცირებულია როგორც სდპ და შესაბამისობაში უნდა იყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის დებულებებთან.¹⁸⁹ 2020 წლიდან ეს კომპანიები უნდა ასრულებდნენ აღნიშნული კანონის მოთხოვნებს სდპ-ებთან დაკავშირებით, მათ შორისაა, ფასს-ზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგების მომზადება და წლიური აუდიტი სრული განმარტებითი შენიშვნებით სამსახურის ვებგვერდზე.

¹⁸⁷ „საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია“

¹⁸⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ფისკალური რისკის ანალიზის დოკუმენტი, 2021 - მე-5 განახლებული გამოცემა, გვ.3.

¹⁸⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (სამსახური) მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

219. სახელმწიფო სანარმოების კლასიფიკაცია ფინანსთა სამინისტრომ 2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) დახმარებით განახორციელა.

საქართველოს ყველა სახელმწიფო სანარმოს კლასიფიკაცია განხორციელდა: (i) საჯარო კორპორაცია (სახელმწიფო სანარმოები) ან (ii) სამთავრობო სანარმოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოთი (GFSM 2014) განსაზღვრული კლასიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით.¹⁹⁰ ეს კლასიფიკაცია დამოუკიდებელია საქართველოს კანონმდებლობაში მოცემული სდპ განსაზღვრებისგან. ახალი კლასიფიკაციის მიხედვით:

- * 52 სუბიექტი განისაზღვრა როგორც საჯარო კორპორაცია, რომელიც ფუნქციონირებს როგორც სრულად კომერციული სუბიექტი ან აქვს კომერციულ სანარმოდ გარდაქმნის პოტენციალი, და
- * 183 სუბიექტი განისაზღვრა როგორც სამთავრობო სუბიექტი, რომელიც არ ახორციელებს კომერციულ საქმიანობას და მუდმივად არის დამოკიდებული სახელმწიფო სუბსიდიებზე და სხვა სახის ფინანსურ მხარდაჭერაზე.¹⁹¹

220. რამდენიმე სამთავრობო უწყება ამჟამად ფლობს და ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო სანარმოებს, რაც ართულებს ზედამხედველობის განხორციელებას, ამცირებს სახელმწიფო სანარმოების საჯარო ანგარიშვალდებულებას და იწვევს ინტერესთა კონფლიქტს მთავრობის მხრიდან მესაკუთრის და პოლიტიკის შემუშავების ფუნქციებს შორის.

აღნიშნული სხვადასხვა უწყება ახორციელებს მთავრობის მესაკუთრის ფუნქციებს მათი პორტფელის სახელმწიფო სანარმოების მიმართ, რაც ნიშნავს, რომ ისინი იღებენ საკვანძო გადაწყვეტილებებს როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერაციულ დონეზე. ეს უწყებები ადგენენ პოლიტიკას, მონაწილეობენ კენჭისყრაში აქციონერთა კრებებზე და შესაბამისად ამტკიცებენ კაპიტალის გაზრდას და ცვლილებებს კომპანიების წესდებებში. ეს ქმნის გართულებებს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისას. სახელმწიფო სანარმოების დაბალი ფინანსური მაჩვენებლების, სუსტი კორპორაციული მართვის სტანდარტების და პრაქტიკის შესახებ შეშფოთებამ, განსაკუთრებით იმ სახელმწიფო სანარმოების შემთხვევაში, რომლებიც ახორციელებენ კრიტიკული მნიშვნელობის საჯარო მომსახურებას, სახელმწიფო სანარმოები სამთავრობო რეფორმის დღის წესრიგის სათავეში მოაქცია.

ცხრილი 6. უდიდესი სახელმწიფო სანარმოები საქართველოში (მთლიანი აქტივების მიხედვით, ათასი ლარი, 2021)

სახელმწიფო სანარმოს დასახელება	სამართლებრივი სტატუსი	დარგი	მთლიანი აქტივები	თანამშრომლების მთლიანი რაოდენობა
„საპარტნიორო ფონდი“	სს	სხვა საფინანსო სერვისები, დაზღვევის და საპენსიო დაფინანსების გარდა	4,493,690	68*
მარაბდა-კარნახის რკინიგზა	შპს	რკინიგზის და მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა	1,849,788	81*
საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	სს	ელექტროენერჯის გადაცემა	1,490,336	1,531

¹⁹⁰ IMF: Government Finance Statistics Manual 2014 (<https://www.imf.org/external/np/sta/gfsm/>)

¹⁹¹ Fiscal Risk Statement, MoF.

სახელმწიფო საწარმოს დასახელება	სამართლებრივი სტატუსი	დარგი	მთლიანი აქტივები	თანამშრომლების მთლიანი რაოდენობა
საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	შპს	წყლის შეგროვება, დამუშავება და მიწოდება	1,427,882	2,851
თბილისის სატრანსპორტო კომპანია	შპს	ურბანული და ქვეურბანული სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი	719,256	6,486
ენგურჯესი	შპს	ელექტროენერჯის წარმოება	476,374	1,277
საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	შპს	ტრანსპორტირება მილსადენის მეშვეობით	204,834	839*
ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი	სს	ელექტროენერჯის დისტრიბუცია	149,778	76*
გაერთიანებული ენერჯისისტემა „საქრუსენერჯო“	სს	ელექტროენერჯის გადაცემა	146,975	288*
საქართველოს ფოსტა	შპს	საფოსტო საქმიანობა უნივერსალური მომსახურების ვალდებულების ფარგლებში	127,151	3,000
სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	შპს	გზების და ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა	84,000	67*

* დასაქმების მაჩვენებლები 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით წყარო: ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი (2020).

წყარო: ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი (2021); ფინანსური ანგარიშგებები 2021.

სახელმწიფო საწარმოების რეგულაციები

221. სახელმწიფო საწარმოები წარმოადგენენ კერძო სამართლის სუბიექტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სააქციო საზოგადოების ან შებენიერი პასუხისმგებლობის

საზოგადოების სახით. კანონი „მენარმეთა შესახებ“ არის ფუნდამენტური საკანონმდებლო ბაზა ყველა სახის იურიდიული პირისთვის, მათ შორის სახელმწიფო საწარმოებისთვის.¹⁹² ამასთან ერთად, სახელმწიფო საწარმოები რეგულირდება შრომის კოდექსით,¹⁹³ კანონით „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების

¹⁹² საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“.

¹⁹³ საქართველოს შრომის კოდექსი.

შესახებ¹⁹⁴ და კერძო კომპანიების მიმართ მოქმედი სხვა კანონებით. კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოში მოქმედ ყველა სახელმწიფო საწარმოს ეხება. ზოგიერთი ძირითადი სახელმწიფო საწარმო ასევე ექვემდებარება კონკრეტულ სამთავრობო ბრძანებებს საქონლისა და მომსახურების სპეციალური შესყიდვის შესახებ, რაც მათ აძლევს საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ზოგიერთი პროცედურის გამარტივების საშუალებას, რაც აუცილებელია მათი საქმიანობისთვის. მხოლოდ ერთი სახელმწიფო საწარმო – „საპარტნიორო ფონდი“ – რეგულირდება საკუთარი სპეციალური კანონით.¹⁹⁵

222. „სახელმწიფო საწარმოების ყოვლისმომცველი რეფორმის სტრატეგია 2023-2026 წლებისთვის“ მთავრობამ დონორთა მხარდაჭერით მიიღო.¹⁹⁶ სტრატეგია ეფუძნება სექტორიზაციას და შესაბამისად შემოიფარგლება სდპ-ებით, რომლებიც საჯარო კორპორაციებს წარმოადგენენ. ის ასახავს აღნიშნული საწარმოების სახელმწიფო საკუთრების უწყვეტობის საფუძველს. სახელმწიფო საწარმოების სტრატეგია ხუთ მიმართულებას მოიცავს და იძლევა მთავრობის მიერ საწარმოების სახელმწიფო მფლობელობის გაგრძელების დასაბუთებას, პრიორიტეტს ანიჭებს სახელმწიფო საწარმოების ორიენტაციას კომერციულად მომგებიან საქმიანობაზე, განმარტავს სახელმწიფო საწარმოების კონკურენტული ნეიტრალიტეტის პრინციპებს, ახდენს ფინანსთა სამინისტროს და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო საწარმოების ერთობლივი მფლობელობის შეთავაზებას და ადგენს კორპორაციული მართვის მოთხოვნებს. სტრატეგია მოითხოვს სახელმწიფო საწარმოების ახალი ჩარჩო კანონის შემუშავებას და ამოქმედებას, რომელმაც უნდა წარმართოს რეფორმები. კომერციული სახელმწიფო საწარმოებისთვის, რომლებიც სდპ-ებს წარმოადგენენ, სტრატეგია ითვალისწინებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელოს შესრულებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების კორპორაციული მართვის შესახებ. სტრატეგიის განხორციელება დაიწყება სამი

საპილოტო სახელმწიფო საწარმოთი, ესენია: სს „საქართველოს რკინიგზა“, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“.

ფინანსური ანგარიშგების და დამოუკიდებელი აუდიტის მოთხოვნები სახელმწიფო საწარმოებისთვის

223. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მონინავე პრაქტიკაა დანერგილი, რომელიც ყველა კერძო და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სუბიექტისგან მოითხოვს ანგარიშგებას და ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნებას. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საბოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, მსხვილმა და საშუალო სახელმწიფო საწარმოებმა 2020 წელს სდპ-ის სტატუსი მიიღეს. შესაბამისად, სახელმწიფო საწარმოები დაექვემდებარა გამჭვირვალობის უფრო მაღალ სტანდარტებს და გამჟღავნების მოთხოვნებს, მათ შორისაა ფასს-ზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების მომზადების, არაფინანსური ანგარიშგების წარდგენის და წლიური აუდიტის ჩატარების მოთხოვნები სამსახურის პორტალზე სრული გამჟღავნებით. ანგარიშგების მოთხოვნების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით აღსრულება დელეგირებულია სექტორის მარეგულირებელ შესაბამის ორგანოებზე (ესენია: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია), რომლებიც მოქმედებენ სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ეს ორგანოები მოქმედებენ თავიანთი

¹⁹⁴ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“.

¹⁹⁵ საქართველოს კანონი საქველი საზოგადოების „საპარტნიორო ფონდის შესახებ“.

¹⁹⁶ http://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/sacarmoebus_reforma/2_strategy.pdf

წესების შესაბამისად, რომლებიც შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ზომის სანქციებს და აღსრულების ვადებს.

224. სახელმწიფო საწარმოები ასევე ექვემდებარება დამატებით კონკრეტულ კანონმდებლობას მათ ზედამხედველობასთან დაკავშირებით. მაგალითად, სახელმწიფო საწარმოები ექვემდებარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებას. აღნიშნული სამსახური იმ სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობას ამოწმებს, სადაც სახელმწიფოს წილი 50 პროცენტზე მეტია, თუ საწარმოს ფასიანი ქაღალდები არ არის სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოები არ ექვემდებარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან შემოწმებას.¹⁹⁷ აღსანიშნავია, რომ დაბალი გამტარუნარიანობის გამო, აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ აუდიტი ხშირად მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ ტარდება. ანგარიშვალდებულების დამატებითი დონის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს 100 პროცენტიანი წილის მქონე საწარმოების ხელმძღვანელმა პირებმა ყოველწლიურად უნდა წარადგინონ თავიანთი ქონებრივი დეკლარაცია.¹⁹⁸

225. სახელმწიფო საწარმოების ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის ადრეული ხელმისაწვდომობის მისაღწევად, ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვრა მათი ფინანსური ანგარიშგების უფრო მკაცრი ვადები.¹⁹⁹ ახალი რეგულაცია საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე სახელმწიფო საწარმოებისგან მოითხოვს აუდირებული წლიური ფინანსური და სხვა ტიპის ანგარიშგებების წარდგენას სამსახურისთვის საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 1-ლ ივლისამდე, ხოლო არააუდირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების წარდგენას 1 -ლ აპრილამდე. თუმცა, პრაქტიკაში სახელმწიფო საწარმოები ძირითადად არ იცავენ ამ მოთხოვნას, რადგან ის ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი სანქციების მექანიზმს. ამჟამად

120 სახელმწიფო საწარმო წარადგენს თავის ანგარიშგებებს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიწოდებულ შაბლონებზე დაყრდნობით სამსახურის ვებპორტალზე გამოქვეყნებასთან ერთად. ROSC-ის შეფასების ფარგლებში განხილული ყველა სახელმწიფო საწარმოს ფინანსური ანგარიშგება, სავარაუდოდ, არ შეესაბამებოდა ფასს აღრიცხვის სტანდარტების ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს. დეტალებისთვის იხილეთ ამ ანგარიშის **თავი C: ძირითადი ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და აღქმა.**

226. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ მსხვილი ან საშუალო სიდიდის სახელმწიფო საწარმოებისგან მოითხოვს მათი წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ჩატარებას. მცირე სიდიდის სახელმწიფო საწარმოები არ ექვემდებარება სავალდებულო წლიური აუდიტის მოთხოვნას. კანონის თანახმად, ყველა აუდიტი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან (ასს).

227. 2022 წლის 10 ივნისს მიღებულ იქნა სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის მონიტორინგის სისტემა, რომელშიც შედის შვიდი სახელმწიფო საწარმო.²⁰⁰ ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს ხელმძღვანელობით ამ სისტემის მიზანია სახელმწიფო საწარმოების ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ფისკალური რისკების შემცირება და ფინანსური მართვის სტანდარტების გაუმჯობესება. მონიტორინგი არ მოიცავს ფინანსური ანგარიშგების ფასს-თან შესაბამისობის შეფასებას - ამ ამოცანას ახორციელებს სამსახური. დადგენილებას²⁰¹ შემოაქვს „კორპორაციული განზრახვის განაცხადის“ ცნება, რომელიც მიმართულია „შეზღუდული რისკების პირობებში მისაღწევი ფინანსური და არაფინანსური მიზნების განსაზღვრისკენ“. ეს განაცხადი არის ოთხწლიანი გეგმა, რომელიც წარედგინება ფინანსთა სამინისტროს და განახლდება ყოველწლიურად. შვიდმა სახელმწიფო

¹⁹⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 17.2.i

¹⁹⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება #178 „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“, მუხლი 20., 03.04.13.

¹⁹⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება N217 საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე სახელმწიფო საწარმოების და მათი შვილობილი საწარმოების ანგარიშგების ვადების განსაზღვრის შესახებ, 11 თებერვალი, 2021

²⁰⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ზედამხედველობის შესახებ“ N1012.

²⁰¹ იქვე.

საწარმომ ფინანსთა სამინისტროს პირველად 2022 წლის ოქტომბერში წარუდგინა კორპორაციული განზრახვის განაცხადები. მკაფიო მიზნის ასეთი დასახვა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია სახელმწიფო საწარმოების რეფორმის განხორციელებისას, მაგრამ რადგან ეს მოთხოვნა ახალია, ის ჯერ არ არის შემოწმებული განხორციელების ეფექტურობის თვალსაზრისით.

კორპორაციული მართვა

228. საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე სახელმწიფო საწარმოებს მოეთხოვებათ სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავდეთ არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი წევრი და ერთი წევრი მაინც, რომელიც კომპეტენტური იქნება ბუღალტრული აღრიცხვისა და/ან აუდიტის საკითხებში. სამეთვალყურეო საბჭოს მქონე სდპ-ებმა უნდა შექმნან აუდიტის კომიტეტი. იმ სახელმწიფო საწარმოებში, სადაც არ არის წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭო, უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება აქციონერთა ყოველწლიური კრების მიერ არჩეული დამოუკიდებელი წევრებით. თუმცა, სახელმწიფო საწარმოები ჯერ კიდევ აუდიტის კომიტეტების შექმნის პროცესში იმყოფებიან და ჯერ ვერ შეასრულეს კანონის ეს მოთხოვნა.

229. კორპორაციული მართვის კოდექსი სახელმწიფო საწარმოებისთვის დამტკიცდა 2021 წელს, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის ჩარჩოს დადგენისას. ის განსაზღვრავს კორპორაციული მართვის ძირითად მოთხოვნებს და ასევე შემუშავებულია რომ გამოყენებულ იქნეს „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“ მიდგომის საფუძველზე. კოდექსს დაქვემდებარებული სახელმწიფო საწარმოების ჩამონათვალი არ იყო გამოქვეყნებული ROSC A&A შეფასების მომზადების მომენტისთვის, ამიტომ სახელმწიფო საწარმოებისთვის განკუთვნილი კორპორაციული მართვის კოდექსი ჯერ არ იყო დანერგილი. თუმცა, სახელმწიფო საწარმოების სტრატეგიის მიერ შერჩეულ იქნა სამი სახელმწიფო საწარმო, მათში კორპორაციული მართვის კოდექსის პილოტირებისთვის.

7. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესია

230. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროში პროფესიული საქმიანობა არ ექვემდებარება ლიცენზირებას და სერტიფიცირებას რაიმე სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველზე ან ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; მხოლოდ აუდიტორების რეგულირება წარმოებს სახელმწიფო დონეზე. არ არსებობს კანონით განსაზღვრული მოთხოვნა, რომ ბუღალტერი იყოს ადგილობრივი პროფესიული ორგანიზაციის წევრი ან იყოს სერტიფიცირებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბუღალტერს სურს აუდიტორული მომსახურების შესასრულებლად რეგისტრაცია. პროფესიულ ორგანიზაციაში განწევრიანება სხვა შემთხვევაში ნებაყოფლობითია, თუმცა, აღნიშნულ ორგანიზაციებს აქვთ მოთხოვნები წევრად კვალიფიკაციისთვის.

231. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ განსაზღვრავს სერტიფიცირებულ ბუღალტერთა კრიტერიუმებს. სერტიფიცირებული ბუღალტერი არის ფიზიკური პირი, რომელიც სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია ამ კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს; სამსახურს განსაზღვრული აქვს პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება აუდიტორებისთვის ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და IFAC-ის მხარდაჭერით ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAESB) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES). ამ მიზნით სამსახურმა დღემდე მხოლოდ ბაფ-ის კვალიფიკაცია აღიარა.

232. სამსახურის მიერ შემუშავებული პროცესი პროფესიული ორგანიზაციის კვალიფიკაციის აღიარებასთან დაკავშირებით მოიცავს განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან (IES) შესაბამისობის დადასტურებას.

რეგისტრირებული აუდიტორების შესაბამისობა IES 8-ის მოთხოვნებთან, რომელიც ეხება აუდიტორთა განათლებას, დასტურდება აუდიტორული ფირმის მონიტორინგის პროცესით.

233. მინიმალური მოთხოვნები როგორც სერტიფიცირებული ბუღალტრებისთვის ისე პროფესიულ ორგანიზაციაში გასაწევრებლად მოიცავს შესაბამისი ხარისხის ფლობას და პროფესიული სერტიფიცირების წარმატებით დასრულებას. აუდიტორისთვის პრაქტიკული გამოცდილება განისაზღვრება, სულ მცირე, როგორც სამი წლის პრაქტიკული საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში აუდიტორის მეთვალყურეობის ქვეშ. აღნიშნულის მონიტორინგს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს. პროფესიული ორგანიზაციებისთვის ეს არის სამწლიანი გამოცდილება ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში, რომლის მონიტორინგსაც ორგანიზაცია ახორციელებს.

234. ბაფი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიული სერტიფიცირების ორ პროგრამას ადგილობრივი ბუღალტრის კვალიფიკაციის მისაღებად. პროფესიული სერტიფიცირების სრული პროგრამა შედგება 13 მოდულისგან (სრული კვალიფიკაციისგან), რომლებიც დაჯგუფებულია 3 დონეზე და ეფუძნება ქართულ ენაზე ნათარგმნ სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საკვალიფიკაციო საგანმანათლებლო პროგრამას. ამ პროგრამის დასრულების შემდეგ ხდება პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის მიღება. ბაფს ასევე აქვს 4 მოდულისგან შემდგარი სერტიფიცირების პროგრამა. პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ოთხივე მოდულში შემავალ გამოცდებს, მიიღებს სერტიფიცირებული ბუღალტრის კვალიფიკაციას. 2017 წლიდან ბაფი აღიარებულია სამსახურის მიერ როგორც პროფესიული ორგანო, რომელსაც მინდობილი აქვს თავისი წევრების სერტიფიცირების, საკვალიფიკაციო გამოცდების და განგრძობითი პროფესიული განათლების ადმინისტრირება. კანონისა და სამსახურის რეგულაციის მიხედვით, ეს პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს განათლების

საერთაშორისო სტანდარტებს, ევროკავშირის დირექტივებს და პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტს და სამსახურის მიერ დადგენილ უწყვეტი განათლების სტანდარტს. ბაფის სერტიფიცირების პროგრამა ეფუძნება ACCA სილაბუსს, მოითხოვს სამწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას და დასკვნითი გამოცდის ჩაბარებას, რომლის ადმინისტრირებასაც ბაფი ახორციელებს. სერტიფიცირების პროგრამის განახლება წარმოებს მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ, ეროვნულ კანონმდებლობაში და საერთაშორისო სტანდარტებში შესული ცვლილებების და სილაბუსების განახლებების გასათვალისწინებლად. შეფასებები და განგრძობითი პროფესიული განვითარება ხორციელდება პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და უწყვეტი განათლების სტანდარტის შესაბამისად. სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისობა დასტურდება ყოველწლიურად. ბაფი, სხვა პროფესიული ორგანიზაციები და დიდი ოთხეულის აუდიტორული ფირმები ერთობლივად ამუშავებენ განგრძობითი პროფესიული განვითარების პროგრამებს, რომლებსაც განიხილავს და ამტკიცებს სამსახური, ერთიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით.

235. სამსახური აწარმოებს ბუღალტერთა რეესტრს, რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოში სერტიფიცირებული ბუღალტრები და მათი კვალიფიკაციის ტიპი.²⁰² ეს რეესტრი ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით და დახმარებას უწევს საზოგადოების და კომპანიების წარმომადგენლებს მათი მოთხოვნების შესაბამისი სერტიფიცირებული ბუღალტრის პოვნაში. რეესტრში დაახლოებით 900 სერტიფიცირებული ბუღალტერია წარმოდგენილი. ისინი არიან ბაფის აღიარებული კვალიფიკაციის მქონე სერტიფიცირებული ბუღალტრები, აღიარებული საერთაშორისო კვალიფიკაციის მფლობელები, რომლებსაც გავლილი აქვთ ტესტირება ადგილობრივ საგადასახადო საკითხებსა და კანონმდებლობაში და აუდიტორები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ადრე აღიარებული აუდიტორის კვალიფიკაცია 2016 წელს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ ახალი კანონის მიღებამდე.

236. 2022 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა საქართველოს კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ“, ყველა ბუღალტრის და პროფესიული მომსახურების მიმწოდებელი საბუღალტრო ფირმის სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ თავმოსაყრელად. კანონში ცვლილება განხორციელდა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის საფუძველზე. ამ ცვლილებამ განსაზღვრა მოთხოვნა ბუღალტრებისა და ბუღალტრული ფირმებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიულ მომსახურებას (ძირითადად ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურება), რომ განვერვიანდნენ სამსახურის ბუღალტერთა რეესტრში და სამსახურმა შეძლოს ასეთი ბუღალტრებისთვის განგრძობითი პროფესიული განვითარების მოთხოვნების დაწესება.

237. აუდიტორი უნდა იყოს კანონით განსაზღვრული სერტიფიცირებული ბუღალტერი, რომლის სერტიფიცირების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სამსახურის მიერ ამ მიზნებისათვის აღიარებული პროფესიული ორგანიზაცია. სამსახურის მიერ მხოლოდ ერთი პროფესიული ორგანიზაცია ბაფი არის აღიარებული აუდიტორებისთვის პროფესიული სერტიფიცირებული ბუღალტრის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩასატარებლად. დეტალური შეფასების პროცესის შემდეგ, სამსახურმა აღიარა ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროცესი, როგორც სამსახურის პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტების შესაბამისი, რომელიც მოიცავს ევროკავშირის მოთხოვნებსა და განათლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მოთხოვნებს. ეს შეფასება ასევე გულისხმობს გამოცდების ხარისხს და ადმინისტრირებას, და, სწავლების და სასწავლო მასალის ხარისხს.

238. აუდიტორები სერტიფიცირების გარდა უნდა აკმაყოფილებდნენ დამატებით მოთხოვნებს, როგორებიცაა სათანადო სამუშაო გამოცდილება, განგრძობითი პროფესიული განვითარება და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.

პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციები

239. აუდიტორების გარდა, საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციები ადგენენ საკუთარ მოთხოვნებს თავიანთი წევრების მიმართ. ორ ძირითად პროფესიულ ორგანიზაციას (ბაფი და საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია (GFAAFM)) აქვს წევრობის განსხვავებული კატეგორიები (სრულუფლებიანი, ასოცირებული და ა.შ.). მოსალოდნელია, რომ ყველა წევრს აქვს უმაღლესი განათლება და საჭიროებს შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მინიმალურ პერიოდს (ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება, ეკონომიკა და ა.შ.), რომელსაც აფასებს და აკონტროლებს პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია.

240. საქართველოში ბაფი არის ყველაზე დიდი პროფესიული ორგანიზაცია და ამავე დროს IFAC-ის ერთადერთი წევრი პროფესიული ორგანიზაცია ქვეყანაში. ის დაარსდა 1996 წელს და 2000 წელს IFAC-ის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ბაფის სრულუფლებიანმა წევრებმა უნდა დაასრულონ პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამა. ორგანიზაციას ჰყავს 5,893 წევრი, საიდანაც 755 პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სრულუფლებიანი წევრია, ხოლო 5,138 ასოცირებული წევრი.

241. IFAC-ის წევრობის ფარგლებში, ბაფი პერიოდულად ამზადებს IFAC-ის წევრობის ვალდებულებებთან (SMO) თავი შესაბამისობის თვითშეფასებას SMO სამოქმედო გეგმის სახით. ბაფ-მა განახლებული თვითშეფასება 2022 წელს წარადგინა, რომელიც განიხილება IFAC-ის მიერ. IFAC-ის მიერ თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებული უახლესი შეფასება აანალიზებს 2019 წლის თვითშეფასებას. 2019 წლის სამოქმედო გეგმაზე დაფუძნებული IFAC-ის შეფასებიდან რამდენიმე ღონისძიება განხორციელდა და არის რამდენიმე სფერო, სადაც მოქმედებები მიმდინარეობს, მათ შორის მოკვლევის და დისციპლინის (I&D) სქემის გაუმჯობესება და მისი ფუნქციონირება. მას შემდეგ, რაც IFAC-ი დაასრულეს 2022 წლის სამოქმედო გეგმის შეფასებას, ბაფი დაიწყებს რეაგირებას IFAC-ის მიერ გამოვლენილ შეუსაბამობაზე ან ნაწილობრივ შესაბამისობაზე.

ცხრილი 7. პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის წევრობა 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით

წევრის კატეგორია	ქალი	მამაკაცი	სულ
ბაფი			
სრული წევრები	464	291	755
ასოცირებული წევრები	3,618	1,520	5,138
სულ	4,082	1,811	5,893
<i>აქედან საჯარო პრაქტიკის მქონე წევრები:</i>	<i>146</i>	<i>172</i>	<i>318</i>
GFAAFM			
სერტიფიცირებული აუდიტორი წევრები	70	174	244
არასერტიფიცირებული წევრები	73	37	110
სულ	143	211	354

წყარო: ბაფი, GFAAFM

242. მეორე მთავარი პროფესიული ორგანიზაციაა აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია (GFAAFM), რომლის წევრებიც არიან მცირე და საშუალო აუდიტორული პრაქტიკის წარმომადგენლები. მის შემადგენლობაში შედის 244 წევრი, რომლებიც სერტიფიცირებულნი არიან აუდიტორებად აუდიტის სერტიფიცირების წინა პროგრამით. მას ასევე ჰყავს 110 არასერტიფიცირებული წევრი და 45 კორპორაციული წევრი.

243. GFAAFM-ს აქვს შეთანხმება ტრენინგის პროვაიდერთან, თავისი წევრებისთვის ტრენინგის უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მათ შორის გადასახადებს, შიდა აუდიტს და ფინანსურ მართვას.

244. პროფესიამ საქართველოში შეიძლება სარგებელი მიიღოს პროფესიული ორგანიზაციების კონსოლიდაციით. ეს მოიტანს ეკონომიას მასშტაბის ხარჯზე და გაზრდის GFAAFM-ის წევრების წვდომას ბაფის შედარებით უფრო დიდ რესურსებზე. ასეთი კონსოლიდაცია გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

განათლების საერთაშორისო სტანდარტები

245. აუდიტორებისთვის საგანმანათლებლო მოთხოვნები დგინდება საქართველოს კანონით “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ”¹⁴ და შემდგომი დეტალები წარმოდგენილია სამსახურის წესებში და სტანდარტებში. სამსახურების რეგულაციები და სტანდარტები განსაზღვრავს ბუღალტერთა და აუდიტორთა სერტიფიცირებისთვის საჭირო შინაარსობრივ და ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. IFAC-ის მხარდაჭერით სერტიფიცირების სტანდარტები სრულად ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAESB) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) მოთხოვნებს. განათლების საერთაშორისო სტანდარტების სხვა მოთხოვნები დანერგილია აუდიტის რეგისტრაციის უწყვეტი მოთხოვნებით, მათ შორისაა სამუშაო გამოცდილების და განგრძობითი პროფესიული განათლების მოთხოვნები.

246. ბაფის 2019 წლის თვითშეფასების საფუძველზე IFAC-ის უახლესმა შეფასებამ განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ მიუთითა „ნაწილობრივ შესაბამისობაზე“. შემდგომი გაუმჯობესება აღინიშნა ROSC-ის გუნდის მიერ, მაგალითად უნივერსიტეტის კურიკულუმების შესაბამისობა პროფესიულ კვალიფიკაციასთან და ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კურიკულუმების მოდელის გამოქვეყნება სამსახურის მიერ. სამსახურის შეფასებით, ბაფის კვალიფიკაცია შეესაბამება განათლების საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ IFAC-ის რეიტინგი მოცემულია ქვემოთ, ROSC A&A პროცესის მოთხოვნების შესაბამისად. IFAC-ი ამჟამად აფასებს ბაფის განახლებულ თვითშეფასებას, რომელიც წარდგენილია 2022 წელს.

247. ბაფის პროფესიული კვალიფიკაცია მოქმედებს უკვე 15 წელზე მეტი ხანია და სრულად შეესაბამება განათლების საერთაშორისო სტანდარტებს და ევროკავშირის მოთხოვნებს აუდიტორულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სამსახურის აღიარებით. ის ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე და კარგად შეესაბამება ACCA-ს პროფესიულ კვალიფიკაციას. ბაფს აქვს სასწავლო მასალები კვალიფიკაციის თითოეული საგნისთვის, რომელიც რეგულარულად განახლდება და მაღალი ხარისხისაა. თუმცა, ბაფმა ითხოვა დონორთა დახმარება მასალების მოსამზადებლად, საჭირო თანხების არასაკმარისობის გამო. ბაფის აზრით, სამსახურის შეფასების პროცესის მიხედვით დაწესებული მასალების განახლების სიხშირე ზედმეტად მაღალია. უფრო შესაფერისი და ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ იმ მასალების განახლება, რომლებიც შეესაბამება სტანდარტების ცვლილებებს და ა.შ. ბაფი ასევე ატარებს ტრენინგს კვალიფიკაციის საგნებში. საგანმანათლებლო პროცესიდან მიღებული შემოსავალი ბაფის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

248. ბაფის ფინალურ გამოცდებში წარმატების მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება. ბოლო სამი წლის განმავლობაში ფინალურ გამოცდაზე 1,530 კანდიდატი დარეგისტრირდა, მათ შორის 1,193 ქალი და 337 მამაკაცი. ამ პერიოდში ფინალური გამოცდა ჩააბარა 1,130 (73.8 პროცენტი) კანდიდატმა, მათ შორის 872 ქალმა და 275 მამაკაცმა.

249. ბაფი მუშაობს უნივერსიტეტებთან და სხვა ორგანიზაციებთან, ჩათვლის შესათავაზებლად

მის კვალიფიკაციაში შემავალი საგნებისთვის. პროგრამა მოიცავს სერტიფიცირების სამ ეტაპს (1-ლი, მე-2 და მე-3 დონეები). პროგრამის 13 მოდულიდან კანდიდატი შეიძლება გათავისუფლდეს 8 მოდულში 1-ლ და მე-2 დონეზე. ჩათვლები არ არის ხელმისაწვდომი მე-3 დონეზე. ჩათვლა შეიძლება მინიჭებულ იქნეს იმის დადასტურების შემდეგ, რომ შესაბამისი ცოდნა იქნა მიღებული და სათანადოდ ჩატარდა გამოცდები ბაფის მიერ ადეკვატურად აღიარებულ დაწესებულებებში, დადგენილი პროცედურის მიხედვით.

250. GFAAFM-ს შეთანხმება აქვს ბაფ-თან, რომლის მიხედვითაც მის სტუდენტებს შეუძლიათ ბაფის პროფესიული საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.

ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბულალტრებისთვის

251. საქართველოს კანონი “ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” ყველა აუდიტორისგან მოითხოვს IESBA-ს მიერ პროფესიონალი ბულალტრებისთვის შემუშავებული ეთიკის კოდექსის შესრულებას. პროფესიული ეთიკის კოდექსის შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამსახურის მიერ ნებისმიერი ცვლილების შეტანიდან ექვსი თვის განმავლობაში. სერტიფიცირებულ ბულალტერს და აუდიტორს /აუდიტორულ ფირმას ასევე უფლება აქვს გამოიყენოს კოდექსის აქტიური (ინგლისური) ვერსია (IESBA კოდექსი).

252. IESBA-ს ეთიკის კოდექსთან აუდიტორების შესაბამისობის უზრუნველყოფა სამსახურის პასუხისმგებლობაა. აუდიტორული შემომწმება აფასებს შესაბამისობას და ნებისმიერ პოტენციურ შეუსაბამობაზე რეაგირება წარმოებს სამსახურის მოკვლევის და დისციპლინური ფუნქციის მიერ.

253. ბაფი ყველა თავისი წევრისგან მოითხოვს IESBA ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვას. ბაფის ეთიკისა და დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს ბაფის არა-აუდიტორი წევრების მხრიდან ეთიკის კოდექსის ნებისმიერი დარღვევის მოკვლევას.

254. GFAAFM ყველა წევრისგან მოითხოვს IESBA ეთიკის კოდექსის დაცვას. თუმცა, აღსრულების მექანიზმი არ ფუნქციონირებს და არ განხილულა პოტენციური გადაცდომის რომელიმე შემთხვევა.

მოკვლევის და დისციპლინის სისტემა

255. სამსახური პასუხისმგებელია აუდიტორებთან დაკავშირებით მოკვლევის და დისციპლინური ღონისძიებების განხორციელებაზე. ეს

უკავშირდება პოტენციურ პროფესიულ გადაცდომებს ეთიკურ და სხვა პროფესიულ მოთხოვნებთან მიმართებით. სამსახურისთვის ხელმისაწვდომი სანქციები განსაზღვრულია საქართველოს კანონით “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” და განსხვავებულია: აუდიტორის ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ ფულის გათეთრების/ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონის დარღვევისთვის; და, აუდიტორის ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ აუდიტის მოთხოვნების დარღვევისთვის.

256. საქართველოს კანონის თანახმად “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ”, კანონით გათვალისწინებული პოტენციური სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სამსახური იკვლევს და ადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი ასეთ სამართალდარღვევას. ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამსახურს შეუძლია ფულადი ჯარიმების დაკისრება 500 ლარიდან (მიკროსაწარმოებისთვის) 10,000 ლარამდე (სადა-ებისთვის). ასეთი გადაწყვეტილების ნებისმიერი გასაჩივრება შეიძლება განხილულ იქნეს სამსახურის საბჭოს მიერ.

257. აუდიტორების მხრიდან გადაცდომის ამ სტანდარტებისა და რეგისტრაციის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამსახურს შეუძლია აუდიტორისთვის ან აუდიტორული ფირმისთვის ჯარიმის დაკისრება 5,000 ლარამდე. დაინტერესებულ ინდივიდუალურ აუდიტორს შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს. გარდა ამისა, სამსახურს აქვს რეესტრიდან აუდიტორის ამოღების უფლებამოსილება.

258. დიდია განსხვავება აუდიტორებისთვის დაკისრებულ დაბალი შემაკავებელი ეფექტის მქონე 5,000 ლარის ოდენობის მაქსიმალურ ჯარიმას და უკიდურეს სანქციას –რეგისტრაციის გაუქმებას შორის. აუდიტორთა რეგულირების ეფექტურობა გაუმჯობესდება აუდიტორებისთვის

გადაცდომისას სანქციების გაცილებით უფრო ფართო დიაპაზონის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

259. სამსახურმა წამოიწყო და წარმატებით დაასრულა მოკვლევის და დისციპლინური საქმეების სერია ძირითადად რეგისტრაციის მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. ნაჩვენები იქნა, რომ სისტემა მთლიანობაში კარგად ფუნქციონირებს.

260. ბაფი პასუხისმგებელია თავისი წევრების მიმართ მოკვლევის და დისციპლინური პროცედურების განხორციელებაზე. გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში, ბაფს შეუძლია წევრის მიმართ შემდეგი დისციპლინური ზომების გამოყენება:

- ა. მითითება/ ინსტრუქცია - წერილობითი მიმართვა რესპონდენტისადმი, რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს არასათანადო ქცევა.
- ბ. ვალდებულება – წერილობითი მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომლითაც მათ მოეთხოვებათ შეწყვიტონ ან არ გაიმეორონ არასათანადო საქციელი.
- გ. საჯარო გაფრთხილება - ბაფის ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნება, რომელიც აფრთხილებს რესპონდენტს (შეიძლება შეიცავდეს მკაცრი გაფრთხილების შინაარსს) შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს არასათანადო ქცევა;
- დ. წევრობის შეჩერება - ბაფის წევრის სახელის გამოყენების შეზღუდვა განსაზღვრული ვადით (მაქსიმუმ სამი წელი) და განცხადების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე.
- ე. გარიცხვა - ბაფის წევრობის გაუქმება და ამის შესახებ განცხადების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე.

ბაფის ეთიკისა და დისციპლინის კომიტეტმა ჯერ-ჯერობით განიხილა შესაძლო გადაცდომის ხუთი შემთხვევა, რომელთაგან ორს მოჰყვა ოფიციალური მოკვლევა და დისციპლინური ზომები.

261. ბაფის მიერ 2019 წელს მომზადებული IFAC-ის წევრობის ვალდებულების მე-6 პრინციპთან (SMO 6) დაკავშირებული მოკვლევის და დისციპლინური მოთხოვნებთან შესაბამისობის

თვითშეფასებამ გამოავლინა რამდენიმე უმნიშვნელო სფერო, სადაც შესაბამისობა შეიძლება გაუმჯობესებულიყო. მათ შორის იყო: საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის პროცესის შექმნა, რომელთან დაკავშირებითაც შემდგომ ქმედებებს არ ჰქონია ადგილი; სერიოზულ დანაშაულსა და სამართალდარღვევებში შესაძლო მონაწილეობის შესახებ გარე ორგანოებთან ურთიერთობის პროცესის განსაზღვრა; და სისტემის დანერგვისა და ეფექტურობის რეგულარული მიმოხილვა და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება.

262. ბაფის 2022 წლის განახლებული თვითშეფასება (წარდგენილია IFAC-ისთვის) აღნიშნავს, რომ ის ახლა სრულ შესაბამისობაშია IFAC-ის წევრობის ვალდებულების მე-6 პრინციპთან (SMO 6). IFAC-ი ამჟამად აანალიზებს ამ განცხადებას. თუმცა, რადგან IFAC-ის რეიტინგი SMO 6-თან შესაბამისობის თვალსაზრისით რჩება როგორც „ნაწილობრივ მიღებული“ ამ ანგარიშის მომზადების დროს, ROSC-ის შეფასება ემთხვევა IFAC-ის რეიტინგს. GFAAFM-მა შექმნა მოკვლევის და დისციპლინური პროცესი და მოკვლევის და დისციპლინური კომიტეტი, მაგრამ დღემდე არ განუხილავს არცერთი შემთხვევა.

263. სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევის და დისციპლინური ფუნქცია აუდიტორებთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, სრულად შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და წევრობის ვალდებულების პრინციპებს (SMO 6), თუმცა SMO 6 ეხება ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებს და არა მარეგულირებლებს. ბაფის მოკვლევის და დისციპლინური პროცესი, როგორც ჩანს, ახლოსაა SMO 6-თან შესაბამისობის თვალსაზრისით. არ არის ნათელი, შესაბამისობაშია თუ არა GFAAFM-ის პროცესი-ის არ ახორციელებს თვითშეფასებას, რადგან არ არის IFAC-ის წევრი. თუმცა, მოკვლევის და დისციპლინური პროცესის ეფექტურობა კორელაციაშია პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების საზოგადოებრივი დაინტერესების ხარისხთან.

ეფექტიანობის მაჩვენებლები – ბუღალტრული აღრიცხვის პროფესია²⁰³

264. საქართველოსთვის მიკუთვნებული საერთო რეიტინგი „ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიის“ ინდიკატორის ქვეშ არის „ნაწილობრივ მიღებული“.

განათლების საერთაშორისო სტანდარტები

საქართველოს რეიტინგი

ნაწილობრივ მიღებული²⁰⁴

კანონით განსაზღვრულია განათლების მოთხოვნები აუდიტორული პროფესიისთვის რომლებიც სრულად შეესაბამება განათლების საერთაშორისო სტანდარტებს და დანერგილია მარეგულირებელი ორგანოს მიერ. განათლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნები პროფესიონალი ბუღალტრებისთვის დადგენილია ორი პროფესიული ორგანიზაციის მიერ. როგორც სამსახურის, ასევე პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი პროფესიული განათლების პოლიტიკა შეესაბამება IES7-ს და არის მაღალი ხარისხის და ფართოდ ხელმისაწვდომი, პროფესიულ ორგანიზაციებსა და დიდი ოთხეულის საერთაშორისო ფორმებს შორის პარტნიორობის შეთანხმების გამო.

²⁰³ ROSC-ის შეფასების ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიის თავის ინდიკატორის რეიტინგები ემყარება IFAC-ის პროფესიული შეფასების რეიტინგებს, განსაკუთრებით წევრის შესაბამისობის პროგრამის რეიტინგებს. რეიტინგებისთვის გამოყენებულია შვიდი საორიენტაციო ნიშნული, IFAC-ის წევრობის ვალდებულების პრინციპების შესაბამისად, რომელთაგან მხოლოდ სამი გამოიყენება ROSC-ისთვის: (1) SMO 2 - განათლების საერთაშორისო სტანდარტები პროფესიონალი ბუღალტრებისთვის; (2) SMO 4 - ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი; და (3) SMO 6 - მოკვლევა და დისციპლინა.

²⁰⁴ ამ ანგარიშის მომზადების დროისთვის, IFAC-ის მიერ მინიჭებული რეიტინგი განათლების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით იყო „ნაწილობრივ შესაბამისობაშია“. შესაბამისობის მიმართულებით გაუმჯობესება აღინიშნა ამ ROSC შეფასების მიერ, მაგრამ არ იმოქმედა რეიტინგზე, რომელიც უნდა ასახავდეს IFAC-ს მიერ მინიჭებულ შეფასებას.

განათლების საერთაშორისო სტანდარტები		
რეიტინგის კრიტერიუმები	მიღებულია	განათლების მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების მთლიანი მოთხოვნები შეფასების მომენტისთვის, მიღებულია ყველა ასპირანტი პროფესიონალი ბულალტრისთვის და პროფესიონალი ბულალტრისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია ქვეყნის მიერ.
	ნაწილობრივ მიღებულია	მიღებულია მოთხოვნები განათლების საერთაშორისო სტანდარტების ადრინდელი ვერსიიდან. <p>აწ</p> <p>განათლების მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების ზოგიერთი მოთხოვნა შეფასების მომენტისთვის მთლიანად მიღებულია პროფესიონალი ბულალტრებისთვის.</p> <p>აწ</p> <p>განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოქმედი მოთხოვნები შეფასების მომენტისთვის მთლიანად მიღებულია პროფესიის სეგმენტისთვის.</p>
	არ არის მიღებული	განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები არ არის მიღებული.

ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბულალტრებისთვის		
საკართველოს რეიტინგი	მიღებულია	IESBA-ს ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბულალტრებისთვის და სავალდებულოა ყველა აუდიტორისა და პროფესიონალი ბულალტრისთვის. <p>კოდექსის აღსრულების მექანიზმები მოქმედებს აუდიტორებისთვის (სამსახური) და პროფესიონალი ბულალტრებისთვის (POAs). ერთ-ერთ პროფესიულ ორგანიზაციას მექანიზმი პრაქტიკაში არ გამოუყენებია.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	მიღებულია	შეფასების დროისთვის მოქმედი ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბულალტრებისთვის მიღებულია ყველა პროფესიონალი ბულალტრისთვის.
	ნაწილობრივ მიღებულია	პროფესიონალი ბულალტრების ეთიკის კოდექსის ადრინდელი (2009 წლის ან უფრო გვიანი) ვერსია მიღებულია ყველა პროფესიონალი ბულალტრისთვის. <p>აწ</p> <p>შეფასების დროისთვის პროფესიონალი ბულალტრებისთვის მოქმედი ეთიკის კოდექსის ზოგიერთი მოთხოვნა მიღებულია.</p> <p>აწ</p> <p>ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბულალტრებისთვის მიღებულია პროფესიის სეგმენტისთვის.</p>
	არ არის მიღებული	ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბულალტრებისთვის არ ყოფილა მიღებული. <p>აწ</p> <p>მიღებულია პროფესიონალი ბულალტრებისთვის ეთიკის კოდექსის 2009 წელზე ადრინდელი ვერსია.</p>

მოკვლევის და დისციპლინის სისტემა	
საქართველოს რეიტინგი	<p>სამსახური ახორციელებს აუდიტორთა მოკვლევის და დისციპლინური სისტემის ოპერირებას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ კანონის შესაბამისად. SMO 6 არის მოთხოვნა პროფესიული ორგანიზაციებისთვის, ამიტომ არ არის რელევანტური მარეგულირებლებისთვის; თუმცა, სამსახურის სქემა შეესაბამება IFAC-ის SMO 6-ის კონცეფციებს.</p> <p>ბაფის 2019 წლის თვითშეფასების მიხედვით, ორგანიზაციის შესაბამისობა SMO 6-თან შეიძლება გაუმჯობესებულიყო, საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის ჩათვლით, რასაც მოკვლევა არ მოჰყოლია. IFAC-ში 2022 წელს წარდგენილ განახლებულ თვითშეფასებაში ბაფმა აღნიშნა, რომ ის ახლა სრულ შესაბამისობაშია SMO 6-თან. IFAC-ი ამჟამად აანალიზებს ამ განცხადებას.</p> <p>GFAAFM -მა შექმნა მოკვლევისა და დისციპლინის სისტემა, მაგრამ ის პრაქტიკაში არ ყოფილა გამოყენებული. ორგანიზაციას არ განუხორციელებია თვითშეფასება SMO 6-თან შესაბამისობის თვალსაზრისით, რადგან GFAAFM არ ცდილობს IFAC-ის წევრობის მოპოვებას.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	<p>მიღებულია</p> <p>მოკვლევის და დისციპლინური სისტემა SMO 6-ის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით შექმნილია და ფუნქციონირებს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის.</p> <p>ნაწილობრივ მიღებულია</p> <p>მოკვლევის და დისციპლინური სისტემა SMO 6-ის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით შექმნილია და ფუნქციონირებს პროფესიის სეგმენტისთვის.</p> <p>ან</p> <p>მოკვლევის და დისციპლინის სისტემა ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის შეიქმნა და ფუნქციონირებს, მაგრამ ითვალისწინებს SMO 6-ის მხოლოდ ზოგიერთ მოთხოვნას.</p> <p>ან</p> <p>მოკვლევის და დისციპლინის სისტემა, რომელიც მოიცავს SMO 6-ის ყველა მოთხოვნას, შეიქმნა, მაგრამ ჯერ არ ფუნქციონირებს.</p> <p>არ არის მიღებული</p> <p>მოკვლევის და დისციპლინის სისტემა არ არის შექმნილი</p>

8. პროფესიული განათლება და ტრენინგი

265. პროფესიული საბუღალტრო განათლება ქვეყანაში განისაზღვრება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ და სამსახურის ორი წესით: პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტით და განვრძობითი განათლების სტანდარტით. პროფესიული

სერტიფიცირების სტანდარტი (სტანდარტი)²⁰⁵ გამოიცა 2017 წელს და ბოლოს განახლდა 2022 წლის დეკემბერში. ის განსაზღვრავს პროფესიული სერტიფიცირების სასწავლო დისციპლინებს, ასევე საგამოცდო პროცესის ჩატარების წესს, გამოცდებისგან გათავისუფლებას, პროფესიული სერტიფიცირებისთვის წარსადგენ დოკუმენტაციას და სერტიფიკატის გაცემის წესს. სტანდარტი შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებისა და განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

²⁰⁵ სამსახურის უფროსის ბრძანება N-16 (25 სექტემბერი, 2017) პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ (<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3811685?publication=8>)

266. სტანდარტის მიხედვით, კანდიდატის პროფესიულ სერტიფიცირებას და სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას ახორციელებს პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია. სტანდარტში გათვალისწინებული უმაღლესი განათლება მოიცავს ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიურ ხარისხს ან ეკვივალენტს. პროფესიული ორგანიზაცია სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსს ანიჭებს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და გავლილი აქვს სერტიფიცირების სრული პროგრამა. ეს პროგრამა აღიარებული უნდა იყოს სამსახურის მიერ მის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს როგორც ტრენინგი, ასევე შეფასება. უნივერსიტეტებმა, რომლებსაც აქვთ სასწავლო პროგრამები ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში, და სურთ პროფესიული ორგანიზაციისგან ჩათვლების მოთხოვნა მათ მიერ შეთავაზებული პროფესიული განათლების პროგრამის საგნებში, თავიანთი სასწავლო პროგრამები უნდა წარუდგინონ სამსახურს აღიარებისთვის, ამ უკანასკნელის მიერ სტანდარტში მითითებული პროცედურის შესაბამისად. პროფესიული ორგანიზაციები და საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი სხვა დაწესებულებები (აღიარებული უნივერსიტეტების ჩათვლით) ვალდებული არიან განაახლონ სასერტიფიკატო პროგრამების/ კურსების/ ცალკეული დისციპლინების (საგნების) სილაბუსი სამ წელიწადში ერთხელ მაინც, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების (სტანდარტების) შესაბამისად.

267. განგრძობითი განათლების სტანდარტი²⁰⁶ ადგენს მოთხოვნებს სერტიფიცირებული ბუღალტრის კვალიფიკაციის შესანარჩუნებლად, განსაზღვრავს განგრძობითი პროფესიული განათლების პროგრამას და მისი განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს. სტანდარტი დამტკიცდა 2017 წელს და ბოლოს განახლდა 2021 წელს. განგრძობითი პროფესიული განათლების პროცესი უზრუნველყოფილია პროფესიული ორგანიზაციების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან

თავიანთი წევრი პროფესიონალი ბუღალტრების განგრძობითი პროფესიული განათლების მონიტორინგზე და დოკუმენტების წარმოებაზე. პროფესიული ორგანიზაციებს მოეთხოვებათ შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი პროფესიული განათლების მოთხოვნების შესრულებას. განგრძობითი პროფესიული განათლების პროგრამების აღიარებას და რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს სამსახური. ის ასევე აწარმოებს აღიარებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და განგრძობითი საგანმანათლებლო პროგრამების რეესტრს.

268. ROSC-ის ამ შეფასების თარიღისთვის, ორი პროფესიული ორგანიზაცია იყო აღიარებული სამსახურის მიერ და შეყვანილი პროფესიული განათლების რეესტრში. ბაფი აღიარებულ იქნა პროფესიული სერტიფიცირების, გამოცდების და განგრძობითი პროფესიული განათლების პროგრამის განსახორციელებლად და ბუღალტერთა და აუდიტორთა გამოცდების ჩასატარებლად. GFAAFM-ი კი აღიარებული იყო აუდიტორების სერტიფიცირებისა და განგრძობითი პროფესიული განათლებისთვის, მაგრამ არა გამოცდების ადმინისტრირებისთვის. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არცერთი საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამა არ იყო აღიარებული სამსახურის მიერ პროფესიული საბუღალტრო განათლების მიზნებისთვის. თუმცა, კურსდამთავრებულებს, რომლებსაც უნივერსიტეტები სთავაზობდნენ სასწავლო პროგრამებს ბუღალტერიის კონცენტრაციით, ბაფი ათავისუფლებდა პროფესიული სერტიფიცირების პირველი სამი (ძირითადი) გამოცდისგან. ასეთი ჩათვლის შეთავაზების განახლება ყოველწლიურად წარმოებს, რადგან უნივერსიტეტებს არ მიუშართავთ სრულ აღიარებასთან დაკავშირებით.

269. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო 62 უმაღლესი სასწავლებელი, რომელთაგან 20 სახელმწიფოს მიერ, ხოლო 42 კი კერძო სექტორის მიერ ფინანსდება.²⁰⁷ მათ შორისაა 33 უნივერსიტეტი, 20 სასწავლო უნივერსიტეტი, 2

²⁰⁶ სამსახურის უფროსის ბრძანება No. N-13 (18 აგვისტო, 2017), განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3782102?publication=4>)

²⁰⁷ წყარო: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი <https://www.eqe.ge/en>

კოლეჯი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაარსებული 7 უმაღლესი სასწავლებელი. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საგნები შემოთავაზებულია 28 უმაღლესი სასწავლებლის მიერ (სულ 55 საგანმანათლებლო პროგრამა). ორი კერძო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მსურველებს სთავაზობს დამოუკიდებელ პროგრამებს ბუღალტრულ აღრიცხვაში.²⁰⁸ ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი უფრო ხშირად ისწავლება, უმაღლესი განათლების სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, მაგალითად როგორებიცაა: ბიზნესის ადმინისტრირება (უმაღლესი განათლების 40 დანესებულება), სამართალი (უმაღლესი განათლების 18 დანესებულება), ეკონომიკა (უმაღლესი განათლების 17 დანესებულება) და ფინანსები (უმაღლესი განათლების 18 დანესებულება). ძირითადად, ბუღალტრული აღრიცხვის პროფესია ისწავლება ქართულ ენაზე, რვა პროგრამით ინგლისურ ენაზე.

270. პროფესიული განათლების დონეზე პროფესიული განათლების 32 პროვაიდერს (სულ 80-დან) შეუძლია პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამების შეთავაზება ბუღალტერიაში. პროფესიული ბუღალტერიის პროგრამებს მსურველებს სთავაზობს 25 კოლეჯი და 7 უნივერსიტეტი (20 საჯარო და 12 კერძო დანესებულება). პროფესიული განათლების დონეზე ბუღალტერია ისწავლება როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით პროგრამის წარმატებით დასრულებას მოჰყვება მეხუთე საფეხურის (რვიდან) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ბუღალტერიის სპეციალობით.²⁰⁹

271. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმები, მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვა, შეესაბამება განათლების ზოგად ეროვნულ სტანდარტებს, რომლებიც დადასტურებულია პროგრამის აკრედიტაციის გზით და მოიცავს საქართველოს ხარისხის გარე უზრუნველყოფის და ინსტიტუციური ავტორიზაციის სისტემას. ორივე პროცესს ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც არის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული

ასოციაციის და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრის წევრი.²¹⁰ ამ ROSC A&A შეფასების დროს პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების განვითარების ახალი პროცედურა შემუშავების პროცესში იყო. 2024 წელს იგეგმება ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსებთან დაკავშირებული პროგრამების ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება.

272. პროფესიული განათლების დონეზე 2019

წლიდან საქართველო სრულად გადავიდა

მოდულურ პროგრამებზე. მოდულური

საგანმანათლებლო პროგრამები ეფუძნება პროფესიის სტანდარტებზე დამყარებულ განათლების სტანდარტებს. პროფესიული მოვალეობები, ამოცანები და მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც თან უნდა ახლდეს კონკრეტულ პროფესიას, აისახება დამსაქმებლების ჩართულობით შემუშავებულ პროფესიულ სტანდარტებში.

273. ინდივიდუალურ უნივერსიტეტებს/

განათლების მესამე საფეხურის დანესებულებებს აქვთ ავტონომია კურიკულუმების შემუშავებაში.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლებლებისა და მათი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ავტონომიას აკადემიური, ფინანსური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობის დამოუკიდებლად განსაზღვრისა და განხორციელების თვალსაზრისით. ზოგადი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტებს შეუძლიათ საკუთარი წესების და პროცედურების თავისუფლად განსაზღვრა კურიკულუმების შეფასებისა და გადასინჯვისთვის. ახლახან განხორციელებული განათლების რეფორმის შესაბამისად, უმაღლესი განათლების დანესებულებებისთვის მუშავდება განათლების ახალი სტანდარტები. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს სტანდარტი, რომელიც 2024 წელს დაინერგება, შემუშავდება უმაღლესი სასწავლებლებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. ამასთან ერთად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც პასუხისმგებელია განათლების სტანდარტების შემუშავებაზე, გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმი სამსახურთან

²⁰⁸ წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, EMIS, 2022

²⁰⁹ <https://eqe.ge/res/20191007105945NQFofGeorgia.pdf>

²¹⁰ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: <https://www.eqe.ge/en>

და არის სამსახურის საბაზისო და განგრძობითი პროფესიული განათლების კომიტეტის წევრი.

274. პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამებისთვის სავალდებულო და არჩევითი მოდულები განისაზღვრება განათლების სტანდარტით. დაწესებულებები შეიმუშავებენ პროგრამებს განათლების სტანდარტის საფუძველზე და ავტორიზაციისთვის წარუდგენენ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს. ავტორიზაცია მოქმედებს ექვსი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ხორციელდება ხელახალი ავტორიზაციის პროცედურა. დაწესებულებებმა დროულად უნდა განაახლონ თავიანთი პროგრამები, მოქმედ სტანდარტებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გათვალისწინების მიზნით.

275. კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისში დაფუძნებული კერძო უნივერსიტეტია, რომელიც უკვე 21 წელია მსურველებს სთავაზობს სამაგისტრო პროგრამებს ბულალტრულ აღრიცხვაში. ის 2004 წელს დაარსდა კავკასიის ბიზნესის სკოლის საფუძველზე, რომელიც 1998 წელს ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ატლანტა, აშშ) პარტნიორობით შეიქმნა. უნივერსიტეტში მიღება ხდება კონკურსის წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით. უნივერსიტეტს აქვს დასწრებული სწავლების ბიზნესის ადმინისტრირების 4-წლიანი საბაკალავრო პროგრამა ბულალტრულ აღრიცხვაში. ყოველწლიურად დაახლოებით 20 სტუდენტის მიღება ხდება. პროგრამა ისწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე. სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალა ძირითადად ქართულ, ნაწილი კი ინგლისურ ენაზეა. ROSC A&A შეფასების დროს პროგრამას ჰყავდა ორი სრული და 10 ნახევარი განაკვეთით მომუშავე 12 პედაგოგი. 2019 წლის 1-ლი იანვრიდან პროგრამა აკრედიტებულია ACCA-ს მიერ 5 საგნის ჩათვლით.

276. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი კერძო უნივერსიტეტია, რომელიც ბოლო რვა წლის განმავლობაში მსურველებს სთავაზობს პროგრამებს ბულალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებით. უნივერსიტეტი 1995 წლიდან ეწევა საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას. ის არის პირველი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელსაც პროგრამები აქვს ინგლისურ და

ქართულ ენებზე სამივე დონეზე. უნივერსიტეტი გთავაზობთ ორ საბაკალავრო 4-წლიან დასწრებულ საბაკალავრო პროგრამას, ესენია: ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის დამოუკიდებელი პროგრამა და ბიზნესის ადმინისტრირება ბულალტრული აღრიცხვის კონცენტრაციით. ყოველწლიურად 50 სტუდენტი მიიღება ამ პროგრამებზე სასწავლებლად დაახლოებით 300 აპლიკანტიდან. სტუდენტების დაახლოებით 65 პროცენტი ქალია. საგნები ისწავლება ინგლისურ და ქართულ ენებზე. სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები ძირითადად ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, ზოგი კი ინგლისურად. ბულალტრული აღრიცხვის კურიკულუმი ყოველწლიურად ექვემდებარება განხილვას. ბულალტერიის პროგრამებში ჩართულია ორი სრულ განაკვეთზე და ცხრა ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პედაგოგი. ორი უცხოელია. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია ადგილობრივ და საერთაშორისო ქსელის აუდიტისა და სადაზღვევო კომპანიებში. დაახლოებით 20 პროცენტი დასაქმებულია არასაფინანსო სექტორში და მცირე და საშუალო ბიზნესში, არასამთავრობო და საჯარო სექტორის ორგანიზაციებში, ფინანსურ სექტორში და აკადემიურ წრეებში. ორივე პროგრამა აკრედიტებულია ბაფის პროფესიული კვალიფიკაციის პირველი საფეხურიდან სამი საგნის ჩათვლით, რაც დეტალურად არის ასახული 285-ე პუნქტში.

277. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებს ბულალტრული აღრიცხვის კონცენტრაციით. ის არის პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში, რომელიც საქართველოში 1918 წელს გაიხსნა და წარმოადგენს ქვეყნის უძველეს და უდიდეს უნივერსიტეტს, სადაც დაახლოებით 22,000 სტუდენტი სწავლობს შვიდ ფაკულტეტზე. ბულალტრული აღრიცხვა 90 წელზე მეტია რაც ისწავლება უნივერსიტეტში. ამჟამად, უნივერსიტეტი არ გთავაზობს დამოუკიდებელ სამაგისტრო პროგრამას ბულალტრულ აღრიცხვაში. თუმცა, მას აქვს ბაკალავრიატის ბიზნესის ადმინისტრირების ოთხწლიანი დასწრებული საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის ადმინისტრირების ორწლიანი დასწრებული სამაგისტრო პროგრამა ბულალტრული აღრიცხვის კონცენტრაციით. უნივერსიტეტში ჩარიცხვა, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ხდება. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებზე ჩასაბარებელი საგნებია ქართული ენა, უცხო ენა და მათემატიკა. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მოსახვედრად კონკურენცია მაღალია. 2022 წელს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა იყო 700, ხოლო მსურველთა რაოდენობა 4,560. სტუდენტების დაახლოებით 15 პროცენტი ირჩევს პროგრამას ბულალტრული კონცენტრაციით. ქალი სტუდენტების წილი დაახლოებით 60 პროცენტია. უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროებია სწავლის საფასური, სამეცნიერო-კვლევითი გრანტები და იჯარით მიღებული შემოსავალი. სწავლება ქართულ ენაზეა. სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები ძირითადად ხელმისაწვდომია ქართულ, ნაწილი კი ინგლისურ ენაზე. პროგრამის კურიკულუმები განიხილება ყოველწლიურად, ან საჭიროებისამებრ, ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებისა და რეგულაციების ცვლილებების შემდეგ. ამ შეფასების დროს ბულალტრული აღრიცხვის კონცენტრაციაში წარმოდგენილი იყო 13 სრულ განაკვეთზე და 3 ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პედაგოგი. უნივერსიტეტის პროგრამები ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში აკრედიტებულია ბაფის მიერ, პროფესიული კვალიფიკაციის პირველ ოთხ წიგნზე ჩათვლის მისაღებად.

278. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს პროგრამებს ფინანსებსა და საბანკო საქმეში ბულალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი კომპონენტით.

უნივერსიტეტი 2006 წელს დაარსდა ექვსი სხვადასხვა აკადემიური ინსტიტუტის გაერთიანების შედეგად. ყოველწლიურად დაახლოებით 250 სტუდენტი მიიღება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ბულალტრული აღრიცხვის კომპონენტის მქონე ფინანსებისა და საბანკო საქმის მიმართულებით. სასწავლო პროცესი ძირითადად ქართულ და ინგლისურ ენებზეა. სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბულალტრული აღრიცხვის კურიკულუმი ექვემდებარება განხილვას წელიწადში ორჯერ. საფინანსო და საბანკო პროგრამა აკრედიტებულია ბაფის მიერ, პროფესიული კვალიფიკაციის პირველ სამ წიგნზე ჩათვლის მისაღებად.

279. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ბულალტრული აღრიცხვის კონცენტრაციით. უნივერსიტეტი დაარსდა 2002 წელს, 80 წლიანი ისტორიის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებების საფუძველზე. მას უკვე 21 წელია აქვს ბულალტრული აღრიცხვის პროგრამები, თუმცა 2019 წლიდან ის არ გთავაზობს ცალკე ხარისხს ბულალტრულიაში. ძირითადი დისციპლინები ისწავლება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ბულალტრული კონცენტრაციით. ყოველწლიურად დაახლოებით 40 სტუდენტის მიღება ხდება დაახლოებით 200 აპლიკანტიდან. მამრობითი სქესის სტუდენტების წილი დაახლოებით 70 პროცენტია. სწავლება ქართულ ენაზეა. სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები ძირითადად ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, ზოგიერთი კი ინგლისურ და რუსულ ენებზე. ბულალტრული აღრიცხვის კურიკულუმი ყოველწლიურად ექვემდებარება განხილვას. ბულალტრული პროგრამებში ჩართულია ექვსი სრულ განაკვეთზე და ოთხი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პედაგოგი. კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებულია ადგილობრივ აუდიტორულ და მარწმუნებელი სერვისების განმახორციელებელ კომპანიებში, ფინანსურ სექტორში, არასამთავრობო და საჯარო სექტორის ორგანიზაციებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ბიზნესის ადმინისტრირება აკრედიტებულია ბაფის მიერ, პროფესიული კვალიფიკაციის პირველ სამ წიგნზე ჩათვლის მისაღებად.

280. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ბულალტრული კონცენტრაციით.

უნივერსიტეტი თბილისში მდებარეობს. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას აქვს ბულალტრული კონცენტრაცია, მოიცავს 11 სასწავლო კურსს (55 ECTS კრედიტი) და ხორციელდება 2012 წლის ივნისიდან. ყოველწლიურად პროგრამაზე მიიღება დაახლოებით 40-50 სტუდენტი. უნივერსიტეტი ფინანსდება სტუდენტების სწავლის საფასურიდან. საგნები ისწავლება ქართულ ენაზე. სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალა ასევე ძირითადად ქართულ ენაზეა. ბულალტრული კურიკულუმი ექვემდებარება გადახედვას ორ-სამ წელიწადში ერთხელ. ბულალტრული პროგრამებში ჩართულია ექვსი სრულ განაკვეთზე და რვა

ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პედაგოგი. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა აკრედიტებულია ბაფის მიერ, პროფესიული კვალიფიკაციის პირველ სამ წიგნზე ჩათვლის მისაღებად.

281. საქართველოს უნივერსიტეტში წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის სწავლება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე.

უნივერსიტეტი თბილისში დაფუძნდა და არის ერთ-ერთი უდიდესი კერძო უნივერსიტეტი ქვეყანაში, სადაც 6,000-ზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტს აქვს აკრედიტებული პროგრამები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე ინგლისურ და ქართულ ენებზე. საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. უნივერსიტეტი 17 წელია ბუღალტერიის კურსებს სთავაზობს სტუდენტებს. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ყოველწლიურად მიიღება 15-მდე სტუდენტი ბუღალტრული აღრიცხვის კონცენტრაციით. საქართველოს უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად ფინანსურ წყაროს წარმოადგენს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური (მათ შორის, სახელმწიფოს მიერ ჩარიცხული სტუდენტების საგრანტო დაფინანსება). 2011 წელს საქართველოს უნივერსიტეტმა მიიღო მნიშვნელოვანი დაფინანსება ამერიკული ფინანსური ინსტიტუტებისგან (OPIC). კურსები ძირითადად ქართულ და ინგლისურ ენებზე ისწავლება. სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბუღალტრული აღრიცხვის კურიკულუმი ყოველწლიურად ექვემდებარება განხილვას. ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამებში ჩართულია სამი სრულ და შვიდი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პედაგოგი, მათ შორის სამი უცხოელი თანამშრომელი. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია ადგილობრივ აუდიტორულ და მარწმუნებელი მომსახურების კომპანიებში, ფინანსურ სექტორში, არასამთავრობო და საჯარო სექტორის ორგანიზაციებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

282. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე ბუღალტერიის

კონცენტრაციით. თბილისში დაფუძნებული უნივერსიტეტი 1978 წლიდან ასწავლის ბუღალტრულ დისციპლინებს. აღარ არსებობს ბუღალტერიის დამოუკიდებელი პროგრამა, მაგრამ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს აქვს ბუღალტრული აღრიცხვის კონცენტრაცია. ყოველწლიურად 100-მდე სტუდენტის მიღება წარმოებს, 30 სტუდენტი ბუღალტერიის კონცენტრაციას მიჰყვება. კურსები ისწავლება ინგლისურ და ქართულ ენებზე. სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები ძირითადად ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, ნაწილი კი ინგლისურად. ბუღალტრული აღრიცხვის კურიკულუმის გადახედვა საჭიროებისამებრ წარმოებს. ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამებში ჩართულია ექვსი სრულ განაკვეთზე მომუშავე პედაგოგი. კურსდამთავრებულთა დაახლოებით 30 პროცენტი დასაქმებულია ფინანსურ სექტორში, 15 პროცენტი სამთავრობო და საჯარო სექტორის სხვა ორგანიზაციებში, შემდეგ მოდის არასამთავრობო ორგანიზაციები (12 პროცენტი), არასაფინანსო სექტორი (10 პროცენტი) და ადგილობრივი აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების კომპანიები (8 პროცენტი). ორივე პროგრამა აკრედიტებულია ბაფის მიერ, პროფესიული კვალიფიკაციის პირველ სამ წიგნზე ჩათვლის მისაღებად.

283. საუნივერსიტეტო სწავლებას, ზოგადად, მეტი ინვესტიცია სჭირდება სასწავლო მასალისა და ინსტრუქტორების ცოდნის ხარისხის ასამაღლებლად. საქართველოში უმეტეს უნივერსიტეტებში /განათლების მესამე საფეხურის სასწავლო დაწესებულებებში ლექტორების ხელფასები არაკონკურენტუნარიანია, განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ლექტორები ყოველთვის არ აკვირდებიან პროფესიის განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებებს.

284. საქართველოს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ბაფისთვის მიმართვა ჩათვლების მისაღებად. მსოფლიო ბანკის რეკომენდაციის შესაბამისად ბაფმა დაიწყო თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან და განათლების სამინისტროსთან ბუღალტრული აღრიცხვის აკადემიური კურიკულუმების გასაძლიერებლად და საუნივერსიტეტო პროგრამების განათლების შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ROSC A&A შეფასების მომზადების მომენტისთვის

ბაფს ხელი ჰქონდა მოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმზე შვიდ უნივერსიტეტთან, რომლებიც მიზნად ისახავდა საუნივერსიტეტო პროგრამების ბაფსის სილაბუსებთან შესაბამისობაში მოყვანას და თანამშრომლობის დამყარებას სხვა ასპექტებში, რომლებიც დაკავშირებულია საბაზისო და პროფესიული განათლების ინტეგრაციასთან ბულალტერიისა და აუდიტის სფეროში. შესაბამისი საუნივერსიტეტო პროგრამები აკრედიტებულია ბაფსის მიერ, პროფესიული კვალიფიკაციის პირველ სამ - ოთხ წიგნზე ჩათვლის მისაღებად.

285. საქართველოს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს და ბაფსის სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ ACCA-ს ჩათვლების მისაღებად. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ACCA-ს პარტნიორული ურთიერთობა აქვს საქართველოს რიგ ინსტიტუტებთან. ბაფი მთავარ პარტნიორად არის აღიარებული. ფინანსთა სამინისტროს აკადემია არის დამტკიცებული სასწავლო პარტნიორი საქართველოში. ასევე აღსანიშნავია ხუთი დამტკიცებული დამსაქმებელი და ხუთი აკრედიტებული პროგრამა შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში: კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ბულალტრულ აღრიცხვაში (5 ჩათვლა), თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (კონცენტრაცია ფინანსებში) (3 ჩათვლა). ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (6 ჩათვლა), ბაფსის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა (9 ჩათვლა) და ბაფსის მთავარი ბულალტრის კვალიფიკაცია (3 ჩათვლა). ჩათვლებთან დაკავშირებით განაცხადის მისაღებად, სტუდენტებმა უნდა წარადგინონ დოკუმენტური მტკიცებულება ოფიციალური წერილის სახით, რომელიც ადასტურებს, თუ რომელი გამოცდები ჩააბარეს და როდის. საქართველოში არსებული უნივერსიტეტების უმრავლესობისთვის ჩათვლების მაქსიმალური რაოდენობა არის პირველი ოთხი გამოცდა ბულალტრულ აღრიცხვაში ხარისხის მისაღებად. იმ შემთხვევებში, როდესაც უნივერსიტეტს შეუძლია ჩათვლების მიღება ბაფსისგან მან მაინც ცალკე უნდა მიმართოს ACCA-ს

ჩათვლასთან დაკავშირებით. ACCA-ს პოლიტიკაა, რომ ჩათვლა არ ხორციელდება სხვა ჩათვლების საფუძველზე. ROSC-ის შეფასების თარიღისთვის საქართველოში იყო ACCA-ს 152 წევრი, 810 მომავალი წევრი კვალიფიკაციის პროცესში და DiplFR სერტიფიკატის 48 მფლობელი.

286. საერთაშორისო დონორები, მათ შორის, ევროკავშირი და მსოფლიო ბანკი, მხარს უჭერენ საქართველოში ბულალტრული აღრიცხვის განათლების გაძლიერებას რეგიონული და შიდა ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, მათ შორისაა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტისა და ანგარიშგების გაძლიერების რეგიონული პროგრამა (STAREP),²¹¹ საჯარო სექტორის აღრიცხვისა და ანგარიშგების პროგრამა (PULSAR)²¹² და ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი საქართველოს ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების ტექნიკური დახმარების პროექტი.²¹³ საქართველოში ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განათლების გაუმჯობესების ეროვნული სტრატეგია 2018 წელს STAREP პროგრამის ფარგლებში შემუშავდა, რომლის მიზანია ქვეყანაში ბულალტრული განათლების სტატუსის ანალიზი, და მისი შესაბამისობის შესწავლა “საქართველოს კანონთან ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ”, ევროკავშირის დირექტივებთან და განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან. განვითარების გამოვლენილი ძირითადი მიმართულებები შემდეგია: ა) საუნივერსიტეტო და პროფესიულ დონეზე ბულალტერიისა და აუდიტორულ განათლებას შორის უკეთესი სინერჯის ხელშეწყობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას; ბ) პროფესიის როლის ამაღლება საბულალტრო და აუდიტორული განათლების ხელშეწყობის გზით; და გ) საუნივერსიტეტო და პროფესიულ დონეზე ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული განათლების განვითარებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან სტრატეგიის რეგიონული და ქვეყნის შიგნით განხილვისას ფართოდ იქნა აღიარებული, რომ ეფექტური ბულალტრული აღრიცხვისა და

²¹¹ <https://cfr.worldbank.org/programs/starep>

²¹² <https://cfr.worldbank.org/programs/pulsar>

²¹³ <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2019/05/24/enhancing-financial-inclusion-and-accountability-in-georgia>

აუდიტის საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას, ხელს უწყობს ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული უნარების განვითარებას და ამაღლებს საზოგადოების ნდობას მოწოდებული მომსახურების ხარისხის და სარგებლის მიმართ.

287. 2019 წლის შედარებითი ანალიზის დროს განხორციელდა სილაბუსების, სწავლების, შეფასების და უმაღლესი საბუღალტრო განათლების მართვის მიმოხილვა საქართველოში. შეფასებაში მონაწილეობა სამმა წამყვანმა უნივერსიტეტმა მიიღო, რომლებიც ახორციელებენ ბუღალტრულ აღრიცხვაში ხარისხის მინიჭებას, ესენია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ანალიზის შედეგები განხილულ იქნა საქართველოში საბუღალტრო განათლებაში ჩართულ ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამსახურთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან და განათლების სამინისტროსთან. შეფასების შედეგები გამოქვეყნდა 2020 წელს და შემუშავდა საბუღალტრო განათლების გაძლიერების სამოქმედო გეგმა. ეს მოიცავდა ოთხ პრიორიტეტულ მიმართულებას, ესენია: ა) ბუღალტერთა მომზადების სასწავლო პროგრამის მოდელის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაშია განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან და ეფუძნება საერთაშორისო აღიარების მქონე პროგრამებსა და კარგ პრაქტიკას; ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო დანერგულებების აღჭურვა მაღალხარისხიანი და უახლესი სახელმძღვანელოებითა და სასწავლო მასალებით ქართულ ენაზე; გ) ერთიანი საგამოცდო პროცედურების შემუშავება მარეგულირებლის მოთხოვნებისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად; და დ) უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების ხელშეწყობა როგორც ქვეყანაში (მარეგულირებლისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ) ასევე საერთაშორისო დონეზე. საბუღალტრო განათლების სასწავლო პროგრამების სხვადასხვა ვარიანტების ანალიზმა აჩვენა, რომ ბაფის სასწავლო პროგრამა, რომელიც გამოიყენება პროფესიული სერტიფიცირებისთვის და ეფუძნება ACCA -ს კვალიფიკაციას, კარგ პოზიციაშია ამ მიზნით გამოსაყენებლად, განსაკუთრებით სამსახურის მიერ მისი აღიარებისა

და მაღალი ხარისხის და უახლესი სასწავლო მასალის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

288. ძლიერდება თანამშრომლობა, მათ შორის, ურთიერთგაგების მემორანდუმების საშუალებით, ბაფსა და წამყვან ქართულ უნივერსიტეტებს შორის, რომლებიც მსურველებს სთავაზობენ საბუღალტრო პროგრამებს. აღნიშნულის მიზანია საბაზისო და პროფესიული ბუღალტრული განათლების ინტეგრაციის და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების სამსახურის მიერ აღიარების ხელშეწყობა. ACCA-ს ქართულად ნათარგმნი 1000-ზე მეტი სახელმძღვანელო გადაეცა ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერ უნივერსიტეტებს მსოფლიო ბანკის STAREP პროგრამისა და ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი საქართველოს ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში.

9. აუდიტის რეგულირება, ხარისხის უზრუნველყოფა, და საზოგადოებრივი ზედამხედველობა

რეგულირების მიმოხილვა

289. საქართველოში აუდიტისა და აუდიტორული რეგულირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი ზედამხედველობის მოქმედი სისტემა ძირითადად შეფასდა, როგორც ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი. საქართველოსთვის ევროკავშირის შესაძლო წევრობის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად ევროკავშირის მიერ განხორციელებული შეფასების ფარგლებში, აუდიტის რეგულირების ნორმატიული ჩარჩო, ხარისხის უზრუნველყოფისა და საჯარო ზედამხედველობის ჩათვლით, ძირითადად მიჩნეულ იქნა როგორც ევროკავშირის ჩარჩოსა და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისი. რამდენიმე სფერო, რომლებიც შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს გაზიარებულ იქნა სამსახურისთვის და ის განახორციელებს შესაბამის რეაგირებას. მათ შორისაა:

- * კანონში შეტანილ უნდა იქნეს „აუდიტის მთავარი პარტნიორის“ განსაზღვრება.
- * სარეგისტრაციო მოთხოვნებს უნდა დაემატოს მოთხოვნები აუდიტორული ფირმის ოფისების ადგილმდებარეობისა და ქსელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ.
- * კანონით გათვალისწინებული უნდა იყოს სამსახურის მიერ სხვა ორგანოებზე ამოცანების შესაძლო დელეგირების მექანიზმი.
- * კანონში შეტანილ უნდა იქნეს წლიური გამჭვირვალობის ანგარიშის განსაზღვრება და აღწერა.

290. რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემა კარგად არის დამკვიდრებული და ეფექტურია. 2016 წელს სამსახურის შექმნიდან მოყოლებული, მსოფლიო ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს სამსახურთან, და მის სპონსორთან, ფინანსთა სამინისტროსთან. სამსახურმა დაამტკიცა, რომ ის მაღალეფექტიანი და ეფექტური უწყებაა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების განხორციელების პროცესში. ეს მოიცავს აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნას და ოპერირებას, კომპანიების ანგარიშგების უნიკალური პორტალის შექმნას, აუდიტის ეფექტური რეესტრის დანერგვას, მიკროსაწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შემუშავებას, ფინანსური ანგარიშგების აღსრულების ფუნქციის შემუშავებას, აუდიტორებისთვის საგანმანათლებლო მოთხოვნების დაწესებასა და აღსრულებას და მნიშვნელოვან პროგრესს ყველა სხვა სფეროში.

291. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებული იყო 438 აუდიტორი, აუდიტორულ ფირმებში მომუშავე აუდიტორების ჩათვლით. ფუნქციონირებდა 368 აუდიტორული ფირმა (267 ფირმა და 101 ინდივიდუალური პრაქტიკოსი), საერთაშორისო ქსელის 29 ფირმის ჩათვლით. 376 აუდიტორული პარტნიორი მუშაობს აუდიტორულ ფირმებში და ფირმებიდან 101 იყო დამოუკიდებელი პრაქტიკოსი (39 აუდიტორი მუშაობს პარტნიორად აუდიტორულ ფირმებში და იმავდროულად ინდივიდუალური პრაქტიკოსიცაა). ცხრაასი კომერციული სუბიექტი ექვემდებარებოდა სავალდებულო აუდიტის მოთხოვნას, მათ შორის ბანკები, საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი

კომპანიები და სხვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, აუდიტორები უნდა იყვნენ სერტიფიცირებული ბუღალტრები და აკმაყოფილებდნენ სხვა კრიტერიუმებს, მათ შორის, პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მოთხოვნებს, როგორც ეს კანონით არის განსაზღვრული.

292. მხოლოდ ცალკეულ აუდიტორებს აქვთ უფლება განახორციელონ სდპ-ის აუდიტი. სდპ-ის აუდიტის განსახორციელებლად თანხმობის მიღება ეფუძნება სამსახურის შემომნების შედეგებს. ასეთი თანხმობა ეძლევა მხოლოდ იმ ფირმას (დამოუკიდებელ პრაქტიკოს აუდიტორებს ასეთი თანხმობა არ ეძლევათ), რომელმაც შეასრულა მაღალი ხარისხის აუდიტორული გარიგებები და ფირმის დონეზე აქვს ხარისხის მართვის ეფექტური სისტემა. სდპ-ის აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმაში თანხმობა ეძლევა კონკრეტულად აუდიტორს, როგორც გარიგების პარტნიორს მაღალი ხარისხის გარიგების შესასრულებლად. თანხმობა ეძლევა როგორც ფირმას, ისე აუდიტორს მომდევნო შემომნებამდე.

293. ამჟამად არსებობს ერთი საერთო რეესტრი სავალდებულო და არასავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორებისთვის. არ არსებობს ცალკე რეესტრი სდპ აუდიტორებისთვის, მაგრამ იმ აუდიტორული ფირმების იდენტიფიკაცია, რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ სდპ კომპანიების აუდიტი, მარტივადაა შესაძლებელი რეესტრში შესაბამისი ფილტრის გამოყენებით.

294. სამსახური გეგმავს სისტემის შეცვლას და ერთი საერთო რეესტრის გაყოფას ორად სავალდებულო და არასავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორებისთვის. სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორთა რეესტრი კვლავ იქნება შემდგარი სდპ და არა-სდპ აუდიტორებისგან.

295. რეესტრში შემავალმა ზოგიერთმა აუდიტორმა შეიძლება არ განახორციელოს აუდიტორული მომსახურება. ზოგიერთ პრაქტიკოსს სურს რეესტრში ჩართვა იმისათვის, რომ მას პოტენციური კლიენტები დაუკავშირდნენ, მაგრამ ძირითადად უზრუნველყოფს საგადასახადო, ბუღალტრულ და საკონსულტაციო მომსახურებას. სამსახურის გეგმის მიხედვით, ცალ-ცალკე

რეესტრების არსებობის შემთხვევაში სავალდებულო და არასავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორებისთვის, ის აუდიტორები, რომლებიც არ ატარებენ აუდიტს, განთავსდებიან არასავალდებულო აუდიტის რეესტრში.

296. თვრამეტ აუდიტორს ჰქონდა ბუღალტრის აღიარებული უცხოური კვალიფიკაცია. სამსახურს შეუძლია ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარება და აუდიტორის რეგისტრაცია, რომელიც არის OECD-ის ან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დაფუძნებული IFAC-ის წევრი ორგანიზაციის წევრი, საქართველოს კანონმდებლობასა და საგადასახადო საკითხებში საკვალიფიკაციო ტესტების ჩაბარების შემდეგ. ამ შეფასების მომზადების თარიღის მდგომარეობით სამსახურის რეესტრში 18 ასეთი აუდიტორი შედიოდა.

297. არ არსებობს აუდიტორული ფირმებისთვის დასარეგისტრირებლად რაიმე სპეციფიკური სამართლებრივი ფორმა. აუდიტორულ ფირმებს არ მოეთხოვებათ კომპანიის რეგისტრაცია კონკრეტული სამართლებრივი ფორმით, მაგრამ პრაქტიკაში აუდიტორული ფირმები ძირითადად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს წარმოადგენენ. აუდიტორულ ფირმებს მოეთხოვებათ პროფესიული დაზღვევა არანაკლებ 100,000 ლარის ოდენობით შესაძლო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც გამოწვეულია აუდიტორის მიერ კანონით განსაზღვრული აუდიტორული მომსახურების შეუსრულებლობით.

298. არააუდიტორული მომსახურების განწევას და სხვა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს არეგულირებს საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“. აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში, ფასდება ფირმის ხარისხის მართვის სისტემის დიზაინი და დანერგვა, მათ შორის დამოუკიდებლობისა და ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ეს მოიცავს არააუდიტორული მომსახურების მიწოდებიდან გამომდინარე ინტერესთა შესაძლო კონფლიქტს.

ხარისხის უზრუნველყოფა და აუდიტის ზედამხედველობის სისტემა

299. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” სამსახურს 2016 წლიდან განსაზღვრავს როგორც აუდიტის მონიტორინგზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ერთადერთ უწყებას. მონიტორინგი გულისხმობს აუდიტორული ფირმის ასს-ის და ხმსს 1 და ხმსს 2-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას.

300. სამსახური არის ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო უწყება (საბიუჯეტო ორგანიზაცია). კანონის მიხედვით, სამსახურმა თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს ფინანსთა მინისტრს, გამოაქვეყნოს საჯარო ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ და თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სამომავლო გეგმების შესახებ.

301. სამსახური არის აუდიტის დამოუკიდებელ მარეგულირებელთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) სრულუფლებიანი წევრი. სამსახურს აქვს IFIAR-ის ფარგლებში ხმის მიცემის სრული უფლება და მონაწილეობს IFIAR-ის განვითარებადი ქვეყნების სამუშაო ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს სასიკეთო შესაძლებლობებს საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

302. სამსახური უზრუნველყოფს დამოუკიდებლობას აუდიტორებისგან / აუდიტორული ფირმებისგან, რომელთა მონიტორინგსაც აწარმოებს. სამსახურის საბჭო და პერსონალი ვალდებულნი არიან იყვნენ არაპრაქტიკოსები აუდიტორულ ფირმებთან ბოლოდროინდელი კავშირის გარეშე. ამასთან ერთად, ინსპექტორს, რომელიც ახორციელებს აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის მონიტორინგს, მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს განხორციელებული აუდიტორული მომსახურება, არ უნდა ჰქონდეს კენჭისყრაში მიღებული მონაწილეობა, არ უნდა იყოს დასაქმებული შესამოწმებელი აუდიტორული ფირმის მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, ან სხვაგვარად დაკავშირებული აუდიტორულ ფირმასთან.

ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვის პროცედურები, მიდგომა და შედეგების კომუნიკაცია

303. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის უზრუნველყოფის შემოწმება ტარდება არანაკლებ ექვს წელიწადში ერთხელ ყველა აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის, ხოლო სამ წელიწადში ერთხელ მაინც აუდიტორული ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სდპ-ების და პირველი კატეგორიის სუბიექტების აუდიტს. ამასთან ერთად, სამსახური იყენებს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას შესამოწმებლად აუდიტორების/აუდიტორული ფირმების შერჩევისას. სამსახურის მიზანია ყოველწლიურად მინიმუმ 30 აუდიტორული ფირმის, მათ შორის, როგორც სდპ, ისე არა - სდპ აუდიტორების შემოწმება.

304. სამსახური ახორციელებს აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფას დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც შემუშავდა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ფართომასშტაბიანი Twinning პროექტი საბერძნეთის აუდიტის მარეგულირებელთან რამდენიმე წლის განმავლობაში უწევდა სამსახურს დახმარებას აუდიტის ინსპექტირების მიდგომის, პროცედურების და მეთოდოლოგიის შემუშავებაში და დახვეწაში. აუდიტის სხვა მარეგულირებლებთან თანამშრომლობით (მათ შორის დიდი ბრიტანეთიდან, ახალი ზელანდიიდან, ნიდერლანდებიდან, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან) მიდგომა კიდევ უფრო დახვეწა. მეთოდოლოგია ყოველწლიურად განვიანდება და ახდენს ფოკუსირებას რისკის სფეროებზე, როგორებიცაა აუდიტორის განსჯა, ჯგუფის აუდიტი და სხვა მაღალი რისკის სფეროები.

305. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფას შედეგად მოჰყვება შეფასების 6 კატეგორიიდან ერთ-ერთი. სამსახური შემოწმების წინასწარ შედეგებს წარადგენს მის მიერ ხარისხის კონტროლის

სისტემის მონიტორინგის შესახებ მოთხოვნილი სრული ინფორმაციის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. ინსპექტირების საბოლოო შედეგები ეცნობება ფირმას ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის ანგარიშში. აუდიტორულ ფირმებს მოეთხოვებათ სამსახურისთვის ხარვეზების გამოსწორების გეგმის წარდგენა, რომელშიც მითითებული იქნება განსახორციელებელი გამოსასწორებელი პროცედურების ვადები. სამსახური მომდევნო ვიზიტის დროს ამოწმებს შესრულდა თუ არა ხარვეზების გამოსასწორებელი გეგმით განსაზღვრული ამოცანები.

306. სამსახური ამჟამად არ თანამშრომლობს აუდიტის კლიენტების კორპორაციულ მართვაზე პასუხისმგებელ აუდიტის კომიტეტებთან ან სხვა ორგანოებთან, შემოწმების შედეგების განსახილველად. თუმცა, სამსახურმა დაიწყო ღონისძიებების განხორციელება აუდიტის კომიტეტების ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ევროკავშირთან საქართველოს ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში.

307. კანონმდებლობის მიხედვით სამსახური ვალდებულია გამოაქვეყნოს ინდივიდუალური აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მონიტორინგის შედეგები აუდიტის რეესტრში. ამასთან ერთად, მან ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნოს ზოგადი ანგარიში აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ. თუმცა, ევროკავშირის კანონმდებლობა აუდიტის ზედამხედველობის ორგანოებს ავალდებულებს, გამოაქვეყნონ უფრო მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, წლიური სამუშაო პროგრამა, საქმიანობის ანგარიში და გაერთიანებული ინფორმაცია ინსპექტირების მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. სამსახური ყოველწლიურად ავრცელებს ანგარიშს ამ სფეროების უმეტესობაზე. როგორც ზემოთ 289-ე პუნქტში აღინიშნა, სამსახურს შეუძლია განიხილოს კანონში ცვლილებების შეტანა, იმისათვის რომ მასში გათვალისწინებული იყოს ყველა საანგარიშო სფერო, რომელიც მითითებულია ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნაში.

ხარისხის უზრუნველყოფის ინსპექტორები

308. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის (QA) ჯგუფში სამსახურს ამჟამად ჰყავს 5 ინსპექტორი.

მათ მოეთხოვებათ უმაღლესი განათლება ეკონომიკაში ან ბიზნესის ადმინისტრირებაში და მინიმუმ ორწლიანი სამუშაო გამოცდილება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების ან/და აუდიტის სფეროში (აუდიტის ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად). ინსპექტორები ინიშნებიან კონკურსის წესით და იღებენ ანაზღაურებას მათი პროფესიული კომპეტენციის დონის მიხედვით. ინსპექტორები გადიან შესაბამის პროფესიულ განვითარებას და ყოველწლიური შეფასების პროცესს.

309. სამსახური იღებს ზომებს ინსპექტორების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად პროფესიისა და მათი შემოწმების ობიექტისგან. ინსპექტორები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ დამოუკიდებლობის დეკლარაციას ყოველი შემოწმების დასაწყისში.

310. არსებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სამსახურისთვის მუდმივი გამოწვევაა. ტექნიკური განახლებები და ინსპექტირების პერსონალის და ხარისხის შეფასების პროცესში ჩართული სხვა პირების ტრენინგი უზრუნველყოფილია სამსახურის მიერ მუდმივად, ზოგჯერ დონორთა მხარდაჭერით. კვალიფიკაციის აღნიშნული ამაღლება უნდა მოიცავდეს ცვლილებებს ფინანსური ანგარიშგების, აუდიტისა და ხარისხის მართვის სტანდარტებში; საუკეთესო პრაქტიკის განვითარებას და აუდიტის ინსპექტირების მეთოდოლოგიებსა და მიდგომებში პარტნიორთა გამოცდილებას; საკანონმდებლო ცვლილებებს და სხვა შესაბამის სფეროებს. მომავალში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მომდევნო განახლებებისა და ტრენინგის მდგრადი დაფინანსება.

311. სამსახურმა ასევე უნდა დაძლიოს სხვა საოპერაციო გამოწვევები, როგორებიცაა სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის მოპოვება აუდიტის ინსპექტირების მართვისთვის და იმის უზრუნველყოფა, რომ ინსპექტირების პერსონალს არ მოეთხოვებოდეს ინსპექტირების გარდა სხვა ქმედებების განხორციელება.

მოკვლევა და სანქციები

312. აუდიტორები და აუდიტორული ფირმები რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ სამსახურის აუდიტორთა რეესტრში.²¹⁴ აუდიტორებს, რომლებიც მიიღებენ ყველაზე დაბალ ქულებს ხარისხის უზრუნველყოფის შემოწმებისას, შეიძლება დაეკისროთ სანქციები, მათ შორის, რეგისტრაციის გაუქმება ან აუდიტის ანგარიშების ხელმოწერის აკრძალვა. როდესაც აუდიტორები ან აუდიტორული ფირმები იღებენ 2-5 ქულას (სადაც 5 არის დაბალი ქულა), სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს მათგან დამატებითი სპეციალისტების ჩართვა მიმდინარე აუდიტორულ გარიგებებში. აუდიტორებს, რომლებიც მიიღებენ 4 ან 5 ქულიან შეფასებას, არ შეუძლიათ სდპ-ების, პირველი და მეორე კატეგორიის კომპანიების აუდიტის განხორციელება. შეიძლება საჭირო გახდეს განგრძობითი პროფესიული განათლების კურსების გავლა გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირებისთვის. გარდა ამისა, სამსახურს შეუძლია ფულადი სანქციის დაწესება 5,000 ლარამდე.

ეფექტიანობის მაჩვენებლები – აუდიტის საზოგადოებრივი ზედამხედველობა

313. საერთო რეიტინგი, რომელიც საქართველოს მიენიჭა ინდიკატორით „აუდიტის საზოგადოებრივი ზედამხედველობა“, არის 4-დან 3.9, რაც უდრის ქვემოთ მოყვანილი A, B და C ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს.

ქვეინდიკატორი A. აუდიტის ზედამხედველობის სისტემა.

314. საკანონმდებლო მოთხოვნებზე დაფუძნებული რეიტინგი არის 3.8, რაც უდრის ქვემოთ მოცემული A.1-A.4 ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს, (ანუ $3.8 = (4+4+3+4)/4$.)

A.1. აუდიტის საზედამხედველო უწყების მმართველი ორგანოს წევრობა

საქართველოს რეიტინგი	4	სამსახურის საბჭო შედგება 7 წევრისაგან, რომლებსაც წარადგენენ სხვა მარეგულირებლები და ინსტიტუტები. პრაქტიკოსების ყოფნა საბჭოში დაუშვებელია, საჭიროა პრაქტიკის დასრულებიდან გავიდეს გარკვეული დრო.
რეიტინგის კრიტერიუმები	1	კრიტერიუმები “2” რეიტინგის მისაღებად არ არის შესრულებული.
	2	წევრები არიან პროფესიის წარმომადგენლები ან უმრავლესობა (50 პროცენტზე მეტი) პრაქტიკოსია.
	3	წევრები არიან უმეტესად (50 პროცენტზე მეტი) არაპრაქტიკოსები და მცირე პრაქტიკის მქონე პირები
	4	წევრები წარმოდგენილი არიან მხოლოდ არაპრაქტიკოსებით, რომლებიც დამოუკიდებელი არიან პროფესიისგან, IFIAR-ის მე -2 ძირითადი პრინციპის შესაბამისად.

A.2. აუდიტის ზედამხედველობის სისტემის მასშტაბი

საქართველოს რეიტინგი	4	სსამსახური შეიქმნა კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც უმეტესწილად შეესაბამება ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნებს აუდიტის ზედამხედველობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სამსახური ზედამხედველობას უწევს (i) აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების დამტკიცებასა და რეგისტრაციას; (ii) აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორების პროფესიული ეთიკისა და შიდა ხარისხის კონტროლის სტანდარტების მიღებას; (iii) განგრძობით პროფესიულ განათლებას, (iv) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას; და (v) აუდიტორთა მოკვლევის და ადმინისტრაციულ დისციპლინურ სისტემებს.
რეიტინგის კრიტერიუმები	1	კრიტერიუმები “2” რეიტინგის მისაღებად არ არის შესრულებული.
	2	აუდიტის ზედამხედველობის ორგანო ზედამხედველობას უწევს: (i) აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების დამტკიცებას და რეგისტრაციას; (ii) აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორების პროფესიული ეთიკისა და შიდა ხარისხის კონტროლის სტანდარტების მიღებას; და (iii) განგრძობით პროფესიულ განათლებას.
	3	“2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: აუდიტის ზედამხედველობის ორგანო ზედამხედველობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას.
	4	“3” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: აუდიტის ზედამხედველობის ორგანო ზედამხედველობას უწევს მოკვლევის და ადმინისტრაციულ დისციპლინურ სისტემებს.

A.3. აუდიტის ზედამხედველობის სისტემის დაფინანსება

საქართველოს რეიტინგი	3	სამსახურს აფინანსებს მთავრობა ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით. სამსახურის დაფინანსება ზოგადად ადეკვატურია მისი მიმდინარე ოპერაციებისთვის. თუმცა, სამსახური აგრძელებს დონორთა მხარდაჭერით სარგებლობას ტრენინგის ინიციატივებისა და სხვა განვითარებისათვის – მომავალში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასეთი ტრენინგების მდგრადი დაფინანსება.
რეიტინგის კრიტერიუმები	1	კრიტერიუმები “2” რეიტინგის მისაღებად არ არის შესრულებული.
	2	დაფინანსების ამჟამინდელი დონე არ არის საკმარისი აუდიტის ზედამხედველობის ორგანოს ძირითადი საქმიანობის დასაფარად.
	3	დაფინანსების ამჟამინდელი დონე საკმარისია აუდიტის ზედამხედველობის ორგანოს ძირითადი საქმიანობის დასაფარად, მაგრამ არსებობს შემოფოთება მდგრადობასთან დაკავშირებით.
	4	დაფინანსების ამჟამინდელი დონე საკმარისია აუდიტის ზედამხედველობის ორგანოს ძირითადი საქმიანობის დასაფარად და მდგრადია. დაფინანსება უზრუნველყოფილია და თავისუფალია აუდიტორების არასათანადო გავლენისგან.

A.4. ანგარიშგება აუდიტის ზედამხედველობის ორგანოს მიერ

საქართველოს რეიტინგი	4	სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს ანგარიშგებას როგორც ფინანსთა სამინისტროს, ისე საზოგადოების წინაშე, შემოწმების შედეგების, თავისი საქმიანობის და სამომავლო სამუშაო გეგმის შესახებ. სამსახური იცავს IFIAR-ის ძირითად პრინციპებს, როგორც IFIAR-ის წევრი. ევროკავშირის აუდიტის რეგლამენტის შესაბამის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის მისაღწევად, წლიური გამჭვირვალობის ანგარიშის განსაზღვრება და აღწერა უნდა შევიდეს კანონში.
რეიტინგის კრიტერიუმები	1	კრიტერიუმები “2” რეიტინგის მისაღებად არ არის შესრულებული.
	2	არ არსებობს წლიური სამუშაო გეგმების, საქმიანობის ანგარიშების ან შემოწმების შედეგების გამოქვეყნების სამართლებრივი ვალდებულება აგრეგატულ დონეზე ან ფირმის მიხედვით.
	3	დანეხებულია სამართლებრივი მოთხოვნები განსაზღვრულ ვადებში წლიური სამუშაო გეგმების და წლიური საქმიანობის შემეჯამებელი ანგარიშების მომზადებისა და გამოქვეყნებისთვის.
	4	წლიური სამუშაო გეგმები, ანგარიშები საქმიანობის შესახებ და ინსპექტირების შედეგები (აგრეგატულ დონეზე ან ფირმის მიხედვით) ყოველწლიურად ქვეყნდება კანონის მოთხოვნების და IFIAR-ის მე-3 ძირითადი პრინციპის შესაბამისად.

ქვეინდიკატორი B. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა.

315. მინიჭებული რეიტინგი კანონმდებლობის მოთხოვნების საფუძველზე არის 4.0, რომელიც უდრის ქვემოთ წარმოდგენილი B.1-B.4 ქვეინდიკატორებისგან შემდგარი რეიტინგის კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკულს (ე.ი., $4.0 = (4+4+4+4)/4$).

B.1. სამართლებრივი მანდატი აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის შემონებისთვის		
საქართველოს რეიტინგი	4	სამსახურმა ჩაატარა სდპ აუდიტორების შემონების სრული ციკლი და დაიწყო მესამე ციკლი. მისი შემონების ფუნქცია დამოუკიდებელია ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიისგან და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ სამსახურს აძლევს აუცილებელ სამართლებრივ მანდატსა და უფლებამოსილებას ამ როლის შესასრულებლად.
რეიტინგის კრიტერიუმები	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
	2	არსებობს მოთხოვნა, რომ აუდიტორების საქმიანობა დაექვემდებაროს შემონებას ხარისხის სტანდარტების დაცვის მიზნით.
	3	აუდიტორების ინსპექტირება მათ მიერ ხარისხის სტანდარტების დაცვის შესამოწმებლად სავალდებულოა განხორციელდეს ცალკე ორგანოს მიერ, რომელიც მოქმედებს საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.
	4	სდპ აუდიტორების ინსპექტირება მათ მიერ ხარისხის სტანდარტების დაცვის შესამოწმებლად სავალდებულოა განხორციელდეს სამართლებრივი მანდატის და უფლებამოსილების მქონე ცალკე ორგანოს მიერ, რომელიც ასრულებს ამ საზედამხედველო როლს.

B.2 მოთხოვნები აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის შემონებისთვის		
საქართველოს რეიტინგი	4	ინსპექტორებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი გამოცდილება და იყვნენ დამოუკიდებლები, როგორც სამსახურში მიღებისას, ისე ყოველი შემონებისას. ტრენინგი ინსპექტორებს უტარდებათ ყოველწლიურად და უწყვეტ საფუძველზე. სამსახურის ინსპექტორები მონაწილეობენ IFIAR-ის ინსპექტირების ყოველწლიურ სამუშაო შეხვედრაში, სადაც ინსპექტორები მთელი მსოფლიოდან ერთმანეთს უზიარებენ უახლეს გამოცდილებას და შემონებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.
რეიტინგის კრიტერიუმები	1	“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.
	2	ხარისხის უზრუნველყოფის ინსპექტორებს მოეთხოვებათ პროფესიული გამოცდილება აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროში.
	3	ხარისხის უზრუნველყოფის ინსპექტორები ვალდებულნი არიან იყვნენ დამოუკიდებლები შესაფასებელი აუდიტორისგან და არ ჰქონდეთ ინტერესთა კონფლიქტი.
	4	სდპ-ების აუდიტორების ინსპექტორებს მოეთხოვებათ განგრძობითი პროფესიული განათლება და სპეციალიზებული ტრენინგი ხარისხის უზრუნველყოფის და სხვა შესაბამის სფეროებში, ქვეყანაში მოქმედი სდპ-ების ტიპისა და სირთულის, მათ შორის, დარგის სპეციალიზებული ცოდნის საფუძველზე.

B.3 აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის შემოწმების სიხშირე

საქართველოს რეიტინგი	4	სამსახური ახორციელებს როგორც ციკლზე დაფუძნებულ, ისე რისკზე დამყარებულ მიდგომას შემოწმებისთვის აუდიტორების შერჩევისას, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ციკლი არის სამი წელი სდპ აუდიტორებისთვის და ექვსი წელი არა-სდპ აუდიტორებისთვის, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. ამ ციკლის ფარგლებში ყველა აქტიურ აუდიტორთან ხორციელდება ვიზიტი. სამსახური იწყებს მესამე ციკლს სდპ აუდიტორებისთვის.
	რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 აუდიტორები ინსპექტირებისთვის შეირჩევიან მინიმალური ციკლის მიხედვით, მინიმუმ 6 წელიწადში ერთხელ.</p> <p>3 სდპ-ს აუდიტორების ინსპექტირების მინიმალური ციკლი არის მინიმუმ ერთხელ 3 წელიწადში.</p> <p>4 ხარისხის უზრუნველყოფის ორგანო ასევე ითვალისწინებს რისკზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს, როდესაც განსაზღვრავს თუ რომელი აუდიტორი აირჩიოს შემოწმებისთვის.</p>

B.4 აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის შემოწმების პროცედურები და მიგნებები

საქართველოს რეიტინგი	4	<p>ხარისხის შემოწმების შედეგები განიხილება სამსახურის შიგნით ხელმძღვანელობის მიერ და შეჯამებული სახით სამსახურის საბჭოს მიერ. შემოწმების შედეგებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განხილვის სუბიექტებთან შეიძლება გადაეცეს საბჭოს დავების განხილვის პროცესის ფარგლებში.</p> <p>ინსპექტირების პროცესის ნაწილია აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან ხარვეზების გამოსწორების გეგმის (რომელიც ეხება მიმოხილვის შედეგებს) განხილვა და მასზე შეთანხმება. ამ გეგმის შესრულების შემოწმება მოხდება მომდევნო ინსპექციის დროს.</p>
	რეიტინგის კრიტერიუმები	<p>1 “2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p> <p>2 ხარისხის შემოწმების პროცედურები ტარდება განსაზღვრული მეთოდოლოგიით. ინსპექტირების პროცედურები მოიცავს ფირმის პროცედურების ადგილზე განხილვას სამართლებრივ, ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით ხარისხის შემოწმების შედეგების გაზიარება აუდიტორისთვის ხდება წერილობითი ანგარიშის სახით.</p> <p>3 “2” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები ასევე მოიცავს აუდიტის შერჩეული ფაილების და სამუშაო დოკუმენტების ადგილზე შემოწმებას სამართლებრივ, ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშგების პროცედურები მოიცავს ინსპექტირების ანგარიშის პროექტის მიწოდებას აუდიტორისთვის მისი კომენტარის და სამოქმედო გეგმების (გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირებისთვის) დასაბუხებლად ანგარიშის საბოლოო სახით მომზადებამდე.</p> <p>4 “3” რეიტინგით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად: ხარისხის ინსპექტირების პროცედურები და მიმოხილვის შედეგები ასევე ექვემდებარება ხარისხის შიდა კონტროლს ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოში, ინსპექტირების მაღალი ხარისხის და თანმიმდევრულობის ხელშესაწყობად. ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშგების პროცედურები მოიცავს გამოვლენილი ფაქტების გამოსწორების სტატუსს, რომელზე რეაგირების ვალდებულებაც იკისრა აუდიტორმა.</p>

ქვეინდიკატორი C. მოკვლევა და სანქციები.

316. მინიჭებული რეიტინგი სამართლებრივი მოთხოვნების საფუძველზე არის 4.

C.1. აუდიტის ხარისხის მოკვლევა და სანქციები	
საქართველოს რეიტინგი	4
	<p>ვიზიტის შეფასების შედეგის გასაჯაროების გარდა, სამსახურს აქვს ხელმისაწვდომი სანქციების მთელი რიგი. ეს საჯაროობა თავისთავად ეფექტური სანქციაა. ამასთან ერთად, სამსახურისთვის ხელმისაწვდომია სანქციები, განგრძობითი პროფესიული განათლების მოთხოვნის დაწესებიდან აუდიტის რეესტრიდან ამორიცხვამდე.</p>
რეიტინგის კრიტერიუმები	1
	<p>“2” რეიტინგის მისაღებად კრიტერიუმები არ არის შესრულებული.</p>
	2
	<p>არსებობს მოკვლევის გარკვეული პროცედურები და სანქციები, მაგრამ არ არის ეფექტური და იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში.</p>
	3
	<p>მოკვლევის სისტემები მიმართულია შეუსაბამობის გამოვლენისკენ, მაგრამ სანქციები არ არის შეუსაბამობის სიმძიმის შესაბამისი.</p>
	4
	<p>არსებობს მოკვლევის და სანქციების ეფექტური სისტემები და სანქციები შეესაბამება მოთხოვნების შესრულებლობის სიმძიმეს.</p> <p>მოქმედებს სდპ-ების აუდიტორების მიერ განხორციელებულ შეუსაბამო ქმედებებთან დაკავშირებით ინფორმაციის ანონიმურად (მათ შორის საზოგადოებისგან) მიღების მექანიზმები. ასეთ ინფორმაციას შეუძლია მოკვლევის დაწყების ინიცირება.</p>

10. ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტების დადგენა

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები

317. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა (ფასს-ის ან მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის) საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების გამოყენება (მიკროსაწარმოების გარდა), ხოლო აუდიტის განსახორციელებლად აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და ხარისხის მართვის სტანდარტების (ასს, ხმსს 1 & 2) გამოყენება. სამსახური, როგორც ასეთი,

არ არის სტანდარტების დამდგენი ორგანო მიკროსაწარმოების გარდა სხვა კომპანიებისთვის. ის პასუხისმგებელია გადამუშავებული საერთაშორისო სტანდარტების სამართლებრივ მიღებაზე. ეს საერთაშორისო სტანდარტები დადგენილია საქართველოს ფარგლებს გარეთ; განახლებები ითარგმნება და მიიღება სამსახურის მიერ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დამდგენი ორგანიზაციების მიერ მათი გამოქვეყნებიდან მოკლე ვადაში.

318. სამსახური იღებს ფასს-ის/ მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის უახლეს ვერსიას. ამ ანგარიშის მომზადების თარიღისთვის სამსახურს ჰქონდა განახლებული ფასს-ის უახლესი ვერსია 2023 წლის მაისში, ყოველგვარი ცვლილების გარეშე. სამსახური პასუხისმგებელია ფასს-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის ქართულ ენაზე თარგმნაზე. სამსახურში მოქმედებს ნათარგმნი სტანდარტების განხილვის კომიტეტი.

319. სამსახურმა მიიღო მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ების 2015 წლის უახლესი ვერსია. ის ითარგმნა, განიხილა იმავე კომიტეტმა როგორც ფასს სტანდარტები და მიღებულ იქნა სამსახურის უფროსის ბრძანებით. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცესის მიხედვით, განხილვის კომიტეტის წევრებს ნიშნავს სამსახურის უფროსი და მათ შორის არიან დარგის ექსპერტები, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პრაქტიკოსები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

320. სამსახური შეიმუშავებს და აქვეყნებს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტს მიკროსაწარმოებისთვის (ეროვნული GAAP). ეს სტანდარტი შემუშავდა 2018 წელს როგორც ადგილობრივი (მათ შორის სამსახურიდან) ასევე საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფის მიერ. სტანდარტის პროექტი საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი 6 თვის განმავლობაში სამსახურის ვებგვერდზე და ღია იყო კომენტარებისთვის. სასწავლო მასალები მიკროსაწარმოებისთვის ასევე დონორთა მხარდაჭერით შემუშავდა. ეს სტანდარტი შემუშავდა მიკროსაწარმოების დაფინანსებასთან წვდომის გაუმჯობესების და ამგვარად ინვესტიციების გაძლიერების და შედეგად ეკონომიკური ზრდის მიზნით. ამ შედეგის მისაღწევად სტანდარტი შემუშავდა ქართულ კონტექსტზე მორგებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე. ამასთან ერთად, მას ახლავს უნიკალური, არასავალდებულო თვითმასწავლებელი. მიიჩნევა, რომ დროთა განმავლობაში მიკროსაწარმოების ფინანსური ინფორმაცია სტანდარტის საფუძველზე უზრუნველყოფს სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს საკრედიტო რეიტინგის სააგენტოებისთვის მიკროსაწარმოების უფრო ზუსტად შესაფასებლად და რომ გაუმჯობესებული ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ ბანკებს მისცემს მიკროსაწარმოებზე გაცემული სესხების უკეთესად შეფასების საშუალებას. აღნიშნულს ასევე მოჰყვება მიკროსაწარმოებისთვის ნასესხები სახსრების ხარჯების შემცირება.

321. სამსახური მხარს უჭერს მიკროსაწარმოთა სტანდარტის დანერგვას. დონორი ორგანიზაციების დახმარებით შემუშავდა მასალები (თვითმასწავლებელი) მიკროსაწარმოებისთვის შესაბამისობის ტვირთის შესამსუბუქებლად. ამასთან ერთად, სამსახურში მოქმედებს მიკროსაწარმოების ფინანსური ანგარიშგების

სტანდარტის ინტერპრეტაციების კომიტეტი. თარგმანის განხილვის კომიტეტის მსგავსად, კანონის შესაბამისად, ინტერპრეტაციების კომიტეტის წევრებს ნიშნავს სამსახურის უფროსი და მის შემადგენლობაში შედიან დარგის ექსპერტები, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პრაქტიკოსები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

აუდიტის სტანდარტები

322. სამსახურმა მიიღო ასს-ების 2020 წლის გამოცემა, რომელიც 2021 წლის 14 სექტემბერს გამოქვეყნდა. სტანდარტები ითარგმნა და მიღებულ იქნა 2022 წლის მაისში. ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტები გამოქვეყნებულია სამსახურის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

323. ასს-ების და ხმსს 1-ის და 2-ის ცვლილებები მიიღება სამსახურის მიერ განხორციელებული პროცესის მიხედვით. გაფორმებულია ხელშეკრულება IFAC-თან სტანდარტების თარგმნისა და გავრცელების შესახებ და, ხელშეკრულების შესაბამისად, ასს /ხმსს სტანდარტების ცვლილებები ითარგმნება სამსახურის მიერ დასაქმებული თარგმნების მიერ. სამსახურის შესაბამისი კომიტეტი ახორციელებს თარგმანის ტექნიკურ განხილვას. მიღებული კომენტარების გათვალისწინების შემდეგ, განხილვის კომიტეტი ამტკიცებს ტექსტის საბოლოო ვერსიას. თარგმანის დასკვნითი პროექტი ეგზავნება IFAC-ს გამოქვეყნებამდე განსახილველად. ამის შემდეგ, ახალი შეცვლილი ასს /ხმსს-ის მიღების ბრძანებას ხელს აწერს სამსახურის უფროსი.

324. აუდიტის სტანდარტებზე საავტორო უფლება ეკუთვნის IFAC-ს. შეიძლება გაჭიანურდეს მთავრობისგან თანხმობის მოპოვება IFAC-თან სამსახურის მიერ საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით სტანდარტების განახლებული ვერსიების გამოსაყენებლად.

325. სამსახური მონაწილეობდა მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის ცვლილების პროცესში. მსოფლიო ბანკის დახმარებით, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის კონსოლიდირებული კომენტარები მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ში შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით წარედგინა ბასსს-ს.

C. ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და აღქმა

326. ფინანსური ანგარიშგების არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ არსებობს განსხვავებები მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და რეალურ პრაქტიკას შორის.

აღინიშნა მოქმედი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების და წარდგენის მოთხოვნების შეუსრულებლობა, რაც საბოლოოდ იწვევს ფინანსური ინფორმაციის შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ბაზარზე ეკონომიკური გადამწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბანკების და, შედარებით ნაკლებად, სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები, ზოგადად შეფასდა, რომ შესაბამეობადა ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ასპექტების უმეტესობას. მნიშვნელოვანი შეუსაბამობა დაფიქსირდა ყველა სხვა სექტორში. იმ სუბიექტების ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც ექვემდებარება რეგულირებას რამდენიმე მარეგულირებლის მიერ, ზოგადად აღმოჩნდა, რომ უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე ისინი, რომლებიც ექვემდებარება რეგულირებას მხოლოდ სამსახურის მიერ.²¹⁵ შესაბამისობის მიმართულებით არსებული განსხვავება მიუთითებს იმაზე, რომ აუდიტის ზედამხედველობაზე და ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკის აღსრულებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებების შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერებაა საჭირო.

327. ROSC A&A შეფასების პროცესი მოიცავდა ფინანსური ანგარიშგების და საზედამხებდველო ანგარიშგებების²¹⁶ მიმოხილვას და დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიას. ამ თავის მიზნებია: (ა) აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტების (თავი II.A) შეფასების შედეგების და კორპორაციული ანგარიშგების

ინსტიტუციური ჩარჩოს (თავი II.B) დადასტურება გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე და მარეგულირებლების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშგებზე (ხელმისაწვდომობის შემთხვევაში) მითითებით; და (ბ) ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისგან ინფორმაციის მოპოვება მათი წარმოდგენების შესახებ ფინანსური ანგარიშგებების ხარისხის და მათზე არსებული მოთხოვნის თაობაზე. ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისობის რისკზე დაფუძნებული მიმოხილვის გამოქვეყნებულ ანონიმურ შედეგებში სამსახური განსაზღვრავს შეუსაბამობის შედარებით მაღალ დონეს ფასს 7-თან **ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები და ბაის 1-თან: ფინანსური ანგარიშგების წარდგენა**, და, შედარებით უფრო ნაკლებად, შეუსაბამობას სხვა ფასს სტანდარტებთან.²¹⁷ სამსახურის დასკვნები, როგორც წესი, შეესაბამება ROSC A&A-ს ფარგლებში განხორციელებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის შედეგებს და ასევე დისკუსიებს, რომლებიც გაიმართა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებთან და აუდიტორებთან. სამსახური ასევე აქვეყნებს ზოგად ინფორმაციას შეჯამებული ანონიმური შედეგების სახით აუდიტორული ფირმების/ აუდიტორების ხარისხისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შესახებ, რომელიც მან განახორციელა სრულად ან თემატურად.²¹⁸

ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვა

328. ფინანსური ანგარიშგებების შეზღუდული მიმოხილვა განხორციელდა შესაბამისობის მიმართულებით არსებული განსხვავებების და ბაზარზე ხელმისაწვდომი ფინანსური ინფორმაციის ხარისხის შესაფასებლად. ROSC A&A გუნდმა განიხილა 2020 წლის 31 დეკემბრის²¹⁹ კონსოლიდირებული წლიური ფინანსური

²¹⁵ მაგალითად, იმ სუბიექტების ფასს ფინანსური ანგარიშგების განხილული ორივე ნაკრები რომლებიც არ არიან არც საფონდო ბირჟის, არც სებ-ის და არც დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურების რეგულირების ქვეშ არსებით ხარვეზებს შეიცავდა - ერთ-ერთმა კომპანიამ მხოლოდ შემაჯამებელი ფინანსური ანგარიშგება წარადგინა სამსახურის პორტალზე და ზოგიერთმა კომპანიებმა ფასს სტანდარტების ძველი ვერსია გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას

²¹⁶ სებ-ის წლიური ანგარიში - 2020, დაზღვევის ზედამხედველის წლიური ანგარიში 2021 და სამსახურის მიერ ფინანსური ანგარიშგების განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები (მეორე გამოცემა).

²¹⁷ <https://saras.gov.ge/en/News/Detail/2546>

²¹⁸ https://www.saras.gov.ge/Content/files/Annual_Report_2021_%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98_ENG.pdf

²¹⁹ 2020 წლიური ფინანსური ანგარიშგებები განხილული იყო რადგან შესაბამისობის შეფასება დაიწყო 2021 წლის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის საბოლოო ვადამდე სამსახურის პორტალზე (1-ლი ოქტომბერი, 2022).

ანგარიშგებების ნიმუში, რომ შეეფასებინა თუ რამდენად შეესაბამება ისინი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც ისინი უნდა მომზადდეს — ფასს ან მცირე და საშუალო სანარმოების ფასს-ს. დასკვნებთან დაკავშირებით სიფრთხილეა საჭირო; შერჩეული ნიმუშის შეზღუდული სიდიდისა და დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მიმომხილველი ვერ იქნება დარწმუნებული, რომ ყველაფერი, რაც უნდა გამჟღავნებულიყო, მართლაც გამჟღავნდა. გარდა ამისა, შეიძლება არსებობდეს დასაბუთებული მოლოდინი რომ ეკონომიკის მსგავს სექტორებში მოქმედი სანარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს ექნება მსგავსი ფორმატი და გამჟღავნებული ინფორმაცია და ამიტომ მათთვის ვინც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას შედარებით მარტივია მას მისცეს ისეთი სახე თითქოს ის შეესაბამება სტანდარტულ ფორმატს სანარმოს ფინანსური ოპერაციების და მდგომარეობის მიუხედავად.

329. მთლიანობაში განხილულ იქნა ფინანსური ანგარიშგების 22 კომპლექტი, რომელთაგან 19 მომზადდა ფასს-ის და სამი მცირე და საშუალო სანარმოების ფასს-ის გამოყენებით. დარგები და სუბიექტების ტიპები შეირჩა ეროვნული ეკონომიკისთვის მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე:

- * შვიდი საფინანსო ინსტიტუტი — ოთხი ბანკი, რომლებიც საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში შედიან თავისი აქციებით ან სავალო ფასიანი ქაღალდებით, ან ორივეთი; და სამი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;
- * სამი სადაზღვევო კომპანია, რომელთაგან ერთის აქციები შედის საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში;
- * ორი არასაფინანსო დაწესებულება, რომელთა აქციები წარმოდგენილია საქართველოს საფონდო ბირჟაზე;
- * ორი არასაფინანსო დაწესებულება, რომელთა სავალო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია საქართველოს საფონდო ბირჟაზე;
- * ორი არასაფინანსო ინსტიტუტი, რომელთა არც აქციები და არც სავალო ფასიანი ქაღალდები არ არის წარმოდგენილი საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში;

- * სამი სახელმწიფო საწარმო; და
- * სამი არასაფინანსო ინსტიტუტი, რომელთა არც აქციები და არც სავალო ფასიანი ქაღალდები არ არის წარმოდგენილი საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში, და იყენებენ ფასს-ს მცირე და საშუალო სანარმოებისთვის.²²⁰

330. ქვეყნისთვის ეკონომიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით, 19 ფასს ფინანსური ანგარიშგების განხილულ ნიმუშში შედიოდა:

- * თითქმის ყველა კომპანია რომელთა აქციებიც შედის საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში (ანუ, მხოლოდ ერთი კომპანია A სალისტინგო კატეგორიიდან; B სალისტინგო კატეგორიის მქონე სამი კომპანიიდან ორი; და საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული სამი კომპანიიდან ორი);
- * საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი სავალო ფასიანი ქაღალდების მქონე ინსტიტუტების დაახლოებით მესამედი, საერთაშორისო და რეგიონული განვითარების ბანკების გარდა, (ანუ ნიმუში მოიცავს ორ ბანკს და ორ არასაფინანსო ინსტიტუტს);
- * ორი უმსხვილესი ბანკი, რომლებიც დომინირებს საქართველოს საბანკო სექტორში და კიდევ ხუთი საფინანსო ინსტიტუტი - 12 მცირე ბანკიდან ორი და 37 მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან სამი;²²¹
- * 16 ძირითადი სახელმწიფო საწარმოდან სამი;²²² და
- * 18 სადაზღვევო კომპანიიდან სამი.

ყველა სექტორში გამოვლენილი ფასს-თან შეუსაბამობის გავრცელებული შემთხვევები

331. გამოვლინდა კარგი პრაქტიკის მაგალითები. თუმცა, საბანკო და სადაზღვევო სექტორის ფარგლებს მიღმა ფინანსური ანგარიშგების საერთო ხარისხი გაუმჯობესებას საჭიროებს ფასს-თან და მცირე და საშუალო სანარმოების

²²⁰ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, 4,892 სუბიექტმა წარადგინა მცირე და საშუალო სანარმოების ფასს ანგარიშგებები სამსახურის პორტალზე.

²²¹ ნიმუშში არ ყოფილა შეტანილი ერთადერთი საკრედიტო კავშირი.

²²² 330 შედარებით მცირე სახელმწიფო საწარმოდან არცერთი არ ყოფილა ჩართული ნიმუშში.

ფასს-თან სავარაუდო შეუსაბამობის გამო, რაც აღინიშნა რამდენიმე სხვა სექტორში. ფასს ფინანსური ანგარიშგებების შესახებ მომზადებული აუდიტორული დასკვნებიდან ხუთი (28 პროცენტი) იყო პირობითი.²²³ აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრებები შეიძლება მიუთითებდეს სტანდარტებთან შესაბამისობის მინიმალური დონის მიღწევაზე მაინც, თუ ვივარაუდებთ, რომ აუდიტი ადეკვატურად შესრულდა. ფინანსური ანგარიშგების ნიმუშის განხილვამ ყველა არასაბანკო სექტორიდან და მფლობელობის სტრუქტურებიდან გამოავლინა ფინანსური ანგარიშგების საეჭვო პრაქტიკის და სრულ ფასს-თან და მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-თან შეუსაბამობის სავარაუდო შემთხვევები. გამოვლენილი პრობლემები გავლენას ახდენს წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციისა და გამჟღავნების ხარისხზე, რაც საბოლოოდ განაპირობებს ნაკლებად სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მართვაზე პასუხისმგებელი პირებისთვის გადანყვეტილების მისაღებად და ანგარიშვალდებულებისთვის.

332. დარგების უმეტესობაში დაფიქსირებული ფასს-თან შეუსაბამობის შემთხვევებიდან აღსანიშნავია:

* **მომზადების საფუძველი:** მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები მიუთითებდნენ ფასს-თან თავიანთ შესაბამისობაზე, ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ მოთხოვნების საწინააღმდეგოდ: (i) კომპანიამ წარადგინა მხოლოდ შემაჯამებელი ფასს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამსახურის პორტალზე; (ii) სხვა კომპანიამ გამოიყენა ფასს-ის შედარებით ძველი ვერსია; (iii) ზოგიერთმა კომპანიამ არ გამოიყენა ახალი ფასს-ების ზოგიერთი ასპექტი;²²⁴ და (iv) აუდიტორებმა გასცეს პირობითი მოსაზრება ზოგიერთი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე რამდენიმე ფასს სტანდარტთან შეუსაბამობის გამო. ასეთი შეუსაბამობა არ აძლევს საჭირო ინფორმაციას გარე რესურსების მომწოდებლებს, რომელიც მათ ესაჭიროებათ ანგარიშგების სუბიექტის

მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ საკუთარი პროგნოზების გასაკეთებლად და ხელმძღვანელობის საქმიანობის შესაფასებლად.

* **ფინანსური ანგარიშგების წარდგენა:**²²⁵ როგორც ჩანს, მენეჯმენტმა გაითვალისწინა არსებითობის ზოგიერთი ასპექტი. თუმცა, ფინანსური ანგარიშგებების ორგანიზაცია და ნაკადი ზოგჯერ ძალიან რთულად გასაგები იყო განმარტებით შენიშვნებში ზედმეტი, არაარსებითი ან არარელევანტური ინფორმაციის გამჟღავნების გამო. როგორც ინფორმაციის გამოტოვება, ისე გადატვირთული ინფორმაციის წარდგენა გარე რესურსების პროვაიდერებს არ აძლევს სუბიექტისთვის სპეციფიკურ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებასაც ფასს-ი მოითხოვს. შესაბამისად, ეს აფერხებს მათ შესაძლებლობებს, გააკეთონ თავიანთი პროგნოზები ანგარიშვალდებული სუბიექტის მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ და დააყენონ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი.

* **მნიშვნელოვანი განსჯის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას:**²²⁶ ზოგიერთმა საწარმომ ეს ინფორმაცია მთლიანად გამოტოვა. სხვა სუბიექტებმა წარმოადგინეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო მსჯელობა და გამოტოვეს მნიშვნელოვანი შეფასებები. ზოგიერთმა სუბიექტმა გამჟღავნა დიდი მოცულობის ინფორმაცია მათ მიერ განსაზღვრული მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, რითაც გარე რესურსების პროვაიდერებს არ აძლევს სუბიექტისთვის სპეციფიკურ ინფორმაციას, რომლებიც მათ სჭირდებათ გადანყვეტილების მისაღებად რესურსების განაწილების შესახებ და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად.

* **შეფასების შესახებ ძირითადი დაშვებების გამჟღავნება:**²²⁷ ზოგიერთმა სუბიექტმა ეს ინფორმაცია მთლიანად გამოტოვა. სხვებმა როგორც ჩანს გამოტოვეს ზოგიერთი

²²³ მცირე და საშუალო საწარმოების ფასს ანგარიშგებების სამი შეფასებული კომპლექტიდან არცერთი არ მიუთითებდა რომ აუდიტორულად შემოწმებული იყო

²²⁴ მაგალითად, ზოგიერთმა სუბიექტმა გააგრძელა ფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტირება ბასს 39-ის საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით, მას შემდეგ რაც ის შეიცვალა ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით.

²²⁵ ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

²²⁶ ბასს 1, პუნქტები 122-124

²²⁷ ბასს 1, პუნქტები 125-129.

მნიშვნელოვანი დაშვება შეფასებასთან დაკავშირებით ამ განმარტებითი შენიშვნებიდან.²²⁸ შეფასების შესახებ ძირითადი დაშვებების გამჟღავნებისას ჩვეულებრივ მოწოდებული იყო შაბლონური ინფორმაცია დაშვებების რაოდენობრივი და სუბიექტისთვის სპეციფიკური განმარტებების და იმ ინფორმაციის ნაცვლად, რომლებიც ეხება შეფასებების სენსიტიურობას დაშვებების ცვლილებების მიმართ, შესაძლო შედეგების სპექტრს და წარსულ დაშვებებში წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. შედეგად, გარე რესურსების პროვაიდერები ვერ იღებენ სრულ წარმოდგენას ხელმძღვანელობის ძირითადი დაშვებების შესახებ შეფასებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ სჭირდებათ გადაწყვეტილების მისაღებად რესურსების განაწილების შესახებ და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად.

*** საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენების გამჟღავნება:**²²⁹ გეოპოლიტიკური დაძაბულობის და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მნიშვნელოვანი ცვლილების მიუხედავად (მაგალითად, COVID-19 პანდემიის ზემოქმედება საშინაო, რეგიონულ და საერთაშორისო ეკონომიკაზე), ბალანსის თარიღის მომდევნო პერიოდის განმავლობაში ზოგიერთმა სუბიექტმა გაამჟღავნა საანგარიშო პერიოდის ბოლოს მომხდარი უმნიშვნელო მოვლენები. სხვა სუბიექტებმა წარმოადგინეს მხოლოდ შაბლონური განმარტებითი შენიშვნები. შესაბამისად, გარე რესურსების პროვაიდერები ვერ იღებენ სუბიექტისთვის სპეციფიკურ, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას ბალანსის თარიღის მომდევნო პერიოდის მატერიალური მოვლენების ხასიათისა და შედეგების შესახებ.

*** დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები:**²³⁰ როგორც ჩანს, ზოგიერთმა კომპანიამ გამოტოვა ყველა განმარტებითი შენიშვნა დაკავშირებული მხარის შესახებ ფინანსურ ანგარიშებიდან. კომპანიებმა,

რომლებმაც მოამზადეს განმარტებითი შენიშვნები თავის დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობების შესახებ, ზოგადად, წარადგინდნენ არასაკმარის ინფორმაციას ურთიერთობების ბუნების ასახვას, თუ როგორ ხდებოდა რისკის ზემოქმედების მართვა²³¹ და იყო თუ არა და რამდენად იყო გარიგებები განხორციელებული საბაზრო პირობების საფუძველზე.²³² ზოგიერთი დაკავშირებული მხარის გარიგებამ განაპირობა აუდიტის პირობითი დასკვნა. ზოგიერთი აღმოჩნდა დამაბნეველი, შესაძლოა წინააღმდეგობრივიც. გარე რესურსების პროვაიდერებს არ ეძლევათ საშუალება რომ ჰქონდეთ სრული წარმოდგენა სუბიექტის რისკებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხება დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებს, სადაც კომერციულის გარდა სხვა მოსაზრებები შეიძლება წარმართავდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესებს. სუბიექტის რისკებისა და ვალდებულებების გარკვევა საჭიროა რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსასაზღვრად.

*** სამართლიანი ღირებულების შეფასება:** დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები: (i) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების, გადაფასებული ძირითადი საშუალებების და ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გამოტოვება; (ii) სავარაუდოდ არასათანადო დასკვნა, რომ სამართლიანი ღირებულება უახლოვდება სუბიექტის ფინანსური ინსტრუმენტების უმეტესობის, თუ არა ყველა მათგანის, საბალანსო ღირებულებას; და (iii) არაადეკვატური განმარტებითი შენიშვნები, მათ შორის, არასათანადო დასკვნა სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქიის დონეზე, ან ასეთი დონის გამჟღავნების გამოტოვება.²³³ სამართლიანი ღირებულების

²²⁸ მაგალითად, გარე აუდიტორების მიერ იდენტიფიცირებული ზოგიერთი ძირითადი აუდიტორული საკითხი შეფასებას თან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თანდაყოლილი გაურკვევლობის გამო

²²⁹ ბასს 10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

²³⁰ ბასს 24 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.

²³¹ ფასს 7 არ უთითებს გამონაკლისებს ფინანსური ინსტრუმენტების რისკის ანგარიშგებიდან დაკავშირებული მხარის გარიგებებისთვის

²³² ბასს 24-ის მე-17 პუნქტი მოითხოვს დაკავშირებული მხარის ურთიერთობების ტიპის გამჟღავნებას.

²³³ ფასს 13 სამართლიანი ღირებულების შეფასება შესაბამისობის შემთხვევაში, ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები.

შეფასების არასრული განმარტებითი შენიშვნები პოტენციურად აფერხებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები რესურსების განაწილების შესახებ და დააყენონ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი.

*** ლიკვიდურობის რისკთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები:**²³⁴ სუბიექტების უმეტესობამ წარმოადგინა მხოლოდ შაბლონური განმარტებითი შენიშვნები იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ ლიკვიდურობის რისკს და როგორია ლიკვიდურობის რისკის ბუნება და მასშტაბი, რომლის წინაშეც დგანან სუბიექტები. არსებობს რამდენიმე გზა სიტუაციის გასაუმჯობესებლად: (i) სუბიექტისთვის სპეციფიკური ახსნა, თუ როგორ ხდება ლიკვიდურობის რისკის მართვა; (ii) უფრო შესაფერისი ვადების გამოყენება; (iii) ყველა შესაბამისი საბალანსო და ბალანსის გარეთ არსებული მუხლების გათვალისწინება; (iv) ვადიანობის ანალიზის მომზადება არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გამოყენებით; და (v) ვალდებულებების განაწილება ყველაზე ადრეულ პერიოდზე, რომლის დროსაც სუბიექტმა შეიძლება მოითხოვოს გადახდა. შესაბამისად, გარე რესურსების პროვაიდერებს ეკრძალებათ წვდომა სუბიექტის სპეციფიკურ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მათი ინვესტიციისა და სესხის გაცემის გადაწყვეტილებების დასაბუთებას ლიკვიდურობის რისკის ზემოქმედებასთან და მართვასთან დაკავშირებით.

*** საბაზრო რისკთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები:**²³⁵ ზოგიერთმა სუბიექტმა წარმოადგინა ინფორმაცია მხოლოდ საბაზრო რისკის ზოგიერთი ნაწილისთვის. მაგალითად, ადგილი ჰქონდა სავალუტო რისკის შესახებ განმარტებითი შენიშვნების წარდგენას, მაგრამ მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ ინფორმაციის გამოტოვებას. უფრო მეტიც, სუბიექტების უმეტესობამ წარმოადგინა

მხოლოდ შაბლონური განმარტებითი შენიშვნები იმის შესახებ თუ როგორ წარმოებს საბაზრო რისკების მართვა და აღინიშნა მნიშვნელოვანი ცვალებადობა სხვადასხვა სუბიექტის მიერ მითითებულ ვალუტის გაცვლის კურსებში 2021 წლისთვის. შედეგად, გარე რესურსების პროვაიდერებს არ აქვთ წვდომა სუბიექტისთვის სპეციფიკურ ინფორმაციასთან საბაზრო რისკის ზემოქმედების და მართვის შესახებ საინვესტიციო და საკრედიტო გადაწყვეტილებების დასაბუთებლად.

*** აქტივების გაუფასურების ტესტირება:** პანდემიის ზემოქმედების და გაზრდილი გეოპოლიტიკური გაურკვევლობის მიუხედავად, ზოგიერთ სუბიექტს, როგორც ჩანს, არ ჩაუტარებია გაუფასურების ტესტირება. ფინანსური და არაფინანსური აქტივების²³⁶ გაუფასურების ტესტირების ანგარიშგების ასპექტებთან სავარაუდო შეუსაბამობა დაფიქსირდა ყველა არასაბანკო სექტორში და აქტივების გაუფასურების გამოყენებული მოდელების სპექტრში,²³⁷ რაც ცალკე იქნება განხილული ქვემოთ თითოეული სექტორისთვის.

ფასს-თან შესაბამისობის საკითხები – საქართველოს საფონდო ბირჟა - ლისტინგში (სავალო ფასიანი ქაღალდები, აქციები ან ორივე) შემავალი კომპანიები

333. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი ყველა შესწავლილი ბანკი როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად ამზადებს თავის კონსოლიდირებულ წლიურ ფასს ფინანსურ ანგარიშგებებს. ყველა ბანკის განხილული წლიური ფინანსური ანგარიშგებები სავარაუდოდ შეესაბამებოდა ფასს-ის ასპექტების უმეტესობას. კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაცია ზოგადად კარგად იყო ჩამოყალიბებული და შეიცავდა საკმარის დეტალებს.

²³⁴ ფასს 7.

²³⁵ ფასს 7.

²³⁶ ბასს 36 აქტივების გაუფასურება.

²³⁷ მაგალითად, ფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტირებისთვის: (i) სადაზღვევო კომპანიების უმეტესობამ განიხილა ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება; (ii) ფინანსურმა ინსტიტუტებმა განიხილეს ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებში მითითებული გამოყენებული ზოგადი მოდელი; (iii) სუბიექტების უმეტესობამ გამოიყენა ალტერნატიული მეთოდები ფასს 9-ის შესაბამისად, რომლებიც მიუწვდომელია ფინანსური ინსტიტუტებისთვის; და (iv) სუბიექტებმა, რომლებიც იყენებენ ფასს-ს მცირე და საშუალო სანარმოებისთვის, გამოიყენეს ამ სტანდარტების მე-11 პუნქტი.

334. თუმცა, საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი ყველა განხილული არასაბანკო დაწესებულება სავარაუდოდ არ ასრულებდა ფასს-ის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს. ფასს-თან სავარაუდო შეუსაბამობის სფეროები, რომლებიც გავრცელებულია ყველა დარგში, აღნიშნულია ზემოთ. ფასს-თან ასეთი სავარაუდო შეუსაბამობის შერჩეული ასპექტები, რომლებიც პოტენციურად ყველაზე აქტუალურია საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი შეფასებული კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის შემდეგია:

*** ერთი სააქციო სადაზღვევო კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტორის ანგარიში კვალიფიცირებული იყო ოთხ საკითხთან მიმართებით.** ერთი საკვალიფიკაციო საკითხია მემკვიდრეობითი საკითხი, რომელიც უკავშირდება 1993 წლამდე არსებულ მარაგებს. თუმცა, სამი დანარჩენი საკითხი, დაკავშირებულია ფასს-ის გამოყენებასთან 2020 წელს განხორციელებული გარიგებების და მოვლენების მიმართ: (i) 2020 წელს ერთობლივი საწარმოს დაკავშირებული მხარისთვის გადაცემული ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების შეფასება; (ii) ხარვეზების შემცველი აღრიცხვა (ანუ აღიარება და შეფასება) 2020 წელს მიღებული სახელმწიფო გრანტებისთვის; და (iii) 2020 წლის 31 დეკემბერს საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების გამჟღავნების გამოტოვება. გარდა ამისა, მიმომხილველმა გამოავლინა შემდგომი სავარაუდო ხარვეზები ამ კომპანიის აუდიტებულ კონსოლიდირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში. ეს ხარვეზები მნიშვნელოვნად აფერხებს მომხმარებელთა უნარს გამოიყენონ ეს ფინანსური ინფორმაცია, რესურსებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მისაღებად და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად.

*** დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები:**²³⁸ განმარტებითი შენიშვნები დაკავშირებულ მხარეთა არსებითი

ურთიერთობების შესახებ, როგორც წესი, იძლევა არასაკმარის ინფორმაციას ურთიერთობების ტიპის ასახსნელად, თუ როგორ წარმოებს რისკის მართვა²³⁹ და იყო თუ არა და რამდენად იყო გარიგებები გაფორმებული საბაზრო პრინციპის საფუძველზე.²⁴⁰ ზოგიერთ შემთხვევაში დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები დამაბნეველი და წინააღმდეგობრივიც იყო. ერთი კომპანიის დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებმა მიიღო აუდიტის პირობითი დასკვნა და მათი შეჭერება შეუძლებელი იყო ფინანსურ ანგარიშგებაში მოწოდებულ სხვადასხვა ინფორმაციასთან. მეორე კომპანიამ პირდაპირ განაცხადა, რომ მას არ ჰყავდა „მაკონტროლებელი მხარე“, მაგრამ გამოაქვეყნა დაკავშირებული გარიგებები „საერთო კონტროლის ქვეშ“. სხვა დაკავშირებული მხარის გარიგების განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური ახსნის გარეშე იძლეოდა გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, მაგრამ არა გაყიდვებს და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობას. ერთ-ერთი კომპანიის მენეჯმენტმა მიუთითა, რომ მნიშვნელოვან მსჯელობას ჰქონდა ადგილი დაკავშირებულ მხარეთა წარმოებული გარიგებების საბაზრო პირობებით განხორციელების განსაზღვრაში, თუმცა, არასაკმარისად წარმოადგინა განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების დასახმარებლად გარკვეულიყვნენ გამოყენებულ მსჯელობაში. ეს განსაკუთრებით ეხება დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებს, სადაც კომერციულის გარდა სხვა მოსაზრებები შეიძლება გავლენას ახდენდეს გადანყვეტილების მიღების პროცესზე. იმ რისკებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლის წინაშეც დგას სუბიექტი საჭიროა რესურსებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მისაღებად და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად.

²³⁸ ბასს 24.

²³⁹ ფასს 7 არ აკონკრეტებს ფინანსური ინსტრუმენტების რისკის ანგარიშგების გამონაკლისებს დაკავშირებული მხარის გარიგებებისთვის

²⁴⁰ ბასს 24-ის მე-17 პუნქტი 17 მოითხოვს დაკავშირებული მხარის ურთიერთობების ტიპის გამჟღავნებას

*** არაფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ არასრული განმარტებითი შენიშვნები შესაძლოა გავლენას ახდენდეს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე.**²⁴¹ მიუხედავად იმისა, რომ გარე აუდიტორებმა ის ძირითად აუდიტორულ საკითხად განსაზღვრეს და ხელმძღვანელობამ მიიჩნია რომ განმარტებითი შენიშვნები მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ ძირითად დაშვებებს, აღინიშნა მათი არაადეკვატურობა და შესაძლო შეუსაბამობები ძირითად ეკონომიკურ ფაქტორებთან.

*** ფინანსური აქტივების გაუფასურების შესაძლო ხარვეზის შემცველი ტესტირება და საკრედიტო რისკის შესახებ არასრული განმარტებითი შენიშვნები პოტენციურად მომხმარებლებს არ აძლევს საშუალებას გაარკვიონ საკრედიტო რისკის ზემოქმედება და თუ როგორ წარმოებს საკრედიტო რისკის მართვა.**²⁴² მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნა შეფასების შესახებ განმარტებითი შენიშვნებში ძირითადი დაშვებების არსებობის შესახებ, გამოვლინდა არაადეკვატური განმარტებითი შენიშვნები და ეკონომიკურ ფაქტორებთან შესაძლო შეუსაბამობები. როგორც ჩანს, შეფასებული სუბიექტების უმეტესობამ, უგულებელყო ფინანსურ აქტივებში და დებიტორულ დავალიანებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. როგორც ჩანს, ზოგიერთი ასევე არასაკმარისად იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამარტივებულ მოდელს თავისი სავაჭრო დებიტორების მიმართ. უფრო მეტიც, ყველა შეფასებულმა სუბიექტმა წარმოადგინა არასაკმარისი, სუბიექტისთვის სპეციფიკური განმარტებითი შენიშვნები საკრედიტო ზარალის მოსალოდნელი მოდელის გამოყენების შესახებ და ზოგიერთმა სუბიექტმა არასათანადოდ განაცხადა, რომ არ გააჩნდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

*** სამართლიანი ღირებულების შეფასება არის კომპანიების მიერ განხილული როგორც შეფასების განუსაზღვრელობის ყველაზე ხშირი ძირითადი წყარო.** თუმცა, არცერთი შეფასებული კომპანია არ აკმაყოფილებდა გამჟღავნების მოთხოვნებს, რომლებიც

გამონვეული იყო ასეთი იდენტიფიკაციით. კერძოდ, კომპანიები, როგორც წესი, ამჟღავნებდნენ შაბლონურ ინფორმაციას და არა დაშვებებს რაოდენობრივი და სუბიექტისთვის სპეციფიკური განმარტებების შესახებ. ასევე არ წარადგენდნენ იმ ინფორმაციას, რომელიც ეხება შეფასებების სენსიტიურობას დაშვებების ცვლილებების მიმართ, შესაძლო შედეგების სპექტრს და წარსულ დაშვებებში წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. დაფიქსირებული სხვა ხარვეზები მოიცავს: (i) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების, გადაფასებული ძირითადი საშუალებების, ფინანსური ინსტრუმენტების და დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შესახებ ინფორმაციის გამოტოვებას; (ii) სავარაუდოდ არასათანადო დასკვნას, რომ სამართლიანი ღირებულება უახლოვდება სუბიექტის ფინანსური ინსტრუმენტების უმეტესობის, თუ არა ყველა მათგანის საბალანსო ღირებულებას; და (iii) არაადეკვატურ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, არასათანადო დასკვნას სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქიის დონეზე ან ამ დონის გამჟღავნების გამოტოვებას.²⁴³ სამართლიანი ღირებულების შეფასების არასრული გამჟღავნება პოტენციურად აფერხებს მომხმარებელთა უნარს, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები რესურსების განაწილების შესახებ და დასვან ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი.

335. დაფიქსირდა ფასს-თან შეუსაბამობის სხვა საკითხები, რომლებიც, სავარაუდოდ, აფერხებს მომხმარებელთა შესაძლებლობას გამოიყენონ ეს ფინანსური ინფორმაცია, როგორც საფუძველი გადაწყვეტილებების მისაღებად რესურსების განაწილების შესახებ და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად, ესენია:

*** სანარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები.** ერთმა კომპანიამ სათანადოდ მოამზადა ყოვლისმომცველი განმარტებითი შენიშვნები თავის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის

²⁴¹ ბასს 36 აქტივების გაუფასურება.

²⁴² ფასს 7 და ფასს 9.

²⁴³ ფასს 13 და, როცა რელევანტურია, ფასს 7.

შესახებ. თუმცა, სხვა კომპანიებმა, ზოგადად ვერ შეძლეს საკმარისი ინფორმაციის წარდგენა ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ისეთი ფორმით, რომელიც შესაძლებელს გახდიდა იმ პროცესის აღქმას, რომელიც სუბიექტმა გამოიყენა თავისი ფუნქციონირებადობის შესაფასებლად, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის კონტექსტში. მაგალითად, ერთმა საწარმომ, ფუნქციონირების უწყვეტობის ძირითად დაშვებად განსაზღვრის საწარმომდგომად, რომელიც უკავშირდება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, გააკეთა მხოლოდ შაბლონური განმარტებითი შენიშვნა: „ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, მისი ისტორიული და მიმდინარე ფინანსური საქმიანობის, ჯგუფისთვის ფინანსური რესურსების და დამატებითი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯგუფი მომდევნო პერიოდის განმავლობაში გააგრძელებს თავის საქმიანობას ოპერაციების მნიშვნელოვანი შეკვეცის გარეშე“. ცალკე შენიშვნაში მომავალთან დაკავშირებული დაშვებების შესახებ აღნიშნულია: „ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ COVID-19-ს არ აქვს არსებითი გავლენა ჯგუფზე და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება გარანტირებულია“. შემდეგ, კვლავ ხილული კავშირის გარეშე, ცალკე შენიშვნაში კომპანია მიუთითებს, რომ არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რამაც შეიძლება საბოლოოდ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კონტრაქტის შეწყვეტა „ჯგუფისთვის, მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურების გარეშე“. უფრო მეტიც, ამ კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ მიუთითებს

ბალანსის შემდგომ პერიოდში მომხდარ მნიშვნელოვან უარყოფით მოვლენებზე, რომლებიც გამჟღავნებულია სხვაგან მის ფინანსურ ანგარიშგებაში²⁴⁴ და, შესაბამისად, სავარაუდოდ არ იყო ინფორმაცია სათანადოდ გამჟღავნებული შესაძლო არსებითი გაურკვევლობის შესახებ, რასაც შეეძლო გამოეწვია ეჭვი სუბიექტის უნარზე გაეგრძელებინა საქმიანობა როგორც ფუნქციონირებად საწარმოს.²⁴⁵ შედეგად, გარე რესურსების პროვაიდერებს არ მიეწოდებათ სუბიექტთან დაკავშირებით სპეციფიკური გადანყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია (ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენების ტიპისა და ზემოქმედების და შესაძლოა მნიშვნელოვანი გაურკვევლობის თაობაზე კომპანიის შესაძლებლობებთან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ).

*** საეჭვო კლასიფიკაცია:** არასაკმარისი განმარტებითი შენიშვნები რომლებიც მხარს უჭერს განსჯას ზოგიერთი კლასიფიკაციის შესახებ, არ აძლევს გარე რესურსების პროვაიდერებს ინფორმაციას სუბიექტის რესურსების და ვალდებულებების ტიპისა და მასშტაბის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ გადანყვეტილებებზე რესურსების განაწილებასთან და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის წამოჭრასთან დაკავშირებით. მაგალითად, განსჯა შემდეგი საკითხების შესახებ: (i) შეფასების განუსაზღვრელობის²⁴⁶ ძირითადი წყაროების განსხვავება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებებისგან;²⁴⁷ (ii) სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქიის დონის განსაზღვრა;²⁴⁸ (iii) ძირითადი საშუალებების²⁴⁹ დიფერენცირება საინვესტიციო ქონებისა²⁵⁰ და ბიოლოგიური აქტივებისგან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.²⁵¹

²⁴⁴ ბასს 10 საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები, პუნქტი 21 მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას არამაკორექტირებელი მოვლენების სავარაუდო ფინანსური ეფექტის შესახებ (ან განცხადება რომ ასეთი შეფასების განხორციელება შეუძლებელია)

²⁴⁵ ბასს 1 და ბასს 10.

²⁴⁶ ბასს 1, პუნქტი 125.

²⁴⁷ ბასს 1, პუნქტი 122

²⁴⁸ ფასს 13.

²⁴⁹ ბასს 16 ძირითადი საშუალებები.

²⁵⁰ ბასს 40 საინვესტიციო ქონება

²⁵¹ ბასს 41 სოფლის მეურნეობა.

*** აუდიარებელი აქტივები და ვალდებულებები:**²⁵² როგორც ჩანს, ზოგიერთმა სუბიექტმა არ აღიარა ბალანსში ზოგიერთი მიმდინარე უფლება და ვალდებულება, რომელიც, სავარაუდოდ, აკმაყოფილებდა აღიარების შესაბამის კრიტერიუმებს. ერთი კომპანიის შემთხვევაში გრანტის აღრიცხვის ხარვეზმა განაპირობა აუდიტის შედეგად პირობითი დასკვნის გაცემა. სხვა კომპანიამ, ბასს 37-ის საწინააღმდეგოდ, არასათანადოდ აღნიშნა „დამაზარალებელი გავლენის მქონედ“ განმარტებითი შენიშვნის გაკეთება და გამოიყენა ის ვალდებულების არაღიარების საფუძვლად.²⁵³ ბალანსიდან მუხლების გამოტოვება გარე რესურსების პროვაიდერებს არ აძლევს ინფორმაციას ორგანიზაციის რესურსებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის წამოსაჭრელად.

ფასს-თან შესაბამისობის საკითხები – საფინანსო დანესებულებები: ბანკები

336. ყველა შეფასებული ბანკი, ასრულებდა ფასს-ის ასპექტების უმეტესობას. კერძოდ, განმარტებითი შენიშვნები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ზოგადად კარგად იყო შედგენილი და მოიცავდა საკმარის დეტალებს.

337. ფასს-თან სავარაუდო შეუსაბამობის სფეროები, რომლებიც გავრცელებულია ყველა დარგში, ზემოთ არის აღნიშნული. მათგან ნიმუშში შემავალ საბანკო სუბიექტებს განსაკუთრებით შეეხო შემდეგი:

*** ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები:** გარდა იმისა, რომ წარმოდგენილი იყო რამდენიმე შაბლონური განმარტებითი შენიშვნა, რამდენიმე შემთხვევაში ბალანსის და მოგება-ზარალის ანგარიშგებების მუხლები არასათანადოდ იყო დაყოფილი, გაერთიანებული, წარმოდგენილი ან გამჟღავნებული.²⁵⁴

*** ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები:** განმარტებითი შენიშვნები ხშირად არ იყო საკმარისად ყოვლისმომცველი და სპეციფიკური ფუნქციონირებად საწარმოსთან მიმართებით სუბიექტის პროცესის გასარკვევად და სპეციფიკური რისკების შესაფასებლად, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის კონტექსტში.

338. ფასს-თან შესაბამისობის ზოგიერთი სფერო განსაკუთრებით აქტუალურია ბანკებისთვის, მათი საქმიანობის ბუნების გამო. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობა ზოგადად კარგი იყო, შესაძლო შეუსაბამობის სფეროები შემდეგია:

*** ბანკების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ფინანსურ ანგარიშგებებში არ შედის მმართველობის ანგარიშგება.** ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს მმართველობის ანგარიშგებას. თუმცა ეს არის სამსახურის და არა ეროვნული ბანკის მოთხოვნა. შესაბამისად, ეს კომენტარები ზოგადად არ იყო შეტანილი ბანკების ვებგვერდებზე არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. აუდიტის ანგარიშგებში აღნიშნულია, რომ „ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.... [როგორც წესი, მმართველობის ანგარიშგებას] ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ ზემოთ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ხელმისაწვდომი გახდება“. როდესაც მმართველობის ანგარიშგება ხელმისაწვდომია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს, აუდიტის ანგარიშგებში აღნიშნულია, რომ „კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის შედეგად ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან“.

²⁵² ბასს 20 სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები, და ბასს 37, ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.

²⁵³ ბასს 37, პუნქტი 92.

²⁵⁴ ბასს 1, პუნქტი 29 მოითხოვს მსგავსი მუხლების თითოეული არსებითი კლასის ცალკე წარდგენას და ასევე განსხვავებული მუხლების ცალკე წარდგენას თუ ისინი არ არის არაარსებითი

- * **პირველადი ფინანსური ანგარიშგებები ხშირად შეიცავდა არაარსებით მუხლებს (იხ. კომენტარი ზემოთ 332-ე პუნქტში).** მუხლები შეტანილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში მაშინაც კი თუ ღირებულება იყო დაბალი და არაარსებითი ხასიათის (მაგალითად, ერთ შემთხვევაში დებიტორული დავალიანება მთლიანი აქტივების 0.007 პროცენტი იყო). სხვა მუხლები, რომლებიც მნიშვნელოვნად უფრო არსებითი იყო, ჩაშლილი სახით მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში იყო წარმოდგენილი. ეს ქმნის როგორც პირველადი ფინანსური ანგარიშგების გადატვირთვის რისკს ისე არსებითი ინფორმაციის დაფარვის საფრთხეს.
- * **ხარვეზები განმარტებით შენიშვნებში ფინანსური ინსტრუმენტების რისკების მართვასთან დაკავშირებით.** მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად გამოსადეგი და სუბიექტისთვის სპეციფიკური იყო, საფინანსო ინსტიტუტის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში დაფიქსირდა შაბლონური ინფორმაციის არსებობის ნიშნები. მართალია მოსალოდნელია, რომ მცირე ბანკებს საერთო პრაქტიკა და პროცესები ექნებათ, მაინც ნათლად ჩანს სტანდარტული (შაბლონური) განმარტებითი შენიშვნების წარდგენის შემთხვევები. ასეთი ხარვეზები გარე რესურსების პროვაიდერებს არ აძლევს სპეციფიკურ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა რესურსების განაწილების შესახებ გადანყვეტილების მისაღებად და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის წამოსაჭრელად.
- * **დაკავშირებული მხარეები:** კომპანიების უმეტესობას ჰქონდა არსებითი ურთიერთობები დაკავშირებულ მხარეებთან და ამასთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი რაოდენობრივი განმარტებითი შენიშვნები. თუმცა, ზოგადად, ინფორმაცია არ იყო საკმარისი ურთიერთობების ბუნების ასახსნელად, თუ როგორ წარმოებდა რისკის მართვა და იყო თუ არა გარიგებები განხორციელებული საბაზრო პრინციპის საფუძველზე. გარე რესურსების პროვაიდერებს არ აქვთ შესაძლებლობა სრულად გაერკვნენ სუბიექტის მიერ ნაკისრ რისკებსა და ვალდებულებებში. ეს განსაკუთრებით ეხება გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, რადგან კომერციულის გარდა სხვა მოსაზრებებმა

შეიძლება გავლენა იქონიოს გადანყვეტილების მიღების პროცესებზე. საკითხებში გარკვევა საჭიროა რესურსების განაწილების შესახებ გადანყვეტილების დასასაბუთებლად და მენეჯმენტის პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად.

ფასს-თან შესაბამისობის საკითხები – საფინანსო ინსტიტუტები: მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

339. ფასს - თან სავარაუდო შეუსაბამობის სფეროები, რომლებიც გავრცელებული იყო ყველა დარგში, აღნიშნულია ზემოთ. ამ ხარვეზებიდან ბევრი დაფიქსირდა განხილული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მცირე ნიმუშში.

340. ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის განხილული ფინანსური ანგარიშგება, სავარაუდოდ, არ შეესაბამებოდა ფასს-ის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს.

- * ერთ-ერთმა შეფასებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მიიღო აუდიტის პირობითი დასკვნა სებ-ის მიერ განსაზღვრული რეზერვის შექმნის მოთხოვნის გამოყენების გამო ფასს 9-ით განსაზღვრული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელის ნაცვლად. ფინანსური ანგარიშგებიდან ასევე გამოტოვებული იყო ფასს 7-ით მოთხოვნილი ბევრი განმარტებითი შენიშვნა საკრედიტო რისკთან დაკავშირებით, და ასევე კონკრეტული განმარტებითი შენიშვნები ფინანსური რისკის გამჟღავნების სხვა ასპექტებიდან. ამ კომპანიამ ასევე გამოტოვა თავისი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.
- * სხვა შეფასებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სავარაუდოდ:
 - არასაკმარისად იყენებდნენ ფასს 9-ით განსაზღვრულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს;
 - წარადგენდნენ შეუსაბამო განმარტებით შენიშვნებს (მაგალითად, საბალანსო ღირებულების გამოყენება ლიკვიდურობის გამჟღავნების არადისკონტირებული თანხების ნაცვლად), მათ ასევე გამოტოვებული ჰქონდათ კონკრეტული განმარტებითი შენიშვნები ფინანსური რისკის გამჟღავნების ასპექტებიდან, და ფინანსური

რისკის ასპექტების შესახებ განმარტებით შენიშვნებში ძირითადად წარადგენდნენ სტანდარტულ/ შაბლონურ ინფორმაციას;

- სავარაუდოდ, არასწორად მიიჩნევდნენ, რომ ბევრი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება უახლოვდებოდა მათ საბალანსო ღირებულებას და გამოტოვებული ჰქონდათ თავისი ზოგიერთი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება, და
- არასწორად განსაზღვრავდნენ სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქიის დონეს, რომელიც გამოყენებული იყო მათი ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ.

ფასს-თან შესაბამისობის საკითხები – სადაზღვევო კომპანიები

341. შეფასებული სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა, სავარაუდოდ, შესაბამისობაში იყო ფასს-ის ასპექტების უმეტესობასთან, თუმცა ადგილი ჰქონდა ხარისხის მნიშვნელოვან ცვალებადობას, როცა ერთი სუბიექტის ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვნად სუსტი იყო მეორესთან შედარებით. განსახილველ ნიმუშში შესულმა კომპანიამ მიიღო აუდიტის პირობითი დასკვნა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის. დასკვნა არ ეხებოდა უშუალოდ ფასს-თან შესაბამისობას, არამედ იმას რომ აუდიტორებმა ვერ შეძლეს მოეპოვებინათ მტკიცებულება საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული ხარჯის დასადასტურებლად.

342. ფასს-თან სავარაუდო შეუსაბამობის სფეროები, რომლებიც გავრცელებულია ყველა დარგში მითითებულია ზემოთ. მათგან შემდეგი განსაკუთრებით შეეხო ნიმუშში შემავალ სადაზღვევო სუბიექტებს.

- * **ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები:** შაბლონურ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, აღმოჩნდა რომ ბალანსის და მოგება-ზარალის ანგარიშგებების ზოგიერთი მუხლი არასათანადოდ იყო ჩაშლილი, გაერთიანებული, წარმოდგენილი ან გამჟღავნებული.²⁵⁵

- * **ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები.** ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები ხშირად არ იყო საკმარისად ყოვლისმომცველი ან სუბიექტისთვის სპეციფიკური იმ პროცესის გასარკვევად, რომელსაც სუბიექტი მიჰყვებოდა ფუნქციონირებადი საწარმოს და სუბიექტის სპეციფიკური რისკების შესაფასებლად, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის კონტექსტში.

- * **შაბლონური ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.** მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი იყო სასარგებლო და სპეციფიკური სუბიექტისთვის, მაინც აღინიშნა სააღრიცხვო პოლიტიკის შაბლონური გამჟღავნების მაგალითები. ეს მოიცავდა იზოლირებულ გარემოებებში სააღრიცხვო პოლიტიკას ოპერაციებთან ან მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც სუბიექტებს არ ჰქონიათ.

- * **ძირითად შეფასებებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები:** სადაზღვევო ვალდებულებების შეფასება უკავშირდებოდა შეფასების მნიშვნელოვან რისკებს, განსაკუთრებით მოთხოვნების თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ეხებოდა განვითარებად და არასაკმარისად განვითარებულ სადაზღვევო ბაზრებს, სადაც გამოსაყენებლად მცირე მოცულობის ისტორიული მონაცემები იყო ხელმისაწვდომი. შეფასების ძირითად დაშვებებთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებში გამოყენებული იყო ზოგადი და არა რაოდენობრივი და სუბიექტისთვის სპეციფიკური ახსნა დაშვებების ცვლილებების, გონივრულად შესაძლო შედეგების დიაპაზონისა და წლის განმავლობაში წარსულში განხორციელებული ცვლილებების მიმართ შეფასებების სენსიტიურობის შესახებ.²⁵⁶

343. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები: სადაზღვევო კომპანიები მნიშვნელოვნად განიცდიდნენ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული რისკების ზემოქმედებას და, როგორც წესი, ეს რისკები იყო

²⁵⁵ ბასს 1, პუნქტი 29 მოითხოვს მსგავსი მუხლების თითოეული არსებითი კლასის ცალკე წარდგენას და ასევე განსხვავებული მუხლების ცალკე წარდგენას თუ ისინი არ არის არაარსებითი

²⁵⁶ ბასს 1-ის პუნქტები 125-129 და ფასს 4-ის (სადაზღვევო ხელშეკრულებები) პუნქტები 36 და 37

მინიმუმ სავალუტო რისკი (მაგალითად, ერთერთმა სუბიექტმა თავისი შემოსავლის მესამედი გაცვლითი კურსის სხვაობიდან მიიღო, მაგრამ არ წარადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოებდა ვალუტის გაცვლის კურსთან დაკავშირებული რისკის მართვას), საკრედიტო რისკი (მაგალითად, სუბიექტმა თავისი აქტივების 89.5 პროცენტის ინვესტირება განახორციელა ბანკებში, მაგრამ არ წარუდგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მართავდა საკრედიტო და კონცენტრაციის რისკებს), საბაზრო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. სუბიექტმა გამოიყენა დროის საეჭვო დიაპაზონი (ორი კატეგორია, ერთ წელზე ხანმოკლე და ერთ წელზე ხანგრძლივი, ყველაფერი უკავშირდებოდა წინა კატეგორიას). იმავე სუბიექტს, მიუხედავად განცხადებისა, რომ ფლობდა „საშუალოვადიან ინვესტიციას ბანკში“ არ ჰქონია აქტივები ერთ წელზე ხანგრძლივ კატეგორიაში არც წინა და არც მიმდინარე პერიოდში. ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა შაბლონურია, რომელიც ხშირად არ შეიცავს ან არასრულ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ თუ როგორ ხორციელდებოდა რისკის მართვა.

344. ფასს სტანდარტების განმარტებით

შენიშვნებთან და გამოყენებასთან

დაკავშირებული პრობლემები, სავარაუდოდ, ზოგიერთ ძირითად სფეროებში, განსაკუთრებით აქტუალური იყო სადაზღვევო სფეროსთვის, მათ შორის ინფორმაცია სადაზღვევო რისკის, საკრედიტო რისკის, ლიკვიდურობის რისკისა და სამართლიანი ღირებულების შეფასების შესახებ.

შესაბამისობასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოიშვა სხვადასხვა გზით, რაც აღწერილია ქვემოთ.

*** მმართველობის ანგარიშგება არ შედიოდა სადაზღვევო კომპანიების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებების ვერსიებში.** ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს მმართველობის ანგარიშგებას. თუმცა, ეს არის ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების ზედამხედველობის სამსახურის და არა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნა. შესაბამისად, ეს კომენტარები ზოგადად არ შედის ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც ხელმისაწვდომია სუბიექტების საკუთარ ვებგვერდებზე.

*** განმარტებითი შენიშვნები სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რისკის სამართავად:** ზოგიერთი სადაზღვევო რისკის მართვის გამჟღავნება ზოგადად არ შეიცავდა

პროდუქტის სპეციფიკური ინფორმაციის აღწერას, ეკონომიკური და სადაზღვევო მონაცემების წყაროებს და შედარებას რეალურ და მოსალოდნელ შედეგებთან. მაგალითად, ერთი სადაზღვევო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საერთოდ არ არის აღიარებული სადაზღვევო რისკი, ან არ არის განმარტებული, თუ როგორ ხდება ამ რისკის მართვა. სუბიექტის სადაზღვევო რისკების ზემოქმედებისა და მართვის შესახებ არასრული ინფორმაცია, პოტენციურად ხელს უშლის მომხმარებლებს რესურსების განაწილების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმის თვალსაზრისით.

*** დაკავშირებული მხარეები:** კომპანიების უმეტესობას აქვს არსებითი მნიშვნელობის ურთიერთობა დაკავშირებულ მხარეებთან და ამასთან დაკავშირებით მათ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი რაოდენობრივი ინფორმაცია. თუმცა, ზოგადად, არ იყო საკმარისი ინფორმაცია მოწოდებული ურთიერთობების ბუნების ასახსნელად, თუ როგორ წარმოებდა რისკის მართვა და ხორციელდებოდა თუ არა და რა მასშტაბით გარიგებები საბაზრო პრინციპის გამოყენებით. გარე რესურსების პროვაიდერებს არ ეძლევათ საშუალება რომ სრულად გაერკვნენ სუბიექტის რისკებსა და ვალდებულებებში. ეს განსაკუთრებით ეხება დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებს, სადაც კომერციულის გარდა სხვა მოსაზრებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე. საჭიროა სათანადოდ გარკვევა სიტუაციაში იმისათვის რომ მოხდეს რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და განისაზღვროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი.

ფასს-თან შესაბამისობის საკითხები – სახელმწიფო საწარმოები

345. **სახელმწიფო საწარმოების ყველა შესწავლილი ფინანსური ანგარიშგება სავარაუდოდ არ შეესაბამებოდა ფასს-ის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს.** თუმცა, შეიმჩნეოდა გაუმჯობესების ნიშნები.

*** განსახილველ ნიმუშში შემავალმა სახელმწიფო საწარმოებმა მიიღეს აუდიტის პირობითი დასკვნა რამდენიმე მიმართულებით 2020 წლის**

ფინანსური ანგარიშგებებისთვის. კვალიფიკაცია დაკავშირებული იყო ბასს 2-თან (*მარაგები*), ბასს 16-თან (*ძირითადი საშუალებები*) და ფასს 9-თან (*ფინანსური ინსტრუმენტები*) შეუსაბამობასთან.

- * სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების განხილული სხვა ორი კომპლექტი ერთობლივად შეიცავდა წინა პერიოდის 13 არსებითი შეცდომის გასწორებას, რაც ასახავს წარსულში ბუღალტრული აღრიცხვის არასწორ პრაქტიკას და შესაძლოა მიუთითებდეს ფასს-ის გამოყენებაში ბოლოდროინდელ გაუმჯობესებაზე.

346. ფასს-თან სავარაუდო შეუსაბამობის სფეროები, რომლებიც გავრცელებულია ყველა დარგში, ჩამოთვლილია ზემოთ. სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ნიმუში განსაკუთრებით გავრცელებული იყო შემდეგი:

- * **ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები: გადატვირთულობა:** ვრცელი შაბლონური სააღრიცხვო პოლიტიკა და რისკის მართვის განმარტებითი შენიშვნები, რასაც მოჰყვება ბუღალტრული აღრიცხვის წინააღმდეგობრივი პრაქტიკა. მაგალითად:
 - ერთ-ერთმა სახელმწიფო საწარმომ აღწერა ფასს 9-ის შესაბამისად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი რამდენიმე გვერდზე, მაგრამ არ შეუქმნია ზარალის რეზერვი, რადგან უფრო ღრმად მის ფინანსურ ანგარიშგებაში ხელმძღვანელობამ, სავარაუდოდ, არასწორად დაუშვა, რომ არ არსებობდა საკრედიტო რისკი სუბიექტის დებიტორულ დავალიანებასა და ქართულ ბანკებში განთავსებულ ფულადი სახსრების ნაშთებში.
 - სხვა სახელმწიფო საწარმომ გუდვილის და არამატერიალური აქტივების ერთი შეხედვით არაარსებითი ოდენობის აღიარების გარეშე გაამჟღავნა შეფასების განუსაზღვრელობა გუდვილის და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ტესტირებისას და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადის განსაზღვრისას.
 - კიდევ ერთმა სახელმწიფო საწარმომ შაბლონური განმარტებითი შენიშვნების სახით წარმოადგინა ფასს-ის იმ ცვლილებების შესახებ ინფორმაციის რამდენიმე გვერდი, რომელიც ჯერ არ იყო ძალაში შესული და გაამჟღავნა სააღრიცხვო

პოლიტიკა იმ გარიგებებისთვის, რომელთა გაფორმებაც არ მომხდარა.

- * **შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებების გამჟღავნება და სხვა განსჯა:** ზოგიერთმა სახელმწიფო საწარმომ სავარაუდოდ გამოტოვა განმარტებითი შენიშვნები შეფასების განუსაზღვრელობის კონკრეტული ძირითადი წყაროების შესახებ. სხვა სახელმწიფო საწარმოებს, როგორც ჩანს, ეშლებოდათ განმარტებითი შენიშვნები შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაში ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას სხვა მნიშვნელოვანი განსჯის შესახებ. შესაბამისად, გარე რესურსების პროვაიდერებს არ აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ საჭირო ინფორმაცია შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროების შესახებ. უფრო მეტიც, სახელმწიფო საწარმოების განმარტებითი შენიშვნები შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროების შესახებ, როგორც წესი, იყენებდა ზოგად და არა რაოდენობრივად განსაზღვრულ, სუბიექტის სპეციფიკურ განმარტებებს დაშვებების ცვლილებების მიმართ შეფასებების სენსიტიურობის, შესაძლო შედეგების დიაპაზონის და წლის განმავლობაში გაკეთებული ძველი დაშვებების ცვლილების შესახებ.
- * **ფინანსური რისკის გამჟღავნება და გაუფასურების ტესტირება:** განმარტებითი შენიშვნები ყველა სახელმწიფო საწარმოს ფინანსური რისკის მართვის შესახებ სავარაუდოდ, საჭიროებს გაუმჯობესებას. მაგალითად, ლიკვიდურობის რისკის დროის დიაპაზონი ძალიან ფართო ჩანდა, ზოგიერთმა გამოიყენა საბალანსო და არა არადისკონტირებული თანხები, ბალანსგარეშე მუხლები სავარაუდოდ გამოტოვებული იყო და გადახდები სულაც არ იყო მიკუთვნებული ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როცა გადახდა შეიძლება მოთხოვნილი ყოფილიყო. როგორც ჩანს, ერთ-ერთმა სახელმწიფო საწარმომ არ განახორციელა თავისი ფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტირება, ვრცელი განმარტებითი შენიშვნების მიუხედავად იმის შესახებ თუ როგორ გამოიყენა ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი. სხვა სახელმწიფო საწარმოებმა, როგორც ჩანს, არსებითად არასაკმარისად გამოიყენეს ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი.

ფასს-ი მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისობისთვის

347. მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების ნიმუში შემოიფარგლება მხოლოდ სამით სამსახურის მიერ რეგულირებად 4,892 არასაფინანსო ინსტიტუტით, რომლებიც თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად ამზადებენ. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული დასკვნები სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული, რადგან ისინი შეიძლება არ ასახავდეს მცირე და საშუალო ბიზნესის პრაქტიკას საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესრულებასთან დაკავშირებით.

348. სამივე განხილული ფინანსური ანგარიშგება, სავარაუდოდ, არ შეესაბამებოდა მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ს. განხილული ფინანსური ანგარიშგებიდან ორი ნაკრები შეფასდა შედარებით კარგად წარმოდგენილად. ფინანსური ანგარიშგებების მესამე ნაკრები მნიშვნელოვნად დაბალი ხარისხის მქონედ იქნა მიჩნეული.

349. განხილული ფინანსური ანგარიშგებების ნიმუში დაფიქსირებული მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-თან სავარაუდო შეუსაბამობის სფეროები შემდეგია:

* **ფინანსური ანგარიშგების წარდგენა**²⁵⁷ როგორც ჩანს, ხელმძღვანელობამ ძირითადად გაითვალისწინა არსებითობის ზოგიერთი ასპექტი. თუმცა, გარკვეული არსებითი ინფორმაცია სავარაუდოდ გამოტოვებული იყო ყველა კომპანიის განმარტებითი შენიშვნებიდან; ზოგიერთი არაარსებითი ან არარელევანტური ინფორმაცია კი გამჟღავნებული იყო შაბლონური განმარტებითი შენიშვნების სახით. როგორც მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, ისე ზედმეტად გადატვირთული ინფორმაცია გარე რესურსების პროვაიდერებს არ აძლევს სუბიექტის შესახებ მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის მოთხოვნების შესაბამის სპეციფიკურ ინფორმაციას, რაც მომხმარებლებს ხელს უშლის საკუთარი პროგნოზების გაკეთებაში ანგარიშვალდებული სუბიექტის მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ და

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრაში.

* **სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას წარმოებულ მსჯელობასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები**²⁵⁸ განმარტებითი შენიშვნები მთლიანად გამოტოვებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ყველა ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც გარე რესურსების პროვაიდერებს არ აძლევს სუბიექტის შესახებ სპეციფიკურ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა მნიშვნელოვანი მსჯელობის საწარმოებლად რესურსების განაწილების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისას და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმისას.

* **სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი განსჯის გამჟღავნება**: ასეთი ტიპის განმარტებითი შენიშვნები მთლიანად გამოტოვებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ყველა ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც გარე რესურსების პროვაიდერებს არ აძლევს სუბიექტის შესახებ სპეციფიკურ ინფორმაციას რომელიც საჭიროა მნიშვნელოვანი მსჯელობის საწარმოებლად რესურსების განაწილების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისას და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმისას.

* **შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროების გამჟღავნება**²⁵⁹ ასეთი ტიპის განმარტებითი შენიშვნები მთლიანად გამოტოვებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ყველა ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც გარე რესურსების პროვაიდერებს არ აძლევს საშუალებას გაერკვნენ შეფასებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის ძირითად დაშვებებში, რომლებიც მათ სჭირდებათ რესურსების განაწილების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისას და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმისას.

* **საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენების გამჟღავნება**²⁶⁰ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და სოციალურ-

257 თავი 3 ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა.

258 მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ი, პუნქტი 8.6

259 მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ი, პუნქტი 8.7.

260 თავი 32 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად (მაგალითად, COVID-19 პანდემიის ზემოქმედება საშინაო, რეგიონულ და საერთაშორისო ეკონომიკაზე), ბალანსის ანგარიშგების თარიღის მომდევნო პერიოდის განმავლობაში, არცერთ განხილულ სუბიექტს არ გაუმუდავებია რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. ერთმა საწარმომ წარადგინა მხოლოდ შაბლონური შენიშვნა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ბალანსის ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული გარე რესურსების პროვიდერებს არ აძლევს იმ ინფორმაციის შესწავლის საშუალებას, რომელიც მათ სჭირდებათ რესურსების განაწილების შესახებ დასაბუთებული გადანაცვტილების მისაღებად და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად.

*** დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები:**²⁶¹ ზოგიერთმა შეფასებულმა კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოტოვა ინფორმაცია ყველა დაკავშირებული მხარის შესახებ. იმ საწარმოებმა, რომლებმაც წარადგინეს განმარტებითი შენიშვნები არსებით დაკავშირებულ მხარეებთან თავისი ურთიერთობის შესახებ, ზოგადად, არ შეიტანეს შენიშვნებში ინფორმაცია ურთიერთობების ბუნების ასახვად და იყო თუ არა და რამდენად იყო გარიგებები შესრულებული საბაზრო პრინციპის საფუძველზე. გარე რესურსების პროვიდერებს არ ეძლევათ შესაძლებლობა სრულად გაერკვნენ სუბიექტის რისკებსა და ვალდებულებებში. ეს განსაკუთრებით ეხება გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, სადაც კომერციულის გარდა სხვა მოსაზრებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გადანაცვტილების მიღების პროცესებზე.²⁶²

სუბიექტის რისკებისა და ვალდებულებების ცოდნა საჭიროა რესურსების განაწილების შესახებ დასაბუთებული გადანაცვტილების მისაღებად და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსასაზღვრად.

*** ფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტირება:**²⁶³ მიუხედავად პანდემიის გავლენისა და გაზრდილი გეოპოლიტიკური გაურკვევლობისა,²⁶⁴ ზოგიერთ სუბიექტს, როგორც ჩანს, არ განუხორციელებია გაუფასურების ტესტირება თავის დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით. ეს სავარაუდო შეუსაბამობა ძირითად მომხმარებლებს აიძულებს ეჭვს ქვეშ დააყენონ სუბიექტის ფინანსური აქტივების²⁶⁵ ღირებულება. შესაბამისად, შეუსაბამობა სავარაუდოდ აფერხებს მომხმარებელთა შესაძლებლობას მიიღონ დასაბუთებული გადანაცვტილებები რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით და დასვან ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი.

შესაბამისობა აუდიტის სტანდარტებთან

350. ფასს ფინანსური ანგარიშგების 19 ნაკრების შესახებ მომზადებული აუდიტის ანგარიშებიდან ხუთი პირობითი²⁶⁶ იყო. აუდიტის არამოდიფიცირებული დასკვნა მიუთითებს ფასს-თან შესაბამისობის მიღწევის მინიმალურ დონეზე მანც. მიუხედავად ამისა, ფინანსური ანგარიშგება საჭიროებდა გაუმჯობესებას. ფინანსური ანგარიშგებების განხილვისას, აუდიტის ანგარიშები ასევე შეფასდა არაოფიციალური მტკიცებულებების მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამებოდა ისინი პრაქტიკაში მოქმედ აუდიტის სტანდარტებს. იგივე შეზღუდვები გამოიყენება აუდიტის ანგარიშების

²⁶¹ თავი 33 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.

²⁶² პუნქტი 33.9 მოითხოვს დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობების ბუნების გამუდვანებას, ისევე როგორც ინფორმაციას გარიგებების, ნაშთების და ვალდებულებების შესახებ რომლებიც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებებზე ურთიერთობის პოტენციური ზემოქმედების გასარკვევად.

²⁶³ მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ი, პუნქტები 11.21-11.25.

²⁶⁴ კერძოდ, პუნქტი 11.23 მიუთითებს, რომ ეს ფაქტორები შეიძლება ადასტურებდეს გაუფასურებას.

²⁶⁵ მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა, სუბიექტმა დააფიქსირა დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და არ აღრიცხა გაუფასურების ზარალი.

²⁶⁶ აუდიტის ხუთ პირობით დასკვნასთან ერთად, ერთმა კომპანიამ მხოლოდ შემაჯამებელი ფასს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება განათავსა სამსახურის პორტალზე (იხ. ზემოთ). გარე აუდიტის ანგარიშში ამ შემაჯამებელ ფასს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნულია, რომ შემაჯამებელი ფინანსური ანგარიშგება ყველა მატერიალური თვალსაზრისით თანმიმდევრულია აუდიტებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, რომლებზეც გარე აუდიტორმა გასცა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

შედარებით მცირე ნიმუშის ანალიზისას²⁶⁷ და მიმოხილვა მოიცავს მხოლოდ იმის ანალიზს, თუ რამდენად შეესაბამება მომზადებული ანგარიშები ასს 700-ს²⁶⁸ და ასს 701-ს²⁶⁹ და თვითონ ფინანსური ანგარიშებიდან მიღებულ ზოგად წარმოდგენას.²⁷⁰

*** ფასს-თან შესაბამისობა:** აუდიტის ანგარიშების მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აუდიტის ანგარიშების შესაბამისი სტანდარტები ძირითადად დაცული იყო. თუმცა, ზემოთ ნახსენები ფასს-თან შესაბამისობის საკითხები მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა პრობლემებს აუდიტორების აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ეხება, ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ:

- წარდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების საკითხებს, მათ შორის, სტანდარტულ ენას და სუბიექტისთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამოტოვებას სუბიექტის ყველაზე მნიშვნელოვანი განსჯისა და შეფასებების შესახებ და რისკის მართვასთან დაკავშირებით; და
- სააღრიცხვო პოლიტიკის აღიარებას და შეფასებას, მათ შორის გამოყენებას (ან თვალსაჩინო გამოყენებას), რომელიც არ შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს.

*** აუდიტის ანგარიშები:** ფასს ფინანსური ანგარიშების 19 ნაკრებისგან შემდგარი ნიმუშის გარე აუდიტორის შემოწმების ანგარიშის განხილვის საფუძველზე გამოვლინდა:

- აუდიტის ძირითადი საკითხები არ იყო აღნიშნული ერთი კომპანიის ფინანსურ ანგარიშებებთან დაკავშირებით, რომლის

აქციებიც შედის საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში.^{271,272} აუდიტორულ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნული ხარვეზები უმთავრესად მოიცავდა აუდიტის ზოგიერთი ძირითადი საკითხის სავარაუდო გამოტოვებას (მაგალითად, ფინანსურ ანგარიშებაში გამჟღავნებული ყველაზე მნიშვნელოვანი მსჯელობა და შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც აუდიტის ძირითადი საკითხები).²⁷³ ზოგადად, შეიძლება გაუმჯობესდეს აუდიტის ძირითადი საკითხების საერთო ხარისხიც, მაგალითად, შესაძლებელია რელევანტურობის გაზრდა შაბლონური აღწერილობის ნაკლებად გამოყენებით და, კერძოდ, საკითხის უშუალოდ დაკავშირებით სუბიექტის კონკრეტულ გარემოებებთან და უფრო ზუსტი მინიშნებების გაკეთებით ფინანსური ანგარიშებების განმარტებით შენიშვნებთან.

აღქმა

351. დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანი პროგრესის არსებობა საქართველოს კორპორაციულ ფინანსურ ანგარიშებაში ყველა კატეგორიის სუბიექტებისთვის. დაინტერესებულ მხარეებთან ჯგუფურმა დისკუსიებმა ზოგადად დაადასტურა შიდა კორპორაციული ფინანსური ანგარიშების ბოლოდროინდელი გაუმჯობესება და საბანკო ფინანსური ანგარიშებების მაღალი ხარისხი. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განპირობებულია საქართველოში დანერგილი „ნახალისებისა“²⁷⁴

²⁶⁷ მიმოხილვა არ ჰგავს ოფიციალურ აუდიტორულ მიმოხილვას და ეფუძნება მხოლოდ ფინანსურ ანგარიშებაში შეტანილ მტკიცებულებებს. შემფასებელი არ იკვლევს მტკიცებულებას აუდიტის სტანდარტების პრაქტიკული გამოყენების, აუდიტის ხარისხის ან აუდიტის პროფესიის წინაშე არსებული ზოგადი გამოწვევების შესახებ და არ აქვს წვდომა აუდიტორებთან.

²⁶⁸ ასს 700 მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშების შესახებ

²⁶⁹ ასს 701 აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში

²⁷⁰ აღსანიშნავია, რომ აუდიტის ანგარიშების სტანდარტული ფორმატის გათვალისწინებით, აუდიტორული ანგარიშების შემქმნელებისთვის საკმაოდ მარტივია, რომ კარგად წარმოაჩინონ ის უბრალოდ ფორმატის შესაბამისობით, ორგანიზაციის ძირითადი ფინანსური ოპერაციებისა და პოზიციის მიუხედავად.

²⁷¹ იმისა, რომ წინამდებარე აუდიტის ანგარიშში ნახსენებია აუდიტის ოთხი პირობითი მოსაზრება (ასს 701-ის პუნქტი 15), ის არ განსაზღვრავს აუდიტის ძირითად საკითხებს რომლებიც არ არის კავშირში აუდიტის პირობით დასკვნასთან.

²⁷² გარე აუდიტის დასკვნები ნიმუშში შემავალი რვა კომპანიის ფინანსური ანგარიშებების შესახებ, რომელთა აქციები ან სავალდო ფასიანი ქაღალდები (ან ორივე) შედის საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში, ან ლისტინგში შესვლის ეტაპზეა შეიცავდა ერთ ან რამდენიმე ძირითად აუდიტორულ საკითხს.

²⁷³ ბასს 1-ის 122-ე და 125-ე პუნქტების შესაბამისად

²⁷⁴ მაგალითად, BARTA -ს ჯილდო ([nb. www.worldbank.org/en/news/press-release/2022/03/16/world-bank-and-european-union-announce-launch-of-2022-best-annual-report-and-transparency-award](http://nb.www.worldbank.org/en/news/press-release/2022/03/16/world-bank-and-european-union-announce-launch-of-2022-best-annual-report-and-transparency-award)).

და „დასჯის“²⁷⁵ მიდგომის ორივე მხარით. თუმცა, მათ აღიარეს, რომ სუბიექტების ტიპების უმეტესობისთვის მნიშვნელოვან სფეროებში კვლავ ბევრი რამ დარჩა გასაუმჯობესებელი. კერძოდ, რჩება წუხილები სხვა სექტორის სუბიექტების მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების (თუმცა უმჯობესდება) ხარისხთან დაკავშირებით. დაინტერესებულ მხარეებს შორის არიან მარეგულირებლები, კრედიტორები, მენარმეები, აუდიტორული ფირმები, სარეიტინგო სააგენტოები და აკადემიური წრეები.

352. სდპ-ების და პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი სამსახურის ანგარიშგების პორტალის საშუალებით. თუმცა, ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ გამოთქვა წუხილი, რომ დროის შუალედი სამსახურის პორტალზე ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის ამჟამინდელ ვადას (1-ლი ოქტომბერი) და სუბიექტების ანგარიშგების თარიღს შორის იყო ძალიან დიდი. დროში ასეთი ჩამორჩენა ამცირებს ფინანსური ინფორმაციის სარგებელს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის.

353. სდპ-ების და პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოების მმართველობის ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომია სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. დაინტერესებულმა მხარეებმა ზოგადად დაადასტურეს მმართველობის ანგარიშგების ხარისხის ბოლოდროინდელი გაუმჯობესება და ბანკის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ანგარიშგების მაღალი ხარისხი. თუმცა, დარჩა წუხილები სხვა სექტორის სუბიექტების მიერ მომზადებული მმართველობის ანგარიშგების ხარისხთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ გამოთქვა შეშფოთება, რომ რეგულირებადი სუბიექტების მმართველობის ანგარიშგების წარდგენის ამჟამინდელი ვადის მიხედვით ანგარიშგება ქვეყნდება ოქტომბერში სამსახურის ვებგვერდზე, მაშინ როცა ამ რეგულირებადი კომპანიების წლიური ფინანსური ანგარიშგებები, როგორც ეს მითითებულია შესაბამის მარეგულირებელ

ჩარჩოში, საჯაროდ ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდებზე გაცილებით ადრე (სხვადასხვა თარიღის მდგომარეობით, 15 მაისს ან 1-ლი ივნისს). ასეთი შეუთანხმებლობა ამცირებს როგორც მმართველობის ანგარიშგების, ისე მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სარგებელს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის.

354. ბანკების მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ხარისხი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სხვა პირველი კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგებისა. შესაბამისად, არასაბანკო სუბიექტების კორპორაციული ფინანსური ანგარიშგებები ნაკლებად სანდოდ ჩაითვალა. ზოგადად მიჩნეულ იქნა, რომ მესამე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ხარისხი სწრაფად უმჯობესდებოდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად დაბალი ხარისხის იყო, პირველი ან მეორე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგების ხარისხთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელი გაუმჯობესებების შემდეგ, ზოგიერთი დაინტერესებული მხარე იყენებს მესამე კატეგორიის საწარმოების ინფორმაციას (მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მონიტორინგის სისტემა).

355. მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების ხარისხის გაუმჯობესება მათ უფრო სასარგებლოს გახდის. დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობამ მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის ფინანსური ინფორმაციის სამსახურის პორტალზე წარდგენის მოთხოვნა დადებითად შეაფასა, თუმცა ყველა მათგანს მეოთხე კატეგორიის ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ნაკლებად სჯეროდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დაინტერესებული მხარე უკვე იყენებდა ამ ინფორმაციას (მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მონიტორინგის სისტემა) და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმაც გამოხატეს ინტერესი მის მიმართ (მაგალითად, „კრედიტინფომ“). თუმცა, მეოთხე კატეგორიის ყველა სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი სარგებლიანობა.²⁷⁶

²⁷⁵ მაგალითად, მნიშვნელოვნად გაძლიერდა აუდიტის ფუნქციის და ფინანსური ანგარიშგებების ხარისხის მონიტორინგი, რაც განაპირობებს მარეგულირებელი ღონისძიებების განხორციელებას.

²⁷⁶ მეოთხე კატეგორიის საწარმოები ყოველ წელს ირჩევენ იყოს თუ არა მათი ფინანსური ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებების წარდგენისას სამსახურის პორტალზე

356. დაინტერესებულმა მხარეებმა**რეკომენდაცია გაუწიეს ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესების ძლიერი იმპულსის შენარჩუნებას.**

სპეციფიკური რეკომენდაციები შეეხო შემდეგ საკითხებს: (i) სუბიექტების აღრიცხვისა და აუდიტის მონიტორინგისა და აღსრულების გაძლიერებას სამსახურის ტექნიკური შესაბამისობის შემფასებელი პერსონალის რაოდენობის ზრდით, შესაბამისობის შეფასების მიმართულებით ტრენინგების უზრუნველყოფით ფასს /მცირე და საშუალო საწარმოების ფასს ფინანსური ანგარიშგების შესახებ, და შესაბამისი პოლიტიკის დანერგვის უზრუნველყოფით თანამშრომლების შესანარჩუნებლად; (ii) ინსტიტუციური/საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას ფინანსური

ანგარიშგების შესაბამისობის საკითხებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისთვის; (iii) ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობის განხილვის პასუხისმგებლობის გარკვევას ორმაგი შიდა რეგულაციების ქვეშ მყოფი ინსტიტუტებისთვის და ორმაგი მარეგულირებელი ორგანოების შესაბამისობის კოორდინაციის გაუმჯობესებას; (iv) ფასს/მცირე და საშუალო საწარმოების ფასს ფინანსური ანგარიშგების შემმუშავებელთა შემდგომი შესაძლებლობების განვითარებას; (v) სარისკო კაპიტალის ბაზრის განვითარებას და შიდა საფონდო ბირჟების გაფართოებას (უფრო ფართო და ღრმა ვაჭრობა) მოთხოვნაზე ორიენტირებული გაუმჯობესების წახალისების მიზნით.



III. ROSC A&A წინა შეფასების შემდეგ განხორციელებული ცვლილებები

357. 2015 წლის ROSC A&A-ის შეფასების მთავარი დასკვნის მიხედვით²⁷⁷ საჭირო იყო ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობის ბევრად მაღალი ხარისხი. კერძოდ, შესაბამისობა ევროკავშირის 2013/34/EU დირექტივასთან წლიური ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და გარკვეული ტიპის საწარმოების შესაბამისი ანგარიშების შესახებ (ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივა) და ევროკავშირის 2014/56/EU დირექტივასთან წლიური ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული

ანგარიშების სავალდებულო აუდიტის შესახებ (აუდიტის დირექტივა) საჭირო იყო საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ROSC A&A-ს ანგარიშმა მიუთითა ბევრი სფერო, სადაც ასეთი შესაბამისობა სუსტი იყო ან არ იყო.

358. 2016 წლის კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შეეხო ამ სფეროების უმეტესობას და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი მაღალ დონეზე აიყვანა. აღნიშნულის შედეგად,

²⁷⁷ ENG: <https://documents1.worldbank.org/curated/en/254551468189259272/pdf/ACS13210-REVISED-Georgia-ROSC-AA-Report-FINAL-092015-Box393232B-PUBLIC-ENGLISH-Dissemination.pdf>
 GE: <https://documents1.worldbank.org/curated/en/486411468189258787/pdf/ACS13210-GEORGIAN-Box393232B-PUBLIC-Georgia-ROSC-AA-Report-FINAL-092015-Dissemination-GEO.pdf>

ნაწილობრივი შესაბამისობის მხოლოდ რამდენიმე სფერო იყო აღნიშნული ევროკომისიის ბოლო შეფასებაში.

359. ეს თავი აჯამებს 2015 წლის ROSC A&A-ს შემდეგ განხორციელებულ ძირითად ცვლილებებს. დეტალური ინფორმაცია 2015 წლის ანგარიშის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია A დანართში.

■ საკანონმდებლო ბაზა

360. 2016 წლის კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ არსებითად გააუმჯობესა საქართველოში კორპორაციული ანგარიშგების საკანონმდებლო ჩარჩო. A დანართში დეტალურად არის წარმოდგენილი 2015 წლის თითოეული რეკომენდაციის შესრულების შეფასება საკანონმდებლო ჩარჩოს მიმართულებით და გარკვეული ჰარმონიზაციის საჭიროების მითითებით. მსხვილი/ საშუალო/ მცირე/ მიკრო საწარმოების განსაზღვრების თანმიმდევრულობა მიღწეულია საქართველოს კანონმდებლობაში. კორპორაციული ანგარიშგების მიზნებისთვის სუბიექტების ამჟამინდელი განსაზღვრება შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. ასევე რჩება გარკვეული შეუსაბამობები საგადასახადო კოდექსში არსებულ ეკვივალენტურ განმარტებებთან. თუმცა, ზოგადად კორპორაციულ ანგარიშგებაზე გავლენა არ არის მნიშვნელოვანი. ევროკავშირის მოთხოვნებთან შემდგომი ჰარმონიზაციის სფეროები მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების შემდგომ შემცირებას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და დიდი მრავალეროვნული კომპანიებისთვის ცალკეული ქვეყნების მიხედვით.

■ პროფესიული განათლება და ტრენინგი

361. 2015 წლის ROSC-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები პროფესიულ განათლებასთან და ტრენინგთან

დაკავშირებით. თუმცა, ორი რეკომენდაცია, რომლებიც სრულად არ არის შესრულებული, რეალურად ეხება არა პროფესიულ განათლებას და ტრენინგს, არამედ საუნივერსიტეტო განათლებას, რომელსაც ენიჭება წინასწარი მოსამზადებელი როლი პროფესიულ ტრენინგში.

362. რეკომენდაცია, რომელიც დაკავშირებულია საუნივერსიტეტო კურიკულუმების გაძლიერებასთან და საქართველოში პროფესიული კვალიფიკაციის სასწავლო პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანასთან, ძირითადად განხილულია. აკადემიური სასწავლო პროგრამა, რომელიც დააკავშირებდა საუნივერსიტეტო პროგრამებს პროფესიული ორგანიზაციების, ბაფისა და ACCA-ს პროფესიული მომზადებისა და გამოცდის მოთხოვნებთან, შემუშავდა 2021 წელს დონორი ორგანიზაციების დახმარებით და დამტკიცებულია სამსახურის მიერ.²⁷⁸ კურიკულუმი (სასწავლო პროგრამა) შეესაბამება განათლების საერთაშორისო სტანდარტებს. ის ხელმისაწვდომია სამსახურის ვებგვერდზე, მაგრამ ჯერ არ არის დამტკიცებული განათლების სამინისტროს მიერ.

363. ნაკლები წინსვლა აღინიშნა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საუნივერსიტეტო განათლების მინიმალური მისაღები მოთხოვნების დადგენისა და კოორდინაციის შესახებ რეკომენდაციის შესრულების მიმართულებით. რეკომენდაცია მიზნად ისახავდა მოთხოვნების თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველყოფას უნივერსიტეტებს შორის საქართველოში, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით. აღნიშნული განხილული იყო შესაბამის მხარეებთან, მაგრამ პროგრესი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გეგმავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განათლების მინიმალური სტანდარტების შემუშავებას 2024 წელს. გარდა ამისა, სამსახურმა შესაძლოა განიხილოს ბუღალტრული აღრიცხვის განათლების ეროვნული სტანდარტის შემუშავების გარე ინიცირება 2024 წლამდე.

364. პროფესიულ განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული სხვა რეკომენდაციები სრულად შესრულდა.



IV. რეკომენდაციები

365. ამ თავში წარმოდგენილია პოლიტიკასთან დაკავშირებული და ინსტიტუციური რეკომენდაციები საქართველოში კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს გასაუმჯობესებლად.

მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო

366. სამსახურის შექმნა და მის მიერ ნაჩვენები პროგრესი კანონის მოთხოვნების შესრულების მიმართულებით ძალიან დიდი მიღწევა იყო და ყველა ჩართული მხარის დიდი დამსახურებაა. დინამიურ გარემოში სამსახურმა უნდა განაგრძოს განვითარება ახალი და მიმდინარე გამოწვევების მოსაგვარებლად. ამ შეფასებით განსაზღვრული გამოწვევებიდან აღსანიშნავია:

- * სამსახურის შესაძლებლობებისა და დაფინანსების გაძლიერება, რომ სრულიად მდგრადი და დამოუკიდებელი გახდეს და აღარ საჭიროებდეს დონორთა დახმარებას, საოპერაციო გამოწვევების გადასაჭრელად, როგორებიცაა: მთელი პერსონალის მუდმივი ტრენინგი, მათი ცოდნის ასამაღლებლად უახლესი რელევანტური მოვლენების და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ; აუდიტორული შემოწმების მართვის სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა; და იმის უზრუნველყოფა, რომ ინსპექტირების პერსონალს არ სჭირდებოდეს ინსპექტირების მოვალეობის გარდა სხვა აქტივობების შესრულება და ა.შ.
- * სამსახურის უნარის გაძლიერება, მოიზიდოს და შეინარჩუნოს საჭირო მაღალი დონის გამოცდილების მქონე პერსონალი და კონსულტანტები, ისეთი მიმართულებით, როგორიცაა მონიტორინგის და აღსრულების

ლონისძიებების ხარისხის უზრუნველყოფა სპეციალიზებულ სფეროებში მაგ. საფინანსო მომსახურებაში.

- * გათვალისწინება, არის თუ არა საჭირო სამსახურის საბჭოს შემადგენლობის, შესაძლებლობებისა და კომპეტენციების გაძლიერება მისი ეფექტურობის ასამაღლებლად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა დავების გადაწყვეტა და რეგულაციების მიღება.

სამსახურმა ასევე უნდა განიხილოს დავების გადაწყვეტის მექანიზმის აუცილებლობა აუდიტის ანაზღაურებად დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად აუდიტორთა რეგისტრაციისა და ინსპექტირების შედეგად წარმოქმნილი დავების განხილვის მიზნით. ეს შეამცირებს გამომწვევას, რომელიც დგას სამსახურის საბჭოს წინაშე, სადაც საბჭოს ყველა წევრს არ აქვს დეტალური ტექნიკური ცოდნა აუდიტის საკითხებზე და სადაც საბჭოს წევრების ანაზღაურების გარეშე საქმიანობა ზღუდავს მათ ხელმისაწვდომ დროს და რესურსებს.

367. საქართველოს ძალისხმევა მიაღწიოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსს, გააძლიეროს ქვეყნის საერთო შესაძლებლობები და შეასრულოს წევრობის ვალდებულებები მოითხოვს, რომ სამსახურმა და კანონმდებლებმა გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა ევროკავშირის მოთხოვნებთან შემდგომი თანხვედრისთვის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროებში. ევროკავშირის ბოლოდროინდელ ანალიტიკურ ანგარიშში²⁷⁹ საქართველოს ევროკავშირში განუვრიალების განაცხადის შესახებ აღნიშნულია კორპორაციული ანგარიშგების მიმართულებით შემდგომი შესაბამისობის მიღწევის სფეროები, რომლებიც მოიცავს მცირე სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს; და ძალიან დიდი მრავალეროვნული კომპანიების ანგარიშგებას ცალკეული ქვეყნების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების გარკვეულ გამარტივებას სუბიექტების (და ჯგუფის) კატეგორიების მიხედვით, სამსახურმა უნდა განახორციელოს ფინანსური ანგარიშგების შემდგომი გამარტივება, რომელიც საჭიროა ევროკავშირის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული საქართველოს ვალდებულების ფარგლებში, დააახლოვოს თავისი ინსტიტუტები და პოლიტიკა ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

368. ევროკავშირის აუდიტის კანონმდებლობასთან დაკავშირებით, სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს ნაწილობრივი შესაბამისობის სფეროები, მათ შორის: კანონში უნდა შევიდეს „აუდიტის ძირითადი პარტნიორის“ განსაზღვრება; სარეგისტრაციო მოთხოვნებს უნდა დაემატოს მოთხოვნები აუდიტორული ფირმის ოფისის ადგილმდებარეობისა და ქსელის ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ; სამსახურის მიერ სხვა ორგანოებისთვის დავალებების შესაძლო დელეგირების მექანიზმი უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით; წლიური ანგარიშგების ყველა მოთხოვნა მარეგულირებელი ორგანოებისთვის კანონში უნდა იყოს შეტანილი; და კანონით გათვალისწინებულ უნდა იქნეს აუდიტორების მიერ წლიური გამჭვირვალობის ანგარიშის განმარტება და აღწერა.

369. სღპ წლიური ანგარიშები, რომელთა გამოქვეყნებას ან სხვაგვარად გავრცელებას ითხოვენ მარეგულირებელი ორგანოები არა-სღპ წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ვადაზე ადრე, უნდა შეიცავდეს მმართველობის ანგარიშგებას. სამსახურის მიერ დაწესებული წლიური ანგარიშის წარდგენის მოთხოვნები მოიცავს მმართველობის ანგარიშგების მომზადების მოთხოვნასაც. მმართველობის ანგარიშგება ასახავს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილი ფინანსური მაჩვენებლების კონტექსტს და ზოგადად განიხილება ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვან, თუ არა არსებით ელემენტად. სამსახური ითხოვს, რომ სუბიექტებმა თავიანთი შედეგები წარადგინონ ყოველი წლის 1-ლ ოქტომბრამდე. რეგულაციები გარკვეული სღპ-ებისთვის (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საფონდო ბირჟის ლისტინგში შემავალი სუბიექტები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების უფრო ადრე (სხვადასხვა თარიღით 15 აპრილს, 15 მაისს ან 1 ივნისს) გამოქვეყნებას. ადრეული წარდგენის მოთხოვნა შესაბამისა სუბიექტების მიმართ საზოგადოებრივ ინტერესს. თუმცა, ადრე წარდგენის მოთხოვნა ყოველთვის არ გულისხმობს მმართველობის ანგარიშგების გამოქვეყნებას. შედეგი არის ის, რომ ფინანსური ანგარიშგება ხშირად იგზავნება მმართველობის ანგარიშგების გარეშე, ამ უკანასკნელის მოგვიანებით წარდგენით, ზოგჯერ თვეების შემდეგ. ზოგჯერ ისეც ხდება რომ მმართველობის ანგარიშგება არასოდეს ქვეყნდება

სუბიექტის ვებგვერდზე. ეს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ადრეული ანგარიშების და მმართველობის ანგარიშების მოთხოვნას.

370. სდპ-ის წლიური ანგარიშების გამოქვეყნებისა და საჯაროდ გავრცელების თარიღი უფრო კარგად უნდა იყოს შეხამებული მარეგულირებელი ორგანოების მიერ მოთხოვნილ წლიური ანგარიშების დასრულების თარიღთან. სდპ-ებს, რომლებიც რეგულირებად სექტორებში ფუნქციონირებენ, მოეთხოვებათ აუდიტებული წლიური ანგარიშების წარდგენა თავისი მარეგულირებლებისთვის REPORTAL-ზე გამოქვეყნების თარიღზე უფრო ადრე. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ წლიური ანგარიშების მარეგულირებლისთვის წარდგენა ყოველი წლის 15 აპრილამდე, მაგრამ REPORTAL-ზე ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება მხოლოდ 1 ოქტომბრის შემდეგ ევალება. ამის შედეგია დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი, დამონმებული ინფორმაციის მიწოდების შესაძლო დაგვიანება.

371. გამოქვეყნების მოთხოვნები უნდა განსაზღვრავდეს სდპ-ების ფინანსური ანგარიშების ფართო გავრცელებას. ამჟამად, საჭიროა სდპ-ების ფინანსური ანგარიშების წარდგენა მარეგულირებელ ორგანოებში და/ან მათი განთავსება საკუთარ ვებგვერდებზე სამსახურის ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად წარდგენამდე ადრე. თითოეულ სუბიექტს აქვს თავისი ვებგვერდის უნიკალური დიზაინი, ზოგიერთი ვებგვერდის ბმული არ მუშაობს და ფინანსური ანგარიშების მდებარეობა ყოველთვის არ არის გარკვეული. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგება ხელს უწყობს გამჭვირვალობას ინვესტორებისთვის და კრედიტორებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორც არიან საქართველოში მსხვილი ინვესტიციების პროვაიდერები, მომხმარებლები, მეანაბრეები, დაზღვეულები და პერსონალი. გასათვალისწინებელია სდპ-ებისთვის ინფორმაციის უფრო ფართო გავრცელების მოთხოვნა გაზეთებში შემაჯამებული ინფორმაციის გამოქვეყნებისა და ფილიალებში ინფორმაციის განთავსების ჩათვლით. სრული ფინანსური ანგარიშების დაბეჭდილი ვერსია ხელმისაწვდომი უნდა იყოს გონივრული მოთხოვნის საფუძველზე.

372. უნდა დამყარდეს სისტემატური და კანონიერად აღსრულებადი თანამშრომლობა ყველა სექტორის მარეგულირებელსა და რეგულირებადი სუბიექტების გარე აუდიტორებს შორის. მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, სხვადასხვა მარეგულირებელს აქვს სხვადასხვა დონის უფლებამოსილება და პრაქტიკა აუდიტორებთან დაკავშირების, კომუნიკაციის და განმარტებების ან დამატებითი სამუშაოს მოთხოვნის თვალსაზრისით. როგორც წესი, არ არსებობს მოთხოვნა პერიოდულ შეხვედრებთან ან აუდიტის დაგეგმვაში ჩარევასთან დაკავშირებით, თუმცა საბანკო მარეგულირებელი ატარებს პერიოდულ შეხვედრებს, როგორც ეს შიდა სახელმძღვანელოშია მითითებული. საერთაშორისო კარგი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მარეგულირებლებმა შექმნან აუდიტორებთან თანამშრომლობის სისტემა. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება ცვალებადობდეს ინფორმაციის რეგულარული გაცვლიდან და შეხვედრებიდან, აუდიტორებისგან მარეგულირებელი მიზნებისთვის დამატებითი სამუშაოს შესრულების მოთხოვნამდე. თანამშრომლობა უნდა იყოს მუდმივად განსაზღვრული სხვადასხვა სექტორების რეგულაციებში, აუდიტორებთან სავალდებულო შეხვედრები რეგულარულად უნდა ტარდებოდეს და მარეგულირებლებს უნდა ჰქონდეთ აუდიტორებისგან გარკვეული ინფორმაციის, მათ შორის, აუდიტის მართვის ანგარიშების და დასკვნის შესახებ წინასწარი შეტყობინების და მნიშვნელოვანი მიგნებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება.

373. მოთხოვნების გამარტივების განხილვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის არსებული საზედამხედველო პრაქტიკა ზღუდავს მათ შესაძლებლობას მოიზიდონ დაფინანსება ფიზიკური პირებისგან. შედეგად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ფინანსდება პროფესიული დაფინანსებისა და აქციონერთა კაპიტალის კომბინაციით.²⁸⁰ მიიჩნევა, რომ აღნიშნულმა ხელი შეუწყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადარჩენას COVID-19-ის პანდემიის პერიოდში. მიკროსაფინანსო სფერო ექვემდებარება მნიშვნელოვან პრუდენციულ და ფინანსური ანგარიშების მოთხოვნებს,

²⁸⁰ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დეპოზიტების მიღების შეზღუდვის პარალელურად საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ (მუხლი 4) მიუთითებს, რომ ასეთი ორგანიზაციებს აქვთ სესხების (კრედიტების) აღების უფლება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისგან (მუხლი 4.ვ).

რომლებიც გამართლებულია თუ დარგი იზიდავს დაფინანსებას ფართო საზოგადოებისგან. თუმცა, თუ არსებული შეზღუდვა სესხის აღებასთან დაკავშირებით შენარჩუნდება ან კოდიფიცირებული იქნება კანონში ან წესში, გასათვალისწინებელი იქნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზოგიერთი ქვეჯგუფისთვის მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად ანგარიშების საშუალების მიცემა. რამდენადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ფინანსური სახსრების მოზიდვას მხოლოდ პროფესიონალი კრედიტორებისგან აწარმოებენ, ფასს ფინანსური ანგარიშების მომზადების დამატებითი ტვირთი არ არის გამართლებული.

374. უნდა გამოიცეს კორპორაციული მართვის გაერთიანებული კოდექსი ყველა სდპ-ისთვის და განახლდეს კანონები და რეგულაციები მისი ეფექტური აღსრულების უზრუნველსაყოფად. კორპორაციული მართვის რეგულაციები ფრაგმენტულია, ზოგიერთ სექტორს (მაგალითად, კომერციულ ბანკებს) აქვს სპეციფიკური მოთხოვნები, სხვას (მაგალითად, დაზღვევას) არ გააჩნია კონკრეტული მოთხოვნები და ზოგიერთი მოთხოვნა ჩართულია კონკრეტულ დარგთან დაკავშირებულ კანონში ან რეგულაციებში. ადგილი აქვს ხარვეზებს და დუბლირებასაც. დაზღვევის მარეგულირებელი სადაზღვევო ინდუსტრიისთვის ახალი და ცალკეული რეგულაციების შემუშავების პროცესშია. კონსოლიდირებული კოდექსი ყველა სდპ-ისთვის უნდა გამოიცეს ერთიანი, ცენტრალიზებული ორგანოს მიერ, რომელიც გაითვალისწინებს ყველა არსებულ საუკეთესო მოთხოვნას. საკანონმდებლო ბაზა უნდა შეიცვალოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კონსოლიდირებული კოდექსის თანმიმდევრული გამოყენება, შესაბამისობის და შეუსაბამობის შედეგების მონიტორინგით. დუბლირებები უნდა გამოირიცხოს. კორპორაციული მართვის ახალი ჩარჩოს მომზადებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საერთაშორისო და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკა.²⁸¹ საერთაშორისო კარგი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სდპ-ებმა, კერძოდ ბანკებმა, საფინანსო ინსტიტუტებმა, სადაზღვევო კომპანიებმა და სუბიექტებმა, რომლებსაც გამოშვებული აქვთ საჯარო აქციები ან ობლიგაციები, მოამზადონ და გამოაქვეყნონ

კოდექსთან შესაბამისობის შესახებ ყოველწლიური თვითშეფასება, როგორც წლიური ანგარიშის ნაწილი. ეს უნდა მოიცავდეს თვითშეფასების შედეგებს განხორციელების რეგულირების მიმართ; აქციების მფლობელობის დეტალებს; საბჭოს სხდომების სიხშირეს; შიდა თაღლითობის შემთხვევების რაოდენობას და თუ როგორ მოაგვარა ისინი სუბიექტმა; სამართლებრივი მოთხოვნების რაოდენობას; გარიგებებს ინტერესთა კონფლიქტით; აქციების ან/და ობლიგაციების გამოსყიდვას; და დაფინანსების უზრუნველყოფას სოციალური და პოლიტიკური საქმიანობისთვის ნომინალური ღირებულებისა და ბენეფიციარების დეტალებით.

375. მდგრადი განვითარების ანგარიშებასთან დაკავშირებით ქვეყნის სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს და დაინერგოს, ინვესტორებისა და ინსტიტუტების მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ახალი და არსებული პროექტებისა და აქტივობების შედეგებთან მიმართებით. საერთაშორისო დონეზე, მდგრადი განვითარების ანგარიშების შემუშავება და ხარისხი ხდება როგორც სდპ-ების, ისე მთავრობებისთვის პრიორიტეტული სფერო. მდგრადი განვითარების ანგარიშების ჩარჩოს როგორც ახალი ამოცანის მიღება ან შექმნა დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს გაეცნონ მდგრადი განვითარების ანგარიშების მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ ქცევა, სანამ ის ანგარიშების საყოველთაოდ მიღებულ მოთხოვნად გადაიქცევა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძირითადად ფინანსური ანგარიშების მოთხოვნებში ექცევა, ამ ანგარიშების მომზადებაში გამოყენებული უნარები, როგორც წესი, განსხვავებულია, ასევე განსხვავებულია შესაძლებლობებთან დაკავშირებული გამოწვევები და საერთაშორისო თანხმობა ზუსტი ფორმატისა და შინაარსის შესახებ ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. შესაბამისად, გასათვალისწინებელია მდგრადი განვითარების ანგარიშების ცალკე საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა, რომელიც ზედმეტად არ იმოქმედებს ფინანსური ანგარიშების არსებულ მოთხოვნებზე. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ვალდებულების გათვალისწინებით, დააახლოოს თავისი ინსტიტუტები და

²⁸¹ ეს უნდა მოიცავდეს ანგარიშების სიხშირეს, საბჭოს და აუდიტის კომიტეტის შედგენილობას და ანგარიშებას მდგრადი განვითარების შესახებ.

პოლიტიკა ევროკავშირის ინსტიტუტებთან, აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ქვეყნის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს საჭირო ქმედებებს, რესურსებს და ევროკავშირის ბოლოდროინდელი კორპორაციული მდგრადი განვითარების ანგარიშგების დირექტივის,²⁸² ისევე როგორც ევროპის ფინანსური ანგარიშგების საკონსულტაციო ჯგუფის (EFRAG)²⁸³ მიერ შემუშავებული ევროპული მდგრადი განვითარების ანგარიშგების სტანდარტების (ESRS)²⁸⁴ დანერგვის ვადებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის არაწევრ კომპანიებსაც მოუწევთ ახალი წესების დაცვა. კერძოდ, ევროკავშირის არაწევრ კომპანიებს, რომლებიც მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან ევროკავშირის ბაზარზე, მოუწევთ ანგარიშგების ეკვივალენტური წესების დაცვა. ROSC-ის შეფასების დროისთვის ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ იყო შესული საქართველოს ადგილობრივ კანონმდებლობაში. შუალედურ პერიოდში სებ-ი ასრულებდა წამყვან როლს საქართველოში²⁸⁵ მდგრადი დაფინანსების დღის წესრიგში თავისი გზამკვლევით მდგრადი დაფინანსების შესახებ, საბანკო სექტორისთვის შემუშავებული გამჟღავნების მოთხოვნებით და 2022 წელს გამოქვეყნებული მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიით. ამასთან ერთად, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს მწვანე განვითარების სტრატეგიას. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგება მდგრადი დაფინანსების შესახებ სცდება ფინანსურ სექტორს, კარგი იქნება თუ ფინანსთა სამინისტრო და სამსახური გამოიყენებენ სებ-ის გამოცდილებას და მიღწეულ პროგრესს.

376. საჭიროა შესრულდეს სახელმწიფო საწარმოების რეფორმის 2023-2026 წლების ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც დაფუძნებულია კარგ პრაქტიკაზე და ადგენს სახელმწიფო საწარმოების რეფორმის წინსვლის მკაფიო გზამკვლევს. სახელმწიფო საწარმოების ჩარჩო კანონის გეგმა, რომელიც ახორციელებს სტრატეგიის სხვადასხვა ელემენტების განსაზღვრას, კარგად არის დასაბუთებული

სახელმწიფო საწარმოების მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით და აღწერილი სახელმწიფო საწარმოების სტრატეგიაში. შერჩეული სამი სახელმწიფო საწარმოს პილოტირება საჭიროებს დაჩქარებას, რადგან განხორციელების დაწყების თვალსაზრისით უკვე აღინიშნება ჩამორჩენა. კორპორაციული მართვის ახალი კოდექსი სახელმწიფო საწარმოებისთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება და მას უნდა მოჰყვეს დანერგვასთან დაკავშირებული მხარდაჭერა და აღსრულება შეფერხების გარეშე. პროცესი უნდა დაიწყოს საპილოტედ შერჩეული სახელმწიფო საწარმოებით, რომელთაც მოეთხოვებათ კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშგების გამოქვეყნება 2023 წლის ივლისისთვის. სახელმწიფო საწარმოებისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაძლებლობების მნიშვნელოვანი განვითარება სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის კოდექსის დასაწერად.

377. სახელმწიფო საწარმოებში აუდიტის კომიტეტების შექმნა დაჩქარებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საწარმოებს კანონით მოეთხოვებათ ჰქონდეთ აუდიტის კომიტეტი 2020 წელს სდპ-ებად კლასიფიკაციის შემდეგ, პრაქტიკაში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო საწარმოს აქვს შექმნილი აუდიტის კომიტეტი. ვინაიდან აუდიტის კომიტეტებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის და კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ზედამხედველობის პროცესში, მთავრობამ, როგორც აქციონერმა, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები აუდიტის კომიტეტების შესაქმნელად შემდგომი შეფერხების გარეშე ყველა სახელმწიფო საწარმოში, რომელსაც სდპ სტატუსი აქვს.

378. ფინანსთა სამინისტრომ უნდა სცადოს სახელმწიფო საწარმოების აგრეგატული ანგარიშგების და სახელმწიფო საწარმოების პორტფოლიოს ინფორმაციის გამჟღავნების გაძლიერება. ფისკალური რისკის არსებული ანგარიშგება უკვე ძალიან ყოვლისმომცველია და

²⁸² <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32022L2464&from=EN>

²⁸³ <https://www.efrag.org>

²⁸⁴ EFRAG -მა დაამტკიცა ESRS-ის პირველი ნაკრები 2022 წლის ნოემბერში. მოსალოდნელია რომ ევროკომისია მიიღებს ESRS-ს 2023 წლის 30 ივნისისთვის. ახალი სტანდარტები მდგრადი განვითარების კორპორაციული ანგარიშგების ნაწილია, რომელიც ამოქმედდება 2024 საანგარიშო წლისთვის, და ანგარიშგებების პირველი წარდგენა 2025 წელს განხორციელდება.

²⁸⁵ <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance>

კარგი საფუძველია სახელმწიფო საწარმოების რეგულარული საერთო ანგარიშგებისთვის. OECD-ის²⁸⁶ მიერ გამოქვეყნებული კარგი პრაქტიკის შესატყვისად, ის შეიძლება გაძლიერდეს ძირითადი სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის ტენდენციების, მთავრობის სექტორული პოლიტიკის და „ფართო სურათის“ დაკონკრეტებით კრიტიკული კონტექსტური და არაფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომელიც ამყარებს ფინანსური ინფორმაციის ინფორმირებულ აღქმას. ფინანსთა სამინისტრომ უნდა იმუშაოს ინდივიდუალურ მესაკუთრებებთან, სამინისტროებთან და სახელმწიფო საწარმოებთან ინფორმაციის მოსაპოვებლად. მთლიანი ანგარიში შეიძლება ახლდეს ფისკალური რისკის ანგარიშგებას, წარედგინოს პარლამენტს და საჯაროდ გამოქვეყნდეს.

379. სტანდარტებისა და კოდექსების დაცვის შესახებ კორპორაციული მართვის ანგარიშის რეკომენდაციით,²⁸⁷ სახელმწიფო საწარმოების მმართველობის ანგარიშგებები, კანონის შესაბამისად, შეიძლება²⁸⁸ გაძლიერდეს და შეიცავდეს:

- * კორპორაციული მართვის სავალდებულო ანგარიშს, რომელიც მიუთითებს სახელმწიფო საწარმოების შესაბამისობაზე მათთვის შემუშავებულ კორპორაციული მართვის ახალ კოდექსთან;
- * სახელმწიფო საწარმოების მიზნებისა და მათი შესრულების შესახებ საჯარო განცხადებას; სრულ მფლობელობაში არსებული სახელმწიფო საწარმოებისთვის ეს მოიცავს მესაკუთრე სუბიექტის მიერ განსაზღვრულ მანდატს.
- * ხარჯებს და დაფინანსების მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო პოლიტიკის მიზნების ან საჯარო სამსახურის ვალდებულებების შესრულებასთან.
- * სახელმწიფო საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და ძირითადი აღმასრულებლების ანაზღაურებას.
- * ინფორმაციას სახელმწიფოსგან მიღებული ფინანსური დახმარების, მათ შორის გარანტიების, სუბსიდიებისა და კაპიტალის ტრანსფერების შესახებ.

- ინფორმაციას მთავრობასთან და დაკავშირებულ სუბიექტებთან მატერიალური გარიგებების შესახებ.
- ინფორმაციას თანამშრომლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

380. ყურადღება უნდა მიექცეს ფინანსურ ანგარიშგებებში სახელმწიფო საწარმოების საჯარო ვალდებულებების ან/და კვაზი-ფისკალური აქტივობებისა და ვალდებულებების შეტანას განმარტებითი შენიშვნების სახით.

ამჟამად ზღვარი საწარმოთა კომერციულ და არაკომერციულ საქმიანობას შორის ბუნდოვანია. შედეგად, ფინანსთა სამინისტრო და სხვა დაინტერესებული მხარეები ცდილობენ განასხვავონ სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებში საჯარო სამსახურის ვალდებულებები და/ან კვაზი-ფისკალური აქტივობები. ფასს-ი მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას, იქ სადაც ფასს-ის სხვა მოთხოვნები არასაკმარისია იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა გააცნობიერონ კონკრეტული ტრანზაქციის, მოვლენებისა და პირობების²⁸⁹ გავლენა. სახელმწიფო საწარმოების საჯარო ვალდებულებებისა და ფისკალური აქტივობების ბუნებისა და მასშტაბის გარკვევა, როგორც წესი, არსებითია სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესასწავლად. რეკომენდებულია, რომ სახელმწიფო საწარმოები წაახალისონ ამ ინფორმაციის მისაწოდებლად და განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა ჩართული იყოს აღსრულების ღონისძიებების ნაწილის სახით.

381. ყურადღება უნდა მიექცეს მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი დაინტერესების პირად კლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების წლიური ანგარიშგებების ადრე გამოქვეყნების მოთხოვნას. ამჟამად სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც წარმოადგენენ სდპ-ებს, აქვთ ანგარიშგებების წარდგენის იგივე ვადა, რაც არა-სდპ საწარმოებს. მათ მოეთხოვებათ სამსახურისთვის აუდირებული ფინანსური და

²⁸⁶ OECD Guidelines for Corporate Governance of SOEs (revised edition, 2015).

²⁸⁷ Georgia Corporate Governance Report on the Observance of Standards and Codes, World Bank, 2021 (<https://documents1.worldbank.org/curated/en/099255006122222665/pdf/P1695430ad47ef0860b13f0120e7715aa67.pdf>).

²⁸⁸ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 7.

²⁸⁹ ბასს 1 ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა

სხვა სახის ანგარიშების წარდგენა საანგარიშო პერიოდის შემდგომი წლის 1-ლ ივლისამდე, ხოლო არააუდირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშები წარდგენილი უნდა იყოს 1-ლ აპრილამდე.²⁹⁰ აღნიშნული მიზნად ისახავს 2022 წლის სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასებით²⁹¹ განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას და სახელმწიფო საწარმოების ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის ადრეული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, იმისათვის რომ შესაძლებელი გახდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ ფისკალური რისკის ანგარიშების დროული შედგენა. თუმცა, მოთხოვნას არ გააჩნია აღსრულების მექანიზმი და სრულად არ არის დაცული შესაბამისი სახელმწიფო საწარმოების მიერ. უნდა განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილება, რომ მასში გათვალისწინებულ იქნეს სდპ-ებად კლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოებისთვის წარდგენის ადრეული ვადები.

■ ფინანსური ანგარიშების მონიტორინგი და აღსრულება

382. უნდა გაძლიერდეს მარეგულირებლების მიერ ზოგადი დანიშნულების წლიური ფინანსური ანგარიშგებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი. ფინანსური ანგარიშგების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ბუღალტრული აღრიცხვის აღიარებულ სტანდარტებთან, განმარტებითი შენიშვნებისა და ინფორმაციის ადეკვატურობის ჩათვლით, მარეგულირებელი ორგანოების გადამწყვეტი როლია საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად და სუბიექტების გამჭვირვალობის ასამაღლებლად. საერთაშორისო კარგი პრაქტიკა მოიცავს მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის მარეგულირებელი ქმედებების გამოყენებას. მარეგულირებლების დასკვნებს შეიძლება ასევე მოჰყვეს სამსახურის მხრიდან აუდიტის ხარისხთან

დაკავშირებული ქმედებები. ეს პროცესები უკვე არსებობს ან დამუშავების პროცესშია. თუმცა, ისინი საგრძნობლად არიან დამოკიდებულნი კვალიფიციური პერსონალის მოზიდვაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე. ამ პროცესების შემუშავება უნდა გაგრძელდეს და თავად პროცესები გაძლიერდეს.

383. რეგულაციები მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს ეტაპობრივ სანქციებს ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების აღსრულების ხელშესაწყობად. მოქმედი რეგულაციები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის სამსახურს, საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს, არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ანიჭებს წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის უფლებამოსილებას, მმართველობის ანგარიშგების და აუდიტის ანგარიშის ჩათვლით. რეგულაციები ასევე ითვალისწინებს ზოგიერთ გარემოებას, როდესაც მარეგულირებლებს შეუძლიათ მიმართონ სუბიექტებსა და აუდიტორებს, გამოვლენილ გამონაკლისებთან დაკავშირებით მოკვლევის განხორციელების მიზნით. რეგულაციები შეიცავს სანქციებს და სააღსრულებო პროცედურებს, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სტანდარტების მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის. თუმცა, ეს სანქციები არ არის ეტაპობრივი. სამაგიეროდ, ისინი ან ძალიან მსუბუქია ან ძალიან მძიმე. მიგნებები და რეკომენდაციები უნდა აღსრულდეს შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების კონკრეტული დებულებებით ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. მარეგულირებლებს უნდა ჰქონდეთ დანერგილი პროცესები ფინანსური ანგარიშგების პირობით დასკვნაზე რეაგირებისთვის, მათ შორისაა, სუბიექტისთვის ეტაპობრივი სანქციების დაწესება.

384. უნდა დამყარდეს სისტემატური თანამშრომლობა სამსახურს და სექტორის მარეგულირებლებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფასს-თან შესაბამისობის განხილვაზე. მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, საბანკო, სადაზღვევო, მიკროსაფინანსო და ლისტინგში

²⁹⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება N217, მიღებულ იქნა 2021 წლის 11 თებერვალს.

²⁹¹ <https://www.pefa.org/node/5197>

შემაჯავლი სუბიექტების მარეგულირებლები უფლებამოსილნი არიან და მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგების განხილვა სხვადასხვა ხარისხით ანგარიშგების სტანდარტებთან შესაბამისობის შესასწავლად. მარეგულირებლებს აქვთ რესურსების სხვადასხვა დონე და ეფექტურობა არათანმიმდევრულია. სამსახური ასევე უფლებამოსილია განიხილოს ფინანსური ანგარიშგება და აქვს საკუთარი რესურსი ამის მისაღწევად. არსებული მექანიზმი, როგორც ჩანს, იწვევს როგორც ძალისხმევის გაორმაგებას, ასევე ხარვეზებს განხილვის პროცესში. ეფექტური რეგულირება შეიძლება გაძლიერდეს მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობის სისტემით. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება ცვალებადობდეს ინფორმაციისა და მიგნებების რეგულარული გაცვლიდან, სხვადასხვა პასუხისმგებლობების უფრო მკაფიო განსაზღვრამდე.

385. დაზღვევის მარეგულირებლის, საბანკო მარეგულირებლისა და სამსახურის მიერ ყოველწლიურ პუბლიკაციებში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის ყველა არსებითი შედეგი.

ფასს-თან შესაბამისობის მიმოხილვას ბევრი მარეგულირებელი ახორციელებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს მიმოხილვები იწვევს შეფასებული სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში პროაქტიურ ცვლილებებს. გასათვალისწინებელია ამ მიმოხილვის შედეგების გაერთიანებული და ანონიმური ფორმით ჩართვა მარეგულირებლების ყოველწლიურ ანგარიშში, თუ ისინი რელევანტურია რეგულირების ქვეშ მყოფი სუბიექტებისთვის. ამასთან ერთად, სხვადასხვა მარეგულირებლის მიერ იდენტიფიცირებული ყველა ფასს-რელევანტური საკითხი უნდა იყოს კონსოლიდირებული და ჩართული სამსახურის ანგარიშში. ეს ხელს შეუწყობს განხილვის პროცესის აღქმას, სხვა სუბიექტებს შესაძლებლობას მისცემს ისწავლონ შეფასებული სუბიექტების გამოცდილებიდან და ყველა რელევანტურ და არსებით ინფორმაციას გაცილებით იოლად ხელმისაწვდომს გახდის.

386. გასათვალისწინებელია სამსახურის მიერ XBRL-ის დანერგვა.²⁹² როგორც ციფრული ანგარიშგების სტანდარტი, XBRL განაპირობებს ანგარიშგების ჰარმონიზაციას, შესაძლებელს

ხდის ანგარიშების ეფექტიან გამოყენებას და ხელს უწყობს ანგარიშების შესადარისობას. XBRL სტანდარტი შესაძლებელს ხდის ასევე საერთო ტექნიკური (ციფრული) ფორმატების გამოყენებას და ამით ხელს უწყობს მონაცემთა შედარებას ინფორმაციის ჰარმონიზაციის (სტანდარტიზაციის) საშუალებით, იმავდროულად სუბიექტების მიერ წარდგენილი ინფორმაციის ხარისხის და სანდოობის ამაღლებით.

■ აუდიტის ზედამხედველობა და ხარისხის უზრუნველყოფა

387. სამსახურს უნდა მიეცეს ეტაპობრივი სანქციების ფართო სპექტრი აუდიტორების და აუდიტორული ფირმებისთვის დასაკისრებლად გადაცდომის ან სტანდარტების და სარეგისტრაციო მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის. დიდია განსხვავება დაბალი შემაკავებელი ეფექტის მქონე მაქსიმალურ ჯარიმას 5,000 ლარს და მაქსიმალურ სასჯელს რეგისტრაციიდან მოხსნას შორის. სამსახურის უნარი აუდიტორების რეგულირებასთან დაკავშირებით გაუმჯობესდება ეტაპობრივი სანქციების შედარებით უფრო ფართო სპექტრის გამოყენებით აუდიტორების მიმართ.

■ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესია

388. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ (ბაფი) უნდა განაგრძოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ვალდებულების პრინციპების (SMO) ყველა მოთხოვნის წარმატებით შესრულება IFAC-ის მიერ ბაფის 2022 წლის SMO სამოქმედო გეგმის შეფასების საფუძველზე.²⁹³ განახლებული თვითშეფასება წარდგენილ იქნა 2022 წელს. მას შემდეგ, რაც IFAC-

²⁹² <https://www.xbrl.org/>

²⁹³ <http://gfpa.ge/site/index.php?tid=66&color=blue&lid=66&sid=66>

ის მიერ ბაფის 2022 წლის SMO სამოქმედო გეგმის შეფასება დასრულდება, ბაფმა უნდა დაიწყოს IFAC-ის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობის ან ნაწილობრივი შესაბამისობის ნებისმიერ სფეროზე რეაგირება.

389. ბაფმა უნდა იმუშაოს სამსახურის მიერ შემუშავებული ნებისმიერი რეკომენდაციის შესრულებაზე, სამსახურის მხრიდან პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობის ზედამხედველობის და ბაფის სერტიფიცირების პროცესის დადასტურების ფარგლებში. კერძოდ:

- i. პროფესიული ორგანიზაციის საბჭომ უნდა შექმნას ფუნდამენტური ფასეულობების ნაკრები, რომლითაც ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მმართველობაში მონაწილე ყველა პირმა უნდა გაითავისოს ეს ფუნდამენტური ღირებულებები.
- ii. პროფესიულმა ორგანიზაციამ უნდა მართოს ინტერესთა შესაძლო კონფლიქტთან დაკავშირებული რისკები და ამ რისკების დაძლევის გზები.
- iii. პროფესიული ორგანიზაციის საბჭომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ინფორმაციასთან დაკავშირებით გონივრული მოთხოვნების დაკმაყოფილება და რომ მოწოდებული ინფორმაცია იყოს შესაბამისი, გასაგები და სანდო.
- iv. პროფესიული ორგანიზაციის საბჭომ უნდა გააცნობიეროს ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, ოპერაციული გარემო და თუ როგორ წარმოებს დაინტერესებული მხარეების ფასეულობების შექმნა და ოპტიმიზაცია.

■ განათლება ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში

390. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების სტანდარტი ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა შემუშავდეს განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, უნივერსიტეტების, სამსახურის

და პროფესიული ორგანიზაციების

ჩართულობით. განათლების სტანდარტები უმაღლესი სასწავლებლების ბუღალტერიის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრის საფეხურზე რეკომენდებულია შემუშავდეს განათლების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ეს სტანდარტები წარმოადგენს ეტალონს, რომელსაც IFAC-ის წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ პროფესიონალი ბუღალტრების საწყისი და განგრძობითი განათლებისთვის. განათლების საერთაშორისო სტანდარტი ადგენს განათლებისა და განვითარების შინაარსისა და პროცესის არსებით ელემენტებს იმ დონეზე, რომელიც მიმართულია საერთაშორისო აღიარებისა და მიღებისკენ. IES-ზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება ხელს შეუწყობს პროფესიული უნარების, კომპეტენციების, საგამოცდო პროცესების და სხვა ასპექტების მოთხოვნების დაახლოებას როგორც საწყის, ისე განგრძობითი პროფესიული განათლების დონეზე.

391. გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების შესახებ კანონში რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალში აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის დამატება. კანონი განსაზღვრავს რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალს, რომლებისთვისაც პროფესიაში შესასვლელად გარკვეული წინაპირობები უნდა იყოს დაცული, მათ შორის, შესაბამისი კვალიფიკაცია, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და კონკრეტული აკრედიტაციის პროცესის გავლა. ამჟამად აუდიტი და ბუღალტრული აღრიცხვა ჩამოთვლილი არ არის, თუმცა მათ აქვთ რეგულირებადი პროფესიის ყველა მახასიათებელი. მათი სიაში ჩართვა საგანმანათლებლო პროვაიდერებს შორის აუდიტორთა კვალიფიკაციის მოპოვების პროცესს თანმიმდევრულობას შემატებს.

392. საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს სანიმუშო კურიკულუმს და პროფესიული ორგანიზაციის სასწავლო პროგრამებს, და მიზნად ისახავდეს საუნივერსიტეტო ხარისხის აღიარების ხელშეწყობას პროფესიული ორგანიზაციების და სამსახურის მიერ. საქართველოში ბუღალტრული განათლების სფეროში სასწავლო პროგრამების შედარებითმა კვლევამ²⁹⁴ მოამზადა რეკომენდაცია რომ უნივერსიტეტებმა

²⁹⁴ A Benchmarking Analysis and Review of Accountancy Education in Georgia: Curricula, Teaching, Assessment and Governance, World Bank, 2020 (<https://www.saras.gov.ge/Content/files/Georgia%20Benchmarking-report-eng.pdf>)

გააძლიერონ კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომა ბაკალავრიატის/სამაგისტრო პროგრამების მიმართ თავიანთ სასწავლო გეგმებში და მოიყვანონ ისინი შესაბამისობაში განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, საერთაშორისო აღიარების მქონე კრიტერიუმებთან და დამსაქმებელთა საჭიროებებთან. შედეგად, შემუშავდა კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო კურიკულუმი, რომელიც ეფუძნება ACCA კვალიფიკაციას, ითვალისწინებს განათლების საერთაშორისო სტანდარტებს და აქვს სამსახურის მხარდაჭერა. საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამების შესაბამისობა სანიმუშო კურიკულუმთან ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო პროგრამების აღიარებას სამსახურის, ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციებისა და სხვა უნივერსიტეტების მიერ.

393. შეფასების პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს განათლების საერთაშორისო სტანდარტს უნივერსიტეტების მასშტაბით პროფესიული ორგანიზაციების და სამსახურის მხრიდან აღიარების დასაჩქარებლად. უნდა განხორციელდეს თანმიმდევრული მიდგომა

უნივერსიტეტებში სტუდენტების შეფასების მიმართ, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპეტენციების მიღწევა განახლებულ კურიკულუმებში. შეფასების პროცედურები უნდა ასახავდეს კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამის შინაარსს და მიზნებს და უზრუნველყოფდეს სტუდენტების ტესტირებას სამართლიანად, სათანადოდ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტების დადგენა

394. სამსახური მზად უნდა იყოს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) სტანდარტის დასაწერად ნაკლებად კომპლექსური სუბიექტების აუდიტის შესახებ მისი ამოქმედების შემდეგ, და დაეხმაროს აუდიტორებს სტანდარტის დანერგვაში.

დანართი A

2015 წლის რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით მიღწეული პროგრესი

■ საკანონმდებლო ბაზა

რეკომენდაცია 1. შესრულდა

საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების ცნების შემოღება ქართულ კანონმდებლობაში, რომელიც მოიცავს: (i) რეგულირებად ბაზარზე ვაჭრობაში მონაწილე სუბიექტებს; (ii) საკრედიტო დაწესებულებებს; (iii) სადაზღვევო კომპანიებს და (iv) კომპანიებს, რომელთაც არსებითი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ მათი საქმიანობის ტიპის, სიდიდის ან დასაქმებულ პირთა რაოდენობის გამო, ევროკავშირის 2013/34/EU დირექტივის „წლიური ფინანსური ანგარიშგებების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და გარკვეული ტიპის საწარმოების დაკავშირებული ანგარიშების შესახებ“ განსაზღვრების შესაბამისად (ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივა).

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” განსაზღვრავს სდპ- ებს. განსაზღვრება მოიცავს (i) პირებს, რომელთა ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; (ii) კომერციული ბანკებს, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად; (iii) მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; (iv) სადაზღვევო სუბიექტებს „დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად; (v) არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებს, „არასახელმწიფო საპენსიო და არასახელმწიფო

საპენსიო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; (vi) საინვესტიციო ფონდებს, „კოლექტიური საინვესტიციო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; (vii) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს – საკრედიტო კავშირებს, „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2019 წელს მთავრობის №584²⁹⁵ დადგენილების საფუძველზე განსაზღვრებას დაემატა მსხვილი და საშუალო სახელმწიფო საწარმოები.

რეკომენდაცია 2. ძირითადად შესრულდა

საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების, დიდი, საშუალო, მცირე და მიკროსაწარმოების განსაზღვრების შემოღება და სხვა კანონებთან ჰარმონიზაცია მათი საქმიანობის მასშტაბის და მფლობელობის ტიპის მიხედვით (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კანონი, კანონი მენარმეთა შესახებ, საგადასახადო კოდექსი და სხვა სახელმწიფო და მარეგულირებელი ორგანოების ნორმატიული აქტები) ნებისმიერი ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად და სტანდარტების შესრულების და განხორციელების ხელშესაწყობად.

აღნიშნული ზღვრები დაადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების მოთხოვნებს სუბიექტების სხვადასხვა ტიპებისთვის. კერძოდ, გასათვალისწინებელია ანგარიშგების მოთხოვნები მცირე და მიკროსაწარმოებისთვის, რადგან ბევრ მათგანს შესაძლოა ზედმეტ ტვირთად დააწვეს ანგარიშგების ახალი მოთხოვნები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფასს-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც ძალაში შევა 2015 წლის 1-ლი ივნისიდან.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კანონმა „ბუღალტრულმა აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შემოიტანა სდპ-ების და სხვა სუბიექტების მკაფიო განსაზღვრებები (ბიზნესის სიდიდის მიხედვით), რომლებიც ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების მოთხოვნებს სხვადასხვა ტიპის სუბიექტებისთვის. საგადასახადო კოდექსში განსაზღვრული მსხვილი, საშუალო, მცირე და მიკრო- საწარმოები ტერმინების აღრევის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის სუბიექტებად მოიხსენება.

სუბიექტების განსაზღვრებები კორპორაციული ანგარიშგების მიზნებისთვის საქართველოს კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. რჩება გარკვეული შეუსაბამობები საგადასახადო კოდექსში არსებულ ეკვივალენტურ განმარტებებთან. თუმცა, ზოგადად კორპორაციულ ანგარიშგებაზე გავლენა არ არის მნიშვნელოვანი.

მცირე და მიკროსაწარმოებისთვის ანგარიშგების მოთხოვნები შემცირდა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის და შემდეგ სამსახურის რეგულაციების მიღებით, მათ შორის, მიკროსაწარმოებისთვის სპეციალური სტანდარტების შემუშავებით.²⁹⁶

რეკომენდაცია 3. შესრულდა

საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი კომპანიებისთვის გამოქვეყნების მოთხოვნების დადგენა. მაგალითად, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიებმა და დიდმა საწარმოებმა ევროკავშირის 2013/34/EU დირექტივის განსაზღვრების შესაბამისად უნდა გამოაქვეყნონ

²⁹⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №584 ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ 29.11.2019.

²⁹⁶ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება სამსახური მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დამტკიცების შესახებ 26.06.2018.

აუდიტორის მიერ შემოწმებული, სრული ფინანსური ანგარიშგებები აქციონერთა საერთო კრებამდე გონივრული პერიოდის განმავლობაში (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს ბალანსის მომზადების თარიღიდან), ინტერნეტის საშუალებით ან უფასო ასლების გავრცელებით, იმისათვის, რომ აქციონერები უკეთ იყვნენ მომზადებულნი ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ ადგენს ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნების მოთხოვნებს ყველა სუბიექტისთვის, მიკროსაწარმოების გარდა, ბალანსის თარიღიდან 9 თვის შემდეგ, სამსახურის მიერ შემუშავებული ანგარიშგების პლატფორმის²⁹⁷ მეშვეობით და თავიანთ ვებ-გვერდებზეც.²⁹⁸ ყველა კატეგორიის სუბიექტების ანგარიშგებები მცირე და მიკროსაწარმოების გარდა, უნდა დაექვემდებაროს აუდიტს. მიკროსაწარმოების ანგარიშები მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომია სამსახურის მეშვეობით.²⁹⁹

რეკომენდაცია 4. შესრულდა

ფინანსური მხარდაჭერის მდგრადი მექანიზმის დადგენა, რომელიც საშუალებას მისცემს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს, შეასრულონ მთავრობის მიერ დელეგირებული ფუნქციები ეფექტიანად და დროულად, არასათანადო გავლენის და მიკერძოების გარეშე:

- (i) სტანდარტების თარგმნა და დროული განახლება;
- (ii) გამარტივებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შემუშავება მიკროსაწარმოებისთვის და (iii) აუდიტორების თავდაპირველი რეგისტრაცია და ამ რეესტრის წარმოება.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” არ ახდენს ძირითადი ფუნქციების დელეგირებას პროფესიულ ორგანიზაციებზე (ისევე როგორც 2015 წლის A&A ROSC შეფასების დროს). სტანდარტების თარგმნა და დროული განახლება; მიკროსაწარმოებისთვის³⁰⁰ გამარტივებული აღრიცხვის სტანდარტების შემუშავება; და აუდიტორთა თავდაპირველი რეგისტრაცია და ასეთი რეესტრის წარმოება ახლა სამსახურს³⁰¹ ევალება, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს.

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტები

რეკომენდაცია 5. შესრულდა

სტანდარტების თარგმნის პროცესის გაუმჯობესება დროული და ხარისხიანი თარგმანის სტაბილური მომზადების უზრუნველსაყოფად, მთავრობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის და დაფინანსების სხვა მდგრადი წყაროების განხილვით.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სამსახური მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან უზრუნველყოფს სტანდარტების დროულ და ხარისხიან თარგმანს, რაც შეიძლება ჩაითვალოს მდგრად დაფინანსებად.

²⁹⁷ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 9

²⁹⁸ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 9.5.

²⁹⁹ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 9.3.

³⁰⁰ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 12.

³⁰¹ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 3.6.

რეკომენდაცია 6. შესრულდა

შემდგომი სტანდარტების შემუშავება და მიღება, მაგალითად, ბულალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები მიკროსაწარმოებისთვის.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გამარტივებული აღრიცხვის სტანდარტები მიკროსაწარმოებისთვის შემუშავდა და დამტკიცდა სამსახურის მიერ 2018 წელს. სტანდარტები უკვე დანერგულია საქართველოს შესაბამის სუბიექტებს შორის.

რეკომენდაცია 7. შესრულდა

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისი აუდიტის სტანდარტული მეთოდოლოგიის და აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება მცირე და საშუალო აუდიტორული პრაქტიკის მქონე ფირმებისთვის, რაც გააუმჯობესებს აუდიტორული პროფესიის ხარისხს საქართველოში მთლიანად და უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობის ამოღებას ფინანსური ანგარიშგებებში წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ასს-ის შესაბამისი აუდიტის სახელმძღვანელო, რომელიც შემუშავებულია HAT ჯგუფის მიერ მცირე და საშუალო აუდიტის პრაქტიკოსებისთვის, ითარგმნა ქართულად (დონორთა საზოგადოების დახმარებით და ბაფთან თანამშრომლობით) და გადაეცათ შესაბამის პრაქტიკოსებს. HAT სახელმძღვანელო ასევე ინტეგრირებულია E-Dok პროგრამაში, მცირე პრაქტიკოსების ხელშესაწყობად მის დანერგვაში. ტრენინგების

ტრენინგის სპეციალური პროგრამა შეიქმნა მცირე პრაქტიკის მქონე ფირმებისთვის მათ დასახმარებლად HAT სახელმძღვანელოს სწორად დანერგვაში. შედეგად გადამზადდა 350-მდე მცირე ფირმა.

რეკომენდაცია 8. შესრულდა

არსებული მარეგულირებელი ორგანოს ან არსებულ მარეგულირებელ ორგანოში დეპარტამენტის იდენტიფიკაცია და განსაზღვრა ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესრულების და ანგარიშგების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი ინტერესის მქონე და დიდი საწარმოებისთვის. ეს ორგანო უნდა აღიჭურვოს აღსრულების სტანდარტული მექანიზმებით და შესაბამისი აღმასრულებელი უფლებამოსილებით.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სამსახური შეიქმნა 2016 წელს, ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტების აღსრულებისთვის და ყველა საწარმოსთვის ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სამსახური სრულად არის აღჭურვილი სტანდარტული აღსრულების მექანიზმებითა და შესაბამისი აღმასრულებელი უფლებამოსილებით.³⁰²

რეკომენდაცია 9. შესრულდა

სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების ცენტრალიზაცია ერთ ორგანოში ან არსებული მარეგულირებლის რომელიმე განყოფილებაში. ეს ნაბიჯი შესაძლებელს გახდის ფუნქციების დუბლირების თავიდან აცილებას და მთავრობას საშუალებას მისცემს, შეიმუშაოს კონსოლიდირებული ხედვა იმ კომპანიების შესახებ, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს გარკვეულ კაპიტალს.

³⁰² საქართველოს კანონი „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 20.3.N.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ყველა სახელმწიფო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ცენტრალიზებულია სამსახურის ქვეშ. გარდა ამისა, დაახლოებით 120 სახელმწიფო საწარმო წარადგენს ფინანსურ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკის განყოფილებაში, რომელიც ახორციელებს ფისკალური რისკების ანალიზს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

რეკომენდაცია 10. შესრულდა

კომპეტენტური უფლებამოსილების მქონე ახალი ორგანოს ან არსებულ ორგანოში სტრუქტურული ერთეულის განსაზღვრა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების და აუდიტორული ფირმების რეგულირებაზე და/ან ზედამხედველობაზე 2014/56/EU აუდიტის დირექტივის – „წლიური ანგარიშების და კონსოლიდირებული ანგარიშების სავალდებულო აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (აუდიტის დირექტივა). დირექტივა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან მოქნილობას აუდიტის რეგულირებაში, რაც მოითხოვს სავალდებულო დებულებების მხოლოდ შებლდული რაოდენობის დანერგვას. საქართველომ უნდა გამოიყენოს მისთვის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დრო, რათა უფრო მეტი ისწავლოს პოლიტიკის ამ სფეროში, გამოიყენოს სხვა ქვეყნების გამოცდილება, გაარკვიოს აუდიტის დირექტივით განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნები და განიხილოს არჩევითი დებულებების დანერგვა შედარებით უფრო გვიანი ეტაპისთვის.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სამსახური შეიქმნა 2016 წელს და პასუხისმგებელია სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი

აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეგულირებასა და ზედამხედველობაზე.³⁰³

რეკომენდაცია 11. შესრულდა

მარეგულირებლების ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდის გაგრძელება ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის უნარის გასაუმჯობესებლად. ამ დანახვებულზე უნდა ჰქონდეთ ადეკვატური რესურსები კორპორაციული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული აუდიტორული ანგარიშების სიღრმისეულად შესასწავლად. მარეგულირებელი ორგანიზაციების პერსონალს დასჭირდება ტრენინგი, რათა შეძლოს ფასს-თან შესაბამისობის ეფექტიანი უზრუნველყოფა

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სამსახური უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობას რისკის შეფასების საფუძველზე, თუმცა კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების და მასთან დაკავშირებული აუდიტის ანგარიშების სიღრმისეული მიმოხილვის და ანალიზის უნარი შეიძლება გაძლიერდეს.

რეკომენდაცია 12. შესრულდა

თანამშრომლობის გაძლიერება მთავრობასა და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ ორგანიზაციებს შორის შესაბამისობის ასამაღლებლად და ფასს-ის გამოყენების უზრუნველსაყოფად, აუდიტის ხარისხის კონტროლის დასაწესებლად, სტანდარტების დროული თარგმნის უზრუნველსაყოფად და უწყვეტი პროფესიული განათლების ხარისხის ასამაღლებლად.

303 საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, თავი V.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შეცვალა მიდგომა და ფასს-თან შესაბამისობის და სტანდარტების აღსრულების გაძლიერება, აუდიტის ხარისხის კონტროლი, სტანდარტების დროული თარგმნის უზრუნველყოფა და უწყვეტი პროფესიული განათლების სტანდარტების შემუშავება სამსახურს დააკისრა.³⁰⁴ სამსახური ეფექტურად თანამშრომლობს პროფესიულ ორგანიზაციასთან ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის თვალსაზრისით. პროფესიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მუდმივი თანამშრომლობა მათ წევრ აუდიტორთან და აუდიტორულ ფირმებთან და განახორციელონ შემდეგი აქტივობები: ტრენინგი და უწყვეტი განათლება ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში; მეთოდოლოგიისა და სახელმძღვანელოების შემუშავება და უზრუნველყოფა; მათი წევრი აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემების შეფასება და დიაგნოსტიკა; ხელშეწყობა გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად.³⁰⁵

რეკომენდაცია 13. შესრულდა

შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებში მექანიზმების მნიშვნელოვანი გაძლიერება სტანდარტებთან შესაბამისობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად: ბუღალტრული აღრიცხვისთვის _ საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და ა.შ., აუდიტისთვის _ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, შესაბამისობისთვის შესაბამისი სანქციების დაწესების ჩათვლით. ეს გააუმჯობესებს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას დაინტერესებული მხარების

წინაშე. უზრუნველყოფის მექანიზმების არარსებობა აკნინებს სტანდარტების შესრულების მოთხოვნას და ქმნის წარმოდგენას ქართულ კომპანიებს შორის, რომ ის არ არის სავალდებულო.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, რომელიც მანამდე ნაწილდებოდა სხვადასხვა უწყებებს შორის, ცენტრალიზებული გახდა სამსახურის ქვეშ და ეფექტურად ხორციელდება. სამსახურს მიეცა შესაბამისი სანქციების დაკისრების უფლებამოსილება სტანდარტების შესრულებლობისთვის. სანქციები შეიძლება დაუნესდეს აუდიტორებს, სანარმოებს და პროფესიულ ორგანიზაციებს. სანქციები მერყეობს წერილობითი შეტყობინებიდან მთელ რიგ ფულად სანქციებამდე, რაც დამოკიდებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სიმძიმეზე.³⁰⁶ თუმცა, უხარისხო ანგარიშგებისთვის სანქციები უფრო დაბალია (5,000 ლარამდე) და შეიძლება გაიზარდოს.

პროფესიული განათლება და უწყვეტი განვითარება

რეკომენდაცია 14. ძირითადად შესრულდა

აკადემიური პროგრამების გაძლიერება და საუნივერსიტეტო პროგრამების შესაბამისობაში

მოყვანა პროფესიული ტრენინგის და საგამოცდო მოთხოვნებთან აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში. ისევე, როგორც უწყვეტი პროფესიული განათლება და ტრენინგი

³⁰⁴ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

³⁰⁵ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 10.

³⁰⁶ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 23.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების სტანდარტების შესაბამისად. გაუმჯობესებული სასწავლო პროგრამა უნდა დაამტკიცოს განათლების სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით მის ერთნაირად გამოსაყენებლად.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გადამუშავებული აკადემიური პროგრამა შემუშავდა განათლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2021 წელს (დონორი ორგანიზაციების დახმარებით და ხელმისაწვდომია სამსახურის ვებგვერდზე).³⁰⁷ ის შეესაბამება საუნივერსიტეტო პროგრამებს ბაფისა და ACCA-ს პროფესიული მომზადებისა და გამოცდის მოთხოვნებს. ის მიღებულია სამსახურის მიერ, თუმცა განათლების სამინისტროს ჯერ არ დაუმტკიცებია.

რეკომენდაცია 15. განხილვის პროცესშია

მინიმალური დასაშვები მოთხოვნების დადგენა და კოორდინაცია საუნივერსიტეტო დონის განათლებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში, სანიმუშო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით. საქართველოს უნივერსიტეტებს შორის მათი თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველყოფა.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2024 წელს გეგმავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განათლების მიმართულებით მინიმალური სტანდარტების

შემუშავებას. საჭირო იქნება სამსახურთან ადრეული კოორდინაცია შემუშავების პროცესის შესახებ.

რეკომენდაცია 16. შესრულდა

პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ტრენინგის პროგრამების გავლის მოთხოვნის დაწესება ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის ცოდნის გასაუმჯობესებლად და გასაახლებლად. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ, სხვა პროფესიულმა ორგანიზაციებმა და წამყვანმა აუდიტორულმა და ბუღალტრული აღრიცხვის კომპანიებმა უნდა განიხილონ ამომწურავი ტრენინგის პროგრამების შეთავაზება მოანგარიშებისა და ბუღალტრებისთვის, რომლებიც მუშაობენ ფასს-ით და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფასს-ით.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიღებულია და დაინერგა განგრძობითი განათლების მოთხოვნები, ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივის შესაბამისად. მათ ზედამხედველობას უწევს სამსახური.³⁰⁸

პროფესიული ორგანიზაციები ვალდებული არიან აკონტროლონ სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი პროფესიული განათლება და აწარმოონ შესაბამისი აღრიცხვა.³⁰⁹

ტრენინგების ტრენინგი ფასს-ის შესახებ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ჩატარდა (დონორთა მხარდაჭერით) და შემდგომში გავრცელდა დაახლოებით 1,500 ბუღალტერსა და სპეციალისტზე საქართველოში.

³⁰⁷ <https://www.saras.gov.ge/Content/files/sarekomendacio-silabusi.pdf>

³⁰⁸ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ 18.08.2017.

³⁰⁹ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, მუხლი 11.9.

რეკომენდაცია 17. შესრულდა

პროფესიონალი აუდიტორებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგის გაუმჯობესება. აუდიტის სერვისის ხარისხის ასამაღლებლად არსებულ პრაქტიკოსებს შორის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ უნდა განიხილოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტის მეთოდოლოგიის და აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება და წევრებს შესთავაზოს ყოვლისმომცველი ტრენინგის კურსები.

შესრულების სტატუსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სტანდარტული აუდიტის მეთოდოლოგია (HAT ჯგუფის სახელმძღვანელო მცირე პრაქტიკის მქონე ფირმებისთვის) ითარგმნა ქართულად და გაზიარებულია ქართული აუდიტორული ფირმებისთვის. ტრენერთა ტრენინგი და საბოლოო მომხმარებლის ტრენინგი ჩატარდა დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

